

«ს ა მ ა რ თ ა ლ ი»

“S A M A R T A L I”

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

Scientific-practical juridical journal

№7, 2001 წელი

ISSN 0868-4537

© შპს ჟურნალი „სამართალი“, 2001 წ.

მთავარი რედაქტორი
პაატა ცნობილაძე

EDITOR IN-CHIEF
PAATA TSNOBILADZE

მთავარი რედაქტორის მოადგილე
გელა ბერძენიშვილი

VICE-EDITOR IN-CHIEF
GELA BERDZENISHVILI

სარედაქციო საბჭო:
EDITORIAL COUNCIL:

რომან შენგელია – (თავმჯდომარე)
ლევან ალექსიძე
ჯამლეთ ბაბილაშვილი
ავთანდილ დემეტრაშვილი
ბესარიონ ზოიძე
კახა თარგამაძე
გივი ინწკირველი
გია მეფარიშვილი
თევდორე ნინიძე
ნუგზარ საჯაია
მინდია უგრეხელიძე
ლადო ჭანტურია
ჯონი ხეცურიანი

ROMAN SHENGELIA - (chairman)
LEVAN ALEKSIDZE
JAMLET BABILASHVILI
AVTANDIL DEMETRASHVILI
BESARION ZOIDZE
KAKHA TARGAMADZE
GIVI INTSKIRVELI
GIA MEPARISHVILI
TEVDORE NINIDZE
NUGZAR SADJAIA
MINDIA UGREKHELIDZE
LADO CHANTURIA
JOHN KHETSURIANI

სარედაქციო კოლეგია:
EDITORIAL BOARD:

გელა ბერძენიშვილი
ნინო გვენეტაძე
მზია ლეკვეიშვილი
ვალერიან მეტრეველი
გიორგი ტყეშელიაძე
შალვა ჩიკვაშვილი
პაატა ცნობილაძე
გია ხუბუა

GELA BERDZENISHVILI
NINO GVENETADZE
MZIA LEKVEISHVILI
VALERIAN METREVELI
GEORGE TKESHELIADZE
SHALVA CHIKVASHVILI
PAATA TSNOBILADZE
GIA KHUBUA

რედაქციის მისამართი: 380046 თბილისი, ძმები ზუბალაშვილების №32
(შესასვლელი არსენას №21-დან).

ტელ: 99 02 45, 98 41 50, 99 51 01

ფაქსი: (995 32) 99 02 45

ჟურნალ «სამართლის» საპროფილო ბარათი

“SAMARTALI”* journal visit-card

გამოსვლის თარიღი – 1926 წელი.

სტატუსი – იურიდიული პროფილის ერთადერთი რეცენზირებადი გამოცემა საქართველოში.

პერიოდულობა – წელიწადში გამოდის 12 ნომერი

ჭირაჟი – 1000 ეგზემპლარი

დამფუძნებელი – საქართველოს იურისტთა კავშირი (1999)

იურიდიული მისამართი – 380046, საქართველო, ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი 30.

ჟურნალის მიზნებია:

- ხელი შეუწყოს საქართველოში მიმდინარე სამართლო რეფორმის განხორციელებას და ის წარმოჩენას;
- დაეხმაროს პრაქტიკოს-იურისტებს (მოსამრიღეებს, პროკურორებს, ადვოკატებს, ნოტარიუსებს და სხვა) ახალი კანონმდებლობით უკეთ შემეცნებაში;
- ქართველი და უცხოელი სპეციალისტების მეშვეობით გააცნოს საქართველოს იურიდიულ საზოგადოებას საზღვარგარეთის ქვეყნებში მიმდინარე სამართლებრივი პროცესები;
- ხელი შეუწყოს მოსახლეობის სამართლებრივი კულტურისა და ცნობიერების დონის ამაღლებას;
- იურიდიული მეცნიერების, იურიდიული განათლების რეფორმირებისა და სტრუქტურული სასწავლო პროცესისათვის ხელშეწყობა.

განხორციელების ფორმები:

- ქართულ და უცხოელ იურისტ მეცნიერთა და პრაქტიკოს-იურისტთა შემოქმედებითი პროდუქციის და მათი საქმიანობის ამსახველი მასალების გაოქვენება;
- ზრმატიული მასალის გამოქვეყნება და ახალი კანონმდებლობის პროპაგანდა;
- დაიანის უფლებათა ევროპის სასამართლოსა და საქართველოს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების გამოქვეყნება;
- სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა;
- ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის ავტორის წინებული იურიდიული კონსულტაციების გამოქვეყნება;
- სასწავლო და აკადემიური მასალის გამოქვეყნება.

Date of issuance – year 1926

Status – the only reviewed legal-profile edition in Georgia

Periodicity – 12 editions annually

Circulation – 1000 units

Founder – Georgian Lawyers Union (1999)

Legal address – 380046, Rustaveli 30, Tbilisi, Georgia

Objectives of the journal are:

- To promote effectuation of the judicial reform which is under way in Georgia;
- To assist practician lawyers (judges, prosecutors, advocates, notaries and others) in better cognition of new legislation;
- To get Georgian legal society acquainted with the judicial process in foreign countries by means of Georgian and foreign specialists.
- To promote raising legal culture and legal consciousness of the population;
- To promote reforms of legal science and legal education and to foster students' study process.

Forms of effectuation

- Publication of materials resembling activity and creative production of Georgian and foreign scientist and practician lawyers;
- Publication of normative materials and propaganda of new legislation;
- Publication of decisions rendered by the European Court of Human Rights and by Georgian courts;
- Judicial practice review;
- Publication of legal consultations foreseen for juridical and natural persons;
- Publication of studying and academic materials.

* Term “SAMARTALI” in English means “Law”

ს ა ძ ი მ ბ ე ლ ი

საკონსტიტუციო სამართალი

ზაურ პაჭკორია – საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების ნორმატიული აქტების ზოგიერთი ნორმის საფუძვლიანობის შესახებ5

სამოქალაქო სამართალი, პროცესი

მარიამ ცაცანაშვილი, გიორგი ჭილაძე – საპატენტო უფლებების სასარჩელო წესით უზრუნველყოფის სამართლებრივი ასპექტები14

არჩილ თაბაგარი – თამასუქისა და ჩეკის თაობაზე აღძრული სარჩელების განხილვის თავისებურებანი18

რევაზ ფუტყარაძე – პრეზუმციის პრობლემა თანამედროვე სამოქალაქო სამართალში25

ეკა შენგელია – სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალის გაზრდისა და შემცირების სამართლებრივი საფუძვლები29

სისხლის სამართალი, კრიმინოლოგია

ელზა გურგენიძე – პასუხისმგებლობა კრედიტის უკანონოდ მიღებისათვის35

ჯემალ ჯანაშია – ნარკოტიკების ლეგალიზება – გამოსავალი თუ ჩიხი?! (პრობლემასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხების განხილვა)44

ეკატერინე ქარდავა – ევთანაზიის პრობლემა სისხლის სამართალში59

ზაზა ბეროზაშვილი – ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში კონვენციური ურთიერთობების მექანიზმი65

ალექსანდრე გიორგიძე – დანაშაულებრივი ქცევის სოციალური და ბიოლოგიური დეტერმინანტები69

კობა კობახიძე – სისხლისსამართლებრივი დევნის ნორმების გარკვევისათვის (კერძო სისხლისსამართლებრივი დევნა)72

Search guide

Constitutional Law

Zaur Pachkoria – About the normative acts basic norms of discipline legislation of court judges..... 5

Civil Law, Procedure

Mariam Tsatsnashvili, George Chiladze – Legal aspects of providing patent rights through making an appeal 14

Archil Tabagari – Peculiarities of discussing appeals made with regards to the bill of exchange and checks 18

Revaz Putkaradze – problem of presumption in the modern civil law 25

Eka Shengelia – Law basis of the increase and decrease authorized capital stock of joint-stock company 29

Criminal Law, Criminology

Elza Gurggenidze – Responsibility for illegal acception of credit 35

Jemal Janashia – Legalization of narcotics – the way out or corner?! (discussion of the legal questions with regards to problem) 44

Ekaterine Kardava – The problem of Evtanazy in the criminal law 59

Zaza Berozashvili – The mechanism of conventional relations in the sphere of the struggle against illegal converting of narcotics ... 65

Alexander Giorgadze – Social and biological determinates of guiltiness behavior 69

Koba Kobakhidze – For defining the norms of criminal law persecution 72

სისხლის სამართლის პროცესი,

კრიმინალისტიკა

ვახტანგ გაბედავა – შემთხვევის ადგილის დათვალიერება გვამის აღმოჩენის შემთხვევაში და გვამის პოზის ფიქსაცია 77

პაატა კობალაძე – სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის ისტორია 83

გიორგი შინდელიშვილი – ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის დაკითხვის ტაქტიკური ხერხები 89

სახელმწიფოსა და სამართლის

ისტორია, თეორია

გიორგი ნადარეიშვილი – წესი და რიგი – წინარესამართლის გამომხატველი ტერმინები 93

მანანა კოპალიანი – ივანე ჯავახიშვილის შეხედულება საქართველოს მეფის, მისი პიროვნების და უფლებამოსილების შესახებ 98

ბადრი (კახა) კვარაცხელია – ნიკო დადიანის „დასტურლამა“ 105

გენადი ქაჩიბაია – სამართლებრივი საშუალებების ცნება 107

ნატო ცომაია – სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის სამართლებრივი ფორმების მოკლე დახასიათება 113

ზურაბ გელაშვილი – პედაგოგიური კონტროლი, როგორც სწავლების პროცესის გაუმჯობესების ერთ-ერთი მეთოდი 118

ინფორმაცია

გელა ბერძენიშვილი – საერთაშორისო სემინარი – პოლიციის ორგანიზება და ეთიკა 121

რეზიუმე 123

Criminal Procedure,

Criminalistics

Vakhtang Gabedava – Inspection of the place of accident in the case of finding the dead body and fixation of the body pose 77

Paata Kobaladze – The history of state accusation defense 83

George Shindelishvili – Tactical ways of examination of the party in fault and suspected person committed a narcotic crime 89

History of State and Law,

Theory

George Nadareishvili – Rule and order – terminology expressing pre-law 93

Manana Kopalini – The view of Ivane Javakhishvili about the queen of Georgia, her personality and legislative power 98

Badri (Kakha) Kvaratskhelia – “Dasturlama” (confirmation) of Niko Dadiani 105

Genadi Kachibaia – The essence of the legislation measures 107

Nato Tsomaia - Short description of the legislative forms of the relations between the State and the Church 113

Zurab Gelashvili – Pedagogical control, as one of the methods of the improvement of the teaching process 118

Information

Gela Berdzenishvili – International Seminar how to organize the police and ethics 121

RESUME 123



ს ა კ თ ნ ს ტ ი ტ უ ც ი თ ს ა მ ა რ თ ა ლ ი

ზ ა უ რ კ ა ჭ კ ო რ ი ა

საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების ნორმატიული აქტების ზოგიერთი ნორმის საფუძვლიანობის შესახებ

საქართველო, თავისი განვითარების თანამედროვე ეტაპზე, მთლიანად მოქცეულია რეფორმების სივრცეში. რეფორმების შედეგებს საზოგადოება იმკის მიღებული კანონების ცხოვრებაში გატარებისას. მანამდე კი, ამა თუ იმ კანონის შესაძლებელ ეფექტიანობაზე შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ. მოკლედ რომ ვთქვათ, კონკრეტული კანონის ამოქმედების, ამუშავების პროცესში და მას შემდეგ, შეიძლება დავასკვნათ რამდენად სჭირდება საზოგადოებას, სახელმწიფოს და რამდენად ეფექტიანია კონკრეტული კანონი დასახული მიზნების განსახორციელებლად და მის მისაღწევად ამა თუ იმ სფეროში.

1997 წლის 13 ივნისის „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი ამ თვალსაზრისით არ არის გამონაკლისი. მან თავისი როლი შეასრულა და ასრულებს დღესაც სასამართლო ხელისუფლების ერთ-ერთი ნაწილის – საერთო სასამართლოების სისტემის ჩამოყალიბებაში, აგრეთვე სასამართლო რეფორმის განხორციელებაში.

ამ კანონით ჩამოყალიბდა სრულიად ახალი ინსტიტუტი – საქართველოს იუსტიციის საბჭო და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის საბჭოები (მუხლი 60-61), რომლებიც, სხვა ფუნქციებთან ერთად, კანონით გათვალისწინებული წესით, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ (გარდა უზენაესი სასამართლოსი) განახორ-

ციელებენ დისციპლინურ სამართალწარმოებას (მუხლი 63-64).

მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ კანონმდებლობის მიზანია მოსამართლეთა დისციპლინური გადაცდომების აღმოფხვრა და ამით, მართლმსაჯულების განმტკიცება და სასამართლო კორპუსის ავტორიტეტის ამაღლება.

ამ მიზნების მისაღწევად სერიოზული მნიშვნელობა აქვს შესაბამისი ნორმატიული აქტების საფუძვლიანობას.

გთავაზობთ ჩემს ზოგიერთ მოსაზრებას, თუ რამდენად საფუძვლიანია არსებული კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს საქართველოს საერთო სასამართლოების თანამდებობის პირთა მიმართ დისციპლინურ პასუხისმგებლობას და დისციპლინურ სამართალწარმოებას, რომელსაც იუსტიციის საბჭოების გარდა, თავისი კომპეტენციის ფარგლებში განხორციელებენ საქართველოს უზენაესი, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების, თბილისისა და ქუთაისის საოლქო სასამართლოების თავმჯდომარეები (ან მათი მოვალეობის შემსრულებლები).

იუსტიციის საბჭოები საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინურ სამართალწარმოებას ახორციელებდნენ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 57-ე მუხლის მე-2 პუნქტით, და საქართველოს პრეზიდენტის, ჯერ 1998 წლის

23 სექტემბრის №534, ხოლო შემდგომ 2000 წლის 9 მაისის №182 ბრძანებულებებით დამტკიცებული დროებითი დებულებებით, საქართველოს იუსტიციის საბჭოს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის საბჭოების დროებითი რეგლამენტებით დადგენილი ნორმებით.

საქართველოს იუსტიციის საბჭოს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის საბჭოების მიერ საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების ფუნქციების განხორციელება ამჟამად რეგლამენტირებულია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-60 მუხლის მე-10 პუნქტით, 63-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით, 64-ე მუხლის „გ“ პუნქტით და „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს 2000 წლის 23 თებერვლის კანონით. ამ კანონის მე-15 მუხლის თანახმად, „საქართველოს იუსტიციის საბჭო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის საბჭოები დისციპლინური დევნის აღძვრის, სადისციპლინო კომისიის შექმნის, მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებებაში მიცემის ან დისციპლინური დევნის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებენ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონითა და შესაბამისი იუსტიციის საბჭოს რეგლამენტით დადგენილი წესით, იმ პირობით, რომ საკითხის განხილვაში საქართველოს პრეზიდენტი, როგორც წესი, არ მონაწილეობს და სხდომებს თავმჯდომარეობს შესაბამისად საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე (ან მისი მოვალეობის შემსრულებელი). დისციპლინური საკითხების განხილვის მიზნით იუსტიციის საბჭოს სხდომას იწვევს უზენაესი ან შესაბამისი უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე (ან მისი მოვალეობის შემსრულებელი).“

ხსენებული კანონის მიღებიდან ორი კვირის შემდეგ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-60 მუხ-

ლს დაემატა მე-10 პუნქტი, რომლის შესაბამისად „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების საკითხებზე იუსტიციის საბჭოს სხდომებს იწვევს და თავმჯდომარეობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ან მისი მოვალეობის შემსრულებელი.“

მე-60 მუხლის მე-10 პუნქტი მიღებულია „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის უხეში დარღვევით.

კერძოდ, ამ კანონის მე-4 მუხლის თანახმად საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ნორმატიული აქტია. ის იერარქიით უფრო მაღლა დგას, ვიდრე საქართველოს კანონი (მუხლი 19) და აქვს უპირატესი იურიდიული ძალა კანონის მიმართ (მუხლი 22).

საქართველოს კანონით არ შეიძლება გადაწყდეს საკითხები, რომელთა მოწესრიგებაც საქართველოს ორგანული კანონითაა გათვალისწინებული (მე-9 მუხლის მე-5 პუნქტი).

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-60 მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტებით, აგრეთვე ამ კანონის შესაბამისად საქართველოს იუსტიციის საბჭოს დროებითი რეგლამენტით გათვალისწინებული და დადგენილია, რომ საქართველოს იუსტიციის საბჭოს წევრი უფლებამოსილია საბჭოს სხდომაზე (საბჭოს ფუნქციებიდან გამომდინარე) თავისი ინიციატივით განსახილველად დააყენოს ნებისმიერი საკითხი, მათ შორის საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის საკითხებიც, ხოლო პრეზიდენტის დავალებით თავმჯდომარეობს საბჭოს სხდომას.

ასეთივე უფლებამოსილება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად გააჩნიათ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის საბჭოების წევრებს. მათი უფლებამოსილება მოწესრიგებულია ამავე საბჭოების დროებითი რეგლამენტით.

საქართველოს იუსტიციის საბჭოსა და ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის საბჭოების მიერ საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების ფუნქციების განხორციელება რეგლა-

მენტირებული იყო 1997 წლის 13 ივნისის „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 57-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 63-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით და 64-ე მუხლის „გ“ პუნქტით.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონიდან 57-ე მუხლი ამოღებულია 2000 წლის 10 მარტის საქართველოს ორგანული კანონით, მაგრამ ეს არ ნიშნავს ამავე ორგანული კანონით მე-60 მუხლს დამატებული მე-10 პუნქტის ნორმების კანონიერებას, რადგანაც დარღვეულია თვით ამ ნორმატიული აქტების მიღების პროცედურა. ჯერ, 2000 წლის 23 თებერვალს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“, ორი კვირის შემდეგ კი, 2000 წლის 10 მარტის „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით მე-60 მუხლს დაემატა მე-10 პუნქტი.

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-60 მუხლის მე-10 პუნქტის ანალიზს მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ ისინი პირდაპირ წინააღმდეგობაში არიან ხსენებული ორგანული კანონის მე-60 მუხლის მე-2, მე-3, მე-8 და მე-9 პუნქტებთან, 61-ე, 63-ე და 64-ე მუხლებთან.

კერძოდ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-60 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების თანახმად იუსტიციის საბჭო შედგება 12 წევრისაგან. მის შემადგენლობაში თანამდებობის მიხედვით შედიან „საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეები. იუსტიციის საბჭოს ოთხ წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი; ოთხ წევრს, რომელთაგან პარლამენტის წევრთა რაოდენობა სამს არ უნდა აღემატებოდეს, ირჩევს საქართველოს პარლამენტი, ერთ წევრს ნიშნავს საქართველოს უზენაესი სასამართლო“, ხოლო

ამავე ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის საბჭოები იქმნება ცხრა-ცხრა წევრის შემადგენლობით.

ორგანული კანონის მე-60 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად „იუსტიციის საბჭოს სხდომა მოიწვევა საჭიროებისამებრ, ... საქართველოს პრეზიდენტის ან მისი დავალებით – იუსტიციის საბჭოს რომელიმე წევრის მიერ. საქართველოს პრეზიდენტის მიერ თავისი მოვალეობის განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, თუ არსებობს საქართველოს იუსტიციის საბჭოს სხდომის მოწვევის კანონით დადგენილი აუცილებლობა, იუსტიციის საბჭოს სხდომებს იწვევენ ამ მუხლის მე-9 პუნქტში აღნიშნული პირები.“

ესენი არიან „...საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს პარლამენტის მიერ საგანგებოდ უფლებამოსილი იუსტიციის საბჭოს წევრები, ხოლო მათი არ ყოფნის შემთხვევაში – იუსტიციის საბჭოს სხვა წევრი,“ რომლებიც პრეზიდენტის დავალებით თავმჯდომარეობენ იუსტიციის საბჭოს სხდომებს.

როგორც ვხედავთ ამ ჩამონათვალში არ არის საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი. არაფერია ნათქვამი მის მიმართ საქართველოს იუსტიციის საბჭოს რეგლამენტშიც.

ასეთივე მდგომარეობაა ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეების მოვალეობის შემსრულებლების მიმართაც. ისინი, ისევე როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი, არ არიან იუსტიციის საბჭოს წევრები: მათზე იუსტიციის საბჭოს წევრობის უფლებამოსილების დაკისრება არც ერთი კანონით არ არის რეგლამენტირებული.

აქედან გამომდინარე „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-60 მუხლის მე-10 პუნქტის დებულებები საერთო სასამართლოების მოსამართლეთა

დისციპლინური დევნის საკითხებთან დაკავშირებით იუსტიციის საბჭოების სხდომების მოწვევა ზემოთხსენებული სასამართლოების თავმჯდომარეების მოვალეობის შემსრულებლების მიერ და მათი თავმჯდომარეობით გადაწყვეტილების მიღება, უსაფუძვლოა. რადგანაც საქართველოს უზენაესი და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლებს არ გააჩნიათ საბჭოს წევრის სტატუსი, მათ არა აქვთ უფლება იუსტიციის საბჭოს მიერ საკითხების გადაწყვეტისას მიიღონ კენჭისყრაში მონაწილეობა, ვინაიდან ორგანული კანონის 65-ე მუხლის და შესაბამისი იუსტიციის საბჭოების დროებითი რეგლამენტით საკითხის გადაწყვეტისას კენჭისყრაში მონაწილეობას ღებულობენ მხოლოდ საბჭოს წევრები.

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის ნორმები უსაფუძვლოა იმ თვალსაზრისითაც, რომ არ არის გამორიცხული პრაქტიკაში წამოიჭრას საკითხი ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეების (მათი მოვალეობის შემსრულებლების) მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის შესახებ. მათ მიმართ, ამ კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, დისციპლინურ დევნას აღძრავენ ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის საბჭოებიც.

ასეთ შემთხვევაში ისმება საკითხი: ვინ უნდა მოიწვიოს იუსტიციის საბჭოს სხდომები და ვინ უნდა თავმჯდომარეობდეს ამ სხდომებს? საბჭოს სხვა წევრებს ამავე კანონით ფაქტობრივად აკრძალული აქვს დისციპლინური დევნის საკითხებთან დაკავშირებით საბჭოს სხდომის მოწვევა და ამ სხდომის თავმჯდომარეობა.

ნათლად ჩანს ხსენებული კანონის მე-15 მუხლის ნორმების ალოგიკურობა, რადგანაც ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე (თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი), ხომ არ მოიწვევს საბჭოს სხდომას და ხომ არ უთავმჯდომარეებს ამ სხდომას მის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრასთან დაკავშირებულ საკითხების განხილვისას?

ზემოთ ხსენებული კანონის მე-15 მუხლითა და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-60 მუხლის მე-10 პუნქტით იზღუდება ამავე კანონის მე-60 მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტებით და იუსტიციის საბჭოს წევრების საბჭოს დროებითი რეგლამენტებით გათვალისწინებული უფლებამოსილებანი, მათ შორის საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს პარლამენტის მიერ საგანგებოდ უფლებამოსილი საბჭოს წევრებისაც.

რადგანაც „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველ და მეორე პუნქტებსა და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-60 მუხლის მე-2, მე-3, მე-8 და მე-9 პუნქტებს, 61-ე, 63-ე და 64-ე მუხლებს შორის წარმოიქმნა წინააღმდეგობა, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, უპირატესობა ეძლევა იერარქიის უფრო მაღალ საფეხურზე მდგომ ნორმატიულ აქტს, ამ შემთხვევაში „საერთო სასამართლოების შესახებ“ 1997 წლის 13 ივნისის საქართველოს ორგანულ კანონს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-60 მუხლის მე-10 პუნქტი აგრეთვე ეწინააღმდეგება „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ, საქართველოს ორგანულ კანონსაც, რომელშიც არაფერია ნათქვამი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების საკითხებზე საბჭოს სხდომის მოწვევისა და მასზე თავმჯდომარეობის ფუნქციების დაკისრების შესახებ.

რაც შეეხება „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-13 მუხლის „ლ“ პუნქტის იმპერატიულ ნორმას, რომლის თანახმადაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე დისციპლინურ საკითხებზე უძღვება საქართველოს იუსტიციის საბჭოს სხდომებს, შინაარსობრივად გაგრძელებაა ამავე მუხლის „კ“ პუნქტის მოთხოვნებისა, რომლის შესაბამისად

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე „საქართველოს პრეზიდენტის დავალებით იწვევს საქართველოს იუსტიციის საბჭოს სხდომას და უძღვება მას“.

ამ კანონის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მე-13 მუხლის „ლ“ პუნქტი არ ეწინააღმდეგება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-60 მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტებს.

აქედან გამომდინარე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-60 მუხლიდან ამოღებულ უნდა იქნას მე-10 პუნქტი.

ზემოთ ხსენებული კანონების შესაბამისად საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის უფლება გააჩნიათ საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს (ან მისი მოვალეობის შემსრულებელს), აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეებს (ან მათი მოვალეობის შემსრულებლებს), თბილისისა და ქუთაისის საოლქო სასამართლოების თავმჯდომარეებს (ან მათი მოვალეობის შემსრულებლებს), საქართველოს იუსტიციის საბჭოს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის საბჭოებს, სულ რვა ორგანოს. აქედან, ხუთი სასამართლო ხელისუფლების ორგანოების ხელმძღვანელია, იმ ორგანოებისა, რომელთა მთავარი კონსტიტუციური ფუნქციაა მართლმსაჯულების განხორციელება.

ამ სასამართლოების თავმჯდომარეები (მათი მოვალეობის შემსრულებლები), როგორც მოსამართლეები, პირადად ახორციელებენ მართლმსაჯულებას. ამას გარდა, ისინი ახორციელებენ ადმინისტრაციულ ფუნქციებსაც (მათი ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა მართლმსაჯულების განხორციელების სწორი ორგანიზაცია) და ფაქტობრივად გადატვირთულები არიან.

უპრიანი იქნებოდა თუ ზემდგომი სასამართლოები და ამ სასამართლოების თავმჯდომარეები (გარდა უზენაესი სასამართლოსი) გათავისუფლებულნი იქნებიან დისციპლინური დევნის აღძვრისა და მოკვლევის ფუნქციებისაგან. დემოკრატიულობისა და გამჭვირვალების პრინციპებიდან გამომდინარე, ეს ფუნქციები უნდა განახორციელონ ნეიტრალურმა ორგანოებმა, ხე-

ლისუფლების სამივე შტოს წარმომადგენლები-საგან შექმნილმა საქართველოსა და ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის საბჭოებმა. ამით გამოირიცხება ზემდგომი სასამართლოების ხელმძღვანელთა დაინტერესება საქმეში და მათი მხრიდან მოსალოდნელი ზეწოლა სადისციპლინო კომისიის მიმართ, რომლის შემადგენლობაში, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად დისციპლინური დევნის აღმძვრელ სასამართლოს თავმჯდომარეს . . . შეჰყავს ამავე სასამართლოს ორი მოსამართლე და აპარატის ერთი მოხელე ...“, ე. ი. თანამდებობის ის პირები, რომლებიც ადმინისტრაციულად იმყოფებიან მის დაქვემდებარებაში. ასეთ შემთხვევაში ამ კომისიის დასკვნა, როგორც უნდა იყოს ის, გამამართლებელი თუ გამამტყუნებელი, ეჭვს იწვევს მის ობიექტურობაში. მით უმეტეს, ამ დასკვნას სასამართლოს თავმჯდომარე იხილავს ერთპიროვნულად და ერთპიროვნულად ღებულობს გადაწყვეტილებას მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ. ამგვარი ეჭვი ფაქტობრივად გამორიცხულია იუსტიციის საბჭოს მიერ შექმნილ სადისციპლინო კომისიის მიმართ, რადგანაც ხსენებული კანონის თანახმად, „იუსტიციის საბჭოს სადისციპლინო კომისიის შემადგენლობაში შეჰყავს იუსტიციის საბჭოს ერთი წევრი, . . . ერთი მოსამართლე და ამ იუსტიციის საბჭოს აპარატის ერთი მოხელე“. მათი დასკვნა, კანონით დადგენილი წესით, იხილება საბჭოს სხდომაზე და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ხდება მხოლოდ კოლეგიალურად, ე.ი. საკითხის განხილვაში და გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობს ხელისუფლების ყველა შტოს წარმომადგენელი, მათ შორის სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებიც.

ეს ის არგუმენტებია, რომლებსაც მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ ზემდგომი სასამართლოების თავმჯდომარეები გათავისუფლებულნი უნდა იქნან დისციპლინურ დევნასთან დაკავშირებით მოკვლევის ფუნქციებისაგან.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ისიც, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს

ორგანული კანონით და „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში სერიოზული ხარვეზია დაშვებული.

კერძოდ, სასამართლოების თავმჯდომარეებს, მათ მოადგილეებს და სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17, მე-18, 22-ე, 23-ე, 33-ე, 34-ე მუხლებით და საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 27 ოქტომბრის №466-ე ბრძანებულებით დამტკიცებული „რაიონული (საქალაქო), საოლქო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებში ორგანიზაციული მუშაობისა და საქმის წარმოების წესის შესახებ“, დებულების შესაბამისად დაკისრებული აქვთ მრავალი ადმინისტრაციული ფუნქცია. ისინი, როგორც ადმინისტრაციული უფლების მქონე თანამდებობის პირები, ამ ფუნქციების დარღვევის შემთხვევაში, ფაქტობრივად არ აგებენ პასუხს, რადგანაც კანონით არ არის განსაზღვრული ითვლება თუ არა მათ მიერ ამ ფუნქციების შეუსრულებლობა დისციპლინურ გადაცდომად? ვინ და რა საფუძვლებით უნდა აღძრას ამ საკითხებთან დაკავშირებით დისციპლინური დევნა? ასეთი ფაქტების არსებობისას ვინ უნდა აწარმოოს დისციპლინური გადაცდომის მოკვლევა და ა.შ., ე.ი. კანონში არ არის არც ერთი ნორმა, რომელიც არეგულირებს ნებისმიერი დონის სასამართლოს თავმჯდომარის, მათი მოადგილეების, სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებს, როგორც ადმინისტრაციული უფლების მქონე თანამდებობის პირების მიერ, კანონით მათზე დაკისრებული ფუნქციების დარღვევის შემთხვევაში.

აქედან გამომდინარე, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლის დებულება, რომლის თანახმადაც სადისციპლინო კოლეგია უფლებამოსილია სასამართლოთა ხელმძღვანელების მიმართ, ადმინისტრაციული უფლებამოსილების მოვალეობების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში გამოიყენოს დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება

– თანამდებობიდან გათავისუფლება, უსაფუძვლოა და ეწინააღმდეგება ამავე კანონის 1-ელ, მე-2, მე-4, მე-6, მე-7, მე-12, მე-14, მე-16 მუხლებს.

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 58-ე მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილია ყველა ის ორგანო, ვისაც აუცილებლად ეგზავნება სადისციპლინო კოლეგიის მიერ დისციპლინური საქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ასლები, მაგრამ ამ ჩამონათვალში არ არის აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის საბჭოები, მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, სადისციპლინო გადაწყვეტილების ასლი უნდა დაერთოს მოსამართლის პირად საქმეს.

იმის გათვალისწინებით, რომ ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის საბჭოები აწარმოებენ როგორც ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების, ასევე ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე მოქმედ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეთა საკადრო აღრიცხვას, ქმნიან მათ პირად საქმეებს, ხსენებული კანონის 58-ე მუხლის იმ ორგანოებისა და პირების ჩამონათვალს, რომელთაც ეგზავნებათ სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილება, უნდა დაემატოს ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის საბჭოებიც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩემი აზრით, ნორმატიულ აქტებში, რომლებიც არეგულირებენ საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინურ პასუხისმგებლობას და დისციპლინურ სამართალწარმოებას, შესატანია რიგი დამატებები და ცვლილებები, კერძოდ:

1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონს დაემატოს 57-ე მუხლი შემდეგი რედაქციით:

ა) „მუხლი 57. საქართველოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეების და სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის დისციპლინური პასუხისმგებლობა.

საქართველოს საერთო სასამართლოების თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეების და სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის დისციპლინური პასუხისმგებლობა

ბის საფუძვლები, დისციპლინური სახდელის სახეები, დისციპლინური სამართალწარმოებისა და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების წესი განისაზღვრება „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით.

ბ) ამავე კანონის მე-60 მუხლიდან ამოღებულ იქნას მე-10 პუნქტი;

2. „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი იქნას შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

ა) „მუხლი 1. კანონის მიზანი

პირველ მუხლში სიტყვების „საქართველოს საერთო სასამართლოების“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეების, სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის და“, სიტყვის „სამართალწარმოებისა და“ შემდეგ დაემატოს სიტყვა „მოსამართლეთათვის“ შეიცვალოს სიტყვებით „ამ თანამდებობის პირთათვის“;

ბ) მე-2 მუხლის დასახელებაში და მე-2 მუხლის პირველ პუნქტში სიტყვების „საერთო სასამართლოს“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეებს, სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს და“;

გ) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი რედაქციის „ი“ ქვეპუნქტი

„ი) საქართველოს საერთო სასამართლოების თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეების და თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის მიერ საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობა.“

დ) მე-3 მუხლის დასაწყისში, კანონის მე-2 თავის დასახელებას წინ, მე-7 მუხლის პირველ წინადადებას წინ, მე-7 მუხლის „ბ“ პუნქტს სიტყვების „მოხსენებითი ბარათი“ შემდეგ, მე-7 მუხლის „ვ“ პუნქტს სიტყვების „გავრცელებული ინფორმაცია“ შემდეგ, მე-9 მუხლის პირველ პუნქტს წინ, მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტს სიტყვების „არ მიუთითებს“

შემდეგ, მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტს სიტყვების „აღძვრის“ შემდეგ, მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში სიტყვის „მიუთითებს“ შემდეგ, მე-10 მუხლის პირველ პუნქტში სიტყვების „მოსამართლის მიმართ“ წინ, მე-11 მუხლის პირველ პუნქტში სიტყვის „მოსამართლის“ წინ, მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის პირველ წინადადებაში სიტყვების „და იმ“ შემდეგ, მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის პირველ წინადადებაში სიტყვებით „აშკარად მიუთითებს“ შემდეგ, მე-14 მუხლის მე-2 პუნქტში სიტყვის „რეკომენდაციას“ შემდეგ, მე-14 მუხლის მე-3 პუნქტში სიტყვის „რეკომენდაცია“ შემდეგ, მე-16 მუხლის დასახელებაში მეორე წინადადებას სიტყვის „მოსამართლის“ წინ, მე-16 მუხლის მეორე წინადადებაში სიტყვის „გადაწყვეტილება“ შემდეგ, მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის პირველ წინადადებას დასაწყისში, მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის მეორე წინადადებაში სიტყვის „შეიცვალოს“ შემდეგ, მე-16 მუხლის მე-3 პუნქტში ფრჩხილებში აყვანილი სიტყვის („გადაწყვეტილებაში“) შემდეგ, მე-16 მუხლის მე-6 პუნქტში სიტყვას „მოსამართლის“ წინ, მე-17 და მე-18 მუხლის პირველ წინადადებაში, მე-18 მუხლის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებში, მე-19 მუხლის პირველ პუნქტში სიტყვას „მოსამართლის“ წინ, მე-19 მუხლის მე-3 პუნქტში სიტყვის „იუსტიციის“ შემდეგ, 21-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებში სიტყვების „საერთო სასამართლოების ყველა“. ამავე მუხლის მე-4 პუნქტში სიტყვების „ყველა დანარჩენი“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „სასამართლოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეების, თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის და, ხოლო მე-19 მუხლის დასახელებას წინ დაემატოს სიტყვები „სასამართლოს თავმჯდომარისადმი, თავმჯდომარის მოადგილეებისადმი, თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლისადმი და“;

ე) მე-4 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი რედაქციის „ე“ ქვეპუნქტი

„ე) საერთო სასამართლოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეების ან თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან გათავისუფლება“.

ვ) მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 6. დისციპლინური დევნის აღძვრის უფლება.

დისციპლინურ დევნას ამ კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ნებისმიერი საფუძვლით აღძრავენ:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე (ან მისი მოვალეობის შემსრულებელი) – საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეების, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი, თბილისისა და ქუთაისის საოლქო, რაიონული (საქალაქო) სასამართლოების თავმჯდომარეების, თავმჯდომარის მოადგილეების, სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის და ამ სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ;

2. საქართველოს იუსტიციის საბჭო – საქართველოს საერთო სასამართლოების თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეების, თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის და ყველა მოსამართლის მიმართ, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეებისა და ამ სასამართლოს მოსამართლეების გარდა;

3. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის საბჭოები – შესაბამისად აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების, აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე მოქმედი რაიონული (საქალაქო) სასამართლოების თავმჯდომარეების, თავმჯდომარის მოადგილეების, თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის და ამავე სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ;

ზ) მე-7 მუხლს დაემატოს შემდეგი რედაქციის „თ“ პუნქტი.

„საქართველოს საერთო სასამართლოების თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეებისა და თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის მიერ საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობა“.

თ) 1. მე-8 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადიდან ამოღებულ იქნას სიტყვები „აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, თბილისის ან ქუთაისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე“, სიტყვების „სხვა წევრი“-ს შემ-

დეგ დაემატოს სიტყვები „სასამართლოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეების, სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის ან“, სიტყვა „შესაბამისი“ შეიცვალოს სიტყვით „უზენაესი“, სიტყვის „დადგენილებას (გადაწყვეტილებას)“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „სასამართლოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეების, თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის ან“.

ი) მე-10 მუხლში სიტყვას „სასამართლოს“ წინ ყველგან დაემატოს სიტყვა „უზენაესი“.

კ) 1. მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის მეორე წინადადებაში სიტყვა „მოსამართლისათვის“ შეიცვალოს სიტყვით „ამ პირთათვის“.

2. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის ბოლო წინადადებაში სიტყვა „მოსამართლის“ შეიცვალოს სიტყვით „პირთა“.

3. მე-12 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დისციპლინური საქმის გამოკვლევისას სადისციპლინო კომისიის წინადადებით შეიძლება გამოთხოვილ იქნას შესაბამისი სასამართლოს საქმე, განხილვის პროცესში მყოფი საქმეების გარდა:

ა) საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის (ან მისი მოვალეობის შემსრულებლის) მიერ;

ბ) საქართველოს იუსტიციის საბჭოს მდივნის მიერ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან (ან მის მოვალეობის შემსრულებელთან) შეთანხმებით;

გ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის საბჭოს მდივნის მიერ შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარესთან (ან მის მოვალეობის შემსრულებელთან) შეთანხმებით;

დ) მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები „იმ მოსამართლის“ შეიცვალოს სიტყვებით „იმ პირთა“;

ე) მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მე-2 წინადადებაში, მე-14 და მე-16 მუხლების პირველი პუნქტების პირველ წინადადებებში სიტყვა „შესაბამისი“ შეიცვალოს სიტყვით „უზენაესი“.

ვ) მე-14 მუხლის მე-3 პუნქტში სიტყვების „საფუძვლად არ დასდებიან“ შემდეგ სიტყვა „მის“ შეიცვალოს სიტყვით „მათ“.

ო) 1. მე-15 მუხლის პირველ პუნქტში სიტყვების „...საქართველოს პრეზიდენტი, როგორც წესი არ მონაწილეობს” შემდეგ დაისვას წერტილი და ამოღებულ იქნას სიტყვები „და სხდომებს თავმჯდომარეობს შესაბამისად საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე (ან მისი მოვალეობის შემსრულებელი)”.

ამავე მუხლიდან ამოღებულ იქნას მე-2 პუნქტი, ხოლო მე-3 პუნქტი ჩაითვალოს მე-2 პუნქტად.

პ) მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის პირველ წინადადებაში სიტყვის „რეკომენდაციას” შემდეგ სიტყვა „მოსამართლის” შეიცვალოს სიტყვებით „ამ პირთა მიმართ”, სიტყვის „მიცემის” შემდეგ სიტყვები „ან მის” შეიცვალოს სიტყვებით „ან მათ”. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადებაში სიტყვების „საფუძველი და” შემდეგ სიტყვა „მოსამართლე” შეიცვალოს სიტყვით „ისინი”. ამავე მუხლის მე-3 პუნქტში სიტყვების „უნდა იყოს” შემდეგ სიტყვა „მოსამართლისათვის” შეიცვალოს სიტყვით „მათთვის”. ამავე მუხლის მე-

4 პუნქტის მეორე და მესამე წინადადებაში სიტყვა „მოსამართლე” შეიცვალოს სიტყვით „პირი”. ამავე მუხლის მე-5 პუნქტში სიტყვა „მოსამართლეს” შეიცვალოს სიტყვით „პირს”.

რ) მე-19 მუხლის პირველი პუნქტი სიტყვების შემდეგ „იქნება მიჩნეული” სიტყვა „მოსამართლის” შეიცვალოს სიტყვებით „მათ მიმართ”, სიტყვების „აღძრული დევნა და” შემდეგ სიტყვა „მოსამართლეს” შეიცვალოს სიტყვებით „ამ პირებს”;

ს) 58-ე მუხლის პირველ პუნქტში სიტყვის „გზავნება” შემდეგ სიტყვა „მოსამართლეს” შეიცვალოს სიტყვით „იმ პირებს”;

სიტყვების „საქართველოს იუსტიციის საბჭოს” შემდეგ დაისვას მძიმე და დაემატოს სიტყვები „აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის საბჭოებს, შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკების საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ”.

ჩემი აზრით, შემოთავაზებული ცვლილებებისა და დამატებების შეტანა განაპირობებს ზემოთ ხსენებული ნორმატიული აქტების საფუძვლიანობას.

გაურ კაჭკორია,
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
იუსტიციის საბჭოს მდივანი.



სამთქალაქო სამართალი, პრეტენსი

მარიამ ცაცანაშვილი,
გიორგი ჭილაძე

საკატენტო უფლებების სასარჩელო წესით უზრუნველყოფის სამართლებრივი ასპექტები

საქართველოს საპატენტო კანონის მე-11 თავი, ეხება რა საპატენტო დავებისა და პასუხისმგებლობის საკითხებს, 69-ე მუხლის 1-ლი პუნქტით პატენტმფლობელს, პატენტიდან გამომდინარე უფლებების დარღვევის თაობაზე, ანიჭებს სასამართლოში სარჩელის წარდგენის უფლებას¹. აღნიშნული ნორმა არ ითვალისწინებს, სასარჩელო წესით, საპატენტო დავების გადაწყვეტის სხვა ალტერნატივას.

ცნობილია, რომ საპატენტო დავების მოწესრიგების ერთ-ერთი სასარჩელო გზაა მათი არბიტრაჟის წესით განხილვისა და გადაწყვეტის შესაძლებლობა. იგი აღიარებულია მსოფლიოს ბევრი ქვეყნის პრაქტიკაში. კერძოდ, აშშ საპატენტო კანონის 294-ე პარაგრაფის შესაბამისად, ხელშეკრულება, რომელიც ეხება პატენტის ან პატენტიდან გამომდინარე სხვა უფლებებს, შეიძლება შეიცავდეს დებულებას, პატენტის ნამდვილობასთან ან დარღვევასთან დაკავშირებული დავის არბიტრაჟის წესით გადაწყვეტის შესახებ. ასეთი დებულების არარსებობისას, მხარეებს შეუძლიათ წერილობით გამოხატონ თანხმობა დავის არბიტრაჟის წესით მოწესრიგების თაობაზე.

არბიტრაჟის გადაწყვეტილება შეიძლება შეიცვალოს სასამართლოს მიერ. ცვლილების მიღების თარიღიდან, ნებისმიერმა ასეთმა გადაწყვე-

ტილებამ უნდა დაარეგულიროს მხარეთა უფლებები და მოვალეობები.

საკატენტო უფლებების დარღვევის ფაქტის დადგენისას, სასამართლო განსაზღვრავს პატენტმფლობელის ზარალს, როგორც “უფლებათა დარღვევის ადეკვატურ კომპენსაციას”. მინიმალური ოდენობა, რაც შეიძლება დაინიშნოს, ესაა “სამართლიანი როიალტი”, დამრღვევის მიერ დაპატენტებული გამოგონების გამოყენებისათვის².

აშშ ფედერალურმა სააპელაციო სასამართლომ (CAFC), ბოლო წლების უმეტეს საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებში ცალსახად გამოკვეთა პოზიცია იმის შესახებ, რომ ქვეყნის საპატენტო კანონის შესაბამისად, საკმაოდ ფართოდ უნდა იქნეს ინტერპრეტირებული პატენტის დარღვევის გამო გამოწვეული ზარალის ანაზღაურების საკითხი³.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, დამოუკიდებელი სასამართლოს სახით, ფუნქციონირებს სპეციალური საპატენტო სასამართლოები. კერძოდ, რუსეთის ფედერაციაში “რუსეთის ფედერაციის საპატენტო სასამართლოს შესახებ” ფედერალური კონსტიტუციური კანონის 1-ლი მუხლის შესაბამისად, ასეთი სასამართლო იხილავს და წყვეტს გამოგონების,

² Патентный закон США. ВНИИПИ. М., 1987.

³ Chartova A. Important recent developments in the law of damages awarded for patent infringement//Mitt. – N4.-S.117-120.1997.

¹ საქართველოს საპატენტო კანონი. “საპატენტო”. თბ., 1999.

სასარგებლო მოდელისა და სამრეწველო ნიმუშის, სასაქონლო ნიშნისა და მომსახურების ნიშნების, საქონლის წარმოშობის ადგილის დასახელების უფლების მინიჭებასთან, შეზღუდვასთან და სამართლებრივი დაცვის შეწყვეტასთან დაკავშირებულ დავებს. საპატენტო სასამართლოს მოსამართლეებს (მოსამართლე-იურისტები და მოსამართლე-პატენტმცოდნენი) ნიშნავს ქვეყნის პრეზიდენტი, რომელთა უფლებამოსილება არ იფარგლება გარკვეული ვადით. სასამართლო კოლეგიების გადაწყვეტილებებზე შესაძლებელია კასაციური საჩივრებისა და პროტესტების შეტანა, ხოლო მათ განჩინებაზე, დასაშვებია კერძო საჩივარი და პროტესტი.⁴

დამოუკიდებელი საპატენტო სასამართლოს შექმნასა და ფუნქციონირებას ითვალისწინებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საპატენტო კანონის IV განყოფილება. კანონის 65-ე პარაგრაფით, დამოუკიდებელი ფედერალური სასამართლოს სახით შექმნილი ფედერალური საპატენტო სასამართლო იხილავს საპატენტო უწყების ექსპერტიზის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გამო შემოტანილ საჩივარზე, ანდა პატენტზე უარის თქმისა და იძულებითი ლიცენზიის გაცემასთან დაკავშირებით აღძრულ სარჩელებს. მისი ადგილმდებარეობა განისაზღვრება საპატენტო უწყების ადგილმდებარეობის მიხედვით.^{5,6}

მოსამართლეების შესახებ ფედერალური კანონის შესაბამისად, საპატენტო სასამართლოს მოსამართლეები უნდა აკმაყოფილებდნენ მოსამართლის თანამდებობის დაკავებისათვის საჭირო პირობებს (სამართალმცოდნე წევრები), ანდა იყვნენ კომპეტენტურნი ტექნიკის რომელიმე დარგში (ტექნოკრატი წევრები). მოსამართლეებს განუსაზღვრელი ვადით ნიშნავს ფედერალური პრეზიდენტი, გარდა კანონის 71-ე პარაგრაფით დადგენილი შემთხვევისა. საპატენტო სასამართლოში იქმნება: 1) საჩივრებზე გადაწყვეტილების გამომტანი სენატები (საჩივრების სენატები)

⁴ Федеральный конституционный закон РФ “О патентном суде РФ”. М., 1999.

⁵ Патентный закон ФРГ. В книге: Патентное законодательство зарубежных государств. том I. “Прогресс”. М., 1987.

⁶ German Patent Office. Annual Report. pp.43-45. Berlin, 1996.

და 2) პატენტის გაუქმებაზე და პატენტზე უარის, აგრეთვე იძულებითი ლიცენზიის გაცემასთან დაკავშირებულ სარჩელებზე გადაწყვეტილების გამომტანი სენატები (გაუქმების სენატები). სენატების რიცხვს განსაზღვრავს იუსტიციის ფედერალური მინისტრი.^{5,7}

საპატენტო დავებისა და პასუხისმგებლობის საკითხების გადასაწყვეტად, სპეციალური სასამართლოს შექმნასა და ფუნქციონირებას ითვალისწინებს პატენტების შესახებ ინგლისის კანონის მე-3 თავი, რომლის 96-113-ე მუხლები ეხება სასამართლო წარმოებისა და სისხლის სამართლის დარღვევათა საკითხებს. კერძოდ, კანონის 96-ე მუხლით დადგენილია, რომ საპატენტო სასამართლო იქმნება, როგორც უმაღლესი სასამართლოს საკანცლერო განყოფილების ნაწილი. საპატენტო სასამართლოს მოსამართლეები არიან ლორდ-კანცლერის მიერ დანიშნული უმაღლესი სასამართლოს რიგითი მოსამართლეები.

კანონის 97-ე მუხლის მე-4 პარაგრაფით, სამეფო კონტროლიორის ნებისმიერ გადაწყვეტილებაზე, აგრეთვე იმ განხილვებზე, რომლებიც შესაბამისი წესით მიმდინარეობს შოტლანდიაში, – სასესიო სასამართლოში განხილვის დროს შეიძლება შეტანილ იქნეს აპელაცია. სასესიო პალატის საგარეო პალატის მოსამართლის გადაწყვეტილებაზე, – რომელიც გამოტანილია ამ კანონის ან დადგენილი წესების საფუძველზე და მიღებულია სამეფო კონტროლიორის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აპელაციაზე, – აპელაციის შეტანა დაუშვებელია ამ სასამართლოს შიდა პალატაში, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა.

კანონი შოტლანდიისათვის ცალკე მუხლად (მ.98) გამოჰყოფს სასამართლო წარმოების წესებს. კერძოდ, შოტლანდიაში, თუკი სასამართლო განხილვა ძირითადად, შეეხება პატენტებს (გარდა სამეფო კონტროლიორის მონაწილეობით მიმდინარე განხილვებისა), იგი უნდა განხორციელდეს მხოლოდ სასესიო სასამართლოში, ხოლო შერიფის სასამართლოს იურისდიქცია

⁷ Gerd Gratz. Outlines of the German Patent Granting, Opposition and Appeals Procedures. pp. 11-14. Berlin, 1997.

მოცემული ნორმით უქმდება. სასესიო სასამართლო განხილვაში მონაწილე დანიშნული სასამართლო ექსპერტი-კონსულტანტის ანაზღაურებას, – სახელმწიფო სამოქალაქო სამსახურის მინისტრთან შეთანხმებით, – განსაზღვრავს სასესიო სასამართლოს თავმჯდომარე. ეს ანაზღაურება გაიცემა პარლამენტის მიერ დამტკიცებული სახსრებიდან⁸.

იაპონიის საპატენტო კანონის მე-8 თავის 178-184-ე მუხლები ეხება სარჩელებს საპატენტო უწყების სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლისა და ცვლილებების შეტანაზე უარის თქმის, განჩინებებს წერილობითი ფორმით შუამდგომლობაზე უარის თქმის, ანდა საპატენტო უწყებაში სასამართლო გადასინჯვის თაობაზე. ზემოაღნიშნული სარჩელი შეიძლება წარადგინოს მხარემ, მესამე პირმა, ანდა პირმა, რომლის მოთხოვნა საქმეში მონაწილეობის შესახებ იქნა უარყოფილი. სარჩელის წარდგენა დაუშვებელია საპატენტო უწყების სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების ან განჩინების გამოტანიდან და ამ დოკუმენტების ასლების ჩაბარებიდან 30 დღის შემდეგ (ეს ვადა პრეკლიუზიურია)⁹.

შვედეთში, პატენტის შესახებ კანონის 25-ე პარაგრაფის შესაბამისად, საჩივარი შეიტანება საპატენტო საქმეების სააპელაციო სასამართლოში, გადაწყვეტილების გამოტანიდან ორი თვის ვადაში. საჩივრის შემტანმა პირმა იგივე ვადაში უნდა შეიტანოს ბაჟი, დადგენილი წესით. წინააღმდეგ შემთხვევაში, საჩივარი არ განიხილება. თუკი საპატენტო საქმეებზე სააპელაციო სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება არ გამოაქვს განმცხადებლის სასარგებლოდ, მას უფლება აქვს იგი გაასაჩივროს უმაღლეს ადმინისტრაციულ სასამართლოში გადაწყვეტილების გამოტანიდან ორი თვის ვადაში.

პატენტი არ შეიძლება ცნობილი იქნეს ძალადაკარგულად იმ მიზეზით, რომ მისი მფლობელის უფლებები ვრცელდება მოცემული პატენტის მხოლოდ ნაწილზე. სარჩელი შეიძლება იქნეს შეტანილი პატენტის გაცემის შედეგად დაზარალებული პირის ან მთავრობის მიერ უფლებამო-

სილი ორგანოს მიერ, თუკი ამას მოითხოვს საზოგადოებრივი ინტერესები¹⁰.

საქართველოს საპატენტო კანონის 69-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაკუთრებული ლიცენზიის მფლობელს, უფლება აქვს პატენტიდან გამომდინარე უფლებების დარღვევის თაობაზე აღძრას სარჩელი, თუ პატენტმფლობელი პატენტის დარღვევის შესახებ შეტყობინების მიღებიდან გონივრული ვადის განმავლობაში თვითონ არ წარადგენს სარჩელს სასამართლოში.

პატენტის მფლობელის უფლების ნებისმიერი ხელყოფა, არის პატენტის დარღვევა, რაც იწვევს შესაბამის პასუხისმგებლობას. თუმცა, გაყიდვის, ბრუნვაში გაშვების, გამოყენების წინადადება, აგრეთვე გამოყენების მიზნით პატენტის დამრღვევი პროდუქტის შენახვა, ანდა ბრუნვაში გაშვება, – თუკი ეს მოქმედებები არაა ჩადენილი იმ პირის მიერ, ვინც ამზადებს პატენტის დამრღვევ პროდუქტს, ალბათ მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იწვევდეს პასუხისმგებლობას, თუკი ამ მოქმედებებით პატენტმფლობელს რეალურად მიეყენება ზიანი.

უდავოა, რომ პატენტის დარღვევაზე სარჩელს, უპირატესად წარადგენს მესაკუთრე. თუმცა გამოგონების გამოყენებაზე განსაკუთრებული უფლების მქონე პირს (ლიცენზიატს), – სალიცენზიო შეთანხმებაში საპირისპიროს არარსებობისას, – შეუძლია პატენტის დარღვევის შემთხვევაში წარადგინოს სარჩელი, თუკი ამაზე თხოვნის გაცხადების შემდეგ საქმეს არ აღძრავს თვით პატენტის მფლობელი. ცხადია, პატენტმფლობელს შეუძლია მიიღოს მონაწილეობა დარღვევაზე იმ საქმის განხილვის დროს, რომელსაც აღძრავს ლიცენზიატი.

საქართველოს საპატენტო კანონის 69-ე მუხლი ზღუდავს ლიცენზიის მფლობელს იმ პირთა წრეს, რომელთაც უფლება აქვთ პატენტიდან გამომდინარე უფლებების დარღვევის თაობაზე აღძრან სარჩელი, ვინაიდან ასეთად მიიჩნევა მხოლოდ განსაკუთრებული ლიცენზიის მფლობელი ლიცენზიატებს. მიზანშეწონილი იქნებოდა, თუკი ამ უფლებით აგრეთვე აღიჭურვებოდნენ იძულებითი

⁸ Закон Англии о патентах. ВНИИПИ. М., 1987.

⁹ Патентный закон Японии. ВНИИПИ. М., 1987.

¹⁰ Патентные законы скандинавских стран. ВНИИПИ. М., 1986.

ლიცენზიის, ან ოფიციალური ლიცენზიის მქონე პირები. რაც შეეხება პატენტის დარღვევის შესახებ პატენტმფლობელის შეტყობინებას, კანონი არ აკონკრეტებს, თუ რა ფორმით, ან ვის მიერ უნდა განხორციელდეს პატენტმფლობელისათვის ინფორმაციის მიწოდება. ლოგიკურია, თუკი ამას განხორციელებდნენ უშუალოდ ლიცენზიატები. ნებისმიერ ლიცენზიატს უნდა შეეძლოს მონაწილეობის მიღება დარღვევის შესახებ იმ საქმეებზე, რომელიც შეეხება მისთვის დადგენილი ზიანის ანაზღაურებას.

ჩვენი აზრით, სწორი იქნებოდა, თუკი საპატენტო დარღვევებზე სარჩელის შეტანის უფლება მიეცემა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, რომელიც ქვეყნის ტერიტორიაზე ადასტურებს პატენტის გამოყენებას ან ამ მიზნით ეფექტურ და სერიოზულ მზადებას. მან შეიძლება შესთავაზოს პატენტმფლობელს მისი პატენტის უკანონოდ გამოყენების ფაქტისადმი დაპირისპირების მიზნით შესაბამის პროცედურაში მონაწილეობა და გადასცეს მას ამ დარღვევათა აღწერა. თუკი პატენტმფლობელი უგულვებელყოფს მიღებულ შეტყობინებას, მაშინ დაინტერესებულ პირს უნდა შეეძლოს სასამართლოში დაიბაროს პატენტმფლობელი და მოითხოვოს საკითხის მოწესრიგება. ზემო-

აღნიშნულით არ უნდა იზღუდებოდეს პატენტის დარღვევაზე შემდგომი სარჩელების შეტანის შესაძლებლობა. (იმ შემთხვევაში, როდესაც გამოყენება არ ხორციელდება დადგენილი წესით).

საქართველოს საპატენტო კანონის 70-ე მუხლით დაპატენტებული გამოგონების, სასარგებლო მოდელის, სამრეწველო ნიმუშის პატენტმფლობელის ნებართვის გარეშე დამზადება, გამოყენება, ჩართვა სამოქალაქო ბრუნვაში ან სხვაგვარად სარგებლობა, მათი არსის განზრახ გამჟღავნება (გარდა ავტორისა) “საქპატენტის” მიერ გამოგონების, სასარგებლო მოდელის, სამრეწველო ნიმუშის შესახებ მონაცემების გამოქვეყნებამდე, საიდუმლო გამოგონების, სასარგებლო მოდელის გამჟღავნება, ავტორობის მითვისება იწვევს პასუხისმგებლობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საიდუმლო გამოგონებაზე გაცემულ პატენტზე ლიცენზიის მქონე მომწოდებლების, ქვემოიჯარეების ან შეკვეთების მფლობელების მიერ სასარჩელო წესით დავის შემთხვევაში განხილვისას მიზანშეწონილია ისეთი გადაწყვეტილების გამოტანა, რაც გამოიწვევს გამოყენების შეწყვეტას ან შეჩერებას, აგრეთვე მითითებას კონფისკაციის თაობაზე.



თამასუქისა და ჩეკის თაობაზე აღძრული სარჩელების განხილვის თავისებურებანი

მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქტების მიღების კვალობაზე, საქართველომ 1997 წლის 14 ნოემბერს ახალი „სამოქალაქო საპროცესო კოდექსის“ მიღებით კიდევ ერთი აგური შემატა სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის საძირკველს, დამოუკიდებელი სახელმწიფოს ნორმატიულ ბაზას. მართალია, საქართველოს ახალი „სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“ მისი მიღებიდან თითქმის ერთნახევარი წლის შემდეგ - 1999 წლის 15 მაისს შევიდა ძალაში, მიუხედავად ამისა, ის იმ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტთაგანია, რომელმაც პირველად თანამედროვე ქართული სამოქალაქო საპროცესო სამართლის ისტორიაში მოახდინა რადიკალური შემობრუნება საბჭოური სამოქალაქო სამართლის პროცესისაგან და განამტკიცა ადამიანის, მოქალაქის კონსტიტუციით აღიარებული პრინციპების: უფლებათა სასამართლო წესით დაცვა, მოსამართლეთა დამოუკიდებლობა, მხარეთა შეჯიბრებითობა, დისპოზიციურობა და სხვა ღირებულებათა რეალიზაციის რეალური, პროცესუალური გარანტიები და მექანიზმები.

საქართველოს ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიღებით კანონმდებელმა განამტკიცა სამოქალაქო წარმოებათა შემდეგი სახეები: სასარჩელო წარმოება, გამარტივებული წარმოება, უდავო წარმოება და ა.შ. სამოქალაქო სამართალწარმოებათა ზემოაღნიშნული სახეების გათვალისწინებით, პირები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ მათი უფლება დარღვეულია, კანონის ჩარჩოებში თავისუფლად ირჩევენ საკუთარი უფლებების დაცვის პროცესუალურ საშუალებებს (ფორმებს).

ძნელი არ არის იმის შემჩნევა, რომ სასარჩელო წარმოების გვერდით საქართველოს ახალი

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი განამტკიცებს „საქმის განხილვის გამარტივებულ წესს“, რომელიც განსხვავდება რა უფლებათა დაცვის ძირითადი, სასარჩელო ფორმისაგან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსით „გამარტივებულ წარმოებად“ არის წოდებული. აღსანიშნავია, რომ საქმეთა განხილვა გამარტივებული წესით არ უნდა იწვევდეს რაიმე გაუგებრობას. ის გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საქმეთა განხილვის რთული პროცედურა არ არის მიზანშეწონილი, რადგან თვით აღძრული მოთხოვნის დასაბუთებულობა და სამართლიანობა არავითარ ეჭვს არ იწვევს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი გამარტივებული წესით ორი კატეგორიის საქმეებს განიხილავს: თამასუქისა და ჩეკის თაობაზე აღძრულ სარჩელებს (მუხ. 292-301) და ფულადი დავალიანების გადახდევინების შესახებ აღძრულ საქმეებს (მუხ. 302-309). წინამდებარე სტატიით არ ვაცხადებთ პრეტენზიას მთლიანად გამარტივებული წარმოების განხილვა-დახასიათებაზე, არამედ სათაურიდან გამომდინარე, მსურს ყურადღება გავამახვილოთ მხოლოდ თამასუქისა და ჩეკის თაობაზე აღძრულ სამოქალაქო საქმეთა განხილვის საპროცესო თავისებურებებზე.¹ იმდენად, რამდენადაც დღესდღეობით გამარტივებული წარმოება, კონკრეტულ შემთხვევაში, თამასუქისა და ჩეკის თაობაზე

¹ გამარტივებული წესით ფულადი დავალიანების გადახდევინების შესახებ საქმეთა განხილვის საპროცესო თავისებურებების შესახებ იხ. ჟურნ. „სამართალი“, 2001, №3. გვ 59-64; ასევე ჟურნ. „სამართალი“, 2001, №5. გვ 31-37.

აღძრული საქმეების განხილვის საპროცესო წესრიგი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალში სიახლეა და სასამართლო პრაქტიკაც, ამ ინსტიტუტთან მიმართებაში, ჩამოყალიბების ეტაპზეა. სამწუხაროდ, დღესდღეობით ქართულ სასამართლოთა პრაქტიკაში თითქმის არ არსებობს სამოქალაქო საქმეთა მსგავსი საპროცესო წესრიგით განხილვის შემთხვევები.

ალბათ ნამდვილად არ შევცდები, თუკი მსგავსი სიტუაციის მიზეზებს მოქმედ საპროცესო კანონმდებლობაში მოვიძიებთ. სწორედ ამ თვალსაზრისით წინამდებარე სტატიით მსურს, შეძლებისდაგვარად ნათლად წარმოვაჩინო მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ის საკანონმდებლო ხარვეზები, რომელთა აღმოფხვრაც, ჩემი აზრით, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სამოქალაქო სამართალწარმოების აღნიშნული სახის სრულყოფილად ჩამოყალიბებასა და სასამართლო პრაქტიკაში მის დანერგვას, რეალიზაციას.

სანამ საკითხის განხილვაზე გადავიდოდე, დასაწყისშივე აღვნიშნავ, რომ თამასუქიდან გამომდინარე პრეტენზიების განხილვის საპროცესო თავისებურებების პარალელურად განვიხილავ ჩეკის საფუძველზე აღძრულ საქმეთა განხილვის პროცესუალურ თავისებურებებსაც. საკითხის მსგავსად გადაწყვეტა გამომდინარეობს უშუალოდ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოთხოვნიდან, რომლის თანახმადაც, თუ მოთხოვნები წამოყენებულია ჩეკის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, გამოყენებული უნდა იყოს თამასუქის თაობაზე აღძრული საქმეების წარმოების წესი.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, საქართველოს ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი გამარტივებულ წარმოებაში აერთიანებს თამასუქისა და ჩეკის თაობაზე აღძრულ სარჩელებს და ფულადი დავალიანების გადახდევინების შესახებ აღძრულ საქმეებს. ძნელი არ უნდა იყოს იმის შემჩნევა, რომ ის პროცესუალური ნორმები, რომლებიც თამასუქისა და ჩეკის თაობაზე აღძრული საქმეების განხილვას აწესრიგებენ, ძირეულად განსხვავდებიან დავალიანების გადახდევინების შესახებ საქმეთა განხილვის საპროცესო ნორმებისაგან. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი გამარტივებულ წარმოებაში მოიაზრებს ორ

დამოუკიდებელ წარმოებას, რომელიც მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან, როგორც ფორმალური ნიშნით (სარჩელი პირველ შემთხვევაში, ხოლო განცხადება – მეორე შემთხვევაში), ისე შინაარსობრივადაც. აღნიშნულთან დაკავშირებით, ბუნებრივია, იბადება კითხვა, თუ რამდენად საფუძვლიანია წარმოების ერთი დამოუკიდებელი სახის გაყოფა ორი ერთმანეთისაგან განსხვავებულ საქმეთა განხილვის საპროცესო წესრიგებად ან რამდენად გამართლებული იყო ერთი კონკრეტული სამოქალაქო სამართალწარმოების სახელწოდებით ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული წარმოების გაერთიანება.

უმჯობესი იქნება, თუკი საკითხის განხილვას, საერთოდ, სამოქალაქო სამართალწარმოების სახის განმარტებით დავიწყებ. როგორც ცნობილია, სამოქალაქო სამართალწარმოების სახე ეს არის გარკვეული პროცესუალური წესრიგი სამოქალაქო საქმეთა განხილვისა, რომლითაც სასამართლო ხელმძღვანელობს ცალკეული კატეგორიის საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტის დროს. ამ თვალსაზრისით, გამარტივებული წარმოება არის ისეთი სამოქალაქო საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტის პროცესუალური წესრიგი, როდესაც წამოყენებული მოთხოვნის სამართლიანობა, დასაბუთებულობა იმდენად სახეზეა და ნათელია, რომ საქმის განხილვის რთული პროცედურა მიზანშეწონილი აღარ არის.

სწორედ მსგავს სამოქალაქო საქმეებზე წარმოების აღძვრის საფუძველად საქართველოს ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ერთ შემთხვევაში ასახელებს ფულად დავალიანებას. კერძოდ, კოდექსის 302-ე მუხლში – „დასაშვებობა“ – აღნიშნულია, რომ დავალიანების გადახდევინების შესახებ საქმის განხილვის გამარტივებული წესით შეიძლება განხილულ იქნეს მოთხოვნები გარკვეული ფულადი დავალიანების გადახდევინების შესახებ. ე.ი. გამარტივებული წარმოების ამ სახის აღძვრის საფუძველი არის ფულადი დავალიანება, ხოლო მეორე შემთხვევაში, გამარტივებული წარმოების აღძვრის საფუძველი, საპროცესო კოდექსის 292-ე მუხლის თანახმად არის თამასუქის (ჩეკის) შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად თამასუქიდან (ჩეკიდან) გამომდინარე პრეტენზიები. კითხვა იმის თაობაზე, თუ რა სახის პრეტენზია შეიძლება გამომდინარეობდეს თამა-

სუქიდან ან ჩეკიდან, გადაწყვეტილია შესაბამისი ნორმატიული აქტებით. კერძოდ, საქართველოს კანონი „თამასუქის შესახებ“, რომელიც მიღებულია 1995 წლის 19 აპრილს, თამასუქს განმარტავს, როგორც ფასიან ქაღალდს, ღოკუმენტს, რომლითაც მისი გამცემი პირი კისრულობს უპირობო ვალდებულებას გადაიხადოს თამასუქში ნაჩვენები თანხა პირადად ან სხვა პირს ავალებს მის გადახდას. საქართველოს კანონი „ჩეკის შესახებ“, რომელიც ასევე მიღებულია 1995 წლის 19 აპრილს, ჩეკს განმარტავს, როგორც დადგენილი ფორმის ფასიან ქაღალდს, რომელიც შეიცავს ჩეკის გამცემის წერილობით დავალებას საბანკო დაწესებულებისადმი, რათა გაანაღდოს ჩეკში აღნიშნული თანხა.

აღნიშნული კანონებით ასევე განისაზღვრა, სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, მოთხოვნის ფარგლები, ანუ ის ჩარჩოები, რომლის ფარგლებშიც კრედიტორი უფლებამოსილია განაცხადოს პრეტენზია.

„თამასუქის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლი დეტალურად განსაზღვრავს იმ ჩარჩოებს, რომელთა ფარგლებშიც კრედიტორი უფლებამოსილია განაცხადოს პრეტენზია. კერძოდ:

- 1) არაქცეპტირებული ან გადაუხდელი თამასუქის თანხისა პროცენტებითურთ, თუ ასეთი გათვალისწინებული იყო;
- 2) პროცენტებისა, რომელიც შეადგენს ექვს პროცენტს და იანგარიშება გადახდის ვადიდან;
- 3) პროცენტს, შეტყობინების გაგზავნასთან დაკავშირებით და სხვა ხარჯები;
- 4) საურავისა, თამასუქის თანხის სამი პროცენტის ოდენობით, რაც გამოიანგარიშება გადახდის ვადიდან.

რაც შეეხება ჩეკიდან გამომდინარე მოთხოვნის ფარგლებს, აღნიშნული წესრიგდება ჩეკის შესახებ საქართველოს კანონის 36-ე მუხლით, სადაც ნათქვამია, რომ ჩეკის მფლობელს სარჩელის წარდგენით შეუძლია მოითხოვოს განაღდება:

- ა) ჩეკის გადასახდელი თანხისა;
- ბ) სარგებელი ექვსი პროცენტის ოდენობით ჩეკის გასანაღდებლად წარდგენის დღიდან;
- გ) მის მიერ გაწეული ხარჯები.

ამრიგად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა იმის თაობაზე, რომ თამასუქისა და ჩეკის დროს საუბარი შეიძლება იყოს მხოლოდ ფულადი ვალდებულების შეს-

რულებაზე, რომლის შეუსრულებლობაც ლოგიკურად წარმოქმნის ფულად დავალიანებას. მაგრამ, აღნიშნულის მიუხედავად, თამასუქიდან ან ჩეკიდან გამომდინარე ფულადი დავალიანება, მოქმედი საპროცესო კოდექსის თანახმად, ვერ გახდება სასამართლო ბრძანების გაცემის საფუძველი. აღნიშნულთან დაკავშირებით, ბუნებრივია, იბადება სრულიად სამართლიანი შეკითხვა: ფულადი დავალიანება, რომელიც თამასუქის შეუსრულებლობის შედეგად დადგა, რატომ ვერ გახდება სასამართლოსადმი განცხადებით მიმართვისა და გადახის შესახებ სასამართლო ბრძანების გაცემის საფუძველი? განა ფულადი დავალიანება, რომელიც თამასუქისა და ჩეკის შეუსრულებლობითაა განპირობებული, თავისი არსით განსხვავდება, მაგ., სასესხო ვალდებულებიდან გამომდინარე, მსესხებლის მიერ სესხის დაუბრუნებლობისაგან, რომელიც ასევე წარმოქმნის ფულად დავალიანებას და რომელიც ამ შემთხვევაში არის სასამართლოსადმი განცხადებით მიმართვისა და გადახდის ბრძანების მიღების საფუძველი.

გამომდინარე აღნიშნულიდან, ჩემი აზრით, კანონმდებლის მიერ გამარტივებული წარმოების მსგავსი გახლეჩა ყოვლად უსაფუძვლოა. ჯერ კიდევ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ სამოქალაქო სამართალწარმოების სახე – ეს არის გარკვეული პროცესუალური წესრიგი, რომლითაც სასამართლო ხელმძღვანელობს ცალკეული კატეგორიის სამოქალაქო საქმეთა განხილვა-გადაწყვეტისას. შესაბამისად, ჩემი აზრით, წარმოების ერთი დამოუკიდებელი სახის მსგავსი გაყოფა ერთმანეთისაგან განსხვავებულ საქმეთა განხილვის საპროცესო წესრიგებად, როდესაც თითოეული წარმოების აღძვრის საფუძველი თავისი არსით ერთმანეთის მსგავსია, ეწინააღმდეგება თვით სამოქალაქო სამართალწარმოების დამოუკიდებელი სახის არსს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ამ ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული წარმოების ერთი წარმოების სახელწოდებით, კერძოდ, გამარტივებული წარმოების სახელწოდებით გაერთიანება, ასევე მოკლებულია საფუძველს იმდენად, რამდენადაც თამასუქისა და ჩეკის საფუძველზე აღძრულ საქმეებს სრულიადაც არ ახასიათებთ გამარტივებულობა. აღნიშნული მდგომარეობა კი საერთოდ შეუსაბამისს ხდის წარმოების ამ სახის

ადგილს გამარტივებული წარმოების თავში. აღნიშნული უფრო თვალნათლივ გამოჩნდება, როდესაც განვიხილავ ისეთ საკითხებს, როგორცაა: სარჩელის წარმოებაში მიღება, საქმის განხილვის საპროცესო ვადები, სასამართლო განხილვის შემადგენელი საფეხურები და სხვა საკითხები, რომლის შესახებაც ქვემოთ თანმიმდევრობით ბეჭდება საუბარი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 292-ე მუხლის შესაბამისად, წარმოების აღნიშნული სახის აღძვრის ინიციატორად გვევლინება კრედიტორი, რომელსაც თამასუქიდან ან ჩეკიდან გამომდინარე გააჩნია მოთხოვნის უფლება, მაგრამ ვერ იღებს რა მისთვის კუთვნილ შესრულებას, მოქმედებს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და სასამართლოს მიმართავს სარჩელით დარღვეული ან სადავოდ ქცეული უფლების დაცვისა და აღდგენის თაობაზე. ამრიგად, წარმოების აღნიშნული სახე აღიძვრება სარჩელის საფუძველზე და მას გააჩნია მოდავე მხარები მოსარჩელისა და მოპასუხის სახით.

როგორც ცნობილია, სასამართლოსადმი სარჩელით მიმართვის უფლება, ეს პირის უფლება, კანონით გარანტირებული შესაძლებლობაა და არა მოვალეობა. სამოქალაქო პროცესი კი ეფუძნება რა მხარეთა დისპოზიციურობის პრინციპს, შესაძლებლობას აძლევს მოთხოვნის მფლობელს თავად განსაზღვროს მისი დარღვეული უფლების დაცვის საპროცესო საშუალებანი. სწორედ აღნიშნული პრინციპის დეკლარირებით იწყება წარმოების აღნიშნული სახის მარეგულირებელი საპროცესო ნორმები. კერძოდ, ნათქვამია, რომ „თუ თამასუქის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აღძრული იქნება თამასუქიდან გამომდინარე პრეტენზიები და სარჩელში მითითებული იქნება, რომ საქმის განხილვა მოხდეს გამარტივებული წესით, გამოყენებულ უნდა იქნას ამ თავში გათვალისწინებული წესები (მუხ. 292).

ცნობილია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით უფლებათა დაცვის ძირითად საპროცესო საშუალებად მიჩნეულია სარჩელი. ამიტომ, თუ პირი მიიჩნევს, რომ დარღვეული უფლების დაცვის მისთვის მისაღები ფორმა სასარჩელო წარმოებაა, მაშინ მას უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს სასარჩელო განცხადებით და ამ შემთხვევაში საქმე ექვემდებარება

განხილვას სასარჩელო წარმოებისათვის დამახასიათებელი წესით.

ცნობილია, რომ ყველას, ვისაც აქვს სარჩელის შეტანის უფლება, შეუძლია მიმართოს სასამართლოს, მაგრამ ამავედროულად სარჩელის აღძვრა სასამართლოში წარმოებს კანონით დადგენილი წესით. სამწუხაროდ, თუ რა რეკვიზიტებს უნდა შეიცავდეს თამასუქიდან (ჩეკიდან) გამომდინარე პრეტენზიებზე წარდგენილი სარჩელები, საპროცესო კოდექსის ნორმებით განსაზღვრული არ არის. მსგავს სიტუაციაში გამოსავალი ანალოგიის მოშველიებაში მდგომარეობს. კერძოდ, ამ შემთხვევაში, ჩემი აზრით, გამოყენებული უნდა იყოს საპროცესო კოდექსის ის ზოგადი და სასარჩელო წარმოების მარეგულირებელი ნორმები, რომლებიც განსაზღვრავენ იმ აუცილებელ რეკვიზიტებს, რომლებსაც უნდა შეიცავდეს სასარჩელო განცხადება.

მას შემდეგ, რაც სასამართლოში წარდგენილი იქნება სარჩელი, გამარტივებული წესით საქმის განხილვის თაობაზე მოსამართლე ვალდებულია გადაწყვიტოს საკითხი მისი წარმოებაში მიღების ან მიღებაზე უარის თქმის შესახებ. თუ რა საპროცესო ვადების დაცვით უნდა იყოს სარჩელი წარმოებაში მიღებული წარმოების აღნიშნული სახის მარეგულირებელი ნორმებით, ასევე არ არის განსაზღვრული. ამიტომ, ამ შემთხვევაშიც ურთიერთობის მარეგულირებელ ნორმებად ისევ სასარჩელო წარმოების მომწესრიგებელი ნორმები ჩანს. კერძოდ, კოდექსის 183-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, სარჩელის წარმოებაში მიღების ვადად განსაზღვრულია 5 დღე, შესაბამისი საბუთების სასამართლო კანცელარიაში ჩაბარების დილდანი.

ამდენად, თამასუქისა და ჩეკის თაობაზე აღძრული სარჩელების წარმოებაში მიღების პროცესუალური წესრიგი, როგორც ზემოთ ვაჩვენე, წესრიგდება სასარჩელო წარმოების მარეგულირებელი ნორმებით, რაც შლის განმასხვავებელ ზღვარს წარმოების ამ ორ სახეს შორის. მითუმეტეს აღნიშნული საკითხი სულ უფრო და უფრო მკაფიოდ გამოჩნდება, როდესაც გადავალ აღნიშნულ საქმეებზე სასამართლო სხდომის ჩატარების საკითხებზე და საქმეზე გადაწყვეტილების მიღებაზე. მაგრამ ამაზე ცოტა მოგვიანებთ.

სანამ ზემოაღნიშნული საკითხების განხილვაზე გადავიდოდე, ვფიქრობ, ინტერესმოკლებული არ

უნდა იყოს იმის გარკვევა, კერძოდ, მოქმედი კანონდებლობით სახელმწიფო ბაჟის რა ოდენობის განაკვეთებია დაწესებული სარჩელის წარმოებაში მიღებაზე. დასაწყისშივე აღვნიშნავ, რომ „თამასუქისა და ჩეკის პროცესის“ მარეგულირებელი ნორმები საერთოდ არ განსაზღვრავენ გადასახდელია თუ არა აღნიშნული სარჩელების წარმოებაში მიღებაზე სახელმწიფო ბაჟი ან თუ გადასახდელია, რა ოდენობის. მსგავს სიტუაციაში გამოსავალი ისევ და ისევ ზოგადი ნორმების მოშველიებაში მდგომარეობს. საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო ბაჟის გადახდევინება წარმოებს „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. აღნიშნული კანონის მე-3 მუხლში ერთმნიშვნელოვნად განცხადებულია, რომ სახელმწიფო ბაჟი გადაიხდევინება საერთო სასამართლოებში განსახილველი სასარჩელო ან სხვა განცხადებებზე და საჩივრებზე. სარჩელებზე, როგორც საპროცესო კოდექსით, ისე „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონით, სახელმწიფო ბაჟის განაკვეთი შეადგენს სადავო საგნის ღირებულების 2,5 პროცენტს. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოს ის საკითხიც, რომ ორივე ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტით, თუ რომელ სარჩელზეა საუბარი სასარჩელო წარმოების, თუ გამარტივებული წარმოების, განსაზღვრული არ არის.

ამრიგად, მოქმედი კანონდებლობის თანახმად, იმისათვის, რომ სარჩელი წარმოებაში იქნეს მიღებული დაწესებულია სახელმწიფო ბაჟის ერთი და იგივე განაკვეთი, როგორც სასარჩელო წარმოებისათვის ისე გამარტივებული წარმოებისათვის. აღნიშნული უდავოა, რომ შლის განმასხვავებელ ზღვარს წარმოების ამ ორ სახეს შორის. ამრიგად მოსაზრება იმის შესახებ, რომ გამარტივებული წარმოება, როგორც ისტორიულად და თანამედროვე სამოქალაქო პროცესითაც, ეს არის წარმოება, რომელიც ნაკლები ფულადი ხარჯით ხასიათდება, სამწუხაროდ, საქართველოს მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსით არ მართლდება.

მას შემდეგ, რაც სასამართლო გადაწყვეტს სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხს, მოსამართლე ვალდებულია დანიშნოს სასამართლოს ზეპირი სხდომა საქმის განხილვისათვის. სასამართლო სხდომის დანიშვნამდე მოსამართლემ უნდა გადაწყვიტოს მრავალი ორგანიზაციული

საკითხი, კერძოდ, მოპასუხეს უნდა გაუგზავნოს სარჩელისა და თანდართული მასალების ასლები. გარდა ამისა, სასამართლო უწყება, რომლის საფუძველზეც მოპასუხე ინფორმირებული იქნება სასამართლო მთავარი სხდომის თარიღისა და დროის შესახებ. წარმოების ამ სახისათვის საპროცესო კოდექსით დადგენილია უწყების ჩაბარების სპეციფიკური ვადა. კერძოდ, უწყება მხარეებს უნდა ჩაბარდეთ სასამართლო სხდომის დაწყებამდე 24 საათით ადრე, თუ ეს უწყება ბარდება სასამართლოს ადგილსამყოფელის მიხედვით. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ უწყება ბარდება სხვა ადგილზე, მაშინ უწყების ჩაბარების ვადა განისაზღვრება მინიმუმ სამი დღით. უწყებები მხარეებს ეგზავნებათ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ზოგადი ნაწილის შესაბამისი ნორმებით დადგენილი წესით.

მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი საერთოდ არ განსაზღვრავს თუ რა საპროცესო საფეხურებისაგან შედგება სასამართლოში საქმის განხილვა სასამართლო სხდომაზე. სამწუხაროდ, აღნიშნული მდგომარეობა ისევ და ისევ წარმოქმნის ანალოგიის გამოყენების აუცილებლობას და ეს პროცესი გარდაუვალია მანამ, სანამ საპროცესო კოდექსით მკაფიოდ არ იქნება განსაზღვრული ის საფეხურები, რომელთა გავლითაც უნდა განიხილოს სასამართლომ დავა მხარეთა შორის სასამართლო სხდომაზე. მაგრამ როგორც აღვნიშნე, ამ საკითხზე მოქმედი საპროცესო კოდექსი დუმს და შესაბამისად ამ დროს წარმოშობილი ურთიერთობები ანალოგიის სახით რეგულირდება სასარჩელო წარმოების მომწესრიგებელი შესაბამისი ნორმებით. მხოლოდ იმ თავისებურებების გათვალისწინებით, რომლებთაც შეაქვთ გარკვეული განსხვავება საქმის სასამართლოში განხილვის სასარჩელო წარმოებით განსაზღვრულ წესრიგს შორის.

ერთ-ერთი სპეციფიკური თავისებურებაა ის, რომ თამასუქის ან ჩეკის თაობაზე აღძრულ სარჩელებს არ შეიძლება შეუერთდეს სხვა პრეტენზიების გამო აღძრული სარჩელები. დაუშვებელია ასევე შეგებებული სარჩელის აღძვრა. კანონდებლის ასეთი მიდგომა გამართლებულია, ვინაიდან გამარტივებული წარმოება ეს არის სამოქალაქო სამართალწარმოების დამოუკიდებელი სახე მისთვის დამახასიათებელი საქმის განხილვის სპეციფიკური წესრიგით და ამიტომ იგი

ვერ შეითავსებს იმ მოთხოვნებს, რომლებსაც განხილვის მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკა ახასიათებთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნება ერთდროულად ორ წარმოებას: გამარტივებულს და სასარჩელოს, რაც დაუშვებელია.

აღნიშნულ წარმოებას ახასიათებს ისიც, რომ მტკიცებულებებად დაიშვება მხოლოდ მხარეთა ახსნა-განმარტებები და დოკუმენტები (წერილობითი მტკიცებულებები). დოკუმენტური დადასტურება შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი დოკუმენტების წარდგენით. გასათვალისწინებელი ისიც, რომ მოსარჩელემ სასამართლო სხდომაზე უნდა წარადგინოს თამასუქის დედანი.

რაც შეეხება სასამართლო გადაწყვეტილებას, თუ როგორი უნდა იყოს იგი და რა ნაწილები-საგან უნდა შედგებოდეს წარმოების აღნიშნული სახე, მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრული არ არის. ასე რომ, ამ შემთხვევაშიც გამოსავალი ისევ ანალოგიით მოქმედებაა.

ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს საკითხი იმის შესახებ, თუ საქმის ზეპირი მოსმენის დროს არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც უწყება გაგზავნილი ჰქონდა კანონით დადგენილი წესის მიხედვით, როგორ მოიქცევა ამ შემთხვევაში სასამართლო? ალბათ, ანალოგიის ძალით, ამ შემთხვევაში გამოტანილი იქნება დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლის გასაჩივრებისა და ძალაში შესვლის საკითხები წესრიგდება საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმებით.

ამრიგად, როგორც ჩანს, თამასუქის (ჩეკის) თაობაზე აღკრული საქმეების არა მხოლოდ წარმოებაში მიღების, არამედ მისი განხილვისა და მასზე გადაწყვეტილების მიღების პროცესუალური წესრიგი მოქმედი კანონმდებლობით ღიად არის დატოვებული და წესრიგდება ანალოგიის მეშვეობით. აღნიშნული მდგომარეობა, ჩემი აზრით ყოვლად დაუშვებელი და გაუმართლებელია, ვინაიდან იწვევს წარმოების ორი დამოუკიდებელი სახის ერთმანეში არევას, რაც საბოლოო ჯამში, საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას ქმნის.

არსებულ, ისედაც მოუწესრიგებელ სიტუაციას ართულებს და უფრო ბუნდოვანს ხდის „დამატებითი წარმოების“ შემოტანა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე, რომელიც უარყოფს მის წინააღმდეგ

წამოყენებულ მოთხოვნას, ყველა შემთხვევაში, მას შემდეგ, რაც გადაწყვეტილება გამოტანილი იქნება, შეუძლია მოითხოვოს საქმის დამატებითი წარმოება თავისი უფლებების განხორციელების მიზნით. ამიტომ, ამ შემთხვევაში, დავა რჩება იგივე სასამართლოს წარმოების სფეროში. საპროცესო კოდექსის თანახმად, თუ დამატებითი წარმოების დროს გამოვლინდება, რომ მოსარჩელის მოთხოვნა უსაფუძვლო იყო, მაშინ სასამართლო გააუქმებს გადაწყვეტილებას და მოსარჩელეს უარს ეტყვის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. სასამართლო იმსჯელებს ასევე იმ ხარჯების შესახებ, რომლებიც მხარეებმა საქმეზე გასწიეს. მხოლოდ იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მოსარჩელეს ევალბა იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც მიადგა მოპასუხეს გადაწყვეტილების აღსრულებით ან ასეთი აღსრულებისათვის ხელისშემშლელი ქმედების შედეგად. მოპასუხეს უფლება აქვს წარმოადგინოს ზარალის ანაზღაურების მოთხოვნა დავის სასამართლო განხილვის პროცესში.

ჩემი აზრით, საპროცესო კოდექსის აღნიშნული დათქმა, ბუნდოვანია, რაც გამოიხატება შემდეგში: ჯერ ერთი, რას ნიშნავს კანონმდებლის განცხადება იმის შესახებ, რომ მოპასუხე ითხოვს საქმის დამატებით წარმოებას თავისი უფლებების განხორციელების მიზნით. მისი უფლებების განხორციელების შესაძლებლობა საქმის ზეპირი განხილვის დროს შეზღუდულია თუ შეკვეცილი? მეორეც, საქმის დამატებითი წარმოება საპროცესო კოდექსის რომელი ნორმებით წესრიგდება, ანუ რა სახის წარმოებაა? მესამეც, რა სტატუსით გამოდის საქმის დამატებითი წარმოების დროს მოპასუხე, ჰყავს თუ არა წარმოების ამ სახეს მხარეები?

აღნიშნული კითხვები, სამწუხაროდ, მოქმედი საპროცესო კოდექსის მიხედვით, ღიად არის დატოვებული. გარდა ამისა, არ არის განსაზღვრული საპროცესო ვადები, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება დამატებითი წარმოება, რაც დროში გაურკვეველს ხდის მის განხილვასა და გადაწყვეტას.

ამდენად, არსებულ სიტუაციაში გამოსავალი, ჩემი აზრით, მდგომარეობს შემდეგში: შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებებით აუცილებლად უნდა მოწესრიგდეს მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსით ღიად დატოვებული ისეთი საკითხები, რომლებიც, შეძლებისდაგვარად ზემოთ ჩამოვ-

თვალე. აღნიშნული საკანონდებლო ცვლილებები, თავის მხრივ, წარმოების ამ სახეს შესძენენ გამარტივებულობას და შესაბამისად მისი აღვილი გამარტივებული წარმოების თავშიც აღარ იქნება უადგილო. ან საპროცესო კოდექსიდან, საერთოდ, ჩემი აზრით, უნდა ამოვიღოთ თავი – „თამასუქისა და ჩეკის თაობაზე აღკრული სარჩელების განხილვა“. უკანასკნელ შემთხვევაში, ის მოთხოვნები, რომლებიც თამასუქის (ჩეკის) შეუსრულებლობიდან წარმოიშვება, გახდება „დავალიანების გადახდევინების შესახებ გამარტივებული წესით საქმის განხილვის საგანი“ (მუხ: 302-309). მით უმეტეს იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ რაიმე დაბრკოლება ამ თვალსაზრისით თამასუქიდან (ჩეკიდან) გამომდინარე მოთხოვნის მფლობელებს არ შეექმნებათ. იმდენად, რამდენადაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, სხვა ქვეყნების საპროცესო კანონმდებლობისაგან განსხვავებით, არ აკონკრეტებს თუ რა საფუძველზე შეიძლება მოითხოვოს განმცხადებელმა ფულადი დავალიანების გადახდევინება, ე.ი. კანონმდებელი უშვებს ნებისმიერი საფუძველებიდან გამომდინარე ფულადი დავალიანების გადახდევინების თაობაზე მოთხოვნის წარდგენას სასამართლო გადახდის ბრძანების გაცემის მოთხოვნით. ანუ სასამართლო უფლებამოსილია გადახდის ბრძანება ფულადი დავალიანების გადახდევინების შესახებ მიიღოს ნებისმიერი ფულადი ხასიათის ვალდებულებითი ურთიერთობებიდან გამომდინარე.

წინააღმდეგ შემთხვევაში, არსებული რედაქციით, როგორც ზემოთ ვაჩვენე, გამარტივებული წარმოების აღნიშნულ სახეს საერთოდ არ ახასიათებს გამარტივებულობა, პირიქით, ახასიათებს

სირთულე, რაც საერთოდ უკარგავს თავის ეფექტს და მნიშვნელობას წარმოების აღნიშნულ სახეს. გარდა ამისა, არსებული რედაქციით, წარმოების აღნიშნული სახე, როგორც ზემოთ აღვნიშნე, საერთოდ, არ ინერგება სასამართლო პრაქტიკაში, რომლის უპირველესი მიზეზიც სწორედ მოქმედი საპროცესო კოდექსის საკანონმდებლო ხარვეზებია და სხვა არაფერი. მსგავსი სიტუაცია უარყოფითად მოქმედებს იმ კრედიტორთა ინტერესებზე, რომლებსაც გააჩნიათ მოთხოვნის უფლება თამასუქიდან ან ჩეკიდან და საპროცესო კოდექსის ნაკლოვანებების გამო, იძულებულნი არიან მიმართონ საკუთარი უფლებების დაცვის ისეთ საპროცესო საშუალებას, როგორცაა სასარჩელო წარმოება. აღნიშნული იმავდროულად უარყოფითად მოქმედებს სასამართლოთა საქმიანობაზეც, ტვირთავს რა მათ ისეთი საქმეებისაგან, რომლებიც, თავისი არსით, არ საჭიროებენ განხილვის რთულ პროცედურას.

ამდენად, მიმაჩნია, რომ შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებებით აუცილებლად უნდა გამოინახოს ყველაზე ოპტიმალური გზა, რომელიც, თავის მხრივ, სასიკეთო გავლენას მოახდენს როგორც სასამართლოთა საქმიანობაზე (შეამსუბუქებს რა მათი მუშაობის გადატვირთულ გრაფიკს), ასევე მხარეებზე, რომლებიც კანონით მკვეთრად განსაზღვრული ვადების ფარგლებში შეძლებენ დარღვეული უფლების აღდგენასა და დაცვას. და ბოლოს, აღნიშნული ცვლილებები მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მსგავს საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის დანერგვას, რაც, თავის მხრივ, მომავალში გახდება წარმოების აღნიშნული სახის შემდგომი დახვეწისა და სრულყოფის საფუძველი.

არჩილ თაბაბარი,
თსუ იურიდიული ფაკულტეტის
IV კურსის სტუდენტი.



პრეზუმფციის პრობლემა თანამედროვე სამოქალაქო სამართალში

პრეზუმფციასთან დაკავშირებული საკითხები სამოქალაქო სამართალში კომპლექსურად ჯერ კიდევ არ არის გამოკვლეული. ქართულ სამართალში დღემდე დაუზუსტებელია პრეზუმფციების არა თუ არსის, არამედ დასახელების საკითხიც, რის შედეგადაც სამეცნიერო პუბლიკაციებში ისინი სრულიად განსხვავებული სახით მოიხსენიება.¹ ჩემი აზრით, პრეზუმფციებთან დაკავშირებული საკითხები სრულყოფილ გამოკვლევას მოითხოვენ.

პრეზუმფცია (praesumptio) ლათინური წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს ვარაუდს. სამართალში მას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. დაუდასტურებელი მოვლენა ან ფაქტი მიიჩნევა, ივარაუდება არსებულად, დადასტურებულად და მას სამართლებრივი შედეგები უკავშირდება.² პრეზუმფცია სისხლის სამართალში მოიხსენიება როგორც კონსტიტუციური პრინციპი. იგი უმნიშვნელოვანესი და საკვანძო დებულებაა სისხლის საპროცესო სამართლის მეცნიერებაში. უდანაშაულობის პრეზუმფცია საქართველოს კონსტიტუციაში შემდეგნაირადაა ფორმულირებული: „ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით“.³ პრეზუმფციებს სამართლის თეორიაში უწოდებენ კატეგორიებს, ხოლო ზოგჯერ მათ, თავიანთი სამარ-

თლებრივი მნიშვნელობის გამო, უწოდებენ ინსტიტუტებს. პრეზუმფცია (ვარაუდი) პრაქტიკაში დამკვიდრებულია ორი მნიშვნელობით: სალიტერატუროთი იგი ნიშნავს „ალბათობაზე დაფუძნებულ ვარაუდს“, ხოლო სამართლებრივი მნიშვნელობით – „რომელიმე დებულების, ფაქტის ან სუბიექტის უფლების მიჩნევას იურიდიულად მართებულად, სანამ არ დამტკიცდება საწინააღმდეგო“.⁴ პრეზუმფციას ზოგჯერ იგებენ როგორც მდგომარეობას და შესაბამისად ფილოსოფიურ-ლოგიკურ კატეგორიას, რაც წარმოადგენს მსგავსი მოვლენების განზოგადობას, რომლიდანაც გამომდინარეობს შედეგი – წარმოდგენა რაღაცის არსებობაზე, რომელიმე ფაქტზე განსაზღვრული ტიპური სიტუაციის დროს.⁵ ვარაუდი უფრო ფართე ცნებაა, ვიდრე პრეზუმფცია. ამიტომაც ვარაუდის საწყისი გაგებიდან უნდა გამოვყოთ განსაზღვრული სახე, რომელიც ნიშნავს სამართლებრივ ვარაუდს. სწორედ ამ „ვარაუდს“ მიეკუთვნება სახელწოდება – პრეზუმფცია, რომელიც ნიშნავს სამართლებრივ ვარაუდს. პრეზუმფცია პირობითი ტერმინია და ხასიათდება ვარაუდის სამართლებრივი ასპექტებით. ჩემს ინტერესს, უპირველეს ყოვლისა, სამართლებრივ პრეზუმფციებთან დაკავშირებული საკითხები წარმოადგენს.

თანამედროვე სამეცნიერო პუბლიკაციებში ყველა ავტორი არ სარგებლობს „პრეზუმფციის“ ტერმინით. უფრო უპირატესობას ანიჭებენ ისეთ დასახელებებს,

¹ ა. კახნიაშვილი, უდანაშაულობის პრეზუმფცია და მისი განხორციელების გარანტიები სასამართლომდელ სტადიებზე, თბ., 1998, გვ.5.

² ლ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 1997, გვ. 160.

³ „საქართველოს კონსტიტუცია“, თბ., 1995, მ.40, გვ.23.

⁴ „იურიდიული ტერმინოლოგია“ თბ., 1963, გვ. 220. „Словарь русского языка“, М., 1959, стр. 515. ”

⁵ В.А. Ойгензихт. Презумпции В советском гражданском праве., М.,1976, Стр.6.

როგორცაა „კანონიერი ვარაუდი“, „იურიდიული ვარაუდი“, „მტკიცებითი ვარაუდი“ და სხვ. ვფიქრობ, ასეთი დასახელებისათვის არსებობს შესაბამისი საფუძველი.

პრეზუმციებს, ძირითადად, პროცესუალისტები იკვლევდნენ. ის მეცნიერები, რომლებიც აღიარებდნენ მატერიალურ-სამართლებრივ პრეზუმციებს, მიიჩნევენ, რომ პრეზუმციების მთავარი მნიშვნელობა მდგომარეობს პროცესუალური ამოცანების გადაწყვეტაში. „პრეზუმციის მნიშვნელობა მთლიანად ემთხვევა მტკიცებულების მოვალეობის განაწილებას“ — ასე ამტკიცებდა ლ. სმიშლიაევი.⁶ ქართველი პროფესორი თ. ლილუაშვილი მიიჩნევს, რომ ვარაუდის დახმარებით კანონი არეგულირებს მტკიცებულების ტვირთს.⁷ ცნობილი რუსი მეცნიერი თ. იოფე მიიჩნევდა, რომ პრეზუმციების პროცესუალური მნიშვნელობა უფრო დიდია, ვიდრე მატერიალურ-სამართლებრივი.⁸ მან მოგვიანებით, მაგრამ მაინც აღიარა, რომ შეცდომად ითვლება მტკიცება იმის შესახებ, რომ პრეზუმციებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ მხოლოდ პროცესუალური სამართლისათვის; პროცესუალურ სამართალში ისინი პოულობენ მკვეთრ გამოხატვას, რითაც დადგენილ ჭეშმარიტებაზე, მტკიცებულებებზე შემოქმედებას ახდენენ. მაგალითად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა მოსარჩელე, მაშინ მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ამ შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელზე უარის თქმის შესახებ ეფუძნება ვარაუდს, რომ მოსარჩელე უარს ამბობს მის მიერ აღძრულ სარჩელზე და ამიტომ მხარს აღარ უჭერს სარჩელს, აღარ მონაწილეობს მის განხილვაში.⁹ პროცესუალური პრეზუმციები თავისებურებით ხასიათდებიან და ამიტომაც დეტალურ

გამოკვლევას საჭიროებენ. ამჯერად შემოვიფარგლებით მატერიალურ-სამართლებრივ პრეზუმციებთან დაკავშირებული საკითხების განხილვით.

პრეზუმციები, როგორც ზემოთ აღინიშნა, ისეთი სააღბათო დასკვნებია, რომლებიც ფაქტების, უფლებების, ანდა მოვალეობების ნამდვილობას ადგენენ მათი არსებობის სრული დასაბუთების გარეშე. პრეზუმცია არ მტკიცდება, რადგან მისი აღბათობა დამტკიცებულია.¹⁰ აქ საუბარია არა პრეზუმციის დამტკიცებაზე, არამედ პრეზუმპირებული ფაქტის დამტკიცებაზე. თვით აღბათობა, ჩემი აზრით, კავშირშია შესაძლებლობასთან და იგი შესაძლებლობის რაოდენობრივი მხარეა. ეტიმოლოგიური გააზრებით ვარაუდი, სხვა მნიშვნელობებთან ერთად, გაიგება როგორც ყველაზე უფრო შესაძლებელი დასკვნა. ეს ყველაზე მისაღები ეტიმოლოგიური მნიშვნელობაა. ზოგიერთი მეცნიერი ამტკიცებს, რომ პრეზუმცია ისეთი სააღბათო დასკვნაა, რომლის მიხედვით შეიძლება დავადგინოთ უცნობი ფაქტი.¹¹ მაგრამ ყველას არ მიჰყავს ლოგიკურ გაგებაზე პრეზუმცია, მიაჩნიათ, რომ ეს დასკვნა შეიძლება გაკეთდეს სხვა ფაქტების მტკიცებულებების დროსაც. პრეზუმპირებული დასკვნა დაკავშირებულია არ მხოლოდ დადებითი ფაქტების დადგენასთან, არამედ უარყოფითი ფაქტების დადგენასთანაც, რომლებიც დიდხანს განიხილებოდა პროცესუალისტების მიერ მტკიცებულებების ტვირთის განაწილების პრობლემასთან კავშირში.

სამოქალაქო სამართალი, როგორც ცნობილია, არეგულირებს პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს. ეს ურთიერთობები, ძირითადად, წესრიგდება კანონითა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით. საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსი, რომელიც ძალაშია 1997 წლის 25 ნოემბრიდან, სამოქალაქო სამართლის მეცნიერების განვითარების შესაძლებლობას იძლევა. ამის ერთ-ერთი მაგალითია ის, რომ სამოქალაქო კოდექსში დიდი ადგილი აქვს დათმობილი პრეზუმციებს. ფაქტები, უფლებები და მოვალეობები, რომლებიც პირდაპირ არ მტკიცდება სამოქალაქო სამართალში სამართლებრივი ნორმებით, ახსნილია სწორედ პრეზუმციებით. სამოქალაქო სამართალი არსებუ-

⁶ Л. П. Смышляев. Предмет доказывания и распределение обязанностей по доказыванию В советском гражданском процессе., Изд. МГУ, 1966, стр. 37.

⁷ Т. А. Лилуашвили. О доказывании предполагаемых фактов В советском гражданском процессе, „Советское государство и права“, 1962, №12, стр. 146.

⁸ О.С. Иоффе. Ответственность по гражданскому праву, Изд. ЛГУ, 1955, стр. 136.

⁹ თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში, თბ., 1999, გვ.100.

¹⁰ В.И. Каминская. Презумпция невиновности в советском уголовном праве, „Социалистическая законность“ ,1946, №4, 5, стр. 12.

¹¹ თ. თიგენზინტი. დასახ. ნაშრომი, გვ. 29.

ლად მიიჩნევს რაღაცას მანამ, სანამ მისი საპირისპირო არ დამტკიცებულა.¹² სამოქალაქო სამართალში გამოყენებული პრეზუმფციები სამოქალაქო სამართლებრივი მნიშვნელობისაა. პრეზუმფციის მატერიალურ-სამართლებრივი მხარისათვის დამახასიათებელია სამართლებრივი ნორმის ჭეშმარიტების შეცნობის შესაძლებლობა.

პრეზუმფციებზე საუბრისას ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ პროცესუალურ-სამართლებრივი და მატერიალურ-სამართლებრივი პრეზუმფციები ხელოვნური კრიტერიუმების გამოყენებლად. სამეცნიერო პუბლიკაციებში მითითებულია, რომ არ არსებობს პრეზუმფციები, რომლებსაც არ შეიძლება არ ჰქონდნენ საერთო მნიშვნელობა. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ცალკეული „საერთო პრეზუმფციები“ იყოფიან. მაგალითად, პრეზუმფცია — „ყოველი სრულწლოვანი ქმედუნარიანია“ — მატერიალური სამართლისათვის განსაზღვრავს სტატუსს, ე.ი. პირი აღიარებულია სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სრულყოფილებიან სუბიექტად, ხოლო პროცესუალური სამართალში იგი მხარეს ათავისუფლებს ქმედუნარიანობის ფაქტის დამტკიცებისაგან. კანონით განსაზღვრული ასაკის მიღწევისთანავე, პირი ავტომატურად ხდება ქმედუნარიანი ისე, რომ რაიმე დოკუმენტის შედგენა ამისათვის აუცილებელი არ არის. ამიტომ მოქმედებს პრეზუმფცია, რომ თვრამეტი წლის ასაკს მიღწეული ყველა პირი ქმედუნარიანია.¹³ აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ პრეზუმფცია, რომელიც არეგულირებს მატერიალურ-სამართლებრივი პრეზუმფციის გამოყენების წესს, არის პროცესუალური. მატერიალურ-სამართლებრივი პრეზუმფციები შეიცავენ მხოლოდ მატერიალურ სამართლის ნორმებს პირდაპირ ან ირიბად, ხოლო მასთან დაკავშირებული ნორმა შეიძლება შეიცავდეს პროცესუალური სამართლის ნორმებსაც. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი პრეზუმფციები ემსგავსებიან ერთმანეთს, დასახელებული პრეზუმფციები არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

პროცესუალური პრეზუმფცია ერთ-ერთი საფუძველია, რომელიც გამორიცხავს მტკიცებულებების წარმოდგენას სასამართლოში გადაწყვეტილების გამოტანის დროს, ან პროცესის სუბიექტის მისა-

თითებლად, რომელზედაც დაკისრებულია მტკიცების ტვირთი. ზოგიერთი მეცნიერი ამტკიცებს, რომ შეიძლება პროცესუალური პრეზუმფცია გამომდინარეობდეს მატერიალურ-სამართლებრივი ნორმებიდან.

პრეზუმფცია — ეს არც ფაქტია და არც ალბათობა, არამედ ალბათობის მაღალი ხარისხიდან გამომდინარე, ვარაუდია, რომელიც განსაზღვრული იურიდიული შედეგების წინაპირობის საფუძველებს წარმოადგენს. მაგალითად, ბრალის პრეზუმფცია არ ნიშნავს ბრალის არსებობის ფაქტის აღიარებას. სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის მიხედვით, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. ამ მუხლის მიხედვით, ზოგადი ვალდებულებითი ურთიერთობის არსიდან გამომდინარე, მოვალე (ზიანის მიმყენებელი პირი) ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი, თუ მას ბრალი მიუძღვის ზიანის დადგენაში. ზიანის არსებობის შემთხვევაში, ივარაუდება, რომ ზიანის მიმყენებელი მოქმედება ბრალეულად მანამ, სანამ სხვა რამ არ დამტკიცდება. ამ პრეზუმფციის არსიდან გამომდინარე, თუ არ დამტკიცდება „ბრალი“, მაშინ პირი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებებისაგან უნდა გათავისუფლდეს. ანალოგიური დასკვნა კეთდება დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართაც, კერძოდ, პირი უდანაშაულობის პრეზუმფციის მიხედვით ითვლება უდანაშაულოდ, თუ არ არის კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი. მიუხედავად მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობის ფაქტების ასეთი პრეზუმპირობისა, ჩვენი სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით, სამოქალაქო პასუხისმგებლობა დგება არა ბრალის პრეზუმფციის საფუძველზე, არამედ ბრალის დამტკიცების საფუძველზე. ბრალის დამტკიცებამდე ზიანის მიმყენებელი პირის უბრალეულობა ყველა შემთხვევაში ივარაუდება.

ჩემი აზრით, სამოქალაქო სამართალში რომ ვაღიაროთ პრეზუმფციის არსებობა, ამისათვის აუცილებელია განსაზღვრული პირობები. მაგალითად, პირის გარდაცვლილად გამოცხადება, როგორც უკიდურესი ღონისძიება, გამოიყენება მხოლოდ სამოქალაქო კოდექსით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, კერძოდ, თუ: ა) ამ პირის საცხოვრებელ ადგილას ხუთი წლის განმავლობაში არ მოიპოვება ცნობები მისი ადგილსამყოფელის შესახებ; ბ) იგი უგზო-უკვლოდ დაიკარგა ისეთ

¹² ლ. ჭანტურია. დასახ. ნაშრომი. გვ.27.

¹³ „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი“, წიგნი პირველი, თბ., 1999, გვ.45.

გარემოებებში, რომლებიც მას სიკვდილს უქადდა ანდა გ) საგარაუდლოა მისი დაღუბვა რაიმე უბედური შემთხვევის გამო და ექვსი თვის განმავლობაში არ მოიპოვება ცნობები მის შესახებ. ამ პირობების არსებობისას, სამოქალაქო კოდექსი განამტკიცებს გარდაცვლილად გამოცხადების პრეზუმფციას — ვარაუდს, რომ პირი გარდაცვლილია.¹⁴ ამდენად, პრეზუმფცია გამოიყენება მაშინ, როდესაც დადგენილია მისი გამოყენების პირობები. პრეზუმფცია ამტკიცებს განსაზღვრულ მდგომარეობას, ფაქტს ანდა უფლებას, მაგრამ იგი ყველა შემთხვევაში ალბათობას უკავშირდება.

მატერიალურ სამართლებრივი პრეზუმფციები გამოიყენება მაშინ, როდესაც პრეზუმპირებული ფაქტების არსებობა ნამდვილია და არსებული მტკიცებულებები არ არის საკმარისი გადაწყვეტილების მისაღებად. პრეზუმფცია ფაქტის დადგენის საფუძველია, მაგრამ ის არ მიეკუთვნება უშუალოდ დამტკიცებას, თვით პრეზუმფციის უარყოფას. ამით მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ პრეზუმპირებული ფაქტის შეფასების დროს უნდა გამოვიყენოთ პრეზუმფციის განმსაზღვრელი ნორმა. მაგალითად, როგორც ზემოთ აღვნიშნე, პირის გარდაცვლილად გამოცხადების ერთ-ერთი პირობაა მის საცხოვრებელ ადგილას ხუთი წლის განმავლობაში ცნობების არ არსებობა. ამ შემთხვევაში პრეზუმპირებული ფაქტია მისი გარდაცვალების ფაქტი. აუცილებელია აქვე მივუთითოთ იმაზეც, რომ სამოქალაქო სამართლებრივი პრეზუმფციები პირდაპირ გათვალისწინებულია სამართლის ნორმებში.

პრეზუმფცია შეიძლება შემოსაზღვრული იყოს პროცესუალური როლით, თუკი მას მტკიცებულებების განაწილების დროს გამოვიყენებთ. მაგალითად, როდესაც შეუძლებელია მტკიცებულებების შეგროვება, მტკიცებულებების ჯაჭვი ერთდება პრეზუმფციის დახმარებით და შედეგად გამოითანება გადაწყვეტილება. პრეზუმფცია აქ გამოდის მატერიალურ-სამართლებრივი სახით. მატერიალურ სამართლებრივ პრეზუმფციებს ბევრი საერთო აქვთ პროცესუალურ პრეზუმფციებთან.

ერთიც და მეორეც აგებული არიან ალბათობის მაღალ ხარისხზე. მიუხედავად ამისა, ეს პრეზუმფციები სხვადასხვაა. ეს განსხვავება გამოიხატება მათი გამოყენების სხვადასხვა მიზნით, მათი მოქმედების სხვადასხვა სფეროთი.

სამოქალაქო სამართალში პრეზუმფციებს დიდი ადგილი უკავიათ და მათი მნიშვნელობა შესაბამისად დიდია. სამოქალაქო კოდექსის 158-ე მუხლის თანახმად, ივარაუდება, რომ ნივთის მფლობელი მისი შესაკუთრება. ასეთი პრეზუმფცია რომ არ გვექონოდა სამოქალაქო სამართალში, მაშინ მთელი სამოქალაქო ბრუნვა თავდაყირა დადგებოდა და შეიქმნებოდა ქაოსური მდგომარეობა. ასეთ შემთხვევაში ნივთის სყიდვისას, გამყიდველი ვალდებული იქნებოდა ემტკიცებინა თავისი საკუთრების უფლება გასაყიდ ნივთზე, იმის მიუხედავად, თუ რა ღირებულების იქნებოდა ნივთი.¹⁵ მფლობელობის, როგორც საკუთრების პრეზუმფციის, არსებობა სამოქალაქო სამართალში იმისთვისაა საჭირო, რომ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეები გაუკვეველ, ბუნდოვან მდგომარეობაში არ აღმოჩნდნენ და მათი სამართლებრივი სტატუსი ჰაერში არ იყოს გამოკიდული. თუ სამოქალაქო სამართალში ასეთი ვარაუდი არ გვექნებოდა, მაშინ ექვსი უნდა შეგვეტანა ყველა ადამიანის კეთილსინდისიერებაში, რომ ის, რაც მათ აქვთ, მათი არ არის. საპირისპირო ვარაუდი, რომ გვექონოდა სამოქალაქო სამართალში, მაშინ ყველა გამყიდველი ბაზარში უნდა მოგვენათლა მოპარული ნივთის გამყიდველად, მანქანის ყველა მფლობელი უნდა მიგვეჩინა არამესაკუთრედ და ა.შ. ამიტომაც აქვს დიდი მნიშვნელობა სამართალში პრეზუმფციებს და მათ სწორად შერჩევას.¹⁶

ამრიგად, პრეზუმფციის პრობლემა თანამედროვე სამოქალაქო სამართალში ერთ-ერთი მნიშვნელოვანია. ახალ სამოქალაქო კოდექსშიც დიდი ადგილი უკავიათ და შესაბამისად მნიშვნელოვანი როლიც აქვთ პრეზუმფციებს, რითაც ნაწილობრივ ამოივსო არსებული ხარვეზები. მაგრამ, აღნიშნული საკითხი შემდგომ მეცნიერულ გამოკვლევებს საჭიროებს.

რეკვამ უშტკარაძე,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტი.

¹⁴ ლ. ჭანტურია. დასახ. ნაშრომი.
¹⁵ ბ. ზოიძე, სანივთო სამართალი, თბ., 1999, გვ.47.
¹⁶ ლ. ჭანტურია. დასახ. ნაშრომი. გვ.160.

სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალის გაზრდისა და შემცირების სამართლებრივი საფუძვლები

სააქციო საზოგადოება იმით განსხვავდება სხვა კომერციული ხასიათის კერძო სამართლის სუბიექტებისაგან, რომ მისი საწესდებო კაპიტალი დაყოფილია გამოშვებულ ნომინალური ღირებულების აქციათა საერთო ოდენობაზე. ამიტომ აქციათა ოდენობა გარკვეულ წარმოდგენას ქმნის საწესდებო კაპიტალის მოცულობაზე. გავრცელებული აქციების ნომინალური ღირებულების ჯამი უნდა შეადგენდეს საწესდებო კაპიტალის ოდენობას. აქციის ნომინალური ღირებულების პრინციპი საკმაოდ გავრცელებულია თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში. მიუხედავად ამისა, ეს პრინციპი ზოგიერთ ქვეყანაში არ გამოიყენება, მაგალითად, ამერიკა, ბელგია და სხვა. აქციათა ნომინალური ღირებულების პრინციპის ნაცვლად, ზოგიერთ ქვეყანაში აქციის ღირებულება გამოითვლება საწესდებო კაპიტალის ნაწილის მიხედვით, რასაც კვოტური აქციები ეწოდება. ქართულმა კანონმა აირჩია ნომინალური ღირებულების კანონი, რომელიც ყველაზე მეტად გამოიყენება დასავლეთის ქვეყნებში.¹

აქციის გაყიდვა ნომინალურ ღირებულებაზე ნაკლებ ფასში ხელს უშლის საზოგადოების საწესდებო კაპიტალის შეუფერხებელ და სრულყოფილ ფორმირებას, ამიტომ ეს შეუძლებლადაა მიჩნეული. რაც შეეხება აქციის გაყიდვას ნომინალურ ღირებულებაზე მეტ ფასად, იგი აკრძალული არ არის. თუ აქციები გაიყიდება ნომინალურზე უფრო მაღალი ფასით, ბუნებრივია,

ეს გამოიწვევს სააქციო საზოგადოების ქონების საერთო ოდენობის გაზრდას. ასეთ შემთხვევაში საწესდებო კაპიტალი კი მაინც უნდა დარჩეს აქციათა ნომინალური ღირებულების ჯამის შესაბამისი ოდენობისა.

აქციათა ნომინალური ღირებულების გაზრდით მიღებული სახსრები შეადგენენ სააქციო საზოგადოების “სუფთა აქტივებს”. სხვა სახსრებთან ერთად ისინი ქმნიან მინიმალურ საწესდებო კაპიტალზე გადამეტების შესაძლებლობას. რაც უფრო მეტია ასეთი აქტივები, საზოგადოებას მით უფრო მეტი რეალური ქონება გააჩნია. სუფთა აქტივებში ჩაირთვება საზოგადოების საბალანსო აქტივები იმ ვალდებულებათა გამოქვითვით, რომლებიც კრედიტორთა წინაშე გააჩნია მას. ამიტომ სუფთა აქტივებისა და საწესდებო კაპიტალის ოდენობათა შეპირისპირებით შესაძლებელი ხდება საზოგადოებისათვის სახსრების იმ აუცილებელი ოდენობით შენარჩუნება, რაც საწესდებო კაპიტალითაა გათვალისწინებული. თუ საზოგადოების წარმატებული ფუნქციონირება და საწესდებო კაპიტალის გარდა, სხვა სახსრების შემოსვლა სტაბილურ ხასიათს ატარებს, ბუნებრივია, სუფთა აქტივები საწესდებო კაპიტალის ოდენობაზე მაღალი იქნება და ამ უკანასკნელის გაზრდის ფორმალური საფუძველი წარმოიშობა. მაგრამ თუ სუფთა აქტივების ოდენობა განსაზღვრული დროის მანძილზე ვერ აღემატება საწესდებო კაპიტალის დადგენილ ოდენობას, მაშინ, ბუნებრივია, დღის წესრიგში დგება საწესდებო კაპიტალის შემცირების საკითხი. კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობა შეიქმნება მაშინ, თუ

¹ ლადო ჭანტურია, თედო ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარები, თბ., 1996, გვ. 243.

სუფთა აქტივები საწესდებო კაპიტალის კანონით განსაზღვრულ მინიმალურ ოდენობაზე დაბლა ჩამოვა. ასეთ შემთხვევაში სააქციო საზოგადოების ლიკვიდაცია უნდა მოხდეს.

კანონით ნებადართულია სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალის გაზრდა ან შემცირება. მაგრამ ორივე შემთხვევისათვის გარკვეული ცვლილებები უნდა მოხდეს საზოგადოების წესდებაში.² ყოველგვარი ცვლილება წესდებაში სააქციო საზოგადოების საერთო კრების კომპეტენციაში შედის. მაგრამ საწესდებო კაპიტალის გაზრდის შემთხვევაში, წესდებაში ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს ღირებულებათა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით, თუ კი ასეთი უფლების მინიჭება მათთვის გათვალისწინებულია წესდებით ან აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით.

აქციათა ნომინალური ღირებულების გაზრდის გზით საწესდებო კაპიტალის გაზრდის შესაძლებლობა მეწარმეთა შესახებ კანონითაცაა გათვალისწინებული. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ საზოგადოების წესდებაში არ შევიდეს შესაბამისი ცვლილება. კანონის მიერ უფლების მინიჭება აქციონერთა ნება-სურვილით უნდა იყოს განმტკიცებული, რადგან საბოლოოდ მათზეა დამოკიდებული ნებისმიერი უფლების გამოყენება. ნომინალურია ის ღირებულება, რომლითაც გაიცა აქცია და ღირებულებითაა საზოგადოების წიგნში. აქციის ნომინალური ღირებულება და მისი რეალური ანუ საბაზრო ღირებულება შეიძლება არ ემთხვეოდეს ერთმანეთს, მაგალითად, 100 ლარის ნომინალური ღირებულების აქცია საბაზრო ფასით 500 ლარად გაიყიდოს. ამ შემთხვევაში 500 ლარი აქციის საბაზრო ფასი იქნება. მიუხედავად იმისა, რომ ახალმა მფლობელმა აქცია გაცილებით უფრო ძვირად იყიდა, ვიდრე მისი ნომინალური ღირებულებაა, ეს გარემოება მას ძველ მფლობელთან შედარებით რაიმე უპირატესობას არ აძლევს. აქციის ნომინალური ღირებულების გაზრდაც არ აძლევს მის მფლობელს რაიმე უპირატესობას სხვებთან შედარებით, რადგან სხვა აქცი-

ონერებიც იგივე პირობებით შეიძენენ აქციებს. ადრინდელ ფასთან შედარებით ახალი, გაზრდილი ფასით აქციების გავრცელებისას მიღებული ნამატი თანხა მიემატება საზოგადოების სუფთა აქტივებს, რაც თავისთავად სასწედებო კაპიტალის გაზრდის საფუძველი გახდება. ეს დებულება სრულად შეესაბამება მეწარმეთა შესახებ კანონის 52-ე მუხლის მე-5 პუნქტს, რომელშიც აღნიშნულია: “საზოგადოების მიერ აქციები და აქციებში კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდები გაიცემა, სულ მცირე მინიმალურ თანხად. ნომინალურზე მეტი ღირებულებით გაცემის შემთხვევაში, ღირებულებიდან გაცემის ხარჯების გამოკლების შემდეგ, ნამატი თანხა მიემატება სარეზერვო ფონდს. იგივე წესი მოქმედებს, შესაბამისად, არაფულადი შესატანის დროსაც, რომლის ღირებულება აღემატება ნომინალურ ღირებულებას”.

საწესდებო კაპიტალის გაზრდის შემდეგი გზაა საწესდებო კაპიტალში დამატებითი შესატანების განხორციელება. მეწარმეთა შესახებ კანონის 52-ე მუხლის მე-4 პუნქტში აღნიშნულია, რომ “საწესდებო კაპიტალის გაზრდის მიზნით სააქციო საზოგადოებას შეუძლია კანონით დადგენილი წესით გამოუშვას აქციებში კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდები”. ასეთ შემთხვევებში სააქციო საზოგადოება უშვებს ისეთ ფასიან ქაღალდებს, რომლებიც წინასწარ განსაზღვრული პირობების არსებობისას, შეიძლება გარდაიქმნეს აქციებად. ასეთ ქაღალდებს, უპირველეს ყოვლისა, მიეკუთვნება ობლიგაცია. მასში შეიძლება აისახოს სესხის სხვადასხვა ფორმა, რომელშიც მისი აქციად გარდაქმნის შესაძლებლობას შეიცავდეს. საზოგადოებისათვის სესხად მიცემული ფულადი სახსრები, რომლებიც ობლიგაციური ფორმით არის გამოხატული, გამსესხებელს უფლებას აძლევს საზოგადოებას დასაბრუნებელი სესხის სანაცვლოდ მოთხოვოს აქცია და თვითონ აქციონერი გახდეს. ფასიანი ქაღალდის აქციად გარდაქმნის პირობები შეიძლება აღინიშნოს თვით ფასიანი ქაღალდზე ან რეგისტრირებული იყოს საზოგადოების წიგნში. აქვე უნდა აღინიშნოს თუ ვინ არიან ფასიანი ქაღალდების მფლობელები და რა კონკრეტული უფლება-მოვალეობები გააჩნიათ მათ. რუსული სააქციო კანონმდებლობის მიხედვით, სა-

² გიორგი ბერიშვილი, პარლამენტის წევრი-სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. “საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემები საქართველოში“, თბ., 2000, გვ. 203.

ზოგადობის საწესდებო კაპიტალის გაზრდის ერთ-ერთი ეფექტიანი საშუალება არის დამატებითი აქციების გამოშვება.³ საწესდებო კაპიტალის გაზრდის საშუალებად დამატებითი აქციების გამოშვება მიჩნეულია ქართული კანონმდებლობითაც. მეწარმეთა შესახებ კანონის 59-ე მუხლში მითითებულია დამატებითი აქციების გამოშვების თავისებურებანი.

დამატებითი აქციების გამოშვების შესაძლებლობა, საერთოდ, წესდებით უნდა იყოს გათვალისწინებული ან აქციონერთა საერთო კრების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში უნდა აისახოს. უფლების შინაარსია ის, რომ წინასწარ განისაზღვრება, თუ საზოგადოებას რა რაოდენობით შეუძლია გამოუშვას დამატებითი აქციები, რა ფასად უნდა გაიყიდოს და მისი ღირებულების სრული დაფარვა რა ვადებში უნდა მოხდეს. როცა დამატებითი აქციის შექმნა ხდება არაფულადი ფორმით, მაშინ იმ ქონების ფულადი შეფასება, რომელიც აქციის შესაძენად უნდა იყოს შეტანილი, განისაზღვრება საზოგადოების სამეთვალყურეო ან ღირექტორთა საბჭოს მიერ მათი საბაზრო ღირებულების მხედველობაში მიღებით. დამატებითი აქციების სრული ღირებულების გადახდა უნდა მოხდეს მისი გავრცელების პირობებით გათვალისწინებულ ვადებში. დამატებითი აქციები მის მფლობელებს ხმის უფლებას არ აძლევს მანამ, სანამ მთლიანად არ იქნება შეტანილი აქციის სრული ღირებულება, საზოგადოების წესდებით შეიძლება გათვალისწინებული იყოს პირგასამტეხლოს დაწესება იმ პირთა მიმართ, რომლებიც დადგენილ ვადაში არ დაფარავენ აქციის ღირებულებას. საზოგადოების დამფუძნებლებს ეკუთვნით დამატებითი აქციების შესყიდვის უპირატესი უფლება.

ღირექტორთა საბჭო ვალდებულია განსაზღვრულ დროში აცნობოს სარეგისტრაციო ორგანოს სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალის გაზრდის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. ეს აუცილებელია იმიტომაც, რომ საზოგადოების წესდებაში აუცილებლად უნდა შევიდეს შესაბამისი ცვლილებები. ასევე ინფორმირებული უნდა იყოს სარეგისტ-

რაციო ორგანო იმის შესახებ, თუ როდის მთავრდება ახალი აქციების გამოშვება და განთავსება, რადგან აქციათა გამოშვების შესახებ საბოლოო ანგარიშში ზუსტად უნდა აისახოს საწესდებო კაპიტალის შექმნაში საზოგადოების აქციათა რა ნაწილია ჩართული.

დამატებითი ვალდებულებებია შესასრულებელი კომერციული ბანკების მიერ თავიანთი საწესდებო კაპიტალის გაზრდის ან მითუმეტეს, შემცირების შემთხვევებში. საწესდებო კაპიტალის ყოველგვარი ცვლილების შესახებ ინფორმირებული უნდა იყოს ეროვნული ბანკი. უფრო მეტიც, კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ 1996 წლის 21 მარტის კანონის მეცხრე მუხლის საფუძველზე, საქართველოს ეროვნული ბანკი, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად, კომერციულბანკებს პერიოდულად განუსაზღვრავს საწესდებო კაპიტალის მინიმალურ ოდენობას და რაც მთავარია არც ერთ ბანკს არა აქვს უფლება შეამციროს თავის საწესდებო კაპიტალის აქციების უკუგამოსყიდვის ან სარეზერვო აქტივების განთავსების გზით საქართველოს ეროვნული ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.⁴ იგივე შეიძლება ითქვას კომერციული ბანკის საწესდებო კაპიტალის დამატებითი აქციების გამოშვების გზით გაზრდასთან დაკავშირებით. ამიტომ თუ ეროვნული ბანკის ასეთი ნებართვა არ არის სახეზე, მაშინ კომერციული ბანკის, როგორც სააქციო საზოგადოების, ყველა ოპერაცია უნდა გაბათილდეს.

განსაზღვრულ სირთულეებთანაა დაკავშირებული საწესდებო კაპიტალის შემცირება. ასეთი გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ სააქციო საზოგადოების საერთო კრების კომპეტენციაში შედის. საწესდებო კაპიტალის შემცირება შესაძლებელია ორი გზით: აქციათა ნომინალური ღირებულების შემცირებისა და აქციების უკუგამოსყიდვის საშუალებით.⁵ ორივე შემთხვევაში კაპიტალის შემცირების შესაძლებლობა წესდებაში უნდა იყოს გათვალისწინებული.

⁴ “საკანონმდებლო აქტების კრებული“, პასუხისმგებელი გამოცემაზე ავთანდილ დემეტრაშვილი, თბ., 1998, გვ. 390.

⁵ “Гражданское право“, том I, Под редакцией А. Н. Сергеева и Ю.К. Толстого, М., 2000, стр. 157.

³ С.Д. Могилевский, акционерные общества, М., 1999, стр. 77.

ნომინალური ღირებულების შემცირება შესაძლებელია მხოლოდ იმ აქციათა მიმართ, რომლებიც უკვე გავრცელებულია აქციონერებს შორის. საერთო კრებას უფლება აქვს ნებისმიერი სახით გავრცელებული აქციის ნომინალური ღირებულება შეამციროს. ამ დროს მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ის გარემოება, რომ ნომინალური ღირებულების შემცირება ერთნაირად ეხება ერთი და იგივე სახის ყველა აქციას.

პრივილეგირებული აქციების მფლობელები, რომლებსაც დივიდენდების ოდენობა განესაზღვრებათ აქციათა ნომინალთან პროცენტული თანაფარდობით, უფლებამოსილი არიან მონაწილეობა მიიღონ ასეთი აქციების ნომინალური ღირებულების შემცირების შესახებ საკითხის საერთო კრებაზე განხილვისას. ამასთან, ის აქციონერები, რომლებიც მონაწილეობას არ ღებულობდნენ საკითხის გადაწყვეტაში ან საწესდებო კაპიტალის ამ გზით შემცირების წინააღმდეგი იყვნენ, უფლებას იძენენ (რა თქმა უნდა, საწესდებო კაპიტალის შემცირების შესახებ საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში) სააქციო საზოგადოებისაგან მოითხოვონ თავიანთი კუთვნილი აქციების შესყიდვა. ასეთი უფლება მართო პრივილეგირებული აქციის მფლობელს ეკუთვნის, რადგან მისი სტატუსი განსხვავებულია სხვა აქციონერებისაგან და მისი უფლების დაცვა ამის გამო ყურადღების ცენტრში უნდა იყოს. ლოგიკურად შეიძლება დაიბადოს კითხვა იმის შესახებ, რომ ჩვეულებრივი აქციის მფლობელთა ინტერესების დაცვაც ხომ აუცილებელია. რა თქმა უნდა, კანონში მეწარმეთა შესახებ უნდა არსებობდეს მათი ინტერესების დამცავი მექანიზმი. 1999 წლის 1 სექტემბრიდან ასეთი მექანიზმი ამოქმედდა. მეწარმეთა შესახებ კანონს დაემატა 53¹ მუხლი, რომლის პირველ პუნქტში აღნიშნულია, რომ აქციონერს უფლება აქვს საზოგადოებას მოსთხოვოს თავისი აქციების შეფასება და გამოსყიდვა, თუ მან საერთო კრებაზე მხარი არ დაუჭირა გადაწყვეტილების წესდებაში ისეთი ცვლილების შეტანის შესახებ, რომელიც არსებითად ლახავს აქციონერის უფლებებს. იგივე შედეგი შეიძლება დადგეს მაშინაც, როცა აქციონერი არ ეთანხმება გადაწყვეტილებას საზოგადოების რეორგანიზაციის ან ქონების გასხვისების შესახებ. აღნიშნული მუხლის ეს ზოგ-

ადი ღებულება ვრცელდება ნებისმიერი სახის აქციის მფლობელზე.

აქციათა ნომინალური ღირებულების შემცირება შესაძლებელია იმ დონემდე, რაც საწესდებო კაპიტალს განსაზღვრულ მინიმალურ დონეზე დაბლა არ დასწევს. ეს მოთხოვნა ვრცელდება საწესდებო კაპიტალის შემცირების მეორე საშუალების მიმართაც. საზოგადოების მიერ აქციონერებისაგან აქციების უკუგამოსყიდვა შესაძლებელია იმ ოდენობით, რაც თავსდება საწესდებო კაპიტალის მინიმალურ ოდენობას აღმატებულ სახსრებში. სააქციო საზოგადოების მიერ თავისივე აქციების შეძენა ანუ უკუგამოსყიდვა თავისი შინაარსით განსხვავდება აქციათა ისეთი გამოსყიდვისაგან, რომელიც აქციონერის მოთხოვნით ხდება. პირველ შემთხვევაში საზოგადოება თვითონ ღებულობს გადაწყვეტილებას საწესდებო კაპიტალის შემცირების შესახებ უკვე გავრცელებული აქციების ნაწილის გამოსყიდვის გზით, მაშინ, როცა მეორე შემთხვევაში აქციონერს უფლება აქვს მოთხოვოს საზოგადოებას, რათა მან დაიბრუნოს თავისი აქციები და გადაიხადოს მათი ღირებულება. საზოგადოებას უფლება არა აქვს უარი უთხრას აქციონერს აქციის გამოსყიდვაზე.⁶ პირველ შემთხვევაში თუ აქციათა გამოსყიდვა საწესდებო კაპიტალის შეგნებული შემცირებისაკენაა მიმართული, მეორე შემთხვევაში იგი აქციონერთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის გარანტიად გამოდის. ორივე შემთხვევაში სააქციო საზოგადოებამ თავისი ქონების გარკვეული ნაწილი უნდა გაიღოს გამოსასყიდ აქციათა ღირებულების ოდენობით. აქცია გამოსყიდული უნდა იყოს მისი საბაზრო ღირებულებით. გარდა იმ შემთხვევებისა, როცა აქციათა დაბალი ლიკვიდურობის ან სხვა მიზეზების გამო კანონით დადგენილია აქციათა სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის სხვა წესი. ასეთი წესის გამოყენებისას სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭომ სათანადოდ უნდა დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება. სააქციო საზოგადოების ინიციატივით გამოსასყიდი აქციების

⁶ Федеральный закон “Об акционерных обществах” с постратейными комментариями, Под редакцией О. Никифоровой и В. Фомийского, М., 1996, стр. 153.

ოდენობისა და გამოსყიდვის ფასის შესახებ გადაწყვეტილება მიღებული უნდა იყოს ერთ თვეში, ხოლო აქციების გამოსყიდვის თანხის გადახდა უნდა განხორციელდეს გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს 30 დღისა. თუ აქციონერი არ ეთანხმება გადაწყვეტილებას აქციათა ფასის შესახებ, მას შეუძლია გადაწყვეტილებას გამოტანიდან ორი კვირის განმავლობაში მიმართოს სასამართლოს.

კანონით ზუსტად არის განსაზღვრული შემთხვევები, როცა აქციათა გამოსყიდვა არ დაიშვება. მეწარმეთა შესახებ კანონის 53¹ მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, გამოსყიდვა არ შეიძლება თუ: ა) გამოსყიდვის შედეგად საზოგადოების საკუთარი კაპიტალი 15000 ლარზე ნაკლები იქნება; ბ) აქციების გამოსყიდვისათვის გადასახდელი თანხა აღემატება საკუთარი კაპიტალის 25%-ს. თუ გამოსასყიდად შემოთავაზებულია იმაზე მეტი აქცია, ვიდრე ეს კანონითაა განსაზღვრული, მაშინ ისინი გამოსყიდული უნდა იყოს სხვადასხვა გამყიდველთაგან პროპორციულ საფუძველზე. თავისი ინტერესების დაცვის მიზნით აქციონეროს ინიციატივით აქციის გამოსყიდვის მოთხოვნაც კანონის მიერ დეტალურადაა რეგულირებული. საზოგადოებამ, რომელიც აპირებს ზოგიერთი აქციონერის უფლებების შემლახავი გადაწყვეტილების მიღებას, შესაბამისი საერთო კრების მოწვევის შეტყობინებაში დეტალურად უნდა აღწეროს გადასაწყვეტი საკითხი, მასთან დაკავშირებული გამოსყიდვის მოთხოვნის უფლება და მისი განხორციელების წესი. მისი ინტერესების საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღებიდან 45 დღის განმავლობაში აქციონერს უფლება აქვს წერილობით მოთხოვოს საზოგადოებას თავისი აქციების გამოსყიდვა და საზოგადოებაც ვალდებულია ერთი თვის ვადაში გადაუხადოს აქციონერს აქციათა ღირებულება. აქციონერს არა აქვს უფლება საზოგადოებას თავისი აქციების გამოსყიდვა მოსთხოვოს იმ შემთხვევებში თუ: ა) მის მიერ სრულად არ არის შეტანილი ამ აქციების შესაბამისი შესატანი, ბ) მან ეს აქციები შეიძინა მას შემდეგ, რაც იმ კრების მოწვევის შესახებ შეატყობინეს, რომელიც მისი ინტერესების საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღებას აპირებდა.

სააქციო საზოგადოებას აქციების გამოსყიდვა შეუძლია ნებისმიერი სახსრების, მათ შორის

ღვიდენდების საფუძველზეც იმ პირობის დაცვით, რომ საწესდებო კაპიტალის დადგენილი მინიმალური ოდენობა არ უნდა შემცირდეს. მეწარმეთა შესახებ კანონში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ აღნიშნულთაგან აქციების რომელიმეს გამოსყიდვა უნდა მოხდეს უპირატესად. ამ საკითხის გარკვევას სერიოზული იურიდიული მნიშვნელობა გააჩნია. შესაძლებელია სააქციო საზოგადოებამ, ამა თუ იმ მიზეზის გამო, გადაწყვიტოს საწესდებო კაპიტალის შემცირება თავისი აქციონერებისაგან აქციათა განსაზღვრული რაოდენობის გამოსყიდვის გზით. ამასთან, აქციონერთა ერთმა ნაწილმა შეიძლება თავისი უფლებების შელახვის მოტივით საზოგადოებას მოსთხოვოს თავიანთი აქციების გამოსყიდვა. რადგან პირველი შემთხვევისათვის გამოსყიდვას სავალდებულო ხასიათი არ გააჩნია, თანაც აქციათა გამოსყიდვა საზოგადოების რეალური მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით უნდა მოხდეს და გამოსასყიდ აქციათა ოდენობას თვითონვე განსაზღვრავს, ხოლო მეორე შემთხვევაში გამოსყიდვა სავალდებულოა და წინასწარ არ არის განსაზღვრული გამოსასყიდ აქციათა რაოდენობა. იგულისხმება რომ ასეთ შემთხვევაში აქციონერი კრედიტორის როლში გამოდის და მისი მოთხოვნა უპირატესად უნდა დაკმაყოფილდეს კანონის ფარგლებში. შემდეგ კი, შესაძლებელია დარჩენილი ქონების ოდენობის გათვალისწინებით მოხდეს საწესდებო კაპიტალის ნებაყოფლობით შესამცირებლად აუცილებელი აქციების გამოსყიდვა. ჩემი აზრით, მიზანშეწონილი იქნება თუ ეს დებულება აისახება კანონში მეწარმეთა შესახებ.

აქციების გამოსყიდვის ყველა შემთხვევაში საწესდებო კაპიტალი შესაბამისად მცირდება, ხოლო გამოსყიდული აქციები უქმდება. აქედან გამომდინარე, გამოსყიდული აქციები არ იძლევა ხმის უფლებას და მათზე არ ხდება ღვიდენდების დარიცხვა. რადგან აქციათა ღირებულების გადახდა კანონით ზუსტად განსაზღვრულ ვადაში უნდა მოხდეს, იგულისხმება, რომ საწესდებო კაპიტალიც შესაბამისად იმავე ვადაში შემცირდება.

როგორც აღინიშნა, საწესდებო კაპიტალის გაზრდაცა და შემცირებაც მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა ეს გათვალისწინებულია

საზოგადოების წესდებით და თანაც შესაბამისი ცვლილებები შევა მასში.

სააქციო საზოგადოების წევრისათვის გამოსყიდული აქციების საფასურის მიცემა საწესდებო კაპიტალის შემცირების რეგისტრაციისა და წესდებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანის გარეშე, კანონის მოთხოვნათა დარღვევად ითვლება და პარტნიორისაგან იმ სახსრების უკან დაბრუნების ვალდებულებას ედება საფუძვლად, რომელიც მან უკანონოდ მიიღო საზოგადოებისაგან. ამასთან, ასეთი მოქმედებით წარმოშობილი ზიანისათვის პასუხი უნდა აგოს სამეთვალყურეო საბჭოს იმ წევრებმა, რომელთა არამართლზომიერი ქმედების შედეგია საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანი. მსგავს შემთხვევაში სამართალდამრღვევი პირისათვის ქონებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება სააქციო საზოგადოების კრედიტორთა ინტერესების დაცვის აუცილებლობიდან გამომდინარეობს. სწორედ ამიტომაც აუცილებელია, რომ საწესდებო კაპიტალის შემცირების შესახებ საზოგადოებამ წერილობითი ფორმით აცნობოს მის კრედიტორებს. თუ ისინი მიიჩნევენ, რომ მისი მოთხოვნა სათანადოდ არ არის გარანტირებული, შეუძლიათ საზოგადოებას მოთხოვონ თავის ვალდებულებათა შეწყვეტა ან ვადამდე შესრულება და ამასთან დაკავშირებული ზიანის ანაზღაურება. სააქციო საზოგადოებამ არა მარტო თავის კრედიტორებს უნდა აცნობოს საწესდებო კაპიტალის შემცირების შესახებ, არამედ სამეწარმეო რეესტრშიც უნდა წარადგინოს სათანადო ცნობა იმის შესახებ, რომ კრედიტორები თავის დროზე იყვნენ ინფორმირებულნი ამის შესახებ. ასეთი წესი სავსებით შეესაბამება როგორც საზოგადოების, ისე მისი კრედიტორების კანონიერ ინტერესებს და არავითარ შემთხვევაში არ ზღუდავს საზოგადოების პარტნიორთა უფლებებს, როგორც ეს ზოგიერთ ავტორს მიაჩნია.⁷ კომერციული ბანკის, როგორც სააქციო საზოგა-

დოების, საწესდებო კაპიტალის შემცირებაც იმავე გზებითა და საშუალებებით ხდება, რითაც სხვა საზოგადოებებისა, ერთი თავისებურების გათვალისწინებით. კერძოდ, კომერციული ბანკის მიერ აქციონერებისაგან აქციების გამოსყიდვა უნდა მოხდეს ეროვნული ბანკის წერილობითი თანხმობის საფუძველზე. კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი აშკარა წინააღმდეგობაშია მეწარმეთა შესახებ კანონში დამატებით შეტანილი 53¹ მუხლის პირველ ნაწილთან, რომლის მიხედვითაც აქციონერს უფლება აქვს საზოგადოებას მოსთხოვოს თავისი აქციების შეფასება და გამოსყიდვა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ე. ი. საზოგადოება, ერთი მხრივ, ვალდებულია აქციონერისაგან გამოისყიდოს აქციები, მეორე მხრივ კი, გამოსყიდვა შეუძლებელია თუ ეროვნული ბანკის თანხმობა არ არსებობს. მართალია, კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ კანონში, ძირითადად, ლაპარაკია აქციათა ისეთ გამოსყიდვაზე, რომელიც ბანკის ინიციატივით უნდა მოხდეს საწესდებო კაპიტალის წინასწარ განსაზღვრული ოდენობით შემცირების მიზნით, მაგრამ საწესდებო კაპიტალის შემცირება მაშინაც ხომ ხდება, როცა აქციონერის მოთხოვნით საზოგადოება ვალდებულია და არა უფლებამოსილი გამოისყიდოს აქციები. უკანასკნელ შემთხვევებშიც ვრცელდება აქციათა გამოსყიდვაზე ეროვნული ბანკის თანხმობის აუცილებლობა. ამიტომ მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს აქციონერის მხრივ კანონიერი მოთხოვნის საფუძველზე კომერციული ბანკის მიერ აქციათა გამოსყიდვის ეროვნული ბანკის თანხმობის გარეშე - ან კომერციული ბანკების აქციონერებს, სხვებისაგან განსხვავებით, არ უნდა მიენიჭოთ საზოგადოებისათვის აქციათა შეფასებისა და სავალდებულო გამოსყიდვის მოთხოვნის უფლება და ეს უნდა აისახოს კანონმდებლობაში.

ეკა შენგელია,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის მასწავლებელი.

⁷ დ. ძიძიგური, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართლებრივი რეგულირების პრობლემები, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1997, გვ. 96.

სისხლის სამართალი, კრიმინოლოგია

ელზა გურგენიძე

პასუხისმგებლობა კრედიტის უკანონოდ მიღებისათვის

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ფულად-საკრედიტო სისტემის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების დარღვევამ შემაშფოთებელი და მასობრივი ხასიათი მიიღო, მოახდინა ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური სფეროების დესტაბილიზაცია. ამ პროცესის შეჩერება შესაძლებელი იყო, პირველ რიგში, შესაბამისი სამართლებრივი ნორმების მეშვეობით, რომლებიც საბაზრო ეკონომიკის სფეროში მოღვაწეთა საქმიანობას მოაწესრიგებდა. ამ მიმართულებით სისტემატური მუშაობა მიმდინარეობს; ფულად-საკრედიტო სისტემაში არსებულ ურთიერთობათა მარეგულირებელმა სამართლებრივმა ბაზამ 1994 – 2000 წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა.

2000 წლის 1 ივნისს ამოქმედდა საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კოდექსი (ტექსტში შემდგომ – სსკ). მასში აისახა სისხლისსამართლებრივი ნორმები, რომლებიც დანაშაულთა რიცხვს მიაკუთვნებენ ფულად-საკრედიტო სფეროში საქმიანობის ზოგიერთ სახეს. ეს ნორმები მოცემულია კოდექსის XXVI, XXVII და XXVIII თავებში (მუხ. 192 – უკანონო სამეწარმეო საქმიანობა; მუხ. 193 – ცრუ მეწარმეობა; მუხ. 194 – უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია; მუხ. 204 – საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევა; მუხ. 208 – კრედიტის უკანონოდ მიღება; მუხ. 210 – ყალბი საკრედიტო ან საანგარიშსწორებო ბარათის დამზადება ან გასაღება; მუხ. 218 – გადასახადისათვის თავის არიდება და სხვა). მიუხედავად ახალი ნორმებისა, პრობლემები ძველი დარჩა: სასამართლო სისტემის მოუქნელობა, სამართალ-

დამცავი ორგანოების მოქმედებათა არაკოდინირებულობა, დანაშაულთა შემადგენლობების ფორმულირების არაკონკრეტულობა და სხვა.

განვიხილოთ ფულად-საკრედიტო სისტემის წინააღმდეგ მიმართული ისეთი დანაშაული, როგორცაა კრედიტის უკანონოდ მიღება (მუხ. 208). ეს მუხლი „მიზნად ისახავს ქვეყნის საფინანსო სისტემისა და ეკონომიკური ბრუნვის ცალკეულ მონაწილეთა კანონიერი ინტერესების დაცვას“¹. სსკ-ში მისი შეტანა განაპირობა კრედიტების დაუბრუნებლობის პრაქტიკის გავრცელებამ. ბანკირებისათვის ეს გადაუჭრელი პრობლემა გახდა, რაც კანონზომიერი შედეგი იყო ძველი სისხლის სამართლის კოდექსის ნორმების დისპოზიციების და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში ჩადენილ სამართალდარღვევათა სახეების შეუსაბამობისა.

ამჟამად არის მცდელობა საკრედიტო ორგანიზაციების ინტერესების დაცვისა (თუ, რა თქმა უნდა, ამას თვით საკრედიტო დაწესებულება არ შეუშლის ხელს) მსესხებელზე გაცემული კრედიტის დაუბრუნებლობის შემთხვევაში, როდესაც დატაცების განზრახვის დამტკიცება შეუძლებელი ან გაძნელებულია. ამისათვის პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია სწორედ სსკ-ის 208-ე მუხლით.

დაკრედიტების პროცესი დაკავშირებულია მრავალი, სხვადასხვა რისკის ფაქტორის მოქმედებასთან, რომლებსაც შეუძლია გამოიწვიოს

¹ მ. ლეკვეიშვილი, გ. მამულაშვილი, პასუხისმგებლობა ეკონომიკური დანაშაულისათვის (კომენტარი), თბილისი, „მერიდიანი“, 1999, გვ. 126-127.

სესხის განსაზღვრულ (დათქმულ) ვადაში დაუფარაობა. ეს ფაქტორები შეიძლება იყოს როგორც ობიექტური (ეკონომიკური აქტივობის დაცემა იმ დარგში, რომელშიც მსესხებელი მუშაობს, ბაჟისა და გადასახადის მომატება, რის შედეგადაც ვერ მიიღეს სასურველი მოგება და ა.შ.), ისე სუბიექტური (მსესხებელი ორგანიზაციის ხელმძღვანელისა თუ მეწარმის პირად თვისებებზე დამოკიდებული). გაცემული სესხების დაუფარაობის შემთხვევათა მნიშვნელოვანი ნაწილი დაკავშირებულია მსესხებლის განზრახ მართლსაწინააღმდეგო ქმედებასთან.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ მოცემული მუხლი ითვალისწინებს რამდენიმე დამოუკიდებელ შემადგენლობას:

1. კრედიტის მიღების მიზნით ბანკისათვის ან სხვა კრედიტორისათვის სამეურნეო ან ფინანსური მდგომარეობის შესახებ ყალბი ცნობის მიწოდება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

2. კრედიტის ოდენობის გაზრდის ან შეღავათიანი კრედიტის მიღების მიზნით ბანკისათვის ან სხვა კრედიტორისათვის სამეურნეო ან ფინანსური მდგომარეობის შესახებ ყალბი ცნობის მიწოდება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

3. სახელმწიფო მიზნობრივი კრედიტის უკანონოდ მიღება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

4. სახელმწიფო მიზნობრივი კრედიტის არადანიშნულებისამებრ გამოყენება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

აქ მოხსენიებულ დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური მხარის ნიშნებთან დაკავშირებით იურისტებს სხვადასხვა აზრი აქვთ. და რადგან დღესდღეობით არ არსებობს არა მართო პუბლიკაციები ამ მუხლის პრაქტიკულად გამოყენების შესახებ, არამედ თვით მისი გამოყენების ხანგრძლივი პრაქტიკაც, საჭიროდ მიგვაჩნია კრედიტის უკანონოდ მიღების, როგორც დანაშაულის კვალიფიკაციის საკითხთან დაკავშირებული განსხვავებული პოზიციებისა და სათანადო არგუმენტაციის განხილვა.

სსკ-ის 208-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის უშუალო ობიექტი რთული ხასიათისაა, ვინაიდან მოცემული ქმედება ერთდროულად რამდენიმე სახის საზოგადოებრივ ურთიერთობას ხელყოფს.

დანაშაულის (კრედიტის მიღების მიზნით ბანკისათვის ან სხვა კრედიტორისათვის სამეურნეო

ან ფინანსური მდგომარეობის შესახებ ყალბი ცნობის მიწოდება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია) ძირითადი უშუალო ობიექტია საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც უზრუნველყოფს სამოქალაქო-სამართლებრივ ხელშეკრულებაზე დაფუძნებულ კრედიტორის ვალდებულებას გასცეს კრედიტის სახით ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, და მის უფლებას, მიიღოს დათქმული ანაზღაურება პროცენტებით.

მოცემული დანაშაულის დამატებითი ობიექტია საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის გვარეობით ობიექტს მიკუთვნებული საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც უზრუნველყოფს კრედიტორის უფლებას, უცილოდ ბათილი (არარა) გარიგების დადების შემთხვევაში (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 61-ე მუხლი) განკარგოს კრედიტის სახით გადაცემული ქონება, როგორც საკუთარი.

უცილოდ ბათილი (არარა) გარიგების დადებისას კრედიტორი გადაცემულ ქონებაზე ინარჩუნებს საკუთრების უფლებას, ანუ მას არ ეკისრება შესაბამისი ვალდებულება გადასცეს ქონება კრედიტის სახით.²

შეღავათიანი კრედიტის უკანონოდ მიღების უშუალო ობიექტი შინაარსით განსხვავდება ზემოთ აღნიშნული დანაშაულის ძირითადი უშუალო ობიექტისაგან. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ იგი მთლიანად მოიცავს სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის გვარეობითი ობიექტის შინაარსს. ხელყოფის შესაბამისი ობიექტის შინაარსია: ა) საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც უზრუნველყოფს კრედიტორის უფლებას, აგრეთვე მის მოვალეობას, გასცეს მსესხებელზე შეღავათიანი კრედიტი, გამომდინარე კანონის მოთხოვნებიდან ან სამეურნეო პრაქტიკიდან; ბ) საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც უზრუნველყოფს კრედიტორის უფლებას, გასცეს შეღავათიანი კრედიტი მხოლოდ სათანადო საფუძვლის არსებობისას.

დაწვრილებით განვიხილოთ დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური მხარის თითოეული ნიშანი:

² Гаухман Л. Д., Максимов С. В., Преступления в сфере экономической деятельности, М., ЮрИнфор, 1998, с.95.

1. კრედიტის მიღების მიზნით ბანკისათვის ან სხვა კრედიტორისათვის სამეურნეო ან ფინანსური მდგომარეობის შესახებ ყალბი ცნობის მიწოდება.

ამ შემთხვევაში დანაშაულებრივი მოქმედების არსია საკრედიტო ორგანიზაციის მოტყუება მისთვის სამეურნეო ან ფინანსური მდგომარეობის შესახებ ყალბი ცნობის მიწოდებით.

ყალბი ცნობა - ის არასწორი მონაცემია, რომლის შესახებაც მსესხებელმა დანამდვილებით იცის, რომ ის ამახინჯებს ან ფარავს საქმის ჭეშმარიტ ვითარებას, რომ მასში შეგნებულად არის შეტანილი არასწორი (მათ შორის, არასრული) მონაცემები, რომლებიც ამახინჯებენ წარმოდგენილი ინფორმაციის აზრსა და შინაარსს, რის შედეგადაც გაკეთებულია მცდარი შეფასება. ეს ყალბი ცნობა შეიცავს მონაცემებს მსესხებლის სამეურნეო ან ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

სამეურნეო მდგომარეობა - ეს გარე და შიგა გარემოებების ერთობლიობაა, რაც ორგანიზაციის მიერ ეკონომიკური მეურნეობის წარმოების (გაძღოლის) და მისი საწარმოო მხარის დამახასიათებელია.

სამეურნეო მდგომარეობის შესახებ ყალბ ცნობად ითვლება:

ა) ყალბი მონაცემები დამფუძნებლების, ხელმძღვანელების, აქციონერების, საწარმოს ძირითადი პარტნიორების, კავშირების, სხვა ფირმებთან კოოპერაციის შესახებ;

ბ) ყალბი საგარანტიო წერილი, თავდებობა, მატერიალური ფასეულობა, გირაოდ წარმოდგენილი ქონება, რომელზედაც არ შეიძლება გადახდევინების მიქცევა; იმ ქონების ნამდვილი ღირებულების განცხადებულთან შეუსაბამობა, რომელიც დამგირავებლის საკუთრება არ არის;

გ) ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება, რომელშიც გაყალბებულია საკრედიტო საშუალების გამოყენების ძირითადი მიმართულებები, კონკრეტული სამეურნეო ოპერაციები;

დ) ყალბი ხელშეკრულება, საგადასახადო, სატრანსპორტო და სხვა დოკუმენტები იმ სამეურნეო ოპერაციის შესახებ, რომლისთვისაც გამოითხოვება კრედიტი;

ე) ყალბი ხელშეკრულება და სხვა დოკუმენტები, რომლებიც სწორად არ ასახავენ მსესხებლის მიერ თავისი პროდუქციის რეალიზაციის

შესაძლებლობას, მის კონკურენტუნარიანობას, ღირებულებას და ბაზრის მდგომარეობას;

ვ) გაყალბებული მონაცემები სასაწყობო და ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ.³

ფინანსური მდგომარეობა - ეს ისეთი მდგომარეობაა, რომელიც განსაზღვრავს ფულადი სახსრების სისტემასა და ერთობლიობას, მათ ფორმირებასა და განაწილებას. ფინანსური მდგომარეობის შესახებ ყალბ ცნობას განეკუთვნება: ა) ყალბი ბუღალტრული დოკუმენტები საგადასახადო ორგანოში რეგისტრაციის შესახებ, რომლებშიც ფინანსური მდგომარეობა წარმოდგენილია უკეთ, ვიდრე სინამდვილეშია; ბ) ყალბი ცნობები დებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებაზე, სხვა ბანკებში მიღებულ კრედიტებსა და სესხებზე; გ) ყალბი ამონაწერები საანგარიშსწორებო და მიმდინარე ანგარიშებიდან და სხვა.

ცნობის მიწოდება - დოკუმენტაციის გაგზავნა ან სხვაგვარი გადაცემა (ჩაბარება) საკრედიტო ორგანიზაციის ქვედანაყოფისათვის ან მისი უფლებამოსილი პირისათვის ნებისმიერი გზით: ფოსტით, ტელეგრაფით, შიკრიკის მეშვეობით და ა.შ.

ასეთი ყალბი ცნობის საფუძველზე კრედიტორი მცდარ შეფასებას აკეთებს მსესხებლის სამეურნეო და ფინანსური მდგომარეობის შესახებ და, მაშასადამე, კრედიტის ოდენობისა და მსესხებლის მიერ სესხის დაბრუნების შესაძლებლობის თაობაზე. მსესხებელს რომ სწორი ცნობა წარედგინა, შეიძლება კრედიტორს კრედიტი საერთოდ არ გაეცა ან გაეცა უფრო მცირე რაოდენობით, ანდა გაეზარდა სესხზე საპროცენტო განაკვეთი ღირის რისკის გამო, ან მოეთხოვა გაცემული კრედიტის დაბრუნების უფრო საფუძვლიანი უზრუნველყოფა და სხვა.

სააქციო საზოგადოება „იბერია“-ს ხელმძღვანელმა მ-მ წარმოადგინა კრედიტის მისაღებად საჭირო, უტყუარი ცნობების შემცველი ყველა დოკუმენტი და ბანკის საკრედიტო განყოფილების უფროსთან ლ-სთან საუბარში აღნიშნა, რომ აქვს მნიშვნელოვანი კავშირები მთავრობაში, რის მეშვეობითაც შეძლებს ეფექტიანად გამოიყენოს მიღებული კრედიტი და დროულად გაასწოროს ან-

³ Волженкин Б.В., Экономические преступления, СПб, 1999, с.117; Ларичев В. Д., Злоупотребления в сфере банковского кредитования. Методика их предупреждения, М., ЮрИнфор, 1997, с. 63-64.

გარიში ბანკთან. ფირმა „იბერია“-ს მიერ კრედიტის უზრუნველსაყოფად შემოთავაზებული იყო ტექნოლოგიური მოწყობილობა, რომლის ლიკვიდურობამაც ბანკი დააეჭვა. მაგრამ ლ-ზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მ-ს ნათქვამმა, თითქოს ფირმას, რომელსაც ის ხელმძღვანელობდა, საზღვარგარეთ ჰყავდა დიდი საზღვაო გემი, რომელზედაც მ. მთავრობის ერთ-ერთ წევრთან ერთად ისვენებდა. ამის შედეგად კრედიტი გაიცა. მიღებული თანხა მ-მ ძალზე სარისკო ოპერაციებისათვის გამოიყენა, რის გამოც კრედიტისა და მასზე პროცენტების დაბრუნება ვეღარ შეძლო.

როდესაც ბანკმა მოითხოვა ახსნა-განმარტება და დაიწყო შემოწმების ჩატარება, აღმოჩნდა, რომ მ-ს ნაამბობი რეალობას არ შეესაბამებოდა, მაგრამ მის მიერ ბანკში წარდგენილი დოკუმენტები ყალბი არ იყო. ტყუილი, რომლის მეშვეობითაც მ-მ კრედიტის მიღებას მიაღწია, იყო არა წერილობითი, არამედ ზეპირი. ამიტომაც ბანკს სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარი უთხრეს.

მკვლევართა უმრავლესობის აზრით, ბანკში წარდგენილი ინფორმაცია ქალაქზე უნდა იყოს დაფიქსირებული. ცნობები უნდა იყოს ოფიციალური და უნდა ქმნიდეს უტყუარობის ისეთ ილუზიას მაინც, რომ შეცდომაში შეიყვანოს კრედიტორი. ამ შემადგენლობის ნიშნებად არ გამოდგება სხვადასხვა ცნობები სათანადო გაფორმების გარეშე: ზეპირი ცნობა, პირადი რწმუნება და სხვა. ამასთან, თუ მხედველობაში მივიღებთ აღწერილ სიტუაციას და იმასაც, რომ ძირითადად მსესხებლის (მსესხებელი ორგანიზაციის ხელმძღვანელის) მოქმედება არ ითვალისწინებდა კრედიტის დაუბრუნებლობას, გამოდის, რომ მ-ს მიერ ჩადენილის მსგავსი დანაშაული შეიძლება დაუსჯელი დარჩეს.

ჩემი აზრით, ცნობის ცნება არ უნდა განიმარტოს შეზღუდულად. ყალბი ცნობა, რომელიც გავლენას ახდენს ბანკის მოსამსახურის გადაწყვეტილებაზე კრედიტის გაცემის ან დაკრედიტების შეღავათიანი პირობების შექმნის მიზნით, შეიძლება ნებისმიერ ხასიათს ატარებდეს.

შეიძლება თუ არა ასეთ ცნობას მივაკუთვნოთ მონაცემები (რომლებთან მიმართებაშიც სიცრუე შეფასდება, როგორც დანაშაულის ელემენტი), რომლებიც საკრედიტო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფას ეხება? ეს პრობლემა დიდ

ინტერესს იწვევს, მიუხედავად იმისა, რომ წარმოიშობა მხოლოდ ზოგიერთი სახის ვალდებულებასთან დაკავშირებით. თუ პირი უზრუნველყოფის სახით წარმოადგენს ვითომ მის კუთვნილ, სინამდვილეში კი სხვის ქონებას, ეჭვს არ ბადებს ამ ტყუილის პირდაპირი შეხება მსესხებლის რეალურ სამეურნეო მდგომარეობასთან.

სხვა საქმეა საბანკო გარანტია. ინდივიდუალურმა მეწარმემ ს-მ კრედიტის მისაღებად ბანკში ყალბი გარანტია წარადგინა. კრედიტის დაუბრუნებლობის და ბანკის დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე სსკ-ის 180-ე მუხლით – „თაღლითობა“. ქმედების თაღლითობად კვალიფიკაციისათვის უნდა დამტკიცებულიყო, რომ ს-ს ან შეგნებული ჰქონდა კრედიტის დაბრუნების შეუძლებლობა, ან გაცნობიერებული ჰქონდა მხოლოდ მისი ალბათობა, მაგრამ ნამდვილად სურდა, არ დაებრუნებინა კრედიტი. რადგანაც ს-ს ეს სურვილი ვერ დამტკიცდა, დადგა კოდექსის ისეთი „სარეზერვო“ მუხლის გამოყენების საკითხი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნებოდა მისი პასუხისმგებებაში მიცემა. მაგრამ სსკ-ის 208-ე მუხლი არ ჩაითვალა შესაბამის მუხლად და საქმე მის წინააღმდეგ შეწყდა.⁴

საქმის შეწყვეტა დაფუძნებული იყო იმ მოსაზრებაზე, რომ კრედიტის მიღების დროს ხშირად გაყალბების საგანია საგარანტიო წერილი (გარანტიით გასაცემ კრედიტებში), რომელიც ოფიციალური დოკუმენტების რიცხვს მიეკუთვნება და ადასტურებს გარანტის გადახდისუნარიანობას. ყალბი საგარანტიო ვალდებულება, წარმოდგენილი მსესხებლის შესახებ უტყუარ ცნობებთან ერთად, სსკ-ის 208-ე მუხლით გათვალისწინებულ შემადგენლობას არ ქმნის, ვინაიდან კანონი მიუთითებს მეწარმის ან ორგანიზაციის სამეურნეო ან ფინანსური მდგომარეობის შესახებ ყალბ ცნობაზე. მოცემულ შემთხვევაში კი სიყალბე ეხება მესამე პირის – გარანტის გადახდისუნარიანობას.

ზოგიერთი ავტორი გამოთქვამს სინანულს იმის თაობაზე, რომ გარანტია და თავდებობა უშუალოდ არ მიუთითებს სამეურნეო მდგომარეობაზე. სსკ-ის 208-ე მუხლის პირველი ნაწილის სიტყვასიტყვითი (პირდაპირი) განმარტება საშუალებას არ იძლევა, სათანადო სისხლისსამართლებრივი

⁴ Лопашенко Н.А., Преступления в сфере экономической деятельности, Ростов-на-Дону, 1999, с. 118.

შეფასება მიეცეს კრედიტის მოტყუებით მიღების მრავალ საზოგადოებისათვის საშიშ შემთხვევას, რომელმაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია⁵.

სხვა მეცნიერები საწინააღმდეგო აზრს ემხრობიან და თავიანთ პოზიციას იმით ასაბუთებენ, რომ ინფორმაცია, რომელსაც საგარანტიო წერილი შეიცავს, გავლენას ახდენს კრედიტორზე და იგი გასცემს კრედიტს. ეს არგუმენტი არ ეხება დისკუსიის არსს, ვინაიდან არ პასუხობს კითხვას, მივიჩნიოთ თუ არა ეს მონაცემები მსესხებლის სამეურნეო მდგომარეობის შესახებ ცნობად.

დასმულ კითხვაზე დადებითი პასუხის დამატებითი არგუმენტაცია შეიძლება იყოს ის, რომ მსესხებლის სამეურნეო და ფინანსური მდგომარეობა საკმაოდ ბუნდოვანი კატეგორიებია და ისინი არ შეიცავს არაფერს ისეთს, რაც საშუალებას მოგვცემდა მათი იმდენად ვიწრო ინტერპრეტაციისათვის, როგორც ამას ნ. ლოპაშენკო აკეთებს⁶. ამასთან ერთად, ძნელია უარყო, რომ სამეურნეო ან ფინანსურ მდგომარეობას (მათი გამიჯვნა კი არც ისე იოლია) უნდა მიეკუთვნოს, მაგალითად, დებიტორული დავალიანება. მაგრამ საგარანტიო წერილიც ხომ შეიცავს (ყოველ შემთხვევაში – ბანკთან მიმართებაში, რომლის უფლებამოსილი პირებიც მოტყუებულ იქნენ) რწმუნებას, რომ იმას, ვისი სახელითაც შედგენილია საგარანტიო წერილი, მსესხებლის წინაშე აღებული აქვს ვალდებულება, რომელიც შესრულდება, თუ თვითონ მსესხებელი ვერ შეძლებს კრედიტორთან ანგარიშის გასწორებას. შესაბამისი ვალდებულება მსესხებლის ისეთივე აქტივია (თუნდაც ზოგადად და არა ამ სიტყვის იურიდიულ-ეკონომიკური მნიშვნელობით), როგორც დებიტორული დავალიანება. ამიტომ ყალბი საგარანტიო წერილის წარდგენა უნდა მივაკუთვნოთ ტყუილს, რომლის ნიშნებიც სსკ-ის 208-ე მუხლის პირველ ნაწილშია მითითებული.

2. კრედიტის ოდენობის გაზრდის ან შეღავათიანი კრედიტის მიღების მიზნით ბანკისათვის ანდა სხვა კრედიტორისათვის სამეურნეო ან ფინანსური მდგომარეობის შესახებ ყალბი ცნობის მიწოდება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

⁵ Горелик А. С., Шишко И. В., Хлупина Г. Н., Преступления в сфере экономической деятельности и против интересов службы в коммерческих и иных организациях, Красноярск, 1998, с. 48.

⁶ Лопашенко Н. А., указ. соч., с. 118.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 867-ე და 868-ე მუხლების (საბანკო კრედიტი) თანახმად, „საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით კრედიტის გამცემი აძლევს ან მოვალეა მისცეს მსესხებელს სასყიდლიანი კრედიტი სესხის ფორმით“; „მხარეთა შეთანხმებით კრედიტორისათვის განისაზღვროს მყარი ან ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი... სამართლიანობის საფუძველზე“; „პროცენტის ცვალებადობა უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს ეროვნული ბანკის სადისკონტო განაკვეთს ან ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონზე დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთს“ და ა.შ.

ამგვარად, შეღავათიანი კრედიტი დაკრედიტების უფრო ხელსაყრელი პირობაა, რომელსაც ბანკი ან სხვა კრედიტორი უქმნის მსესხებელთა განუსაზღვრელ რაოდენობას. და მაინც, დაკრედიტების რა პირობები შეიძლება მივაკუთვნოთ შეღავათიანს?

პირზე, როგორც მსესხებელზე, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, გარკვეული გარემოებების არსებობისას ეკუთვნის შეღავათები, დაკრედიტების შეღავათიანი პირობები არ ვრცელდება „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ და „კომერციული ბანკების შესახებ“ საქართველოს კანონების თანახმად. შეღავათიან დაკრედიტებასთან დაკავშირებით დღეს საერთო აზრი არ არსებობს. მაგალითად, ა. ჟალინსკის მიხედვით, იგი გულისხმობს შეღავათებს, რომლებიც შესაბამისი ნორმატიული აქტებით ენიჭება მსესხებელს, როგორც მოქალაქეს, მის მხარეს შეღავათების განმაპირობებელი გარემოებების არსებობისას.⁷ ვ. ლარინჩევის აზრით კი, ესაა კრედიტორის ნება-სურვილით, საკრედიტო ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლებში მიცემული შეღავათები (მაგალითად, კრედიტის გაცემა უზრუნველყოფის გარეშე ან არასრული უზრუნველყოფით).⁸

აქედან გამომდინარე, ბანკი ან სხვა კრედიტორი დამოუკიდებელია თავისი საქმიანობის განხორციელებაში და არც ერთ სახელმწიფო ორგანოს არა აქვს უფლება, მას თავს მოახვიოს საკუთარი „თამაშის წესები“.

საკრედიტო ხელშეკრულების ყველა პირობა

⁷ Жалинский А. Э., Комментарий к Уголовному кодексу РФ/под ред. Ю. И. Скурагова, В.М. Лебедева/ М., Издательская группа НОРМА-ИНФРА, изд.2, 1998, с. 398.

⁸ Ларичев В. Д., указ. соч., с. 63.

არ შეიძლება მიეკუთვნოს შეღავათიანს. ასეთად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ არსებითი პირობები. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეული უნდა იყოს შეთანხმება, ანდა რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ“ (იხ. ასევე კოდექსის 416-ე, 868-ე, 879-ე მუხლები და სხვა).

დღესდღეობით კრედიტორები ითხოვენ სხვადასხვა სახის ხელშეკრულების დადებას, რომელიც მსესხებლის მიერ ვალდებულების შესრულებას ითვალისწინებს, ეს კი ამ უკანასკნელისთვის გარკვეულ უზრუნველობას ქმნის. ამიტომ მსესხებელს შეუძლია მოითხოვოს, რომ არ დაიდოს ამგვარი ხელშეკრულება, და მიაღწიოს კიდევ შეთანხმებას, რაც იმას ნიშნავს, რომ მსესხებლის კრედიტის დაბრუნებასთან დაკავშირებული ვალდებულების უზრუნველყოფა უნდა მიეკუთვნოს დაკრედიტების ხელშეკრულების არსებით პირობებს.

ამის საფუძველზე ლარიჩევის განმარტება, რომ შეღავათიან დაკრედიტებას წარმოადგენს კრედიტორის ნება-სურვილით, საკრედიტო ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლებში მიცემული შეღავათები (მაგალითად, კრედიტის გაცემა უზრუნველყოფის გარეშე ან არასრული უზრუნველყოფით), ალბათ სწორია, მაგრამ წმინდა ეკონომიკური შინაარსისაა და რთულია ამ შემადგენლობის ობიექტური მხარის მტკიცების საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში გამოყენება.

მაგალითად, თუ კრედიტორი ნდობის საფუძველზე მისცემს მსესხებელს კრედიტს უზრუნველყოფის გარეშე, თანხის დროულად დაუბრუნებლობის და სამართალდამცავი ორგანოსათვის მიმართვის შემთხვევაში ძნელი იქნება შეღავათიანი დაკრედიტების ფაქტის დამტკიცება, რადგან მსესხებელს შესაძლოა ეს არც კი სცოდნოდ. მისი მოტივაცია შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს, მაგრამ ყველაზე გავრცელებული ასეთია: „მე არ ვიცოდი, რომ ეს პირობა შეღავათს წარმოადგენდა.“ ანალოგიური პასუხის მოსმენა შეიძლება სისხლის სამართლის საქმის გამოძიების დროს. საპროცენტო განაკვეთის შემცირების, კრედიტის ოდენობის გაზრდის და მისი დაბრუნების ვადის გახანგრძლივების შემთხვევაშიც. ამავე დროს, თუ კრედიტორს აქვს შესაბამისი დოკუმენტები, რომლებიც მოწმობს მსესხებლის მიერ

კრედიტორისადმი მიმართვას დაკრედიტებაში შეღავათის გაწევის მიზნით (წერილი-თხოვნა, ტელეგრამა, ფაქსი და სხვა), ანდა თუ არსებობს სხვა გარემოებები (ბანკის მუდმივი კლიენტი და სხვა), დანაშაულის ობიექტური და სუბიექტური მხარეების დამტკიცება საგამოძიებო ორგანოებისათვის გაცილებით იოლი იქნება.

იმისათვის, რომ მსესხებლის ქმედება დანაშაულად ჩაითვალოს, საგამოძიებო ორგანოებმა უნდა დაადგინონ მიზეზობრივი კავშირი მსესხებლის სამეურნეო ან ფინანსური მდგომარეობის შესახებ ყალბი ცნობის წარდგენას, შეღავათიანი კრედიტის მიღებასა და მნიშვნელოვანი ზიანის გამოწვევას შორის. მნიშვნელოვანი ზიანი გამოხატული იქნება კრედიტისა და მასზე პროცენტების დაუბრუნებლობაში.

ამით მსესხებლის ეს ქმედება (სამეურნეო ან ფინანსური მდგომარეობის შესახებ ყალბი ცნობის წარდგენა) ჩაითვლება კრედიტის და არა შეღავათიანი კრედიტის მიღების მიზნით სამეურნეო ან ფინანსური მდგომარეობის შესახებ ყალბი ცნობის მიწოდების ნიშნად.

სამეურნეო ან ფინანსური მდგომარეობის შესახებ ყალბი ცნობის მიწოდების საფუძველზე შეღავათიანი კრედიტის მიღების ნიშნებით დანაშაულის კვალიფიკაციისას საგამოძიებო ორგანოებმა უნდა დაასაბუთონ შეღავათიანი დაკრედიტებით მიყენებული ზიანის გაანგარიშება. აქედან გამომდინარე, შეღავათიანი კრედიტში ძირითადად უნდა ვიგულისხმოთ კრედიტორის მიერ მსესხებელზე მეტი ოდენობის კრედიტის გაცემა, კრედიტის მოხმარებისათვის საპროცენტო განაკვეთის შემცირება და კრედიტის დაბრუნების უფრო ხანგრძლივი ვადა.

დღეისათვის კრედიტორები შეღავათიან კრედიტებს გაცილებით ხშირად გასცემენ თავიანთ აქციონერებსა და მეპაიეებზე. თუ ამ შემთხვევაში კრედიტორი გადაწყვეტილებას იღებს ყალბი ცნობის საფუძველზე, ამ პირთა ქმედებაში არსებობს მოცემული დანაშაულის შემადგენლობა.

მაგრამ როდესაც წარმოდგენილ დოკუმენტებში არ არის ყალბი ცნობა ან როცა შეღავათიანი დაკრედიტების შესახებ გადაწყვეტილებას კრედიტორი იღებს ამ პირთა ბანკისა თუ სხვა საკრედიტო ორგანიზაციის საქმიანობაში მონაწილეობის (აქციონერი, მეპაიე) საფუძველზე, დანაშაულის შემადგენლობა არ არსებობს.

სსკ-ის 208-ე მუხლის პირველი ნაწილით

გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს ინდივიდუალური მეწარმე ან ორგანიზაციის ხელმძღვანელი. ინდივიდუალურ მეწარმეს, ამ დანაშაულთან მიმართებით, არ შეიძლება გავუთანაბროთ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნული პირები, რომლებიც ახორციელებენ ერთჯერად სამეწარმეო საქმიანობას იურიდიული პირის შექმნისა და ინდ. მეწარმედ რეგისტრაციის გარეშე, რადგან ეს ეხება მხოლოდ სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობას. **სუბიექტური მხარე** შეიძლება გამოიხატებოდეს არა მარტო პირდაპირ, არამედ არაპირდაპირ განზრახვაშიც.

3. მიზნობრივი კრედიტის არადანიშნულები-სამებრ გამოყენება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

ვინაიდან ჩვენი კანონმდებლობა არ იძლევა „მიზნობრივი კრედიტისა“ და „სახელმწიფო მიზნობრივი კრედიტის“ გამიჯვნის საშუალებას, ანუ რაკი ჯერჯერობით არ არსებობს არასახელმწიფო მიზნობრივი კრედიტი, მიზანშეუწონლად მიგვაჩნია ამ ორი ცნების სხვადასხვა ნაწილში მოთავსება. უფრო მართებული იქნებოდა ამ მუხლის პირველი ნაწილიდან მოცემული შემადგენლობის ამოღება.

სსკ-ის 208-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის უშუალო ობიექტია საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო ბიუჯეტის ინტერესებს სახელმწიფო მიზნობრივი დაკრედიტების სფეროში.

განვიხილოთ ამ ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური მხარის ნიშნები: **სახელმწიფო მიზნობრივი კრედიტის უკანონოდ მიღება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.**

სახელმწიფო მიზნობრივი კრედიტი – ეს არის კრედიტი, რომელსაც სახელმწიფო გასცემს სამეურნეო კომპლექსის დარგებზე, ორგანიზაციებსა და მოქალაქეებზე ზღვრული ეკონომიკური პროგრამების (კონვერსიული, ინვესტიციური, ტექნიკური ხელშეწყობის) რეალიზაციისათვის, ცალკეული რეგიონების მხარდასაჭერად, სამეურნეო დარგების (სოფლის მეურნეობის, ენერჯეტიკის), კულტურისა და სხვა ხელშესაწყობად, ცალკეული საწარმოების, მეურნეობის მართვის ახალი ფორმების (ფერმერობა, მცირე და საშუალო ბიზნესი) განსავითარებლად, სამუშაო ადგ-

ილების შესაქმნელად, ლტოლვილთა მოსაწყობად, ინდივიდუალური საცხოვრებლების მშენებლობისათვის და სხვა.

სახელმწიფო კრედიტი გაიცემა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ზუსტად განსაზღვრული საჭიროებისათვის, სახელმწიფო (საბიუჯეტო) თანხების ხარჯზე, აგრეთვე უცხოური საინვესტიციო პროგრამების რეალიზაციის გზით. ამ უკანასკნელის შემთხვევაში მიზნობრივი კრედიტის გაცემის უფლებამოსილება საქართველოს ეროვნული ბანკის მეშვეობით ეძლევა შესაბამის კომერციულ ბანკს, ხოლო გარანტიად დგება სახელმწიფო, რაც ამგვარი პროგრამების განხორციელების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია.

სახელმწიფო მიზნობრივი კრედიტის მისაღებად სათანადო უფლების მქონე მსესხებელი წარუდგენს კრედიტორს საჭირო დოკუმენტებს, რომელთა ჩამონათვალი განისაზღვრება კრედიტის მიზნის მიხედვით.

მსესხებლის მიერ სახელმწიფო მიზნობრივი კრედიტის უკანონოდ მიღება არის მის მიერ კრედიტის მიღების შესაძლებლობის შექმნისათვის მართლსაწინააღმდეგო მეთოდებით სარგებლობა და საკრედიტო სახსრების თავისი ინტერესებისათვის გამოყენება. მაგალითად, მსესხებელი, რომელსაც არა აქვს უფლება მიიღოს სახელმწიფო მიზნობრივი კრედიტი, აყალბებს დოკუმენტებს და იღებს კრედიტს. სხვა შემთხვევაში პირი, რომელსაც უფლება აქვს მიიღოს სახელმწიფო მიზნობრივი კრედიტი, აყალბებს ცნობებს თავისი სამეურნეო თუ ფინანსური მდგომარეობის შესახებ ან კონკურსის შედეგებს (თუ კრედიტი გაიცემა კონკურსის საფუძველზე), ანდა აყალბებს დოკუმენტებს, რომლებიც წარმოადგენს კრედიტის დაბრუნების უზრუნველყოფას (ხელშეკრულება გირაოს შესახებ, მუნიციპალური ორგანოების გარანტიები და სხვა).

4. სახელმწიფო მიზნობრივი კრედიტის არადანიშნულები-სამებრ გამოყენება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

როგორც უკვე აღვნიშნე, სახელმწიფო მიზნობრივი კრედიტი გამოყენებული უნდა იყოს მკაცრად განსაზღვრული მიზნით.

ასეთი კრედიტის არადანიშნულები-სამებრ გამოყენებაში იგულისხმება მსესხებლის მოქმედება, რომელიც დაკავშირებულია მიღებული ფულადი სახსრების ისეთ გამოყენებასთან, რომელიც არ

არის გათვალისწინებული ნორმატიულ აქტებსა და საკრედიტო ხელშეკრულებაში. ხშირად კრედიტის არადანიშნულებისამებრ გამოყენება ხდება შემდეგი ფორმით: კომერციული კრედიტის სახით გაცემა; სხვა კომერციული ბანკის სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსება; შენატანების სახით გამოყენება ახალშექმნილ კომერციულ სტრუქტურებში, თავისი ფილიალებისა და შვილობილი სტრუქტურებისათვის მატერიალური დახმარების სახით; თავის თანამშრომლებზე ან „საჭირო“ ხალხზე გაცემა უპროცენტო სესხის სახით; თავისი შვილების, ნათესავებისა და ახლობლების შვილების სწავლის ხარჯების დაფარვა; ბინების, ავტომანქანებისა და სხვა ფასეულობის შეძენა; საზღვარგარეთ მგზავრობის ხარჯების დაფარვა; საბანკო კრედიტის დაბრუნება, გადასახადის გადახდა; შენობის იჯარის გადახდა და სხვა სამეურნეო ხარჯების დაფარვა⁹.

ამ ჩამონათვალს მთლიანად ვერ დავეთანხმებით. ჩემი აზრით, კრედიტის პირადი მიზნებისათვის გამოყენება (ბინის საყიდლად, შვილის სწავლის ხარჯების დასაფარავად და სხვა) მოწმობს მსესხებლის განზრახვას – მართლსაწინააღმდეგოდ მიითვისოს კრედიტის სახით მიღებული ფულადი სახსრები თაღლითობის გზით.

სამწუხაროდ, საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსით არ არის რეგლამენტირებული მიზნობრივი კრედიტი (სესხი) და არაა განმარტებული თვით მიზნობრიობის ცნება.

სახელმწიფო მიზნობრივი კრედიტის არადანიშნულებისამებრ გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაშია დანაშაულის შემადგენლობა, როდესაც ეს მოქმედება იწვევს მნიშვნელოვან ზიანს.

კანონი არ აკონკრეტებს, ვის უნდა მიაღვეს მნიშვნელოვანი ზიანი: კრედიტორს, მოქალაქეს თუ სახელმწიფოს. კანონი აგრეთვე არ განმარტავს მნიშვნელოვანი ზიანის ოდენობას, ეს კი უარყოფითად მოქმედებს სისხლის სამართლის საქმეების საგამოძიებო და სასამართლო განხილვის პრაქტიკაზე.

სუბიექტი – სპეციალურია – კრედიტის მიმღები ან განმკარგებელი, შერაცხადი ფიზიკური პირი 16 წლის ასაკიდან. კრედიტის უკანონოდ მიღებისას ეს არის სახელმწიფო ან სხვა ორგანიზაციის ხელმძღვანელი, რომელსაც

მიეცა კრედიტი, ანდა კრედიტის მიმღები მოქალაქე¹⁰, ხოლო კრედიტის არამიზნობრივად გამოყენებისას – კრედიტის განმკარგებელი.

ეს უკანასკნელი არის სახელმწიფო ან სხვა ორგანიზაციის ხელმძღვანელი ანდა მოქალაქე, რომელმაც მიიღო კრედიტი და არამიზნობრივად გამოიყენა იგი¹¹.

დანაშაულის სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ ან არაპირდაპირ განზრახვაში. სახელმწიფო მიზნობრივი კრედიტის უკანონოდ მიღებისას პირს გაცნობიერებული აქვს, რომ უკანონოდ იღებს კრედიტს, ითვალისწინებს მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების შესაძლებლობას ან გარდუვალობას და სურს ასეთი შედეგის დადგომა, ანდა შეგნებულად უშვებს ან გულგრილად ეკიდება ასეთი ზიანის მიყენებას. სახელმწიფო მიზნობრივი კრედიტის არადანიშნულებისამებრ გამოყენებისას პირს გაცნობიერებული აქვს, რომ არადანიშნულებისამებრ იყენებს კრედიტს, ითვალისწინებს მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების შესაძლებლობას ან გარდუვალობას და სურს ასეთი შედეგის დადგომა, ანდა შეგნებულად უშვებს ან გულგრილად ეკიდება ასეთი ზიანის მიყენებას.

მოცემული დანაშაულის სუბიექტური მხარისათვის დამახასიათებელი მოტივი და მიზანი მის კვალიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს.

სსკ-ის 208-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საგანია: ა) საკრედიტო საშუალებები ანუ ფული, ფასიანი ქაღალდები, სხვა ქონება და ქონებრივი უფლება; ბ) ქონებრივი შეღავათი; გ) საკრედიტო საშუალებები, რომლებიც გამოყენებულია არადანიშნულებისამებრ.

რა შეიძლება ჩაითვალოს მნიშვნელოვან ზიანად?
სსკ-ში არ არის მოცემული მნიშვნელოვანი ზიანის განმარტება. ამ ზიანის არსებობა კოდექსის 208-ე მუხლის დისპოზიციაში, ასე ვთქვათ, იგულისხმება. ასეთი ზიანი ითვალისწინებს კრედიტის უკანონოდ მიღებით გამოწვეულ მატერიალურ ზიანს. დანაშაულის შემადგენლობა არსებობს, თუ მიყენებულია არა უბრალოდ ზიანი, არამედ მნიშვნელოვანი ზიანი. საგამოძიებო პრაქტიკაში ვხვდებით „მნიშვნელოვანი ზიანის“ განმარტებასთან დაკავშირებულ სხვა სირთულეებ-

¹⁰ Гаухман Л.Д., Максимов С.В., указ. соч., с. 106.

¹¹ მ. ლეკვიშვილი, გ. მამულაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 129.

⁹ Ларичев В. Д., указ. соч., с. 68.

საც. კერძოდ, გაურკვეველია, მნიშვნელოვანი ზიანი მხოლოდ ფულად გამოხატულებას გულისხმობს თუ აცდენილ სიკეთესაც (პროცენტებს სესხით სარგებლობისათვის). ჩემი აზრით, „მნიშვნელოვანი ზიანის“ განსაზღვრებაში უნდა მოიაზრებოდეს არა მარტო უკანონოდ მიღებული კრედიტის თანხა, არამედ კრედიტის გამოყენებისას დაგროვილი პროცენტებიც, რადგან პრაქტიკულად კრედიტორი კარგავს კრედიტის თანხასაც და მის პროცენტებსაც, რომლებსაც იგი მიიღებდა, რომ არა კრედიტის არაკეთილსინდისიერ მსესხებელზე გაცემა.

გაუგებარია, საჭიროა თუ არა სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებისას დაზარალებულის მოსაზრების დადგენა კრედიტის უკანონოდ მიღებით გამოწვეული მნიშვნელოვანი ზიანის განსაზღვრისათვის. ჩემი აზრით, საგამოძიებო ორგანოები არ უნდა არკვევდნენ დაზარალებულის შეხედულებას ზიანის ოდენობაზე და არ უნდა ითვალისწინებდნენ მას კრედიტის უკანონოდ მიღებასთან დაკავშირებულ ქმედებათა კვალიფიკაციისას. ამიტომაც დაზარალებულის აზრი მხედველობაში არ უნდა მივიღოთ მსესხებლის უკანონო ქმედებათა კვალიფიკაციის დროს.

მეორე მხრივ, ზიანი სამოქალაქო-სამართლებრივი ცნებაა. იგი საკუთრების წინააღმდეგ მიმართული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ობიექტური შედეგია. სისხლის სამართალში ზიანი იმავე მნიშვნელობით გამოიყენება¹².

ვ. ვერიინის ვარაუდით, ზიანის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც უკანონოდ მიღებული კრედიტის ოდენობა, ისე მოტყუებულ კრედიტორთა ფინანსური მდგომარეობა.¹³

ა. პლეშაკოვის აზრით კი, მნიშვნელოვანი ზიანი შეფასებითი ცნებაა და განისაზღვრება სამართალდამცავი ორგანოების მიერ საქმის კონკრეტულ გარემოებათა მიხედვით.¹⁴

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 414-ე მუხლის მიხედვით, „ზიანის ოდენობის გან-

საზღვრისას მხედველობაშია მისაღები ის ინტერესი, რომელიც კრედიტორს ჰქონდა ვალდებულების ჯეროვანი შესრულების მიმართ.“ ზიანი თავისი მოცულობით შეიძლება უფრო მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე გაცემული კრედიტის თანხა და დამატებით შეიცავდეს როგორც ხარჯებს, რომლებიც ბანკმა უნდა გაიღოს დარღვეული უფლების აღსადგენად, ისე მიუღებელი შემოსავლის თანხას (აცდენილ სიკეთეს).

თუ მნიშვნელოვანი ზიანის განსაზღვრისათვის მივუთითებთ მის ქვედა ზღვარს, ეს მაინც ვერ გადაწყვეტს პრობლემას, რადგან იმის მიხედვით, თუ ვის მიაღვა ზიანი (სახელმწიფოს, ორგანიზაციას თუ მოქალაქეს) ქვედა ზღვარი განსხვავებული უნდა იყოს.

სსკ-ის 208-ე მუხლით მსესხებლის მოქმედებათა კვალიფიკაციის დროს „მნიშვნელოვანი ზიანის“ ცნების განუსაზღვრელობა არის ერთ-ერთი მიზეზი სისხლის სამართლის საქმეების არაღძვრისა ან მათი დაუსაბუთებლად აღძვრისა. ამის გამო ამ საქმეთა უმრავლესობა წინასწარვე განწირულია.

ამ დანაშაულის შედარება თაღლითობასთან (სსკ-ის 180-ე მუხლი) გვიჩვენებს, რომ ისინი ერთმანეთს ობიექტური მხრივ ემსგავსებიან, განსხვავება სუბიექტურ მხარეშია. კრედიტის უკანონოდ მიღებისას პირის მიზანი არ არის ქონების უსასყიდლოდ მოპოვება, მის პირვანდელ განზრახვაში შედის მხოლოდ აღნიშნული საშუალების გამოყენება ორგანიზაციის სამეურნეო და ფინანსური საჭიროების დასაკმაყოფილებლად, ხოლო თაღლითობისას პირი საერთოდ არ აპირებს მიღებული კრედიტის დაბრუნებას.

იმ შემთხვევაში, თუ კრედიტის უკანონოდ მიღების ობიექტური მხარე მოიცავს სახელმწიფო ან სხვა საწარმოს, დაწესებულებისა თუ ორგანიზაციის ბრუნვაში არსებული დოკუმენტის გაყალბებას, ასეთი მოქმედება მოითხოვს დამატებით კვალიფიკაციას სსკ-ის 362-ე მუხლის, „ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება“, პირველი ნაწილის მიხედვით.

ელგა ბურბანიძე,
საქართველოს გენერალური პროკურატურის
საერთაშორისო ურთიერთობათა
განყოფილების სტაჟიორი პროკურორი.

¹² Комментарий к Уголовному кодексу Российской Федерации / Под ред. А. В. Наумова/, М., «Юрист», 1996, с. 450.

¹³ Верин В., Экономическая преступность в нормах уголовного кодекса; “Закон”, №7, 1997, с. 118.

¹⁴ Плешаков А. М., Уголовная ответственность за незаконное получение кредита и меры по его предупреждению в банковской практике; “Законодательство и экономика”, № 3 / 4, 1997, с.22.

ნარკოტიკების ლეგალიზაცია – ბამოსავალი თუ ჩიხი?!

(პრობლემასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხების განხილვა)

§1 ნარკოტიკები დროსა და სივრცეში

ნარკოტიკების მსოფლიო ისტორია გვასწავლის, რომ როგორც არ უნდა ყოფილიყო იგი მცენარეული თუ სინთეზური, მამაპაპისეული თუ მოდური, ინექცია თუ მედიკამენტი, დამამშვიდებელი თუ აღმგზნები - დროსა და სივრცეში არასოდეს ყოფილა ნეიტრალური და განაპირობებდა ადამიანის, სულის, გონების და მოძრაობის გარდამქმნელის - ნარკოტიკის მოხმარებას.

ნარკოტიკი ყველა ცივილიზაციაში არსებობდა, როგორც კულტურული, მერკანტილური და პოლიტიკური სამიზნე. იგი ყოველთვის ტრიალებდა მედიცინისა და მეცნიერთა ფიქრის შუაგულში, ძალაუფლების სტრატეგიებში, ადამიანთა საზოგადოებების ისტორიის წიაღში.¹

მაგრამ ისტორიის პარადოქსები კი იმაში მდგომარეობს, რომ ერთ ცივილიზაციაში ნარკოტიკი დადებითად იყო მიღებული, მეორეში იგი მავნედ, უკანონოდ მიიჩნეოდა და განიდევნებოდა, ერთი ცივილიზაცია ხოტბას ასხამდა მას, ხოლო მეორე კი, ბოროტების სიმბოლოდ მიიჩნევდა ხშირად ის, რაც კანონიერი იყო წარმოების დონეზე, აკრძალული იყო მოხმარებისათვის.

განვლილი მრავალი საუკუნის განმავლობაში,

ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის და ბოროტად გამოყენების სფეროში მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა. სტატიაში გამოთქმულია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ დღევანდელი მსოფლიო წესრიგი - ღია საზღვრები, შეუზღუდავი და თავისუფალი სავაჭრო ზონები, გამარტივებული სავიზო რეჟიმი, მოსახლეობის მკვეთრად გაზრდილი მიგრაცია (დსთ-ს და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების 800 მლნ-ზე მეტმა მოქალაქემ მიიღო თავისუფალი გადაადგილების საშუალება) და მრავალი სხვა მიზეზი XXI საუკუნეში თავისებურად წამახალისებელი გამოდგა ისეთი დანაშაულისთვის, როგორც ნარკოტიკების ბოროტად გამოყენება და გავრცელება.

დღეს, სამწუხაროდ, რამდენად ირონიულადაც უნდა ჟღერდეს, მაინც საჭიროა ითქვას, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ნარკოტიკების მიმართ შემწყნარებლურმა პოლიტიკამ ის შედეგი გამოიღო, რომ ვინც უნდა დაგვეცვა ნარკოტიკებისაგან იგი თითქოს დავაზარალებთ, სწორედ ამიტომ როდესაც ვმჯელობთ ისეთ მწვავე პრობლემებზე რომელიც ნარკოტიკების არასამედიცინო დანიშნულებით გამოყენებისთვის, ასევე პირადი მოხმარების მიზნით შენახვისათვის სისხლისსამართლებრივი და ადმინისტრაციული დევნიდან გათავისუფლებას შეეხება, უაღრესად დიდი სიფრთხილე და დაკვირვება გვმართებს - რას მოუტანს ასეთი გადაწყვეტილება ქართველ ერს.

¹ J. Ott, *Pharmacotheon: Entheogenic Drugs, their Plant Sources and History*, Kennewick, Natural Products Co., 1993.

§2. საშუაარი სტატისტიკის მნაწმ

სტატისტიკური მონაცემები: ნარკომანიისა და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის პრობლემა საქართველოში ხასიათდება მუდმივი ზრდის ტენდენციით. ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნებმა, გარდამავალი პერიოდისათვის დამახასიათებელმა პოლიტიკურმა, სოციალურმა, ეკონომიკურმა და სხვა სახის სიძნელეებმა ახალი ბიძგი მისცა ქვეყანაში ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის მასშტაბებს, მისი ჩქარი ტემპებით ზრდას და ამ ფონზე ნარკოტიკების არასამედიცინო დანიშნულებით მომხმარებელ პირთა მატებას. დღეისათვის საქართველოს ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მონაცემებით 12000-მდე ნარკომანი და ნარკოტიკების მომხმარებელია, რაც ვერ ასახავს რეალურ სურათს. ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტთა აზრით დღეს საქართველოში სავარაუდოდ 200000-მდე ნარკომანი და ნარკოტიკების მომხმარებელია. მათივე აზრით თუ დროულად არ მივიღეთ ქმედითი ზომები, ხვალ შეიძლება პროცესები შეუქცევადი გახდეს.

განსაკუთრებული საგანგაშო მდგომარეობა შეიქმნა 1999-2001 წლებში, როდესაც მკვეთრად იმატა უკანონო ბრუნვიდან ძლიერი ნარკოტიკების ოპიუმისა და განსაკუთრებით ჰეროინის ამოღების ფაქტებმა.²

დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ სახეზეა ნარკოტიკების მომხმარებელთა გაახალგაზრდავების ტენდენცია; თავი იჩინა ქალთა ნარკომანიის პრობლემამაც.

ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებულ პირთა სოციალური ანალიზი გვიჩვენებს, რომ მათი უმეტესი ნაწილი უმუშევარი პირები არიან. წლიდან წლამდე იზრდება ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებით გასამართლებულ პირთა რაოდენობა, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია დამნაშავეთა სამყაროს ლიდერებთან მათი დაკავშირება და საქართველოში წარმოქმნა საერთაშორისო ნარკობიზნესთან ინტეგრირებული, ორგანიზებული დაჯგუფებები,

² საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიურო, *ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგები 1995-2001 წლების მიხედვით.*

რომელთაც მყარი საერთაშორისო დანაშაულებრივი კავშირები ჩამოაყალიბეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ საქართველო ნარკომანიით უაღრესად მძიმედ დაზიანებული ქვეყნის კლასიკური ნიმუშია.

სამართალდამცავი ორგანოებისა და სამედიცინო სამსახურების მუშაკთა აზრით, რასაც თეორეტიკოსებიც იზიარებენ, ქვეყანაში ნარკომანიის ხაზით მოსალოდნელია სიტუაციის კიდევ უფრო გაართულება თავისი სხვა ახალი გამოვლინებებით, რასაც შედეგად ნარკომანთა რიცხვის ახალი ნაკადით შევსება მოყვება. ამას ხელს უწყობს საერთაშორისო ნარკობიზნესისათვის საქართველოს უაღრესად ხელსაყრელი გეოსტრატეგიული მდებარეობა, მისი დაუცველი საზღვრები, მძიმე ეკონომიკური და სოციალური ვითარება და, რაც ყველაზე საყურადღებოა, ის გარემოება, რომ ჯერჯერობით ქვეყნის გარკვეული ტერიტორიები სამართალდამცავი ორგანოების კონტროლსმიღმაა დარჩენილი.

წლების განმავლობაში ამ პრობლემასთან მიმართებაში არაადეკვატურმა მოქმედებამ, ნარკობიზნესთან ბრძოლის მსოფლიო სისტემიდან თვითიზოლაციამ კომუნისტურ რეჟიმგამოვლილი ქვეყნები მძიმე სიტუაციაში ჩააგდო. ცნობილი ჩეხი ექსპერტი პაველ ბემი თავის ერთ-ერთ გამოსვლაში აღნიშნავს: “პოსტკომუნისტურ სივრცეში იზიარებდნენ იმ იდეოლოგიას, რომ ნარკოტიკების არალეგალური გავრცელება და ტრანსპორტირება დამახასიათებელი იყო მხოლოდ კაპიტალისტური საზოგადოებისათვის. ასეთმა იდეოლოგიამ გამოიწვია ის, რომ ამ ქვეყნების პოლიცია, ჯანმრთელობის სფერო, ფინანსური წრეები ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლაში მოუმზადებელნი აღმოჩნდნენ. წინა მთავრობების დროს გარკვეულ სოციალურ საკითხებზე შეგნებულად ხუჭავდნენ თვალს და მათ პრობლემებად არ აღიქვამდნენ. ნარკოტიკების ბოროტად გამოყენებაც ასეთ პრობლემათა რიცხვს მიეკუთვნება. ახლა, როცა თავისუფალ საბაზრო სისტემას ვეცნობით, ვხედავთ, თუ რაოდენ გამოუცდელი ვართ ნარკოტიკების ბოროტად მოხმარებისა და ტრანსპორტირების წინააღმდეგ ბრძოლაში”³

³ Pavel Bem, Chief Doctor at the Centre of Drug Addict Cure in Prague. *Speech to the Conference on Drug Abuse in Paris on April 18, 1991, p.1.*

საქართველოს სპეცსამსახურებს გააჩნიათ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საერთაშორისო ნარკობიზნესმენები სულ უფრო და უფრო მეტ დაინტერესებას იჩენენ ჩვენი ქვეყნისადმი, რათა სამართლებრივი სისტემის სუსტი კონტროლის პირობებში ჩვენი ტერიტორია ნარკოტიკების სატრანზიტო სივრცედ გამოიყენონ და ჩვენთან შესაბამისი კანონების არარსებობის გამო, გააკეთილშობილონ ნარკოტიკების უკანონო ვაჭრობით მიღებული დიდი მოგებები, რაც, საერთო ჯამში, საქართველოსთვის, რასაკვირველია, პოლიტიკურადაც წამგებიანი იქნება.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და სხვა მოსაზრებათა გათვალისწინებით, ჩვენი ქვეყნის განვითარების ამ ეტაპზე საკამათოდ მიგვაჩნია ზოგიერთი მეცნიერისა და საზოგადოების გარკვეული ფენის მოსაზრება ნარკოტიკების პირადი მოხმარების მიზნით შენახვისათვის, მისი არასამედიცინო დანიშნულებით გამოყენებისათვის სისხლის-სამართლებრივი და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გაუქმების თაობაზე.

სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ კანონმდებლობაში არსებული ნორმები ძირითადად მიმართულია ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ, რასაც უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში მთელი საერთაშორისო თანამეგობრობის ქვეყნები პრიორიტეტულ მიმართულებად აღიარებენ.

პრაქტიკამ დაადასტურა, რომ კანონსაწინააღმდეგო ქმედებები ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის სფეროში სერიოზულ საზოგადოებრივ საშიშროებას წარმოადგენს. სწორედ ამან განაპირობა ის გარემოება, რომ კანონმდებელი დიდ ყურადღებას უთმობს აღნიშნული პრობლემის გადაჭრას.

ნარკოტიკული დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ მიმართული ყველა სხვა დანაშაულისაგან იმით განსხვავდება, რომ ზიანი ადგება არა მარტო კონკრეტულ პირს, არამედ მოქალაქეთა დიდ ნაწილს. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული დანაშაულის უშუალო ობიექტია მოსახლეობის ჯანმრთელობა.

იურიდიულ ლიტერატურაში ამის თაობაზე სხვადასხვა აზრია: ზოგს მიაჩნია, რომ ამ დანაშაულის ობიექტად, გარდა საზოგადოების ჯანმრთელობისა, უნდა მივიჩნიოთ საზოგადოებრივი წესრიგი

და საზოგადოებრივი უშიშროება, რადგან, ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი აბსტინენციის მდგომარეობაში ვერ აკონტროლებს თავის მოქმედებას და სჩადის სხვადასხვა სახის დანაშაულს. ჩემი აზრით, ასეთი მიდგომა დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის გათვალისწინებით უფრო მართებული უნდა იყოს. განსაკუთრებით ეს ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობას შეეხება.

ამდგვარი საქმიანობა თითქმის ყოველთვის საერთაშორისო ხასიათს ატარებს და ხელს უწყობს საერთაშორისო ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციების ჩამოყალიბებას.

ამ პრობლემას მიეძღვნა 1999 წლის 1-2 სექტემბერს გერმანიაში ჯორჯ მარშალის ევროპული ცენტრისა და ამერიკის შეერთებული შტატების გამოძიების ფედერალური ბიუროს მიერ ჩატარებული კონფერენცია თემაზე - ორგანიზებული დანაშაული და ნაციონალური უსაფრთხოების მასშტაბები. ამ კონფერენციაზე თითქმის ყველა გამოძვლელმა ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული და მისი ერთ-ერთი ფორმა - საერთაშორისო ნარკობიზნესი ქვეყნების ეროვნულ უსაფრთხოებას დაუკავშირა.⁴

ნარკოტიკს გააჩნია რიგი თავისებურებები, რის გამოც მისმა კონტროლს მიღმა დატოვებამ შეიძლება საშიში მოვლენების განვითარება გამოიწვიოს შემდეგი მოსაზრებების გამო:

პირველი - ნარკოტიკი ალკოჰოლი ან თამბაქო არ არის და მათი ბრუნვა შიდასახელმწიფოებრივსა და საერთაშორისო კონტროლს ექვემდებარება;

მეორე - ნარკოტიკების მოხმარება თითქმის ყოველთვის ჯგუფურ ხასიათს ატარებს, რაც განაპირობებს ნარკომანიაში მოქალაქეთა სხვადასხვა ფენის წარმომადგენელთა, მათ შორის, ძირითადად, ახალგაზრდებისა და არასრულწლოვნების ჩართვას.

მესამე - ნარკოტიკის მიღება დამლუპველია ადამიანის ორგანიზმისათვის და მისმა დიდი

⁴ რ.გოდსონი აშშ-ის ჯორთაუნის უნივერსიტეტის პროფესორი. ჯორჯ მარშალის უსაფრთხოების საკითხების შემსწავლელი ევროპული ცენტრი, ორგანიზებული დანაშაული: ეროვნული უსაფრთხოების მასშტაბები, კონფერენციის მასალები, გარმიში, გერმანია, 31 აგვისტო - 2 სექტემბერი, 1999 წ.

მასშტაბებით გავრცელებამ შეიძლება ერის კოლექტიური ინტოქსიკაცია კი გამოიწვიოს (ჩინეთის ისტორიული მაგალითი, როდესაც ნარკოტიკების გავრცელების გამო იმპერია გაქრობის პირას მივიდა);

ცნობილია, რომ დამნაშავეობა ეს არის ადამიანების სოციალურ ქცევათა ერთობლიობა, რომელიც არღვევს საზოგადოებრივი ორგანიზმის ნორმალურ ფუნქციონირებას და გამოიხატება დაწესებული სამართლებრივი ნორმების დარღვევაში.⁵ პრაქტიკა კი გვიჩვენებს, რომ ნარკოტიკებთან დაკავშირებულ დანაშაულს თავისი რიცხობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებელით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მთლიანად დანაშაულის საერთო მოცულობაში. აქედან გამომდინარე, ნარკოტიკების არასამედიცინო დანიშნულებით მოხმარებისათვის სისხლისსამართლებრივი და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გაუქმება გამოიწვევს არა მარტო ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებული დანაშაულის ზრდას, არამედ ნარკოტიკების ზეგავლენით ჩადენილი დანაშაულის ზრდასაც.

ცნობისათვის: დანაშაულის საერთო სტრუქტურაში ქონებრივი დანაშაულის 32,2 პროცენტი ჩადენილია ნარკოტიკებთან უკანონო შეხებაში მოფი პირების მიერ, ხოლო მძიმე სახის დანაშაულის 16,8 პროცენტი უშუალოდ ნარკოტიკული თრობის ქვეშ.⁶

სწორედ ამის გამო, არსებული სამართლებრივი ნორმა, რომელიც ნარკოტიკების არასამედიცინო დანიშნულებით მოხმარებისათვის სისხლისსამართლებრივსა და ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს, მოსახლეობის ნარკოტიზირებისაგან შემაკავებელ ფაქტორს წარმოადგენს და რაც მთავარია, იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის, ასევე მთლიანად დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

§3. მვროკული საკანონმდებლო პრაქტიკა

ჩემი აზრით, ნარკოტიკების არასამედიცინო მიზნით მოხმარებისათვის პასუხისმგებლობის გაუქმება ფაქტობრივად გზას გაუხსნის ნებისმიერ პიროვნებას მისი მოხმარებისაკენ და არავითარ ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ იგი ნარკოტიკებზე მოთხოვნის გაზრდას და საქართველოს კლიმატური პირობების გათვალისწინებით მცენარეული სახის ნარკოტიკების შიდაწარმოების ბაზრის მკვეთრ განვითარებას გამოიწვევს.

ეს ლოგიკურიც არის, რადგან ქვეყანაში ნარკოტიკების ლეგალიზების ან მისი არასამედიცინო დანიშნულებით მოხმარების კანონის შეზღუდვების აკრძალვის შემთხვევაში სახელმწიფო მოვალეა მიაწოდოს იმ 200000 ნარკოტიკის მომხმარებელს ნარკოტიკი ე.ი. თვითონვე აწარმოოს ან შეისყიდოს მათთვის ნარკოტიკული საშუალებები. სწორედ ამ პრინციპზე დაყრდნობით დღეს ჰოლანდიაში 50000-ზე მეტი სათბურია მოწყობილი, სადაც უმაღლესი ხარისხის მარიხუანა მოჰყავთ და რითაც დიდად არიან შეშფოთებულნი ევროპის თანამეგობრობის ქვეყნები.

საქართველო ალბათ არ უნდა წავიდეს საერთაშორისო თანამეგობრობის ქვეყნებისა და მსოფლიო ცივილიზებული სამყაროს მიერ აღებული კურსის საწინააღმდეგოდ. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში, გარდა რუსეთისა და გერმანიისა, არც ერთ ქვეყანას არ შეუსუსტებია კანონი ნარკოტიკების არასამედიცინო დანიშნულებით მიღებისათვის და არ წასულა დეკრიმინალიზაციის გზით. პირიქით, შეიძლება ჩამოვთვალოთ მთელი რიგი ქვეყნები, სადაც ასეთი კანონები მოქმედებს.

ცხრილში მოყვანილია ევროკავშირის წევრი ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა, რომელიც მიუთითებს, რომ ყოველი ქვეყანა თავისი ტრადიციების, გეოპოლიტიკური მდებარეობის და რაც მთავარია საკანონმდებლო ბაზის საფუძველზე ისეთ კანონებს იღებს, რომელიც განვითარების ამ ეტაპზე მოცემული ქვეყნისთვისაა საჭირო.

§4. სამართალგამოყენებითი პრაქტიკა

ნარკოტიკების არასამედიცინო მოხმარებისათვის სისხლისსამართლებრივი და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გაუქმება ნარკოტიკების

⁵ Кримнология, под редакцией акад. Кудрявцева В. Н. и проф. Еминова В. Е., изд. «Юрист», Москва, 1997 г.

⁶ МВД Грузинской ССР. Информационный Бюллетень №2, 1988 г.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნარკოტიკებზე
საერთაშორისო კონტროლის პროგრამა

ევროკავშირის ზოგიერთი წევრი ქვეყნის კანონმდებლობა ნარკოტიკულ
საშუალებათა არასამედიცინო მიზნით მოხმარების საკითხებზე
1996 წლის მდგომარეობით

ქვეყანა, კანონმდ. მოდების წელი	ნარკოტიკულ საშუალებათა არაკანონიერი მოხმარების პირდაპირი აღიარება სისხ- ლისსამართლებრივ დარღვევად	ნარკოტიკულ საშუალებათა არაკანონიერი მოხმარების არაპირდაპირი აღიარება სისხლისსამართლებრივ კანონდარღვევად (შენახვა პირადი მოხმარების მიზნით)	კომენტარები, პრაქტიკა და სასამართლოთა საპროცესო პრაქტიკა	ნარკოტიკულ ნივთიერებათა შენახვისათვის ზოგადად მისაღები და გათვალისწინე- ბული სასჯელის ზომები (უკანონო ბრუნვა)
1	2	3	4	5
ბელგია (1921 და 1975)	ნარკოტიკულ საშუალებათა ჯგუფურად მოხმარება კვალიფიცირდება როგორც სისხლის სამართლის დანაშაული და ექვემდებარება თავისუფლების აღკვეთას კვადით 3 თვიდან 5 წლამდე.	მოხმარების მიზნით შენახვა არ ქმნის დანაშა- ულის განსაკუთრებულ შემადგენლობას. ამ ქმედების დანაშაულებრივი ხასიათი გამომდინარეობს ნარკოტიკულ საშუალებათა შენახვის სისხლისსამართლებრივი დანაშაულის კვალიფიკაციიდან, ნარკოტიკების ბრუნვის შესახებ ზოგადი დებულების ფარგლებში.	1. სასჯელის განსაზღვრა პირო- ბითად ან აღსრულების გადავა- დებით პირველი სამართალდარღ- ვევის შემთხვევაში და ასევე მომდევნო სამართალდარღვევის დროს, თუ ნარკოტიკების მომხმარებელი პირი თანახმაა მკურნალობაზე. 2. 1993 წლის 26 მაისის ტირკულარში რეკომენდებულია განახვავონ ნარკოტიკების არალეგალურად მოხმარებელი პირები ნარკოტიკების რეკულარულად მოხმარებლისა და ნარკოტიკებით მოვაჭრეთაგან.	თავისუფლების აღკვეთა კვადით 3 თვიდან 5 წლამდე (20 წლამდე - დამამძიმებელ გარემოებათა გათვალისწი- ნებით).
გაერთიანებული სამეფო (1971 და 1986)	ნარკოტიკულ საშუალებათა მოხმარება პირდაპირ არ კვალიფიცირდება როგორც სისხლისსამართლებრივი დანაშაული, თუ საუბარი არ არის ოპიუმის მოხმარებაზე, რომელიც ისჯება თავისუფ- ლების აღკვეთით კვადით 14 წლამდე.	მოხმარების მიზნით შენახვა წარმოქმნის დანაშაულის განსაკუთრებულ შემადგენლობას და თვორიულად ექვემდებარება თავისუფლების აღკვეთას კვადით: - 7 წლამდე (სია I, ჰეროინი, ლსდ, ზტს); - 5 წლამდე (სია II, კანაბისი, კოდიონი); - 2 წლამდე (სია III, ამფეტამინები, ბენზოლია- ზებიები).	მოხმარების მიზნით კანაბისის შენახვა პრაქტიკულად წარმოადგენს საფუძვლს მხოლოდ გაფრთხილებისათვის, ჯარიმის ან პირობითი სასჯელისათვის მცირე- ვადანი თავისუფლების აღკვეთით სხვა ნარკოტიკებთან მიმართებაში იყენებენ სასჯელის უფრო მკაცრ ზომებს.	- თავისუფლების აღკვეთა სამუდამო პატიმრობის ჩათვლით (სია I);* - თავისუფლების აღკვეთა კვადით 14 წლამდე. (სია II); - თავისუფლების აღკვეთა კვადით 5 წლამდე. (სია III).

* სიები - იგულისხმება კონვენციებს თანდართული სიები

1	2	3	4	5
<p>იტალია (1975, 1990 და 1993)</p>	<p>ნარკოტიკულ ნივთიერებათა მოხმარება არ ექვემდებარება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. (იტალიაში 1990-1993 წლების საკანონმდებლო ნორმების დაცვის თავისებურებას წარმოადგენდა ის, რომ მოხმარება იკრძალებოდა, მაგრამ დასჯადი ზომები არ იყო გათვალისწინებული).</p>	<p>1993 წლის რეფერენდუმის შემდეგ შენახვა მოხმარების მიზნით არ წარმოქმნის დანაშაულის შემადგენლობას. შენახული ნარკოტიკების ოდენობასთან დაკავშირებულ საკითხებზე განიხილება გამოაკვს პროკურატურას. ნარკოტიკების მოხმარებელ პირებს პრევენტი აკადემიკურ მკურნალობით. უარის შემთხვევაში მიმართავენ აღმინისტრაციული სასჯელის ზომებს (მართვის მოწმობის დროებითი ჩამორთმევა, პასპორტის ამოღება, საზოგადოებრივ-სასარგებლო სამუშაოზე გაგზავნა).</p>	<p>1990-1993 წლებში სამართალდარღვევითა ჩადენისათვის დაცვების შემთხვევაში შენახული ნარკოტიკების (სუფთა სახით) ოდენობის განსაზღვრა და ნარკოტიკულ დამოკიდებულებაში ყოფნის დასადგენად საჭირო იყო ორმაგი ექსპერტიზის ჩატარება. ამ არაფექტურ სისტემაზე მისი სირთულის გამო უარი ითქვა.</p>	<p>კანაბისის შენახვის შემთხვევაში - თავისუფლების აღკვეთა ვადით 2-დან 6 წლამდე; სხვა ნარკოტიკი - თავისუფლების აღკვეთა ვადით 4-დან 15 წლამდე</p>
<p>ლუქსემბურგი (1973 და 1989)</p>	<p>ნარკოტიკულ საშუალებათა მოხმარება ქმნის დანაშაულის განსაკუთრებულ შემადგენლობას და შემადგენლობას და ექვემდებარება სასჯელს; ინდივიდუალური მოხმარების შემთხვევაში თავისუფლების აღკვეთას ვადით 3 თვიდან 3 წლამდე და ჯგუფური მოხმარების, რეციდივისა და ჯანდაცვის სისტემაში მომუშავე მოხმარებელთა შემთხვევაში ვადით 1-დან 5 წლამდე).</p>	<p>შენახვა მოხმარების მიზნით წარმოქმნის დანაშაულის განსაკუთრებულ შემადგენლობას და თეორიულად ექვემდებარება 3 თვიდან 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას. პატიმრობა შეიძლება შეიცვალოს საზოგადოებრივ-სასარგებლო სამუშაოებით (იგივე წესი გათვალისწინებულია არაკანონიერი მოხმარებისათვის).</p>	<p>მტკიცებულების მიზნით შეიძლება გამოტანილ იქნეს დადგენილება სისხლის ან შარდის ანალიზის ჩატარების შესახებ (განისაზღვრება სასჯელის ზომები ანალიზების ჩატარებაზე უარის თქმისთვის). პროკურატურას შეუძლია არ აღძრას საქმე ნებით მკურნალობის შემთხვევაში. პირველი სამართალდარღვევის შემთხვევაში ნარკოტიკების მოხმარებელი შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელისაგან. ნარკოტიკულ დამოკიდებულებაში მყოფი პირები შეიძლება გაიგზავნონ იზოლირებულ მკურნალობაზე.</p>	<p>თავისუფლების აღკვეთა ვადით 1-დან 5 წლამდე. (სამუდამო პატიმრობის ჩათვლით - დამამძიმებელ გარემოებათა გათვალისწინებით).</p>

1	საფრანგეთი (1970 და 1987)	2 ნარკოტიკულ ნივთიერებათა მოზმარება ქმნის დანაშაულის განსაკუთრებულ შემადგენლობას და შესაძლებელია ექვემდებარებოდეს თავისუფლების აღკვეთას 2 თვიდან ერთ წლამდე. ამავ დროს სისხლის სამართლის საქმე შეიძლება არ აღიძრას სამედიცინო ხასიათის ალტერნატიული ზომების გამოყენების შემთხვევაში (ეკლდებულება მკურნალობის ჩატარებაზე, სასამართლოს მიერ სამკურნალოდ იძულებით გაგზავნა).	3 შენახვა მოზმარების მიზნით არ წარმოადგენს დანაშაულის განსაკუთრებულ შემადგენლობას. ამ ქმედების დანაშაულებრივი ხასიათი გამომდინარეობს ნარკოტიკულ საშუალებათა შენახვის როგორც სისხლისსამართლებრივი დანაშაულის კვალიფიკაციიდან ზოგადი ღებულებების ფარგლებში ნარკოტიკების ბრუნვის შესახებ.	4 პელტიეს ცირკულარში (1978 წელი) თუ რეკომენდებული იყო კანაბისის უმნიშვნელო ოდენობის შენახვის უბრალო მოზმარებასთან გათანაბრება, შლანდონის ცირკულარში (1987 წელი) რეკომენდებულია ნარკოტიკების მოზმარებელი იმ პირების მხოლოდ გაფრთხილება, რომლებსაც არა აქვთ ნარკოტიკული დამოკიდებულება და საზოგადოებრივ ცხოვრებაში კარგად არიან ინტეგრირებულნი, მოზმარებული ნარკოტიკის სახის მიუხედავად.	5 თავისუფლების აღკვეთა ვადით 20 წლამდე. (30 წლამდე - დამამძიმებელ გარემოებათა გათვალისწინებით).
ფინეთი (1990 და 1993)	2 ნარკოტიკულ ნივთიერებათა მოზმარება ქმნის დანაშაულის განსაკუთრებულ შემადგენლობას და შეიძლება ექვემდებარებოდეს თავისუფლების აღკვეთას ვადით 2 წლამდე. სასჯელის აღსრულება შეიძლება გადავადებულ იქნეს თუ ნარკოტიკების მოზმარებელი მკურნალობას იტარებს.	3 შენახვა მოზმარების მიზნით არ წარმოადგენს დანაშაულის განსაკუთრებულ შემადგენლობას. ამ ქმედების დანაშაულებრივი ხასიათი გამომდინარეობს ნარკოტიკულ საშუალებათა შენახვის როგორც სისხლისსამართლებრივი დანაშაულის კვალიფიკაციიდან ზოგადი ღებულებების ფარგლებში ნარკოტიკების ბრუნვის შესახებ.	4 პროკურატურას უფლება აქვს არ აღძრას საქმე, თუ ნარკოტიკების მოზმარებელი პირი თანახმაა მკურნალობაზე.	5 თავისუფლების აღკვეთა ვადით 2 წლამდე. (კანაბისის შენახვისათვის და 10 წლამდე სხვა ნარკოტიკის გათვალისწინებით).	

მოხმარების ლეგალიზაციას ნიშნავს, რაც ნეგატიურ შედეგებს გამოიწვევს, როგორც ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციული უზრუნველყოფის, ისე სამართალგამოყენებით პრაქტიკაში.

განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი: მოქმედი კანონმდებლობით მუხლი 272 – ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის მოხმარებაზე დაყოლიება მეტად მკაცრად ისჯება (მაქსიმალური სასჯელი ათ წლამდე თავისუფლების აღკვეთა), ასევე მკაცრად ისჯება ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგების უკანონოდ მოხმარებისათვის ბინის ან სხვა სადგომის დათმობა – მუხლი 271, მაქსიმალური სასჯელი 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთა. დიდ სირთულეს არ წარმოადგენს იმის ახსნა, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება კანონის ამ ნორმებს ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, პირველ რიგში, მისი პრევენტიული მნიშვნელობიდან გამომდინარე. საქმე გვაქვს იურიდიულ ნონსენსთან ნარკოტიკების მოხმარებისათვის (ან შენახვისათვის) არ დაისჯება ადამიანი, ხოლო მის მოხმარებაზე დაყოლიება ან ამ მიზნით ბინის ან სხვა სადგომის დათმობა, მძიმე დანაშაულს წარმოადგენს. აქ არ შემოიძლია არ მოვიტანო რუსეთის ფედერაციის მაგალითი, სადაც 1991 წლის 5 დეკემბერს გაუქმეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ნარკოტიკების არასამედიცინო დანიშნულებით მოხმარებისათვის და რამაც ამ ქვეყანაში უმძიმესი ნეგატიური შედეგები გამოიწვია.⁷ კერძოდ, ნარკომანიის აფეთქება სწორედ 1992 წელს მოხდა, როდესაც გაუქმდა პასუხისმგებლობა ნარკოტიკების არასამედიცინო დანიშნულებით მოხმარებისათვის.⁸ რუსეთში დღეს ბევრი იურისტი, მათ შორის ადვოკატები, საკითხს ასე სვამენ: თუ ნარკოტიკების მიღება დაშვებულია, მაშინ არ უნდა იყოს პასუხისმგებლობა პირადი მოხმარების მიზნით, მისი

დამზადებისა და შენახვისათვის, რაც ლოგიკურია.

სწორედ ასეთმა მიდგომამ განაპირობა ის ფაქტი, რომ დღეს რუსეთი ევროპაში ნარკომანიით ერთ-ერთი ყველაზე მძიმედ დაზიანებული ქვეყანაა, ხოლო ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის მასშტაბებით მან ტრადიციულად დაზიანებულ მრავალ ქვეყანას გაუსწრო.

ამასვე ადასტურებს 1999 წლის 29 ივნისის რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს სხდომაზე გამოთქმული მოსაზრება, რომ უკანასკნელ 5 წელიწადში რუსეთში ნარკოტიკების მომხმარებელთა რიცხვი 3,6-ჯერ გაიზარდა და 2000 წლისათვის მათი რიცხვი წინასწარი პროგნოზით 3 მილიონამდე ადამიანს მიაღწევს.⁹

ჩემი აზრით, საქართველოში არსებული დღევანდელი ნარკოტიკული სიტუაციიდან გამომდინარე, საჭიროა კანონის ისეთი ნორმების ჩამოყალიბება, რომელიც მკვეთრ ზღვარს გაავლებს ნარკოტიკების საცალო მოვაჭრეებსა (რომლებიც უმეტეს შემთხვევაში ამას პირადი მოხმარების მიზნით აკეთებენ) და ნარკოტიკების რეალიზაციით და ტრანსპორტირებით დაკავებულ პირებს შორის. ეს მოსაზრება იმით არის განპირობებული, რომ პრაქტიკა ადასტურებს ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან მეტობოლი სამსახურების არასწორ სტრატეგიას, როდესაც მხოლოდ ყოველი მეცხრე-მეათე შემთხვევაში არის შესაძლებელი ქვეყანაში ნარკოტიკის შემოტანის წყაროს - არხების დადგენა და სისხლისსამართლებრივი დევნის აქცენტი ნარკოტიკების მომხმარებლებზე კეთდება.

მიმაჩნია, რომ ამ მიზნით: სისხლის სამართლის სამხედრო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის - ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება, - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ათ წლამდე, სხვა რედაქციით ჩამოყალიბებაა საჭირო. სასჯელის ასეთი დიდი ამპლიტუდა ხელს უშლის ობიექტური და მკაცრი სასჯელის გამოტანას, რადგან ნარკოტიკების რეალიზატორების და ტრანსპორტიორების ნაცვლად ძალიან ხშირად მსჯავრდებულად ნარკოტიკების საცალო ვაჭრობაში დაკავებული პირები გვევლინებიან, რომელნიც

⁷ Постановление Верховного Совета РФ от 5 декабря 1991 года.

⁸ Проф. Эдуард Бабаян, председатель Постоянного комитета по контролю над наркотиками Российской Федерации. Отчет о конференций. Нормативная конференция стран СНГ по правоохранительной борьбе и контролю над наркотиками и химическими веществами, Зальцбург, Австрия, 11-14 октября, 1994 г.

⁹ Ермолин Валентин, Большой наркотический путь “Известия”, 30 июня, 1999 г.

საზოგადოებისათვის ნაკლებ საშიშროებას წარმოადგენენ.

§5. ლეგალიზაციის მოსალოდნელი შედეგები

საქართველოში მიმდინარე სამეცნიერო კვლევების, მსოფლიო პრაქტიკისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მასალებზე დაყრდნობით აუცილებელია გავერკვეთ იმაში, თუ რა ავი შედეგები შეიძლება მოუტანოს ქართველ ერს ნარკოტიკების ლეგალიზებამ და მისი არასამედიცინო დანიშნულებით მოხმარებისათვის სისხლისსამართლებრივი და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის აკრძალვამ. ნარკოტიკების პირადი მოხმარების მიზნით შენახვისათვის და არასამედიცინო დანიშნულებით მისი გამოყენებისათვის სისხლისსამართლებრივი და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გაუქმების მომხრენი გვაძლევენ "გარანტიას", რომ იგი საზოგადოებას ვნებას არ მოუტანს.

ჩვენ ვიცით, როგორი ნარკოტიკული მდგომარეობაა დღეს საქართველოში და რაოდენ უარყოფითად მოქმედებს იგი ჩვენს ახალგაზრდობაზე, მაგრამ არ ვიცით, რა იქნება ლეგალიზებისა ან ზემოაღნიშნული კანონის გაუქმების შემდეგ. ამიტომ ღირს კი წავიდეთ ასეთ რისკზე.

ზემოაღნიშნული მოსაზრების ავტორები ახალგაზრდობას უბიძგებენ ისეთი აზარტული თამაშისაკენ, რომლის მოგება ნულის ტოლფასია.¹⁰

გადავხედოთ საქართველოში ნარკოტიკულ ნივთიერებათა შემოღწევისა და მისი გავრცელების დინამიკას.

70-იან წლებში საქართველოში გამოჩნდა კანაფისებრთა ოჯახის მცენარეებისაგან დამზადებული ნარკოტიკები (მარიხუანა). 80-იან წლებში მათ რიცხვს ოპიუმის ჯგუფის ნარკოტიკები მიემატა ოპიუმი და მორფინი. 90-იან წლებში მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა — უკანონო ბრუნვაში გამოჩნდა ჰეროინი, კოკაინი და სხვა ახალი უაღრესად ძლიერმოქმედი ნარკოტიკები, მაგალითად, ბუპრენორფინი და ალფამეთილფენტანილი. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით მდგომარეობა კიდევ

¹⁰ ნარკომანია პირისახით და პროფილში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, თბილისი, 1995 წ.

უფრო მძიმეა დსთ სივრცეში, აღმოსავლეთ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში, აზიასა და ამერიკის კონტინენტზე.¹¹

როგორც ვხედავთ, მიუხედავად მსოფლიო თანამეგობრობის ქვეყნების მიერ გაწეული კოლოსალური ხარჯებისა, ჯერჯერობით ბრძოლა ნარკომაფიის სასარგებლოდ მიმდინარეობს.

ასევე არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ, რომ ნარკოტიკების მომხმარებლები გაცილებით მეტია, ვიდრე ეს ჩვენთვისაა ცნობილი, ხოლო აკრძალვის გაუქმება ახალ იმპულსს მისცემს ნარკოტიკების მომხმარებელთა მკვეთრ ზრდას. ლედერმანის კანონი, რომელიც ალკოჰოლს ეხება, რაც უფრო მეტია მომხმარებელი, მით უფრო მეტი იქნება ავადმყოფი მთელი სიმწვავეთ ვრცელდება ნარკოტიკზეც.

ნარკოტიკების მოხმარებისათვის პასუხისმგებლობის გაუქმება გამოიწვევს იმას, რომ მოსახლეობის პირობითად "კანონმორჩილი" ნაწილი, რომელიც კანონის შიშით იკავებდა თავს ნარკოტიკებისაგან, დაიწყებს მათ მიღებას, ამას კი შედეგად მოჰყვება მომხმარებელთა რაოდენობის სერიოზული ზრდა, რაც მეტად ნეგატიურად იმოქმედებს ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების ყველა სფეროზე (საზოგადოებრივი წესრიგი, სატრანსპორტო მოძრაობა, საყოფაცხოვრებო სფერო და სხვ.).

დავუშვათ, მოხდა ნარკოტიკის მოხმარების ლეგალიზება. მაინც მოგვიწევს გარკვეული შეზღუდვების დაწესება, რადგან მთლიანი ლეგალიზების განხორციელება შეუძლებელია.

შხედველობაშია მისაღები ქვემოთოყვანილი ასეთი ფაქტორები:

- ავტომანქანის ტარება დაუშვებელია ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ;
 - წარმოებაში მექანიზმებთან მუშაობა არ შეიძლება;
 - დაუშვებელია ასეთი პირების მუშაობა სამართალდამცავ და სახელმწიფო სტრუქტურებში;
 - არასრულწლოვან მოქალაქეებს ეკრძალებათ მოხმარება და ა.შ.;
 - აუცილებელია აკრძალვები და კანონის ჩარევა ფსიქიკურად დაავადებული ნარკომანი პირების მიმართ.
- პრობლემას ვერც ნაწილობრივი რბილი ნარკოტიკების (მარიხუანა) ლეგალიზება მოხსნის, რადგან

¹¹ ჯანაშია ჯ., ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლა, სახელმძღვანელო, თბილისი, 1995 წ.

პრობლემა არა იმდენად ნარკოტიკულ საშუალებაშია, რამდენადაც მისი მოხმარების გამომწვევ მიზეზებსა და მასშტაბებში.

პრაქტიკა გვარწმუნებს, რომ თუ გავაუქმებთ პასუხისმგებლობას მარიხუანას მოხმარებისათვის, ჰერონისა და ოპიუმის მომხმარებლები მაინც გააგრძელებენ თავის საქმიანობას, ნარკოტიკების უკანონო პრუნვა მაინც გაგრძელდება.

ღიახ, ნარკომანია ძვირად დაუჯდება საზოგადოებას — ეკონომიკური ინვესტიციები, სამედიცინო და სოციალურ სფეროში გაწეული ხარჯები, შესაბამისი პროგრამების დაფინანსება და ა.შ. ვის შეუძლია დაამტკიცოს, რომ ეკონომიკური დანახარჯები შემცირდება მისი ლეგალიზების შემდეგ?

არგუმენტი, რომელიც ერდნობა “ადამიანთა უფლებათა დეკლარაციის” მე-4 მუხლს და რომლის მიხედვით კანონს არ შეუძლია აკრძალოს ის, რაც უშუალოდ არ ვნებს გარშემომყოფთ, ყოველი ადამიანი თავის სხეულს ექცევა ისე, როგორც სურს, წარსული დროა!

ყველა ქვეყნის კანონმდებლები უკვე კარგა ხანია ითვალისწინებენ (ბრალდების განსაზღვრისას) არა მარტო პირდაპირი მატერიალური აქტის წუთიერ ეფექტს, არამედ იმ საშიშროებასაც, რომელსაც ეს აქტი შეიცავს. ითვალისწინებენ მისგან მოსალოდნელ პოტენციურ რისკს და ახდენენ მისი შემდგომი შედეგების სოციალურ შეფასებას.¹²

ავილოთ მაგალითად, წესი უსაფრთხოების ღვედების ხმარების შესახებ. მისი შეუსრულებლობისათვის ღგება პასუხისმგებლობა, თუმცა პიროვნება გარშემომყოფთ უშუალოდ ზიანს არ აყენებს: “როგორც მინდა ისე ვმგზავრობ, ჩემი სიცოცხლე მე მეკუთვნის”.

კანონი ისეთი უნდა იყოს, რომ უპირატესობა არ მისცეს იმ უარყოფითს, რომელიც ჩვენი ახალგაზრდობის ფსიქიკის ჩამოყალიბებაზე ნეგატიურად იმოქმედებს.

ნარკომანის მოქმედება მუდმივი რისკის ქვეშ უნდა ჩავაყენოთ!

¹² Программа ООН по международному контролю над наркотиками. Типовое законодательство касающееся классификаций наркотических средств, психотропных веществ и прекурсоров и регламентаций законного культивирования, производства и изготовления наркотиков и торговля ими, также о незаконном обороте наркотиков и связанных с ними правонарушениях. Вена, 1996 г.

სახელმწიფო ვერ გაექცევა ვალდებულებებს თავისი მოქალაქეების წინაშე. თუ მისთვის ძნელია ყველა საშუალებით აღკვეთოს ნარკოტიკის მოხმარება მისი არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე, ეს იმას არ ნიშნავს, რომ საკითხის გასამარტივებლად მისი მოხმარება დაუშვას. პირიქით, იგი უნდა წავიდეს იმავე ძნელი გზით და სრულყოს თავისი მოქმედება ამ მიმართებით.

§6 ეკონომიკურ-პოლიტიკური თვალსაზრისი

ნარკოტიკის ლეგალიზების შემთხვევაში იბადება შეკითხვა: სახელმწიფომ და კერძო სტრუქტურებმა რა ფასებში უნდა მიყიდოს ნარკოტიკული ნივთიერება მომხმარებელს?

აი, ახალი თავსატეხი პრობლემა.

თუ გასაყიდი ფასი კანონიერ ბაზარზე ბევრად მაღალი იქნება, რა თქმა უნდა, მომხმარებელი არაკანონიერ შავ ბაზარს მიმართავს. ასეთი მდგომარეობა შექმნილია ბევრ ქვეყანაში თამბაქოსთან დაკავშირებით, სადაც კონტრაბანდული სიგარეტი თანაარსებობს სიგარეტის კანონიერ ბაზართან. იგივე მოვლენას ჰქონდა ადგილი ოპიუმის ნედლეულთან დაკავშირებით შორეული აღმოსავლეთის კოლონიებში პირველი და მეორე მსოფლიო ომებს შორის დროის მონაკვეთში, როდესაც საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და ნიდერლანდები სახელმწიფო ორგანოებში მართვის შესაბამის სტრუქტურებს ინარჩუნებდნენ, რათა მაქსიმალური მოგება ენახათ. მართვის ეს ორგანო თავის ოპიუმს შედარებით მაღალ ფასში ყიდდა. ჰონკონგში კი ოპიუმის არაკანონიერი ფართო შავი ბაზარი არსებობდა ოფიციალურის გვერდით.

მაგრამ თუ სახელმწიფო ორგანო თავის ფასს არალეგალური ბაზრის ფასზე დააბალანსებს — დაიყვანს, მაშინ ვაჭრებს არაფრად უღირთ თავიანთი ფასები შეცვალონ, რადგანაც ამ სფეროში მოგება მათ ფართო მოქმედების თავისუფლებას აძლევს. ნაკლებ სარწმუნოა ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო ორგანო ვითომდა საკმაოდ დაბალ გასაყიდ ფასს დააწესებდა, რათა ვაჭრებს ვერ შესძლებოდათ ნარკოტიკის მაღალ ფასში გაყიდვა. გასათვალისწინებელია, რომ ფასების ასეთი შემცირებით სახელმწიფომ შეიძლება მომხმარე-

ბელთა მკვეთრი მატება გამოიწვიოს, ყოველ შემთხვევაში ღარიბთა ზონებში მაინც.

ლეგალიზების რეჟიმში ოპიუმისა კოკას პასტის შესყიდვის ფასიც დილემის წინაშე დადგება. თუ ღირებულების შემცირების მიზნით სახელმწიფო ორგანოები და კერძო მწარმოებლები პირველად ნედლეულს ძალიან დაბალ ფასებში შეისყიდნიან, მწარმოებლები გარისკავენ და თავიანთ მოსავალს არალეგალურ ბაზარზე გაიტანენ, როგორც ეს 1995 წელს ინდოეთში მოხდა – ოპიუმის მწარმოებლებმა უარი თქვეს სამედიცინო მიზნით სახელმწიფოსათვის თავიანთი საქონლის მიწოდებაზე, რადგანაც ეს უკანასკნელი 1 კგ ოპიუმში 8 დოლარს სთავაზობდა მაშინ, როდესაც ვაჭრები კილოგრამში 225 დოლარს უხდიდნენ.¹³

მოსაზრება იმის შესახებ, რომ შავი ბაზრის გაუქმებით ნარკოტიკის ფასები დაიწვეს, უტოპიაა!

ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა ქვეყანა ერთდროულად დაიკავებს ამ პოზიციას მთელს მსოფლიოში.

ჩემი აზრით, მოსახლეობაში ნარკოტიკების გავრცელების მასშტაბები ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად იაფად და ადვილად იშოვება იგი ქვეყანაში.


საქართველოში 1 გრ ჰეროინი და კოკაინი შესაბამისად 200-300 დოლარი ღირს. შეიძლება დავასკვნათ, რომ მოთხოვნა ნარკოტიკებზე საქართველოში დღეს საკმაოდ მაღალია, რა იქნება კანონის შესუსტების შემთხვევაში?

მაგალითი: ისეთი ლიბერალური რეპრესიების ქვეყანაში, როგორც ჰოლანდიაა, 1 გრ კოკაინი 40 დოლარი ღირს; შედარებით ძლიერი რეპრესიების ქვეყანაში, გერმანიაში, იგი 140 დოლარად ფასობს;

საქართველოში დღეს ნარკოტიკების სფეროში არსებული კონტროლის სისტემა საკმაოდ დაბალ დონეზეა, ამიტომ ქვეყანაში მისი შემოტანა გაიოლებულია. ურთულესია მის გარშემო არსებული გეოპოლიტიკური ვითარება. ასეთ შემთხვევაში წინა პლანზე გამოდის კანონმდებლობა, რომელმაც ქვეყნის ნარკოტიზაციისაგან დაცვის ინსტრუმენტის როლი უნდა შეასრულოს.

ლეგალიზება ნარკობიზნესს ახალ ბიძგს მისცემს, გაძლიერდება მისი მასშტაბები; დაიწყება კონკურენცია შიდა ბაზარზე, საგრძნობლად მოიმატებს ნარკოტიკების იმპორტი ქვეყნის ფარგლებს გარედან და რაც ჩვენი კლიმატური პირობების გათვალისწინებით ყველაზე უფრო საგანგაშოა,

თითო გრამი კოკაინისა და ჰეროინის ფასები ევროპაში



¹³ ნარკოტიკების გეოპოლიტიკური ობსერვატორია, ნარკოტიკების მსოფლიო ატლასი, თავი VIII – ნარკოტიკები და ფასები – ფანტასტიკური ზრდა. საფრანგეთის უნივერსიტეტის გამოცემა, პარიზი, 1996 წ.

დაიწყება ნარკოტიკულ ნივთიერებათა შემცველი მცენარეების დათესვა და მოყვანა, ე.ი. შეიქმნება ნარკოტიკების წარმოების შიდაბაზარი. იგი სტიმული იქნება იმისა, რომ საქართველო ნარკოტიკების გადაზიდვის ერთ-ერთი ცენტრი გახდეს კავკასიაში; იმუშავებს ცნობილი ფორმულა:

ნარკოტიკები → ლეგალიზაცია = ბაზარს.¹⁴

ნარკოტიკების მოხმარების ლეგალიზაცია ხელს შეუწყობს, როგორც უკვე ვთქვით, საქართველოში ნარკომანთა რიცხვის საგრძნობ ზრდას, ნარკობიზნესის განვითარებას, საქართველოს ნარკოტიკების სატრანსპორტო ქვეყნად გადაქცევას, რასაც შედეგად უცხოელი ნარკობიზნესმენების მიერ საქართველოს ეკონომიკაში თავიანთი დანაშაულებრივი გზით ნაშოვნი ფულის ლეგალიზაციის (გათეთრების) მზარდი მასშტაბები მოყვება.

აი, რას ამბობენ ამერიკელი მეცნიერები რენსელაერ ლი და სკოტ მაკდონალდი:

მსოფლიოს თანამეგობრობის ქვეყნების ინტერესებში შედის ყოფილ კომუნისტურ ქვეყნებში განვითარდეს სტაბილური და კანონიერი საზოგადოებები. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები ეკონომიკურად ღარიბი, მაგრამ ნარკოტიკებით მდიდარი ქვეყნებია და ნარკოტიკების ტრანზიტისათვის უაღრესად ხელსაყრელი პირობები გააჩნიათ, რაც ნარკოლიდერებსა და სხვა კრიმინალურ ელემენტებს მათში მყარად დამკვიდრების კარგ შანს აძლევს.

ქვეყნები, სადაც არაიშვიათად მთავრობის შემადგენლობაში დამნაშავენიც საქმიანობენ, ვერ დაამყარებენ ახალ პოსტკომუნისტურ წყობას ევრაზიულ სივრცეში, ან ამის მისაღწევად უაღრესად დიდი დრო და მცდელობა დასჭირდებათ.

სწორედ ამიტომ ახლადგანვითარებულ სახელმწიფოებში აღმოსავლეთ ევროპიდან წყნარ ოკეანემდე უნდა შეიქმნას ანტინარკოტიკული კოალიცია, რათა წინ აღუდგნენ სახიფათო ნარკობიზნესს, ფულის გათეთრებას და ნარკოტიკების მოხმარების დიდ მასშტაბებს. ყოველივე ეს კი ხელს შეუწყობს დემოკრატიული პრინ-

¹⁴ J.F. Couvrat, N. Pless, *La face cachée de l' "économie mondiale*, Paris, Hatier, 1988.

ციპების დამყარებას და ამ ქვეყნებში თავისუფალი ეკონომიკური ბაზრების შექმნას.

თუკი ეს ქვეყნები, საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერით არ შეეცდებიან წინ აღუდგნენ ამ პროცესებს, ორგანიზებული დანაშაულის ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაუფლება არარსებულ სიმალლეს მიაღწევს.¹⁵

§7. აპრპალვმპის არგუმენტაცია

კონვენციითა ვალდებულებები.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1988 წლის კონვენციის მე-3 მუხლში ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპულ ნივთიერებათა უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ აღნიშნულია, რომ ამ კონვენციის მონაწილე ქვეყნებმა, თავიანთი კონსტიტუციური დებულებებისა და სამართლებრივი სისტემის ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით, თავიანთი კანონმდებლობის შესაბამისად, საჭიროა კანონდარღვევად ცნონ ნებისმიერი ნარკოტიკული საშუალებისა და ფსიქოტროპულ ნივთიერებათა შენახვა, შექმნა და კულტივირება, 1961 წლის კონვენციის მოთხოვნათა საპირისპიროდ.¹⁶

იგივე მუხლი კონვენციის წევრ ქვეყნებს უკრძალავს სათანადო კანონიერი ნებართვის გარეშე ნარკოტიკის შენახვას.

ამავე კონვენციის მე-14 მუხლი კი ამ ქვეყნებს ავალდებულებს ყველა შესაძლო ღონისძიების გატარებაში ნარკოტიკების მიწოდების (მოთხოვნის) თავიდან აცილების მიზნით, ასევე, ნარკომანების გამოვლენაში, მათი შემდგომი სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის ღონისძიებათა უზრუნველყოფის მიზნით.

1988 წლის კონვენციის მოთხოვნებით სახელმწიფოებმა ნარკოტიკების ბოროტად გამოყენებას უნდა დაუპირისპირონ რეპრესიული მეთოდები, სამედიცინო და პროფილაქტიკური ღონისძიებები.

ამავე კონვენციის მე-3 მუხლის მეორე პუნქტი მოითხოვს, რომ ყველა სახელმწიფომ გაატაროს

¹⁵ Jeffrey Rensselaer W.Lee III and Scott McDonald - *Drugs in Post-Communist Societies*. Boulder - San Francisco - Oxford, 1994.

¹⁶ Организация Объединенных Наций. Конвенция о борьбе против незаконного оборота наркотических средств и психотропных веществ 1988 года, ст. 3. Австрия, Вена, июль, 1995 г.

ისეთი ღონისძიებები, რათა საჭიროების შემთხვევაში კანონდარღვევად სცნოს პირადი გამოყენების მიზნით ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპულ ნივთიერებათა შესყიდვა, შენახვა, კულტივირება (მოყვანა) და სხვ.

ამიტომ, სახელმწიფოთა საკანონმდებლო ხელისუფლებამ კონვენციის ეს და სხვა მოთხოვნები მუდმივად უნდა გაითვალისწინოს თავის კანონშემოქმედებით საქმიანობაში.

აღზრდელითი თვალსაზრისი

ახალგაზრდობას უცილოდ სჭირდება თავისი მოსაზრებების, მსოფლმხედველობის სწორი ორიენტირება, აგებული განსაზღვრულ პრინციპებზე.

სწორედ ახალგაზრდობის აღზრდაა ის მძლავრი მექანიზმი, რომელიც საზოგადოებას დაიცავს კანონის ნორმებიდან გადახრისაგან და ამიტომაც აქვს სწორ აღზრდას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა.¹⁷ თეორიიდან ცნობილია, რომ მოზარდი თაობის დიდი კანონმორჩილი ნაწილი, მათ შორის არასრულწლოვნებიც, კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე თავს იკავებენ ნარკოტიკებისაგან. ნარკოტიკების ლეგალიზება ან კანონის ნორმების ნაწილობრივი ლიბერალიზაცია კი ბევრ ახალგაზრდას მათი მოხმარებისაკენ უბიძგებს, რასაც ისინი სხვა დროს არ გააკეთებდნენ. ლეგალიზების შემთხვევაში შექმნილი გარემო პირობების გამო არ იქნება არავითარი ბარიერი და აღზრდაში დაშვებული შეცდომების გამო ნარკოტიკებთან არაკანონიერ შეხებაში მყოფი ახალგაზრდების არასრულწლოვნების რიცხვი მკვეთრად გაიზრდება – “კოკასა შიგან რაცა ღვას იგივე წარმოსდინდების.”¹⁸

ამიტომ, გარდა სხვა შემაკავებელი ფაქტორებისა, ქვეყნის მოქალაქეებმა ადრეული წლებიდანვე უნდა იცოდნენ, რომ ქვეყანაში ნარკოტიკის არასამედიცინო დანიშნულებით მოხმარება კანონსაწინააღმდეგო ქმედებაა. ჩემი აზრით, დადგა დრო, იმისა, რომ საჭიროა საქართველოს სკოლების დაწყებით კლასებში დაიწყოს ნარკოტიკების მავნებლობის შესახებ გაკვეთილების ჩატარება, როგორც ამას

აპირებენ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხთან დაკავშირებით. წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანაში ნარკომანიის მასშტაბების მკვეთრი ზრდა გარდუვალია. ამას თვალნათლივ მოწმობს სტატისტიკაში მოტანილი რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის მაგალითი.

მოსკოვის მთავარი ნარკოლოგის ედუარდ დროზდოვის ინფორმაციით, მოსკოვის საშუალო სკოლის მოსწავლეთა შორის ნარკოტიკების მოხმარების პროცენტული მაჩვენებელი 1986-87 წლებში 6,4 პროცენტი იყო, ხოლო 1992 წელს, კანონის ლიბერალიზაციის შემდეგ კი, მან 16,5 პროცენტი შეადგინა. მისივე მონაცემებით მოსკოვის ზოგიერთი პროფესიული სასწავლებლის მოსწავლეთა 100 პროცენტს გასინჯული აქვს ნარკოტიკი.¹⁹

არის მოსაზრება, რომ ნარკოტიკების ნაწილობრივი ლეგალიზება (მარიხუანა) ხელს შეუწყობს ნარკომანების გამოვლენას და მათ “მოვლას”. ჩვენ კი დავსძენთ, რომ ამას აუცილებლად მოყვება ათასობით ახალგაზრდა-არასრულწლოვნის ნარკომანიაში ჩართვა;

ვერავინ განსაზღვრავს ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების მასშტაბებს მისი ლეგალიზების შემთხვევაში.

ქართველ მეცნიერთა გამოკვლევებით, რბილი ნარკოტიკების (მარიხუანა) მოხმარების შემდეგ ყოველი მეხუთე-მექვსე პირი ძლიერ ნარკოტიკზე გადადის (ოპიუმი, ჰეროინი, კოკაინი და ა.შ.).²⁰

სწორედ ნარკოტიკების თემაზე საუბრისას უნდა ვიყოთ უაღრესად ფრთხილი, დაკვირვებული. ხმაურიანი განცხადებები კი ნარკომანიის ავადმყოფობად და სოციალურ მოვლენად გამოცხადების შესახებ ჩვენი სერიოზული ჩაფიქრების საგანი უნდა გახდეს. ამით უსათუოდ ვაწვებთ საზოგადოების ჯანსაღ ნაწილს, ჩვენს მომავალს.

როგორც აშშ ნარკოტიკებთან ბრძოლის ადმინისტრაციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ჯონ ხეისლიჰმა განაცხადა: “ერთ-ერთი სერიოზული მიზეზი ნარკომანიის ეპიდემიისა არის მოწოდებები ნარკოტიკებისა და მისი მოხმარების ლეგალიზების შესახებ და, როგორც მსოფლიო პრაქტიკა

¹⁷ Аванесов Г. А., Криминология, издание второе (переработанное и дополненное), Академия МВД СССР, Москва, 1984 г.

¹⁸ შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, გამომც. საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1975 წ.

¹⁹ Чебакова Т., Наркомафия раскрывает спираль грязного бизнеса. «Российская газета», 24 апреля, 1992.

²⁰ ზურაბაშვილი ა., გაბიანი ა., ლეჟავა გ., ნანეიშვილი გ., მენე ჩვევიდან მძიმე დაავადებამდე, თბილისი, 1982წ

გვიჩვენებს, უმეტეს სახელმწიფოთა ხელისუფალნი არაადეკვატური არიან ასეთი წამოწყებების მიმართ, რაც აშკარად ჩანს ნარკოტიკების გავრცელების მსოფლიო ისტორიის შესწავლისას²¹.

კრიმინოლოგიური თვალსაზრისი

ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის სფეროში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ლატენტურობის ცნებას, რადგან გარკვეული მიზეზების გამო ამ სახის კანონდარღვევების საკმაოდ დიდი ნაწილი არ ხვდება სამართალდამცავი ორგანოების ოფიციალურ აღრიცხვაზე. კერძოდ, არც დამნაშავეს – რეალიზატორს და არც მსხვერპლს – ნარკოტიკების მომხმარებელს დანაშაულის გახსნა არ აწყობს.

უცხოეთის ქვეყნებში, მათი მაღალი პროფესიონალური დონისა და სათანადო მატერიალურ-ტექნიკური შეიარაღების გამო ლატენტური – გამოუვლენელი დანაშაულების რიცხვი ნარკომანიისა და ნარკობიზნესის სფეროში საკმაოდ მაღალია და შეადგენს 1:8-თან. ჩვენში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო მეტად მაღალია და თანაფარდობა შეადგენს 1:10 ან 1-15.

ამის მიზეზი მრავალია, რომელთა შორის გამოვყოფთ რამდენიმე ჯგუფს:

პირველი ჯგუფი – დანაშაული, რომლის შესახებ შესაბამის ორგანიზაციებს, დაწესებულებებს, პირებს ინფორმაცია არა აქვთ.

მეორე ჯგუფი – როდესაც დანაშაულის ფაქტი სახეზეა, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ამ დანაშაულის გამომვლენი პირი მას როგორც დანაშაულს არ აღიქვამს.

მესამე ჯგუფი – დანაშაულები, რომლებიც აღრიცხვაზე არ არის აყვანილი შესაბამისი თანამდებობის პირთა არასწორი მოქმედების გამო (დანაშაულის დამალვა სახელმწიფო აღრიცხვიდან).²²

დანაშაულის ლატენტურობაზე ასეთი აქცენტი გამომდინარეობს იქედან, რომ მისი რეალური რიცხოვნობის, სტრუქტურის, დინამიკისა და სხვა მახასიათებლების ზუსტი ცოდნა აუცილებელია

შესაბამისი – საწინააღმდეგო: მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ზომების განსახორციელებლად, რომელიც თავისთავად მოიცავს იმ ეკონომიკურ-ფინანსურ გათვლებსაც, რაც აუცილებელია ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლისა და ნარკომანთა სოციალური თუ სამედიცინო რეაბილიტაციისათვის.

სამედიცინო თვალსაზრისი. კიდევ ერთი საკითხი – როგორ მოხდება ნარკომანების აღრიცხვაზე აყვანა, მათი სოციალური კონტროლი და საერთოდ როგორი იქნება ლეგალიზების შემთხვევაში სამართალდამცავი და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების ურთიერთკავშირი? ასეთი სისტემის შექმნა დაკავშირებულია სერიოზული ფინანსების გამოყოფასთან.

ნარკოტიკების არასამედიცინო დანიშნულებით მოხმარებისათვის სისხლისსამართლებრივი და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გაუქმება, როგორც აღვნიშნეთ, ნარკომანთა რიცხვის მკვეთრ ზრდას გამოიწვევს. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ დღესდღეობით, მსოფლიო პრაქტიკაში ერთი ნარკომანის მკურნალობა რამდენიმე ასეული დოლარი ჯდება, სავსებით გასაგები მიზეზების გამო ამას ჩვენს ქვეყანაში ვერ განვახორციელებთ, რადგან სახელმწიფოს რამდენიმე ათეული ნარკომანის მკურნალობისათვის საჭირო საშუალებაც კი არა აქვს. გამომდინარე აქედან, სულ უფრო გაიზრდება სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის გარეშე დარჩენილ ნარკომანთა რიცხვი.

და კიდევ ერთიც, საქართველოში დღეს არ არსებობს ნარკომანთა ნებაყოფლობითი და არანებაყოფლობითი იძულებითი მკურნალობის ინსტიტუტი და აქედან გამომდინარე, ამ კატეგორიის პირთა შესაბამისი ტიპის სამკურნალო დაწესებულებებიც. საქართველოს ნარკოლოგიის სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელის პროფესორ გელა ლეჟავას მონაცემებით, ქვეყანაში 1999 წელს ნარკოლოგიის პრობლემებზე გამოიყო იმდენი თანხა, რომელიც მხოლოდ რამდენიმე ათეული ნარკომანის განკურნებას ეყოფოდა.²³

იბადება შეკითხვა, როგორ განვახორციელებთ ამ ეტაპზე მათ სამედიცინო მკურნალობას და

²¹ Жейслип Дж. Нормативная конференция стран Содружества Независимых Государств по правоохранительной борьбе и контролю над наркотиками и химическими веществами. Отчет конференции. Зальцбург. Австрия. 11-14 октября, 1994 года.

²² Алексеев А. И., Роша А. Н., Латентная преступность и эффективность деятельности правоохранительных органов - В кн.: Вопросы борьбы с преступностью, Москва, 1973 г.

²³ ლეჟავა გ., მოხსენება საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე, თბილისი, აპრილი, 1999 წ.

სოციალურ რეაბილიტაციას? რას შევთავაზებთ ნარკოტიკების მომხმარებელთა ამ დიდ არმიას?

ლეგალიზაცია – ეს არის პოლიტიკოსებისა და ინტელექტუალების გარკვეული ნაწილის მცდელობა სოციალური, სამედიცინო, კრიმინოგენული და სხვა პრობლემის გადაწყვეტისა გრძელვადიანი, შრომატევადი ღონისძიებების გვერდის ავლით, რაც ჩვენი საზოგადოებისათვის, კერძოდ კი მისი ახალგაზრდობისათვის უალრესად სახიფათოა.

ლეგალიზების მომხრენი, რომელთაც აფიქრებთ იმ ახალგაზრდა ნარკომანთა ბედი, რომლებიც ნარკოტიკის უხარისხო სახეობებს ანტისანიტარიის პირობებში ღებულობენ, გვიქადაგებენ: გავაუქმით პასუხისმგებლობა ნარკოტიკების არასამედიცინო დანიშნულებით მიღებისათვის, მოვახდინოთ მისი ლეგალიზება და აღარ იქნება პრობლემა ასეთი საგანგაშო, ჩვენი აზროვნება და ფსიქიკაც დაისვენებს.

მაგრამ დღეისათვის ხომ ნათელია, რომ ნარკოტიკების მოხმარების ლეგალიზება ნარკომანებისთვის ახალს არაფერს წარმოადგენს. მიუხედავად კანონის ამკრძალავი ნორმებისა, ისინი ღებულობენ ნარკოტიკს. ასე რომ, ლეგალიზება შეეხება მათ, ვინც ადრე ნარკოტიკებს არ ღებულობდა. ამიტომ ჩაფიქრება გვმართებს, თუ როგორი შეიძლება იყოს ამკრძალავ ღონისძიებათა გაუქმების შემდგომი შედეგები საზოგადოებისათვის, როდესაც ნარკოტიკი ცხოვრების შემადგენელი ერთ-ერთი წესი გახდება.

მეცნიერებსა და პრაქტიკოსებს, ადამიანთა ცალკეულ ჯგუფებს არ უნდა ჰქონდეთ პრეტენზია, რომ ქართველი ერისათვის ამ უმტკივნეულებს და უმნიშვნელოვანეს საკითხზე ერთადერთი სწორი და ამომწურავი პასუხი აქვთ. ეს საკითხი მთელი ერის გადასაწყვეტია, თუნდაც რეფერენდუმის გზით!

იტალიამ, როდესაც სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკმაოდ მაღალ საფეხურს მიაღწია, ეროვნული რეფერენდუმის საფუძველზე მხოლოდ 1993 წელს გარისკა გადაწყვეტილების მიღება ქვეყანაში ნარკოტიკების მოხმარებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გაუქმების შესახებ. (იხ. ცხრილი. გვ. 42).

მიმაჩნია, რომ ამ საკითხში აჩქარებამ შეიძლება გაუთვალისწინებელი და გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს ჩვენს ქვეყანას.

უნდა ვისწავლოთ იმ სხვა ქვეყნების მაგალითზე, როდესაც ნარკოტიკებმა უალრესად დამანგრეველი ზეგავლენა მოახდინა ამ სახელმწიფოთა ეკონომიკაზე, კულტურაზე, პოლიტიკაზე.

საკითხის კვლევისას მკაცრად ჩამოყალიბდა მოსაზრება იმის შესახებ, რომ არ შეიძლება საქართველოში ნარკოტიკებთან ბრძოლის საკითხებში ბრძალ დაწერგოთ იმ ქვეყნის მოდელი, რომელთაც საუკუნეთა განმავლობაში შეხება ჰქონდა ნარკოტიკების წარმოებასთან, მოხმარებასა და ტრანსპორტირებასთან.

დასკვნა

საქართველოს განვითარების ამ ბარდამავალ მტაპზე, როდესაც:

- სამართალდამცავი ორგანოები ვერ აკონტროლებენ ქვეყნის ტერიტორიის დიდ ნაწილს და მათ შორის, სასაზღვრო სივრცის დიდ ზოლს;
 - საგანგაშოა ნარკომანთა რიგების ზრდის მყარი ტენდენცია, იკვეთება მათი გაახალგაზრდავების მკვეთრი კონტურები;
 - სახეზეა ნარკომანიისა და დანაშაულის, განსაკუთრებით მისი მძიმე სახეობის ურთიერთკავშირი;
 - არ არსებობს ნარკომანთა ნებაყოფლობითი და იძულებითი მკურნალობის ნორმატიული ბაზა, სამკურნალო დაწესებულებები;
 - ჯერჯერობით არ არის მოძებნილი როგორც სახელმწიფო, ისე საერთაშორისო დონეზე ნარკომანთა სოციალური და სამედიცინო მკურნალობის დაფინანსების წყაროები;
 - არ არის ჩამოყალიბებული ნარკომანებთან მუშაობის სამედიცინო, სოციალური და რეპრესიული მეთოდების კონტროლის სისტემა;
 - არ არის გამიჯნული ამ კონტინგენტთან მომუშავე უწყებათა და სამსახურების კომპეტენცია.
- არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად ნარკოტიკების პირადი მოხმარების მიზნით შენახვისათვის, ასევე არასამედიცინო დანიშნულებით მისი გამოყენებისათვის სისხლისსამართლებრივი და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გაუქმება.

ჩემალ ჩანაშია,
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი,
გენერალ-მაიორი.

ეკატერინე ქარდავა

ევთანაზიის პრობლემა სისხლის სამართალში

ევთანაზია ბერძნული სიტყვაა (euthanasia) და ნიშნავს ტკბილ, უშფოთველ სიკვდილს. ენციკლოპედია მას სამი მნიშვნელობით განმარტავს: 1) ვიწრო მნიშვნელობით – მომაკვდავისათვის ტანჯვის შემამსუბუქებელი ისეთი საშუალების მიცემა, რომელიც სიკვდილს არ დააჩქარებს, – ასეთი ევთანაზია ექიმის მოვალეობაა. 2) უკურნებელი სენით დაავადებული და ტკივილებით გაწამებული ადამიანისათვის სიბრალულის მოტივით ისეთი საშუალების მიცემა, რომელიც არამარტო გააყურებს ტკივილს, არამედ სიცოცხლესაც მოუსპობს. 3) ფართო მნიშვნელობით – ფსიქიკურად ან ფიზიკურად „არასრულფასოვანი“ სიცოცხლის მოსპობა ევგენიკური თუ სოციალური მოსაზრებით, – ასეთი ევთანაზია შეუთავსებელია თანამედროვე ცივილიზებული კაცობრიობის ზნეობრივ შეხედულებებთან.¹

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 110-ე მუხლის თანახმად დანაშაულადაა გამოცხადებული „მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით“. იგი შემდეგნაირადაა განმარტებული: „მკვლელობა მსხვერპლის დაჟინებული თხოვნით და მისი ნამდვილი ნების შესაბამისად, ჩადენილი მომაკვდავის ძლიერი ფიზიკური ტკივილისაგან განთავისუფლების მიზნით – ისჯება თავისუფლებიდან აღკვეთით ვადით სამ წლამდე“.²

აღსანიშნავია, რომ 1960 წლის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი დასჯადად არ აცხადებდა აღნიშნულ ქმედებას.

დღეს მოქმედ კოდექსში ამ ნოვაციის მიღება განაპირობა მთელმა რიგმა მეცნიერულმა და იურიდიულმა შეხედულებებმა, რომელთა შესახებ ქვემოთ მექნება საუბარი. ახლა კი შევეცდები განვსაზღვრო ევთანაზიის პრობლემა იურიდიული, სამედიცინო და ფსიქიკური თვალსაზრისით და აქვე შევჩერდე ამ პრობლემის წარმომავლობაზე.

ევთანაზიის შესახებ მოსაზრება დიდი ხანია, რაც არსებობს. ჯერ კიდევ თომას მორი მიუთითებს ამ პრობლემის არსებობაზე თავის ნაშრომში „უტოპია“.

საკუთრივ ევთანაზიის შინაარსი მე-16 საუკუნეში წარმოიშვა, რომელიც გულისხმობდა სიკვდილის დაჩქარებას განუკურნებელი სენით შეპყრობილთათვის.

ჯერ კიდევ ძველ რომში არსებობდა პრინციპი Volenti non fit injuria, რაც შეესატყვისებოდა პირის თანხმობას მისთვის სიცოცხლის მოსპობაზე. შუა საუკუნეებში შეიცვალა საზოგადოებრივი შეხედულებანი, რაც განპირობებული იყო ასევე რელიგიური ჩვეულებების დამკვიდრებით. ამ ცვალებადობამ გამოიწვია ევთანაზიის შესახებ ახალი მოსაზრების დამკვიდრება: „სიცოცხლის უფლება მიეკუთვნება ხელშეუხებელ უფლებას და ადამიანს არა აქვს უფლება თავისი სიცოცხლე თავისი შეხედულების მიხედვით განკარგოს.“

ამ დეფინიციის მიხედვით უკვე შუა საუკუნეებიდან ევთანაზია დანაშაულად და გასაკიცხ ქმედებად გამოცხადდა. უკვე მე-17-18 საუკუნეებიდან ეს მოვლენა განიხილება, როგორც მკვლელობის განსაკუთრებული სახე, რომელიც მსუბუქ სასჯელს იმსახურებს.

ევთანაზიის პრობლემა ფილოსოფიის, მედიცინის და სამართლის პრობლემაა. იგი სიკვდი-

¹ „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“, ტ.4, გვ. 33, თბ., 1977 (თ. წერეთლის სტატია).

² „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი“, – თბ., 1999, 110-ე მუხლი.

ლის არსთანაა დაკავშირებული და სიცოცხლის ხელშეუხებლობის პრობლემას უპირისპირდება. აღსანიშნავია სიკვდილის პრობლემის განმარტება მეცნიერული, ფილოსოფიური და სამართლებრივი თვალსაზრისით. მედიცინა ყოველთვის აქცევს ყურადღებას სიკვდილის ემპირიულ მხარეებს, ფილოსოფია ეძებს სიკვდილის აზრსა და არსს, ხოლო სამართლისათვის ზოგადად საინტერესოა ის შედეგები, რომელსაც ობიექტური სიკვდილი იწვევს.

სიცოცხლის უფლება, ერთი შეხედვით, სიკვდილის უფლებასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ევთანაზიის მომხრეებს მიაჩნიათ, რომ კანონმდებლობა სრულიად არამართებულად უარყოფს უფლებას სიკვდილისას, როდესაც მკაცრი ზომებით იცავს სიცოცხლის უფლებას.³

ლებედევას მოჰყავს ევთანაზიის განმარტება: „ბედნიერი სიკვდილი ტანჯვისა და განცდების გარეშე,“ რომელიც ჯერ კიდევ ძველი რომიდანაა ცნობილი.

1623 წ. ბეკონმა წამოჭრა ევთანაზიის პრობლემა და შეეცადა მის განხილვას. იგი წერდა: „ექიმის მოვალეობა არა მხოლოდ ის არის, რომ გამოაჯანმრთელოს ავადმყოფი, არამედ შეუმსუბუქოს მას ტანჯვა და ტკივილი, მაგრამ ეს მან უნდა განახორციელოს არა მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს რაიმე შანსები ავადმყოფის გადარჩენისა, არამედ მაშინაც, როდესაც ავადმყოფის გამოჯანმრთელება პრაქტიკულად შეუძლებელია და რჩება მხოლოდ იმის შესაძლებლობა, რომ სიკვდილი გაადვილდეს“.

ევთანაზიის პრობლემა არასოდეს არ ყოფილა რუსეთში საზოგადოების მიერ ფართოდ გაშუქებული, მაგრამ ფილოსოფოსების, მედიკების, იურისტებისა და სასულიერო პირების მიერ ვიწრო წრეში განხილვის დროს იგი იწვევდა მწვავე დებატებსა და შეურიგებელ წინააღმდეგობებს. ყოველთვის არსებობდნენ ევთანაზიის მომხრენი და მისი მოწინააღმდეგენი. ივანეშკინი უარყოფდა რა ამ მოვლენის პოზიტიურობას, აღნიშნავდა, რომ ევთანაზიის მომხრეთა პოზიცია გაუღებელია აბსრაქტული შიშით ტანჯვის წინაშე, რომელიც

არღვევს არსებობის პროცესს და ექიმები მას შეცდომით მიიჩნევენ ჰუმანიზმადო⁴.

ა. გრომოვი და ვ. კოტელნიკოვი, რომელნიც ასევე ნეგატიურად იყვნენ განწყობილნი ევთანაზიისადმი, აცხადებდნენ, რომ ავადმყოფები, რომელნიც უიმედოდ არიან დასნეულებულნი და ძლიერი ტკივილებისაგან იტანჯებიან, მართალია, თხოვენ ექიმებს სიცოცხლის მოსპობას, მაგრამ მათი თხოვნა არ არის გულიდან ამოძახილი. ევთანაზიის მოწინააღმდეგეთა პოზიცია შემდეგში მდგომარეობს: ტკივილი, რა თქმა უნდა, არასასურველია, მაგრამ არ შეიძლება დავეთანხმოთ იმ მოსაზრებას, რომ ჰუმანური იქნება თუ სიცოცხლეს არ მოვუსპობთ ადამიანს ტკივილისა და ტანჯვის გამო.

კოტელნიკოვის მსჯელობაში ფორმალური შეცდომა იმალება, რომელიც მხედველობაში არ იღებს ნებელობას, ავადმყოფის სურვილს სიკვდილისა და ტანჯვისაგან განთავისუფლებას. თვით ფაქტი იმისა, რომ მედიცინა აჩქარებს სიკვდილის დადგომას, კოტელნიკოვი მიიჩნევს პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად.

ევთანაზიის მომხრეებს განუკურნებელი სენით შეპყრობილისათვის „სიცოცხლის მოსპობა“ მიაჩნიათ „ღირსეულ სიკვდილად“. ესენი არიან ექიმი-პრაქტიკანტები, რომლებიც ყოველდღიურად ხვდებიან მძიმე დაავადებათა შემთხვევებს და შეიგრძნობენ, განიცდიან სხვათა ტანჯვას. მათ შორის ონკოლოგი ლ. შვარცენბერგი აცხადებს: „ექიმები, რომლებიც უშვებენ ავადმყოფთა ტანჯვას, ჯალათები არიან.“ ამ მოსაზრებას ემხრობა კ. ბერნარდი, რომელიც ამბობს: „ავადმყოფებს, რომლებიც განწირულნი არიან სიკვდილისათვის, უფლება აქვთ შეიმსუბუქონ მტანჯავი პროცესი სიკვდილისა“. ნ. არდაშევა მიუთითებს, რომ ზოგიერთნი (კერძოდ, ი. ხაკკეტალი) იბრძვიან, რომ გაიხსნას „ადვილი სიკვდილის“ სპეციალური კლინიკები ან გამოიგონონ სპეციალური თვითმკვლელობის აპარატები.

ევთანაზიის მოწინააღმდეგეთა სასარგებლოდ არსებობს საკმაოდ სერიოზული არგუმენტები: 1) განუკურნებელი დაავადების შესახებ დიაგნოზის დასმისას შეიძლება დაშვებულია შეცდომა, 2) ის, რაც დღესდღეობით ითვლება განუკურნებლად, ხვალ შეიძლება განიხილებოდეს სხ-

³ ნ.ა. არდაშევა, ევთანაზია, როგორც მეთოდი ხელოვნურად სიცოცხლის შეწყვეტისა: სამართლებრივი პირობები.

⁴ იქვე.

ვანაირად: არ არის გამორიცხული ისეთი პრეპარატის აღმოჩენა, რომლითაც შესაძლებელი იქნება უიმედო ავადმყოფის გადარჩენა. 3) მედიცინაში ცნობილია ისეთი ავადმყოფების გამოჯანმრთელება, რომლებიც ითვლებოდნენ განუკურნებლად. ამ არგუმენტების მიხედვით, ევთანაზიის მოწინააღმდეგეებს მიაჩნიათ, რომ ექიმი მოვალეა უმკურნალის ასეთ ავადმყოფებს⁵

კანონმდებლობა ერთმნიშვნელოვნად კრძალავს ამ მოვლენას, თუმცა საავადმყოფოებში ადგილი აქვს ფარულ ევთანაზიას. ექიმები, რომლებიც ყოველდღიურად თვალს ადევნებენ აგონიაში მყოფ ავადმყოფებს, ხშირად უწერენ მათ ისეთ პრეპარატებს, რომლებიც იწვევენ ე.წ. „მშვიდ ძილს“. „სიკვდილის შემსუბუქება - საყოველთაოდ მიღებული პროცედურაა - მსგავსი იმისა, რომელიც ამსუბუქებს ადამიანის დაბადებას“. - აღიარებს ზოგიერთი ექიმი.

არსებობს ორი სახის ევთანაზია: 1) აქტიური ევთანაზია და 2) პასიური ევთანაზია.

პასიური ევთანაზია გულისხმობს უარის თქმას სიცოცხლისგანმახანგრძლივებელ თერაპიაზე, ან უკვე დაწყებული თერაპიის შეწყვეტას. აქტიურია ევთანაზია, რომელიც გულისხმობს აქტიური ჩამრევი ღონისძიებებით ავადმყოფობის პროცესში უკვე ჩამქრალი სიცოცხლის შემოკლებას. აქტიური და პასიური ევთანაზიის ასეთი განსაზღვრება მოცემულია გერმანიის კანონმდებლობაშიც. გერმანელი იურისტი ჰ. ოტტო თავის ნაშრომში „Grundkurs Strafrecht“ დაწვრილებით იხილავს ამ ორი სახის ევთანაზიას.

როდესაც ექიმი თავის თავზე იღებს პაციენტის მკურნალობას, იგი არის ვალდებული, ყველაფერი გააკეთოს, რაც მასზეა დამოკიდებული, რათა შეინარჩუნოს პაციენტის სიცოცხლე, იგი ვალდებულია იმოქმედოს მაშინაც, როდესაც სიცოცხლისგანმახანგრძლივებელმა ღონისძიებებმა შეიძლება ვეღარც კი შეუნარჩუნოს სიცოცხლე და ჯანმრთელობა პაციენტს.

იმ შემთხვევაში, როდესაც პაციენტს გათვითცნობიერებული აქვს თავისი დაავადების განვითარების კონკრეტული ასპექტები და შეგნებული აქვს, რომ ოპერაციის გაკეთება ან თერაპია

მას ვეღარ უშველის, მას შეუძლია ექიმს აუწყოს თერაპიის შეწყვეტის თაობაზე.

გერმანიის კანონმდებლობის მიხედვით ასეთი შემთხვევა სამართლებრივ შედეგს არ წარმოშობს. თუ მკურნალობის შეწყვეტა პაციენტის ნების შესაბამისად მიმდინარეობს, მაშინ აქ საქმე გვაქვს პოზიტიურ ქმედებასთან. როგორც აღვნიშნეთ, ასეთი ქმედება არ წარმოშობს მნიშვნელოვან სამართლებრივ შედეგს, რადგან იგი პაციენტის სამართლებრივი თვითგამორკვევის უფლებას უკავშირდება, კერძოდ, დაკავშირებულია პიროვნების თავისუფალი მკურნალობის უფლებასთან⁶.

როცა თერაპიის შეწყვეტაზე თანხმობას აცხადებს მძიმე ტკივილებით გატანჯული ადამიანი, მაშინ მხოლოდ ნების გამოხატვა პაციენტისა არ არის საკმარისი ექიმისათვის, რათა მან თხოვნა დააკმაყოფილოს. გარდა ნების გამოხატვისა, უნდა არსებობდეს წერილობითი ფორმით ახსნა-გამარტება ამ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც თვით პაციენტმა უნდა დაწეროს. ეს განცხადება ერთგვარი „საყრდენი“, დამცავი საშუალებაა ექიმისათვის, რომელიც პაციენტს თერაპიას უწყვეტს. ეს განსაკუთრებული წესი ეხება, როგორც აღვნიშნეთ, იმ ავადმყოფებს, რომლებიც იტანჯებიან ტკივილებით და ახსნა-გამარტების მიცემის აუცილებლობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რათა ტკივილებით „დაბრმავებული“ და გატანჯული ავადმყოფის თანხმობა თერაპიის შეწყვეტაზე არ იყოს ცრუ, იძულებითი გამოძახილი⁷.

რაც შეეხება აქტიურ ევთანაზიას, გერმანიის კანონმდებლობა აქ აქტიური ჩამრევი ღონისძიებების გამოყენებას გულისხმობს, რომლებიც არქარებენ სიკვდილს. აქტიური ევთანაზია მიმართულია სიკვდილის შემსუბუქებისაკენ. კანონმდებლობა მას კანონსაწინააღმდეგო ქმედებად მიიჩნევს, გამოდის რა სიცოცხლის ხელშეუხებლობის პრინციპიდან.

როგორც დავინახეთ, გერმანიის კანონმდებლობაც დასჯადად აცხადებს ევთანაზიის მოვლენას. რაც შეეხება უნგრეთის კანონმდებლობას, აღსანიშნავია, რომ უნგრელი მეცნიერი ტიბორ ხორვატი იკვლევს რა ამ ქმედების შინაარსსა და ბუნებას, როგორც სამედიცინო ეთიკის პრობ-

⁵ ტიბორ ხორვატი, ევთანაზია, როგორც მედიცინისა და სისხლის სამართლის მეცნიერების პრობლემა.

⁶ Harro Otto, Grundkurs Strafrecht, 1991, Berlin.

⁷ იქვე.

ლემას, აღნიშნავს: როგორ უნდა მოიქცეს ექიმი იმ შემთხვევებში, როდესაც საქმე ეხება განუკურნებელი სენით შეპყრობილ ავადმყოფს, რომელიც ავადმყოფობის ბოლო სტადიაში იმყოფება და თან ძლიერი ტკივილებით იტენჯება? რადგან ექიმის მოვალეობაა ტკივილების შემსუბუქება, ამ შემთხვევაში ის იყენებს ძლიერ ტკივილგამაყუჩებლებს, რაც ასევე უარყოფითად მოქმედებს ავადმყოფის დარჩენილ სიცოცხლეზე და ასწრაფებს სიკვდილის პროცესს.

ბოლდიუარი აღნიშნავს, რომ ასეთ შემთხვევებში საჭიროა კონსულტაციები სხვა ექიმებთან და თუ ისინი მივლენ იმ დასკვნამდე, რომ სიცოცხლის გაგრძელებას არავითარი აზრი არა აქვს და ავადმყოფისა და მისი ნათესავების თანხმობა იქნება გათვალისწინებული, შეიძლება პრობლემა ერთი ნემსით გადაიჭრას. სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით, საინტერესოა: ეკისრება თუ არა პასუხისმგებლობა ექიმს, რომელიც დაავადების ბოლო სტადიაზე მყოფ ავადმყოფს აძლევს ტკივილგამაყუჩებელს იმ დოზით, რაც ასევე სასიკვდილო შედეგს უქადის სწულს? ამ დროს სახეზე გვაქვს ე.წ. „ორმაგი ეფექტის პრობლემა“. ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა მიექცეს ექიმის განზრახვას. თუმცა ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში შეუძლებელია ექიმის შინაგანი განწყობილების დადგენა, ამიტომ „ორმაგი ეფექტის პრობლემა“ მიუღებელია ევროპის იურიდიული ლიტერატურისათვის⁸.

ტიბორ ხორვატი აღნიშნავს, რომ ასეთ კონკრეტულ სიტუაციაში, როდესაც ექიმი დიღემის წინაშეა და მისი მოვალეობის შესრულება, რაც ასევე ჰიპოკრატეს ფიციდან გამომდინარეობს, ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის კანონს, მაშინ იგი უნდა მოიქცეს შემდეგნაირად: მან უნდა მიიღოს მართლზომიერი გადაწყვეტილება საკუთარი მეცნიერული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე. ეს მართლზომიერი გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს საზოგადოებრივ მართლშეგნებას, მორალსა და ეთიკის ნორმებს.

პრობლემის ამგვარი გადაწყვეტა ნაწილობრივ პასუხობს ევთანაზიის მოვლენასაც. რაც შეეხება იმ შემთხვევას, როდესაც ექიმი ტკივილგამაყუჩებლის გადიდებულ დოზას ე.წ. „მხსნელი სიკვდილის“ გამოწვევის მიზნით უკეთებს ავად-

მყოფს, თავად პაციენტის ან მისი ახლო ნათესავების თხოვნით, ეს, რა თქმა უნდა, უნგრეთის კანონმდებლობის მიერ მიჩნეულია დასჯად ქმედებად, რადგან იგი მიზნად ტანჯვის შემსუბუქებას კი არ გულისხმობს, არამედ მისი მიზანი „მხსნელი სიკვდილის“ გამოწვევაა.

რაც შეეხება ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს, იქ ევთანაზიის ლეგალიზაციის პრობლემა მე-19 საუკუნიდან წარმოიშვა, მაგრამ ამ პრობლემის შესახებ ძირითადი წარმოდგენა მე-20 საუკუნის დასაწყისში აღმოცენდა. 1936-1950 წწ-ში ინგლისის საზოგადოებრივ, რომელიც მომხრე იყო ნებაყოფლობითი ევთანაზიისა, ლორდთა პალატაში შეიტანა წინადადება ევთანაზიის ლეგალიზაციის თაობაზე. ამ წინადადებას მარცხი განიცადა და იგი არ მიიღეს. მაგრამ 1969 წ. ხანგრძლივი დისკუსიების შემდეგ ლორდთა პალატაში უკვე 40 ხმა იყო მომხრე მიუხედავად ევთანაზიის ლეგალიზაციის შესახებ კანონი 60 ხმის წინააღმდეგ. აშშ-ში 1938 წელს წამოყენებული იყო წინადადება ევთანაზიის დაკანონების შესახებ, რაც ასევე მარცხით დასრულდა. მიუხედავად მარცხისა, როგორც ინგლისში, ასევე აშშ-ში არსებობდნენ ევთანაზიის ლეგალიზაციის მომხრეები, განსაკუთრებით კი, ექიმები. მეცნიერებმა და სასულიერო მოღვაწეებმა ერთობლივი პეტიციით თხოვნით მიმართეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, ადამიანის უფლებათა დეკლარაციისათვის ევთანაზიის უფლების დამატების შესახებ.

როგორც უკვე აღვნიშნე, მრავალი ფაქტი მეტყველებს, რომ ევთანაზიის იდეა ანგლოსაქსურ ქვეყნებში განსაკუთრებით ექიმებშია გამეფებული. 1969 წლის General Medical Council-ში ვკითხულობთ: „საბჭო განუხრელად ემხრობა თავის პოზიციას იმის შესახებ, რომ ყველა შემთხვევაში ევთანაზია ცხადდება დასჯად ქმედებად. ინგლისში ევთანაზიის მომხრეებმა 1936 წლის წინადადებაში ჩამოაყალიბეს, რომ ყოველ ფსიქიკურად ჯანსაღ ადამიანს, რომელიც 21 წელსაა მიღწეული და ავადმყოფობისაგან ძლიერ იტანჯება, უფლება უნდა ჰქონდეს ოფიციალურად მიმართოს თხოვნით განსაზღვრულ ორგანოებს ევთანაზიის ნებადართულობის შესახებ და ამასთან ეს განცხადება ორი მოწმის მიერ უნდა იყოს დამოწმებული. მათ უნდა მიმართონ იუსტიციის სამინისტროს მიერ სპეციალურად გამოყოფილ

⁸ ტიბორ ხორვატის დასახ. ნაშრ.

პირს და ორ ექიმს, რომელთაგან ერთ-ერთი მკურნალი ექიმი უნდა იყოს პაციენტისა. ამ პირებმა პირადად უნდა შეამოწმონ განცხადება, გაეცნონ და გაესაუბრონ ავადმყოფს და დარწმუნდნენ იმაში, რომ ავადმყოფს შეგნებული აქვს თავისი ქმედების მნიშვნელობა. ამის შემდეგ კი, ევთანაზია ნებადართული უნდა იყოს და განხორციელდეს ექიმის მიერ მოწმის თანდასწრებით. ანალოგიური ხასიათისაა ამერიკული კანონი, რომელიც ინგლისურისაგან იმით განსხვავდება, რომ ექიმსა და მოწმეებს კომპეტენტური სასამართლო ნიშნავს, რომელსაც საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლებაც გააჩნია⁹.

რაც შეეხება ჩინეთსა და ჰოლანდიას, იქ ევთანაზია ლეგალიზებულია, ჩინეთში არსებობს კანონი „მსუბუქი სიკვდილის შესახებ“, ხოლო ჰოლანდიაში — კანონი „ევთანაზიის შესახებ“¹⁰.

როგორც დავინახეთ, ევთანაზია რთული მოვლენაა. მიუხედავად იმისა, რომ იგი კანონის მიერ მკაცრად აკრძალული, საავადმყოფოებში ადგილი აქვს ფარულ ევთანაზიას. ერთ-ერთ ყურნალში ვკითხულობთ, „გასული წლის ზაფხულში მოსახლეობის ყურადღება ევთანაზიის ლეგალიზაციის მომხრე 72 წლის დეტროიტელმა ჯეკ კერვორკიანმა მიიპყრო. იგი თავისი მოღვაწეობის ბოლო 10 წლის განმავლობაში 130 განუკურნებელ ავადმყოფს „იმ ქვეყნად გამგზავრებაში“ დაეხმარა. მან მსგავსი პროცესების განსახორციელებლად სპეციალური მანქანაც კი გამოიგონა, სწორედ ამიტომ მას „ექიმი-სიკვდილი“ შეარქვეს.

ექიმ კერვორკიანზე რეპორტაჟის წაკითხვის შემდეგ ორიგონის, ქალაქ პორტლენდის მცხოვრებმა ბატონმა ანტიკსონმა მას თხოვნით მიმართა, მტანჯავი სენით შეპყრობილი მეუღლე მოეკვდინებინა. პროცედურა შეუფერხებლად ჩატარდა, (მაგრამ საზოგადოება ორ ნაწილად გაიყო ამ ფაქტთან მიმართებაში. ერთნი მომხრენი იყვნენ ექიმის მოღვაწეობისა, მეორენი კი, მას მკაცრად კიცხავდნენ. „ნაციისტები არანორმალურები იყვნენ, — აცხადებს ექიმი კერვორკიანი, — ჩემი იდეა კი ჰუმანური საწყისებზეა დამყარებული“. მან მისი საქმიანობის წინააღმდეგ აღძრული სასამართლო პროცესი წარმატებით მოიგო.

გასული წლის 17 სექტემბერს ექიმი მძიმედ დაავადებულ ტომ იუნეს „დაეხმარა“. პაციენტის იმქვეყნად გასტუმრების ვიდეოკადრები 2 თვის შემდეგ სი-ბი-ეს-ის არხზე გავიდა, რასაც დიდი სკანდალი მოჰყვა.

სოციოლოგიური გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ ერთადერთი შტატი, სადაც ევთანაზიას მოსახლეობის 60% უჭერს მხარს, ორიგონია.

ექიმ კერვორკიანს 7 წელი თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. იგი აცხადებს, რომ „თუ ჩვენ არ გვაქვს არჩევანის გაკეთების უფლება, მაშინ ჩვენ არც დემოკრატია გავაჩნია. ევთანაზია — არჩევანის გაკეთების ერთ-ერთი საშუალებაა. არჩევანის თავისუფლება კი, ამერიკის დემოკრატიის ფუნდამენტი“.

ამასთან ერთად, ექიმთა ანონიმური გამოკითხვისას გაირკვა, რომ ევთანაზიას მალულად არც თუ ისე იშვიათად მიმართავენ. გამოკითხული ექიმებიდან ყოველი მეოცე ერთხელ მაინც დახმარებია პაციენტს მტანჯველი ტკივილებისაგან თავის დაღწევაში, ხოლო ერთმა ექიმმა აღიარა, რომ მან მსგავსი ფაქტი 150-ჯერ განახორციელა¹¹.

თავისი მოღვაწეობის სპეციფიკურობით საინტერესოა ევროპაში მოქმედი გაერთიანება EXIT-ი. EXIT-ი გერმანულ-შვეიცარიული გაერთიანებაა. იურიდიული თვალსაზრისით იგი კავშირია, რომლის ძირითადი საქმიანობა „ჰუმანური სიკვდილის“ უფლების დაცვაა. ეს კავშირი დაარსდა ქალბატონ ჰედვიგ ცუხერისა და ადვოკატ დოქტორ ვალთერ ბეხის ინიციატივით 1982 წლის 3 აპრილს. 1988 წლის დეკემბრის მდგომარეობით, მასში 37 000 წევრია გაერთიანებული¹².

EXIT-ი იცავს:

- ადამიანის მიერ თავისი სიცოცხლის განკარგვის უფლებას;
- ავადმყოფთა უფლებებს;
- ადამიანის უფლებას ჰუმანური სიკვდილის შესახებ;
- მძიმედ დაავადებულთათვის ნანატრი, ტკივილის შემამსუბუქებელი სიკვდილის უფლებას.

⁹ იქვე.

¹⁰ წ.ა. არდაშევას დასახ. ნაშრ.

¹¹ გასართობ-შემეცნებითი გაზეთი „ექსპრეს პლანეტა“, 6-12 დეკემბერი, 1999, გვ. 3.

¹² Robert Kehl — Sterbehilfe, 1989, Bern, Zytglogge.

ამ ორგანიზაციის საქმიანობის წინააღმდეგ არსებობს რელიგიური, ფილოსოფიურ-ეთიკური და სოციალურ-პოლიტიკური არგუმენტები. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

რელიგიური არგუმენტები:

ა) მხოლოდ ღმერთს აქვს უფლება წაგვართვას სიცოცხლე. ადამიანი უფლის ნებითაა შექმნილი და მას უნდა ემსახურებოდეს.

ბ) ტკივილი და ტანჯვა არ უნდა იყოს საკმაო საფუძველი თვითმკვლელობისათვის. ტკივილიც და ტანჯვაც ღვთის მიერაა მოვლენილი და მისი თავიდან აცილება შეუძლებელია.

გ) ადამიანს განსაცდელს ღმერთი მხოლოდ მისი ცოდვებისათვის უვლენს.

დ) უფალი ადამიანს მხოლოდ იმდენ სატანჯველს მოუვლენს, რისი ატანაც მას შეუძლია.

ე) სიცოცხლე ღვთის საჩუქარია და ამიტომ მისი წართმევის უფლებაც მხოლოდ ღმერთს აქვს.

ვ) რომის პაპის ვატიკანის II განკარგულებაში ეს ქმედება სასტიკადაა გაკიცხული და აღნიშნულია, რომ სიკვდილის თავისუფალი უფლება ეწინააღმდეგება სიცოცხლის უფლებასო.

ფილოსოფიურ-ეთიკური არგუმენტები:

ა) ევთანაზია ეწინააღმდეგება ბუნებით სამართალს.

ბ) ადამიანი არა მარტო თავისთვის, არამედ საზოგადოებისა და ოჯახისათვის (contrat social) არსებობს, ამიტომ მას არ უნდა ჰქონდეს თავისუფალი სიკვდილის უფლება

გ) ტანჯვაც და წამებაც ადამიანის განუყოფელი ნაწილია და ადამიანის სულიერი განვითარებისათვის მნიშვნელობის მქონეა¹³.

ზემოთ მოყვანილი არგუმენტები კიდევ ერთხელ მიუთითებენ ევთანაზიაზე, როგორც არასასურველ მოვლენაზე.

მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით უდავოდაა დაკავშირებული სიცოცხლის უფლებასთან. ამიტომ ინტერესმოკლებული არ იქნება განვიხილოთ საკითხი იმის შესახებ, თუ რა მომენტი მიიჩნევა სისხლის სამართალში სიცოცხლის დასაწყისად.

ადამიანის “სიცოცხლის” არსის გაგებისათვის, იურიდიული თვალსაზრისით, გაიგივებულ უნდა იყოს არასრულყოფილი, ნაკლოვანებების მქონე ახალშობილის სიცოცხლე, ღრმად მოხუცი ან მძიმედ დაავადებული პირის სიცოცხლესთან, რადგანაც მათ შემდგომი “სიცოცხლე” ფაქტობრივად აღარ შეუძლიათ.

შეიძლება დავასკვნათ, რომ როგორც მიუღებელია სიცოცხლის მოსპობა მძიმე ავადმყოფისათვის, ასევე მიუღებელი უნდა იყოს ახალშობილის მკვლელობაც. ეს ორი საკითხი თავისი შინაარსით მკაფიოდ არ განსხვავდება ერთმანეთისაგან, მათში არის რაღაც მსგავსება. საქართველოს ს.ს. კანონმდებლობა ღვთის მიერ ახალშობილის მკვლელობასაც დასჯად ქმედებად აცხადებს, თუმცა მისთვის შემამსუბუქებელ სასჯელს ითვალისწინებს. დაბოლოს, უნდა დავუბრუნდეთ ზემოთ განხილულ ევთანაზიის პრობლემას და დასკვნის სახით მინდა აღვნიშნო, რომ მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით რთული მოვლენაა, რომელიც შემდგომ შესწავლასა და გამოკვლევას კვლავ საჭიროებს. როგორც დავინახეთ, მრავლად არიან როგორც მომხრენი ამ მოვლენისა, ასევე მოწინააღმდეგეებიც, რომელთაც თავიანთი გამამართლებელი საბუთები გააჩნიათ. თითოეული მათგანის მსჯელობა საყურადღებოა და ჭეშმარიტების მარცვალს ორივე მხარის მსჯელობაში მოიპოვება. საქართველოს კანონმდებლობა მოწინააღმდეგეთა პოზიციას მიემხრო და მან ეს ქმედება დასჯადად გამოაცხადა.

ვემხრობი საქართველოს კანონმდებლობის პოზიციას ამ საკითხთან დაკავშირებით და ვაღიარებ, რომ სიცოცხლე ღვთისთბობებული სიკეთეა, რომლის წართმევის უფლებაც მხოლოდ განგებას აქვს. თუმცა ერთმნიშვნელოვნად ვერც ამ მოვლენის დადებით მხარეებს უარვყოფ. საერთოდ კი, სასურველი იქნება, თუ საქართველოს კანონმდებლობა გამონაკლისის სახით დაუშვებს ევთანაზიას მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში და მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

ეკატერინე ქარლაძე,
თსუ იურიდიული ფაკულტეტის
IV კურსის სტუდენტი.

¹³ Robert Kehl – Sterbehilfe, 1989, Bern, Zytglogge.

ზაზა ბეროზაშვილი

ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის
სფეროში კონვენციური ურთიერთობების მიქანიზმი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნარკოტიკული საშუალებების შესახებ 1961 წლის ერთიანი კონვენციის მიღებამდე კონვენციების, ხელშეკრულებების და ოქმების მთელი სისტემა ჩამოყალიბდა, რომლებიც თავისი მრავალფეროვნებით და შესრულების სირთულით ნაკლებად ეფექტიანი აღმოჩნდა, ამასთან, ნარკოტიკების მოწმხმარებელთა რიცხვი, უკანონო გასაღება და კონტრაბანდა მატულობდა.

ნარკოტიკული საშუალებების კონტროლისათვის, ახალი უნივერსალური საერთაშორისო ხელშეკრულების შემუშავების აუცილებლობის საკითხი, ჯერ კიდევ, ერთა ლიგის სპეციალური ორგანოების მიერ იქნა მოწოდებული.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაარსებისთანვე, ნარკოტიკული საშუალებების კონტროლის ახლად შექმნილი კომისიის წინაშე დაოსახა ნარკოტიკების ერთიანი კონვენციის შემუშავება.

ნიუიორკის კონფერენცია მიმდინარეობდა 1961 წლის 24 იანვრიდან 25 მარტამდე, წარმოდგენილი იყო 73 ქვეყანა, სპეციალიზირებული ორგანიზაციების წარმომადგენლები, კერძოდ, გაერთიანებული ერების სასურსათო და სოფლის (მეურნეობის ორგანიზაციები, სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია და ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია. კონფერენციის მუშაობაში, აგრეთვე მონაწილეობდნენ ოპიუმის კონტროლის მუდმივი ცენტრალური კომიტეტი და ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციის

წარმომადგენლები (პოლიციის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაცია, იურისტ ქალთა საერთაშორისო ფედერაცია და კეთილშობილურ კათოლიკურ დაწესებულებათა კონფერენცია).

ახალ საერთაშორისო ხელშეკრულებას სახელმწიფოთა წინაშე მდგარი მრავალი ამოცანა უნდა გადაეწყვიტა, კერძოდ:

- ამ სფეროში არსებული მრავალმხრივი ხელშეკრულებები შეცვლილიყო ერთიანი დოკუმენტით;
- შეემცირებინა საერთაშორისო ხელშეკრულებების ორგანოთა რიცხვი;
- გაემარტივებინა საერთაშორისო კონტროლის არსებული სისტემა;
- კონვენცია მოეყვანა მსოფლიოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ ცვლილებებთან შესაბამისობაში;
- შეემცირებინა ნარკოტიკების მაკონტროლებელ საერთაშორისო ორგანოთა რიცხვი;
- შეექმნა ნარკოპროდუქტების წარმოებაზე კონტროლის ეფექტიანი სისტემა.

1961 წლის ერთიანი კონვენციის 44-ე მუხლის მეორე პუნქტმა, მასში მონაწილე მხარეთა ურთიერთობისათვის, შეცვალა ნარკოტიკებთან დაკავშირებული ადრე მიღებული ყველა ხელშეკრულება, 1936 წლის 26 ივნისს უენევაში მიღებული „მავნებელი წამლის ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციის გარდა, შესაბამისი დათქმით.

ერთიანი კონვენციის მთავარი პოსტულატია ნარკოტიკული საშუალებების ექსპორტსა და იმპორტზე ნებართვის მიღება, ამ საქმიანობის

შეფასებისა და მასზე სტატისტიკური ანგარიშის სისტემა.

გლობალური მეთვალყურეობისათვის ფუნქციონირება დაიწყო ერთმა ძირითადმა ორგანომ - ნარკოტიკებზე კონტროლის საერთაშორისო კომიტეტმა. მისი უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ მიუხედავად გაერო-ს ჩარჩოებში არსებობისა, კომიტეტს დამოუკიდებელი სტატუსი აქვს.

სხვა სიახლეებთან ერთად აღსანიშნავია, რომ ყაყაჩოს მოყვანის კონტროლის სისტემა გავრცელდა კოკას ბუჩქსა და კანაფზეც, იურიდიულად აიკრძალა ნარკოტიკების არასამედიცინო მოხმარება. ნარკომანების მკურნალობისა და რეაბილიტაციის შესახებ სპეციალური დებულებები ნარკოტიკული საშუალებების უკანონოდ მოხმარების წინააღმდეგ ბრძოლის ახალ მიმართულებად ჩამოყალიბდა.

კონვენციის შემადგენელი ნაწილია ნარკოტიკული საშუალებების 4 სია, პრეპარატების მავნებლობის კლასიფიკაციითა და არასამედიცინო მიზნით გავრცელების აკრძალვის მიხედვით. ერთიან კონვენციაში 1972 წლის ოქმით შესულ შესწორებებში ასახულია შესაბამისი ცვლილებები ოთხივე სიასთან მიმართებაში ახალი ნივთიერებების ჩათვლით. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული სიები პერიოდულად კორექტირდება და შეიცვება ახალი პრეპარატის აღმოჩენისა და ადამიანის ორგანიზმზე მავნე ზემოქმედების მექანიზმის დადგენის მიხედვით. დღემდე კონვენციის ბაზისური სიების მნიშვნელობა უცვლელია სპეციალისტთა მხრიდან რაიმე შენიშვნის არქონის გამო.

ერთიანი კონვენციის დებულებებისა და მისი მომდევნო შესწორებების თანახმად კონტროლის განსაკუთრებით მკაცრ რეჟიმს ექვემდებარება №1 სიაში ჩამოთვლილი საშუალებები (მუხლი 31, პუნქტები 4-16), მასში აღნუსხულია ოპიუმის ყაყაჩოდან, კოკას ფოთლიდან და კანაფიდან მიღებული პრეპარატები.

№1 სიის კონტროლის ზომებად მიჩნეულია:

- მხარეთა მიერ ნარკოტიკული საშუალების მოთხოვნილების შეფასება, სამედიცინო და სამეცნიერო მიზნით კანონიერი მოხმარების გათვალისწინებით;

- დაწვრილებითი ინფორმაციის მიწოდება წარმოებაზე, სასაწყობო რეზერვზე და ოპიუმის

ყაყაჩოს კულტივირებისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთის ფართობზე;

- მხარეთა მიერ წარმოებისა და დამზადებას, იმპორტისა და ექსპორტის, კონფისკაციების, სასაწყობო რეზერვის და ოპიუმის ყაყაჩოს მოყვანის ტერიტორიების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის მიწოდება;

- დამზადებისა და იმპორტის დადგენა იმ რაოდენობით, რომელიც არ აღემატება კანონიერ მოთხოვნილებას, ექსპორტირებული რაოდენობისა და სპეციალური სასაწყობო რეზერვის ჩათვლით;

- ოპიუმის და კონცენტრირებული ყაყაჩოს ნამჯის წარმოებაზე კონტროლი;

- მხარეთა მიერ ლიცენზიების გაცემა და ნარკოტიკული საშუალების დამზადებაზე, ვაჭრობაზე და განაწილებაზე კონტროლი, ექსპორტისა და იმპორტის ჩათვლით;

- მხარეთა მიერ სამედიცინო დანიშნულების ნარკოტიკულ საშუალებებზე რეცეპტების გაცემა და სათანადო დოკუმენტაციის წარმოება;

- ეტიკეტირება.

სია №2 მოიცავს იმ ნარკოტიკულ საშუალებებს, რომელთაც ფართო გამოყენება აქვთ მედიცინაში და გაიცემა რეცეპტით. 31-ე მუხლი ითვალისწინებს, ძირითადად, ლიცენზიების გაცემას მათ დამზადებაზე.

სია №3 შედგება იმ პრეპარატებისაგან, რომლებიც ინგრედიენტების სახით შეიცავს №2 სიაში შემავალ ნარკოტიკულ საშუალებებს უფრო დაბალი კონცენტრაციით და პრეპარატებს, რომლებიც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის შეფასებით ვერ იქნება ბოროტად მოხმარების საგანი. კონტროლის ზომები სარეალიზაციო განაწილებისას გათვალისწინებული არ არის.

სია №4 მოიცავს იმ ნარკოტიკულ საშუალებებს, რომელთა მცირე რაოდენობაც ხასიათდება განსაკუთრებულად საშიში თვისებებით, მაგრამ გამოიყენება თერაპიული მიზნებისათვის შეზღუდული მასშტაბით. მხარეებს უფლება აქვთ სრულად აკრძალონ მათი წარმოება, დამზადება, ექსპორტი, იმპორტი, რეალიზაცია, ფლობა და ა.შ.

კონვენციის 24-28-ე მუხლებით სპეციალური კონტროლის მკაცრი ზომებია გათვალისწინებული საერთაშორისო ვაჭრობისათვის ოპიუმის წარმოებაზე, ყაყაჩოს ნამჯის დამუშავებაზე, კოკას ბუჩქის და ფოთლის და კანაფის კულტივირებაზე.

ერთიანი კონვენციის მე-19-21-ე მუხლებში მოყვანილია მონაწილე ქვეყნების, გაერო-ს ნარკოტიკების კონტროლის საერთაშორისო კომიტეტის წინაშე ანგარიშის საკმაოდ რთული სისტემა, რომელიც ყველა ქვეყანას ავალდებულებს კონტროლირებადი ნივთიერებების მოძრაობაზე ინფორმაციის შეგროვებას. სისტემის მოქმედებას კომიტეტი არეგულირებს ქვეყნების მიერ წარდგენილი სპეციალური ფორმის ანგარიშებით.

ყოველწლიურად ყველა მხარე ვალდებულია კომიტეტში გააგზავნოს მის ტერიტორიაზე საერთო მოთხოვნების (სამედიცინო, სამეცნიერო, სხვა ნივთიერების დასამზადებლად და სარეზერვოდ) სავარაუდო წინასწარი მონაცემები ყველა კონტროლირებად ნივთიერებაზე. ოპიუმის ყაყაოს კულტივირების ადგილი და ფართობები, ოპიუმის სავარაუდო რაოდენობა, სინთეზური ნარკოტიკული საშუალებების დამზადებით დაკავებული სამრეწველო საწარმოთა რიცხვი და საწარმოს მიერ დამზადებული ყოველი საშუალების რაოდენობა.

ყოველი წლის ბოლოს და არაუგვიანეს მომდევნო წლის 30 ივნისისა, მხარეებმა კომიტეტს უნდა წარუდგინონ სპეციალურ ბლანკებზე შევსებული სტატისტიკური ანგარიში ფაქტობრივ დამზადებაზე, საერთაშორისო ვაჭრობაზე, მოხმარებაზე, სასაწყობო რეზერვებზე. კომიტეტი ახდენს წინასწარი მონაცემების შედარებას ძირითად ანგარიშთან და იძლევა შექმნილი სიტუაციის შეფასებას.

როგორც აღვნიშნეთ, ერთიანი კონვენციის მიღების შემდეგ ნარკოტიკული საშუალებების საერთაშორისო კონტროლის ორგანიზაციის სფეროში მხარეებმა კონტროლის განხორციელება გაერო-ს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს, ნარკოტიკული საშუალებების კომისიისა და ახლად შექმნილი ნარკოტიკებზე საერთაშორისო კონტროლის კომიტეტის პრეროგატივად განსაზღვრეს (5 მუხლი).

ნარკოტიკებზე საერთაშორისო კონტროლი მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს დამაკმაყოფილებელი, როდესაც იგი ეყრდნობა ეროვნულ დონეზე შესაბამისი კონტროლის განხორციელების მონაცემებს.

1961 წლის ერთიანი კონვენციით გათვალისწინებული შიდასახელმწიფოებრივი კონტროლის ნორმები თავისი შინაარსით არ განსხვავ-

ვდება მანამდე მიღებულ ხელშეკრულებებში გათვალისწინებულისაგან, თუმცა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ ამჟამად კონტროლი ეხება დღეისათვის ცნობილ ყველა ნარკოტიკულ საშუალებას.

ქვეყანა, რომელიც აწარმოებს ნარკოტიკულ ნედლეულს, ვალდებულია მიიღოს ზომები, რათა აღკვეთოს ლეგალური ბრუნვიდან ნარკოტიკული საშუალების ან ნედლეულის გადინება, იგივე ვალდებულებებია იმ ქვეყანათა მიმართ, რომლებიც ამზადებენ პრეპარატებს, მიუხედავად იმისა, ნედლეული მოპოვებულია ბუნებრივად, თუ ქიმიური სინთეზით. ნარკოტიკებზე კონტროლის ორივე ასპექტი ვრცელდება როგორც ნედლეულის მწარმოებელ, ისე მზა პროდუქციის დამამზადებელ ქვეყნებზე.

ყველა ქვეყანამ, ვინაიდან ისინი სამკურნალწამლო ნარკოტიკების მომხმარებლები არიან, უნდა შექმნან ისეთი საკანონმდებლო და ადმინისტრაციული პირობები, რათა ნარკოტიკული პრეპარატები გამოყენებული იყოს მხოლოდ სამედიცინო ან სამეცნიერო მიზნებისათვის და გამოირიცხოს მათი უკანონო მოხმარება როგორც ქვეყნის, ასევე მის ფარგლებს გარე ტერიტორიაზეც (მუხლი 4).

იმის გათვალისწინებით, რომ კონვენციის დებულებების რეალიზაცია მოითხოვს შიდასახელმწიფოებრივ ორგანოების მოქმედებათა ცენტრალიზაციასა და კოორდინაციას, კონვენცია ითვალისწინებს ასეთი განსაკუთრებული მართვის ორგანოს შექმნის უფლებას ყველა მონაწილე მხარისათვის (მუხლი 17). კონვენციაში პირდაპირ არ არის მითითებული, თუ კონკრეტულად რომელ სახელმწიფო ორგანოს დაეკისროს კონტროლის ფუნქციები, ეს საკითხი ყველა ქვეყნის შიდა კომპეტენციას განეკუთვნება.

განსაკუთრებული მართვის ორგანოს შექმნის უფლების გარდა, კონვენციის მონაწილე მხარეები, რომლებიც ოპიუმის, კოკაინის (მუხლი 26, პუნქტი 1) და ჰაშიშის ზეთის (მუხლი 28, პუნქტი 1) წარმოებისათვის ახდენენ ოპიუმის ყაყაოს, კოკას ბუჩქის და კანაფის კულტივირებას, ვალდებულნი არიან (მუხლი 23, პუნქტი 1) შექმნან ერთი ან რამდენიმე სამთავრობო დაწესებულება, რომელიც დაკავებული იქნება მხოლოდ კულტივირებისა და წარმოების კონტროლით, მათ, თავის მხრივ, უნდა დააწესონ ქმედითი ადმინისტრა-

ციული ზედამხედველობა, რომლებიც უზრუნველყოფენ მკაცრად შეზღუდულ წარმოებას და მოსავლის სრულად ჩაბარებას.

მხარეები ვალდებული არიან გამოიყენონ სპეციალურ მოწმობათა სისტემა ნარკოტიკული საშუალებების შემოტანისას და ნებართვები გატანისას (მუხლი 31).

ერთიანი კონვენციის მონაწილე ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს აწარმოოს საკუთარი მოთხოვნებისათვის საკმარისი რაოდენობის ოპიუმი ან უკანონო ბრუნვისას დაკავებული ოპიუმი გაიტანოს სხვა ქვეყანაში, ორივე მხარის მიერ კონვენციის პირობების დაცვით (მუხლი 25, პუნქტი 5).

ოპიუმის წარმოების დაწყება ან წარმოების გაზრდა აკრძალულია, თუ მას შეიძლება მოჰყვეს მსოფლიოში ნარკოტიკული საშუალების წარმოების გადაჭარბება და/ან გამოიწვიოს უკანონო ბრუნვა (მუხლი 24, პუნქტი 1).

კონვენცია ითვალისწინებს, რომ ლიცენზიის მიმღებ ყველა პირს ან სახელმწიფო საწარმოთა ხელმძღვანელებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი კვალიფიკაცია (მუხლი 34). მწარმოებლები (დამამზადებლები), გამსაღებლები, ექიმები, მეცნიერები ვალდებული არიან აწარმოონ ნარკოტიკების ხარჯვის აღრიცხვა.

მზა პროდუქციის გასაღების მიმართ წაყენებულია ერთადერთი ძირითადი მოთხოვნა: „გასაღება და განაწილება უნდა განხორციელდეს ლიცენზიით“ (მუხლი 30).

კონვენციაში ასახულია დებულება, ნარკომანთა მკურნალობისა და ნორმალური საქმიანობისაკენ მობრუნების ორგანიზაციისათვის საჭირო სახსრების გამოძებნის აუცილებლობის შესახებ. აგრეთვე ნარკოტიკებთან დაკავშირებულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებებით დაკავებულ პირთა მიმართ, შესაბამისი საკანონმდებლო ზომების მიღების საჭიროების მოთხოვნა.

ნარკოტიკული პრეპარატების ნებისმიერი შემოტანა ან გატანა, შესაბამისი ქვეყნის მთავრობის მიერ, უნდა იყოს სანქციონირებული, ნარკოტიკების სახეობის, რაოდენობის და მოწოდების ვადების განსაზღვრით (მუხლი 31).

ერთიანი კონვენციის თანახმად (მუხლი 31, პუნქტი 1) ნარკოტიკული საშუალებების ნებისმიერ ქვეყანაში ან ტერიტორიაზე შეტანა (გატანა), მიუხედავად იმისა, ეს ქვეყანა არის თუ არა ერთიანი კონვენციის მონაწილე, ნებადართულია მხოლოდ იმ ქვეყნის ან ტერიტორიის კანონებისა და წესების შესაბამისად და ქვეყნის ან ტერიტორიისათვის დაწესებული კვოტის ფარგლებში (მუხლი 19, პუნქტი 2)

ამრიგად, ხელშეკრულება ითვალისწინებს კონტროლის ყველა ასპექტს: კულტივირების მკაცრი კონტროლი, საწარმოებში ნარკოტიკების წარმოებაზე ზედამხედველობა, მზა პროდუქციის სამედიცინო ან სამეცნიერო მიზნების დასაკმაყოფილებლად ლეგალური არხებით გადასვლაზე მეთვალყურეობა.

კონვენციამ დაადგინა ნარკოტიკებთან დაკავშირებული გარკვეული ქმედების დანაშაულად ცნობის საერთო წესები (მუხლი 36, პუნქტი 1).

კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობები და პასუხისმგებლობის ზომები განისაზღვრება მხარეთა შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნორმებით (მუხლი 36, პუნქტი 40), მათ შორის, სხვადასხვა ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაული განიხილება დამოუკიდებელ დანაშაულად. ნარკოტიკების არასამედიცინო მიზნით გამოყენების მართლზომიერების საკითხი ქვეყნებმა დამოუკიდებლად უნდა გადაწყვიტონ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შექმნილია სპეციალური დაწესებულებები სხვადასხვა რეგიონსა და ქვეყანაში კონვენციის დებულებების ცხოვრებაში გასატარებლად, მაგალითად ვენაში, განთავსებულია გაერო-ს ნარკოტიკებზე კონტროლის პროგრამის ოფისი, მის ფუნქციებში შედის ინფორმაციათა შეკრება და დამუშავება.

ეს დანაყოფი პრაქტიკულ სამუშაოს ასრულებს ანტინარკოტიკული ორგანიზაციების და ეროვნული დაწესებულებებისათვის საერთაშორისო ხელშეკრულებების შესრულების სფეროში საგნობრივი დახმარების გასაწევად, აგრეთვე ადგილებზე შესაბამისი სამართლებრივი ბაზისა და კანონების რეალიზაციის მექანიზმების შესაქმნელად.

ალექსანდრე გიორგიძე

დანაშაულებრივი ქცევის სოციალური და
ბიოლოგიური დეტერმინანტები

დანაშაულებრივი ქცევის სოციალურ და ბიოლოგიურ დეტერმინანტებზე მეცნიერთა შორის დისკუსია მე-19 ს-დან იღებს სათავეს. ის იწყება ცნობილი იტალიელი ექიმ-ფსიქიატრის ჩეზარე ლიბროზოს ნაშრომის კრიტიკით, რომელიც ამტკიცებდა დანაშაულებრივი ქცევის გენეტიკურ საფუძველს. ფსიქოფიზიოლოგიების, კრიმინოლოგების და ფილოსოფოსების გამოკვლევებში არ არსებობს ერთიანი შეხედულება ბიოლოგიურ და სოციალურ დეტერმინანტთა ურთიერთქმედებაზე. იურიდიულ, ფსიქოლოგიურ, სამედიცინო ლიტერატურაში აშკარა უპირატესობა ენიჭებოდა სოციალურ დეტერმინანტებს და ხდებოდა ბიოლოგიური ფაქტორის სრული უგულვებელყოფა. ასეთმა მიდგომამ ნეგატიური როლი ითამაშა როგორც კრიმინოლოგიის, ასევე, სისხლის სამართლის და სასჯელაღსრულებითი სამართლის განვითარების საქმეში.

დანაშაულის ჩამდენი პირის ბიოლოგიური თავისებურებების შესწავლა იკრძალებოდა, როგორც არამეცნიერული და საზიანო. მიაჩნდათ, რომ ის მოახდენდა იურიდიულ მეცნიერებათა ბიოლოგიზაციას. ამიტომ საბჭოურ ლიტერატურაში დანაშაულის მიზეზებისა და დამნაშავეის პიროვნების შესწავლა ხდებოდა სოციალური ფაქტორებისათვის აშკარა უპირატესობის მინიჭებით. ამის დასტურად შეიძლება მოვიყვანოთ ცნობილი საბჭოთა კრიმინალისტების ა. გერცენზონის, ი. კარპეცის, ნ. კუზნეცოვას და სხვ. ნაშრომები.¹

ა. გერცენზონი უარყოფდა ფსიქიატრიულ და ფსიქოპათოლოგიური გამოკვლევების მნიშვნელობას კრიმინოლოგიისათვის, აგრეთვე, წინააღმდეგი იყო იმ პირების გამოკვლევისა, რომლებმაც მიიღეს თავის ტვინის დაზიანება და შემდეგ ჩაიდინეს დანაშაული. მისი აზრით, ასეთ გამოკვლევებს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა კრიმინოლოგიისათვის, რადგან ისინი ვერ მოჰყენდნენ ნათელს დანაშაულის, როგორც სოციალური მოვლენის ნამდვილ მიზეზებს.²

ჩემთვის გაუგებარია, რატომ ნიშნავდა ბიოლოგიურ ფაქტორების გათვალისწინება, სოციალურ ფაქტორებთან ერთად, იურიდიული მეცნიერების ბიოლოგიზაციას. ჩემი აზრით, შეუძლებელია ფსიქოლოგიის, ფილოსოფიის, გენეტიკის, ფსიქიატრიის მონაცემების გათვალისწინება, მათი ღრმა ანალიზის გარეშე, დანაშაულის, მისი გამომწვევი მიზეზების, დამნაშავეის პიროვნების სრულყოფილი შესწავლა.

მიუხედავად არსებული იდეოლოგიისა, ზოგიერთი ფსიქიატრი და იურისტი, მაინც ამახვილებდა ყურადღებას ბიოლოგიურ (ფსიქოლოგიურ) ფაქტორებზე. ავტორები წიგნისა „ზოგადი ფსიქოლოგია“ მართებულად მიუთითებენ, რომ: „ბუნებრივი (ანატომიური, ფიზიოლოგიური) და სოციალური ადამიანში არსებობენ ერთობლივად და არ შეიძლება მათი მექანიკური დაპირისპირება“.³

ალსანიშნავია, აგრეთვე, ი. ნოის ნაშრომები. მან ერთ-ერთმა პირველმა გაამახვილა ყურადღება

¹ Герцензон А.А., Против биологических теорий причин преступности, Вопросы борьбы с преступностью, М., 1967 (очерк II), выпуск. 5.

² Герцензон А.А. დასახელ. ნაშრომი გვ. 49.

³ "Общая психология", Под ред. А. В. Петровского. М., 1976, с. 102.

ბიოლოგიურ ფაქტორებზე, როგორც დანაშაულებრივი ქცევის დეტერმინანტებზე. ვფიქრობთ, მართებული იყო ი. ნოი, როცა აღნიშნავდა, რომ „სოციალური გარემო არ შეიძლება იყოს ის ფაქტორი, რომელიც თავისთავად განაპირობებს დანაშაულებრივ ქცევას“.⁴

ჩემი აზრით, ადამიანი უპირველესად არის ბიოლოგიური არსება, ყველა იმ ინდივიდუალური თავისებურებით, რაც ახასიათებს მას, როგორც ინდივიდუუმს (ფსიქიკა, ტემპერამენტი). ადამიანს დაბადებიდანვე თან სდევს გარკვეული მიდრეკილებები, ამიტომ მართებულად მიმაჩნია ი. ნოის გამონათქვამი, როცა ის ამბობს: „არასწორი იყო რუსო, როცა მიაჩნდა, რომ ადამიანი იბადება, როგორც სუფთა ფურცელი, რაზეც გარემოს შეუძლია დაწეროს, რაც სურს“.⁵

მეცნიერების მონაცემებით დადასტურებულია, რომ ადამიანი იბადება გარკვეულწილად „დაპროგრამებული“. ამ მხრივ საინტერესოა შემდეგი მაგალითები: ცნობილია, რომ მეძავი ქალის შვილი, რომელიც აიყვანეს სამშობიარო სახლიდან და იზრდებოდა წესიერ ოჯახში, 15 წლის ასაკში გახდა მეძავი, მიუხედავად იმისა, რომ მისი აღზრდელი მშობლები ყოველნაირად ცდილობდნენ მისთვის ამაში ხელის შეშლას, ხოლო ქურდის შვილი, რომელიც საერთოდ არ იცნობდა მამამისს, ქურდობდა ზუსტად იმ ხერხების და მეთოდების გამოყენებით, რასაც იყენებდა მამამისი“.⁶

რაც შეეხება სოციალურ გარემოს, მას უდავოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ყოფაქცევის ფორმირებაში. ამავე დროს, უნდა აღვნიშნო, რომ ცნება „გარემო“ - არაერთგვაროვანია. ა. ბატუევი აღნიშნავს, რომ იგი ყოველთვის შეიცავს გარკვეულ ერთობას“⁷, ამიტომ გარემო უნდა გავიგოთ არა მხოლოდ როგორც მთელი ერთობა ადამიანებისა, არამედ მისი მცირე გაერთიანებებიც — სამეგობრო, სამეზობლო, ოჯახი და ა. შ. გ. აგაევი მიიჩნევს, რომ „მიკროგარემო, მიკ-

როწრე არის მთავარი დამაკავშირებელი ადამიანსა და საზოგადოებას შორის. ადამიანის უშუალო გარემოცვა ძალიან დიდ, ხშირად გადამწყვეტ გავლენას ახდენს მისი შეხედულებების, მისწრაფებების, ქცევების ფორმირებაზე“⁸.

არ ვლაპარაკობ სოციალური ფაქტორების დიდ მნიშვნელობაზე, მაგრამ ვფიქრობ, რომ ასევე, არ შეიძლება მათი როლის გადაჭარბება და მათთვის ერთმნიშვნელოვნად პრიმატის მინიჭება. ჩემთვის მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევია როგორც სოციალური, ასევე ბიოლოგიური ფაქტორები. ვ. ვილიუნასი აღნიშნავს, რომ „სოციალური გარემო, თავისთავად, ბიოლოგიური თავისებურებების გათვალისწინების გარეშე, ვერ მოახდენს მასზე (ადამიანზე) რაიმე კონკრეტულ ზეგავლენას“⁹.

სოციალური გარემოს ნორმატივები არიან იმპულსები, რომლებიც ადამიანის ორგანიზმის რეცეპტორების მეშვეობით ხვდებიან თავის ტვინში, სადაც გადიან აფერენტული სინთეზის სტადიას და მიიღებიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეესაბამებიან კონკრეტული ადამიანის ბიოლოგიურ თავისებურებებს. მხოლოდ ერთობლიობაში აღებულ სოციალურ-ნორმატიულ იმპულსებსა და სუბიექტის ფსიქიკურ, ფსიქოფიზიოლოგიურ და გენეტიკურ თავისებურებებს შეუძლიათ წარმოშვან გარკვეული ხასიათის ქცევა. სოციალური ფაქტორები და ბიოლოგიური ფაქტორები, ცალ-ცალკე, მხოლოდ პირობებია, რომლებიც, თავისთავად, ქცევას არ წარმოშობენ. დაახლოებით ასეთივე აზრს გამოთქვამდა პროფესორი ი. ნოი: „ინდივიდუალური დანაშაულის მიზეზებს წარმოშობს გარემოს უარყოფითი ფაქტორებისა და ადამიანის უარყოფითი თვისებების შეჯახება“¹⁰.

რაც შეეხება ფსიქიკური ანომალიების მქონე პირთა დანაშაულებრივ ქცევას, როგორც ცნობილია, ფსიქიკური ანომალიები ხელს უწყობენ

⁴ Ной И.С., Методологические проблемы советской криминологии, Саратов, 1975, с. 136.

⁵ Ной И.С., დასახ. ნაშრ., გვ. 79.

⁶ Катаев Н. А. О проблеме изучения личности преступника. Био. и соц. в личности преступника, Материалы межвуз. научно – теор. конфер., Уфа 1994, с. 3 – 10.

⁷ Батуев А. С., Высшая нервная деятельность, М., 1991, с. 208.

⁸ Агаев Г.А., Теоретические основы исследования причинного комплекса преступности, Дисс. канд. юрид. наук., 1996 с. 124.

⁹ Вилюнас В.К., Феномен воспитания, Человек в системе наук, М., 1989, с. 435 – 436.

¹⁰ Ной И.С., Организационные основы изучения личности преступника в условиях лишения свободы, Биол. и соц. в личности преступника и проблемы ее ресоц., Матер. межвуз. конф., Уфа, 1994, с. 11.

ისეთი უარყოფითი თვისებების აღმოცენებას, როგორცაა აგრესიულობა, სისასტიკე, გაღიზიანება, რომლებიც აქვეითებენ ნებელობით პროცესებს, ზრდიან შთაგონებას, ასუსტებენ თავშეკავების უნარს. ანომალიის დროს უფრო ადვილად ხდება ანტისაზოგადოებრივი ზეგავლენის ქვეშ მოქცევა, ის ხელს უშლის სიტუაციის ადექვატურ აღქმას. ასეთი პირები უფრო ადვილად ებმებიან მართლსაწინააღმდეგო ქმედებებში და ახორციელებენ მათ. ვფიქრობ, მართებულია ო. ფრეიეროვის მოსაზრება, რომ „ანომალიები, რომლებიც ახასიათებს ფსიქიკურად არასრულფასოვან პირებს, ამცირებენ მათ უნარს წინააღმდეგობა გაუწიონ ცდუნებას, ასუსტებენ თავშეკავების მექანიზმებს, ზღუდავენ ამა თუ იმ სიტუაციაში მოქმედების არჩევის ალტერნატივას. ანომალიური ფსიქიკის ისეთი თავისებურებები, როგორცაა ადვილი აღგზნებადობა, ხასიათის მერყეობა, ზედმეტი შთაგონება, ეჭვიანობა, ინტელექტუალური არასრულყოფილება და ა. შ., მნიშვნელოვნად აადვილებენ კრიმინალური აქტის რეალიზაციას“.¹¹ აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ანომალიები — ეს არის შინაგანი, სუბიექტური პირობები, ფონი, რაზეც არახელსაყრელ სოციალურ გარემოებებში უფრო ადვილად აღმოცენდება და განხორციელება დანაშაულებრივი ზრახვები.

არსებობს შეხედულება, რომ ფსიქიკური ანომალია თავისთავად არ წარმოშობს დანაშაულებრივ ქცევას და მხოლოდ ნეგატიურ სოციალურ ფაქტორს შეუძლია განაპირობოს იგი. ჩემი აზრით, ეს შეხედულება არ უნდა იყოს მთლად სწორი. ვფიქრობ, რომ ფსიქიკური ანომალია თავისთავად ნეგატიური ფაქტორია, ხოლო სოციალური ფაქტორი, ზოგ შემთხვევაში, შესაძლოა არ ასრულებდეს გადამწყვეტ ფუნქციას, რადგან, ზოგადად დადებით სოციალურ ფაქტორს შეუძლია უარყოფითად იმოქმედოს კონკრეტულ ფსი-

ქიკურ ანომალიებზე და პირიქით, არც თუ ისე ხელსაყრელმა სოციალურმა პირობებმა შეიძლება არ გამოიწვიონ ფსიქიკური ანომალიის მქონე პირში ნეგატიური რეაქცია. ფსიქიკური ანომალიის მქონე პირთა ქცევაში ბიოლოგიურ (ფსიქოფიზიოლოგიურ) ფაქტორს, შესაძლებელია, ზოგიერთ შემთხვევაში, უპირატესი როლი ენიჭებოდეს დანაშაულებრივი განზრახვის ჩამოყალიბებასა და რეალიზაციის დროს. მოქმედების არჩევის შეზღუდული უნარი, ზედმეტი შთაგონება, ხასიათის მერყეობა, ეჭვიანობა და ა.შ., სწორედ ის ფაქტორებია, რომლებიც ანომალიის მქონე პირთა ქცევის ძირითადი დეტერმინანტები არიან, მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს უარყოფ სოციალური ფაქტორების როლსა და მნიშვნელობას. მივუთითებ მხოლოდ ცალკეულ შემთხვევაზე, როცა, ჩემი აზრით, ფსიქიკური ანომალიის მქონე პირის ქცევაში ბიოლოგიურმა ფაქტორმა, შესაძლოა, უპირატესი როლი შეასრულოს სოციალურთან შედარებით.

ბიოლოგიური და სოციალური ფაქტორები ერთობლიობაში არსებობენ ადამიანში და მათი ხელოვნურად გახლეჩა ან ერთისათვის უპირატესობის მინიჭება მეორის იგნორირების ხარჯზე არაფრის მომცემია და, ვფიქრობ, მხოლოდ ზიანის მომტანია თითოეულის როლის ღრმა და ზუსტი გაგებისათვის ყოველი კონკრეტული დანაშაულის შემთხვევაში. ამ იდეას ეხმაურება დიდი აკაკის სიტყვები: „...მარტო წვრთნა რას უზავს, თუ ბუნებამ არ უშველა“. ძალიან ცალმხრივად მიმაჩნია საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებული ის მოსაზრება, რომ დანაშაულს ეკონომიკური საფუძველი აქვს და მას სოციალური ფაქტორები განაპირობებენ. ეს რომ მართლაც ასე იყოს, მაშინ იმ ქვეყნებში, სადაც საკმაოდ კარგი სოციალური პირობებია, დანაშაული არ, ან თითქმის არ უნდა არსებობდეს. რეალობა კი სულ სხვაგვარია.

ალექსანდრე ბიორბიძე,
თსუ სისხლის სამართლისა და
კრიმინოლოგიის კათედრის ასპირანტი.

¹¹ Фрейеров О.Е., О так называемом биологическом аспекте проблемы преступности. "Советское госуд. и право", 1966, №10, стр. 112.

სისხლისსამართლებრივი დევნის ნორმების ბარკვევისათვის

(კერძო სისხლისსამართლებრივი დევნა)

სისხლისსამართლებრივი დევნის სახეთაგან კერძო სისხლისსამართლებრივი დევნა ერთ-ერთი საინტერესო ინსტიტუტია სისხლის სამართლის პროცესში. აღნიშნული დევნა, როგორც წესი, ხორციელდება არა სამართალდამცავი ორგანოს, არამედ კერძო პირის მიერ. თუმცა მოქალაქეს თავისთავად აქვს გარანტიები იურისტის სამართლებრივი მომსახურებისა, მაგრამ ვინაიდან ხსენებულ საქმეებზე, ძირითადად, წინასწარი გამოძიება არ ტარდება და პროფესიონალური დახვეწილობა შეიძლება აკლდეს კერძო პირის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესს, შეჯიბრებითობის პრინციპის ფონზე, მაქსიმალურად უნდა იყოს დახვეწილი ამ სახის დანაშაულთა სასამართლო თუ წინასწარი გამოძიების მომწესრიგებელი ნორმები.

კერძო სისხლისსამართლებრივი დევნის სახეზე ყურადღების გამახვილება გამოიწვია კონკრეტულმა საქმემ, რომელსაც ადგილი ჰქონდა ერთ-ერთი პარლამენტარის მიმართ. ჩემი აზრით, საინტერესო უნდა იყოს ასეთი რეალური მაგალითის მოყვანა, რამეთუ პრაქტიკის გაანალიზებას თეორიის საიმედოობისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

ცილისწამების ფაქტის გამო A-მ პარლამენტარ B-ს მიმართ საჩივარი შეიტანა უზენაეს სასამართლოში იმასთან დაკავშირებით, რომ B-მ ერთ-ერთ ოფიციალურ ორგანოში თავისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას A-ზე გაავრცელა ცილისმწამებლური მონაჭორი დანაშაულში მონაწილეობის დაბრალებით. B-მ ჩაიდინა სსკ 148-ე მუხლით გათვალისწინებუ-

ლი ქმედება, რაც სსკ 27-ე მუხლის თანახმად, მიეკუთვნებოდა რაიონული სასამართლოს განხილვად კერძო სისხლისსამართლებრივი დევნის დანაშაულს, მაგრამ ვინაიდან B იყო პარლამენტარი, სსკ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად კი, პარლამენტის წევრის ბრალდების საქმეთა განსჯადობა უზენაეს სასამართლოს ექვემდებარებოდა, A-მ საჩივარი ბოლოს ხსენებულ ინსტანციაში შეიტანა.

A-ს ხსენებული განცხადება უზენაესმა სასამართლომ არ განიხილა იმ მოტივით, რომ, მართალია, B იყო პარლამენტარი, მაგრამ სსკ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად უზენაესი სასამართლოს განსჯადი იყო სისხლის სამართლის საქმეები პარლამენტარის ბრალდების გამო და არა საჩივარი კერძო ბრალდების წესით.

A-მ განმეორებითი განცხადება შეიტანა უზენაეს სასამართლოში იმ მოსაზრებით, რომ კერძო ბრალდების საქმე იგივე სისხლის სამართლის საქმე, სისხლისსამართლებრივი დევნის ერთ-ერთი სახე იყო და რადგან კანონმდებელმა ჩათვალა, რომ პარლამენტარის ბრალდების გამო სისხლის სამართლის საქმეების განხილვა უზენაესი სასამართლოს ექვემდებარება, თავისთავად იგულისხმებოდა, რომ სისხლის სამართლის საქმე, ეს იქნებოდა საჯარო, კერძო-საჯარო თუ კერძო სისხლისსამართლებრივი დევნის, უნდა განხილულიყო ადრესატის მიერ. განმეორებით განცხადებაში ასევე აღნიშნული იყო, რომ თუ უზენაესი სასამართლოს რჩევის შესაბამისად A მიმართავდა რაიონულ სასამართლოს, ამ უკა-

ნასკნელს სსსკ 27-ე მუხლის და LXII თავის მოთხოვნათა შესაბამისად პარლამენტარი უნდა ეცნო ბრალდებულად და განსასჯელად, რაც განსჯადობის პრინციპის დარღვევა იქნებოდა.

A-ს განმეორებით განცხადებასთან დაკავშირებით უზენაესმა სასამართლომ მას მიწერა შემდეგი პასუხი: „სსსკ 626-ე მუხლის მიხედვით კერძო ბრალდების საქმეთა წარმოება ხორციელდება ამ კოდექსით დადგენილი საერთო წესებით და LXII თავის („კერძო ბრალდების საქმეთა წარმოების წესი“) შესაბამისად. LXII თავში გათვალისწინებულ სპეციალურ ნორმას (627-ე მუხლს) აქვს უპირატესობა ზოგად ნორმებთან, ანუ ამ კოდექსით დადგენილ საერთო წესებთან მიმართებაში.“

A მიხვდა რა უზენაესი სასამართლოს განწყობას, რომ იქ საჩივარს არ განიხილავდნენ, სხვა ინსტანციაში კი, მის გადაწყვეტილებას ამ ეტაპზე ვერ გაასაჩივრებდა, განცხადება შეიტანა რაიონულ სასამართლოში.

აქ ყურადსაღებია ერთი გარემოება, რაც უზენაეს სასამართლოს სპეციალურ და ზოგად ნორმასთან დაკავშირებით ჰქონდა განმარტებული. აღნიშნული პრინციპი, რასაც დანაშაულთა ერთობლიობისას აქვს ადგილი, გამოიყენება სისხლის სამართალში და არა პროცესში. ამაზე კონკრეტულადაა მითითებული სსკ 16-ე მუხლში და საერთოდ არაფერია ნათქვამი სსსკ-ში. აღნიშნული საპროცესო კოდექსის 626-ე მუხლში ლაპარაკია არა ზოგად და სპეციალურ ნორმებზე, არა ასეთ ნორმათა კონკურენციაზე, არამედ სხვადასხვა თავში არსებული ნორმების ურთიერთდახმარებაზე. კერძო ბრალდების საქმეების განხილვა ხდება ასეთი კატეგორიის საქმეთა თავში არსებული ნორმების და საპროცესო კოდექსით დადგენილი საერთო წესებით, ე.ი. თუ მართლაც ეს თავი რაიმე სამართლებრივ ურთიერთობას ვერ მოაწესრიგებს, გამოიყენება სხვა მუხლები და, თავისთავად, კერძო ბრალდების საქმეთა განხილვა ხდება ჩვეულებრივ საპროცესო კოდექსით დადგენილი საერთო წესებით, ანალოგიურად საჯარო თუ კერძო-საჯარო სისხლის სამართლებრივი დევნისათვის განკუთვნილი ნორმებით – ამბობს კანონმდებელი. ამდენად, ასეთ შემთხვევაში ამ ნორმების კონკურენცია კი არა, ურთიერთდახმარებაა ნააზრევი.

დაეყრდნო რა რაიონული სასამართლო უზენაესი სასამართლოს, ჩემი აზრით, უმართებულო შეხედულებას, პარლამენტარი B სცნო განსასჯელად ისე, რომ სსსკ 282-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად B-ს ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად არ მიუღია პარლამენტის თანხმობა. რას გვეუბნება სსსკ 44-ე მუხლის 25-ე პუნქტი: განსასჯელი – ესაა ბრალდებული, რომელიც მიცემულია სამართალში ამ კოდექსით დადგენილი წესით, 26-ე პუნქტი: ბრალდებული – ესაა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული პირი. როცა A-მ რაიონულ მოსამართლეს მოსთხოვა სსსკ 417-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად პარლამენტარი B-ს სამართალში მიცემის დადგენილება, ასეთი დოკუმენტი არ აღმოჩნდა, თუმცა მთელი საქმის განხილვის მანძილზე პარლამენტარი იხსენიებოდა განსასჯელად.

აღნიშნულ საქმეზე, ვფიქრობ, კანონის დარღვევა გამოიწვია საკმაოდ გასაგებად ჩაწერილი კანონის არასწორად გაგებამ და მიმაჩნია, რომ A-ს და B-ს საქმე შემდეგნაირად უნდა გადაწყვეტილიყო – ვინაიდან B პარლამენტარი იყო, მის მიმართ A-ს კერძო ბრალდების საჩივარი უნდა განეხილა უზენაესი სასამართლოს წევრს, რომელიც თუ მივიღოდა იმ გადაწყვეტილებამდე, რომ აღძრულიყო სისხლის სამართლის საქმე და დაზარალებული A ეცნო კერძო ბრალდებულად, პარლამენტის წინაშე B-ს მიმართ მოეთხოვა იმუნიტეტის მოხსნა მისი ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მისაცემად, პარლამენტის თანხმობის შემთხვევაში, გამოეტანა დადგენილება B-ს სამართალში მიცემის შესახებ და ისე განეხილა საქმე, ვინაიდან სსსკ 637-ე მუხლით კერძო ბრალდების საქმის სასამართლო განხილვა ტარდება ამ კოდექსის საერთო წესების შესაბამისად, ე.ი. სსსკ 417-ე მუხლის პირველი ნაწილით სავალდებულოა დადგენილება სამართალში მიცემის შესახებ.

კანონის არასწორ გაგებაზე გვინდა ასევე მივმართო ყურადღება იგივე A-ს და B-ს კერძო სისხლის სამართლებრივი დევნის საქმის რაიონულ სასამართლოში განხილვის დროს. როცა პარლამენტარის მიმართ საქმე აღძრა რაიონულმა მოსამართლემ და B-მაც შეიტანა შემხვედრი საჩივარი, მოსამართლემ ორივე საჩივარი

ერთ წარმოებად გააერთიანა, ე.ი. ამ შემთხვევაში A-ს მიმართაც აღიძრა საქმე და ისიც განსასჯელად სცნო.

ვინაიდან A-ს მიაჩნდა, რომ მის მიმართ არასწორად იყო სისხლის სამართლის საქმე აღძრული, მოითხოვა საქმის აღძვრის დადგენილების გასაჩივრება საოლქო სასამართლოში შემდეგი მოსაზრებით: სსსკ 261-ე მუხლის მეორე ნაწილში აღნიშნულია, რომ მოსამართლეს უფლება აქვს აღძრას კერძო ბრალდების საქმე, სსსკ 269-ე მუხლით კი დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს 10 დღის ვადაში პროკურორთან, მაგრამ ვინაიდან ამ უკანასკნელს უფლება არა აქვს მოსამართლის გადაწყვეტილების გაუქმების, სსსკ მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად უნდა მომხდარიყო კანონის ანალოგიით გამოყენება და შესაბამისად საჩივრის განხილვა საოლქო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მიერ.

A-ს საქმის აღძვრის დადგენილების ასეთი ვარიანტით გასაჩივრება მართებულად მიაჩნდა, თუ სასამართლო ჩათვლიდა, რომ ადგილი ჰქონდა კანონის ხარვეზს მოსამართლის აღძვრის დადგენილების გასაჩივრების შესახებ, მაგრამ მას მიაჩნდა, რომ აღძვრის დადგენილების გასაჩივრებისათვის ნორმის უკმარისობასაც არ ჰქონდა ადგილი, რამეთუ სსსკ 525-ე მუხლით შეიძლება რაიონული მოსამართლის ყოველი შემაჯამებელი გადაწყვეტილების გასაჩივრება კერძო სააპელაციო საჩივრის გზით, ვინაიდან სისხლის სამართლის საქმის აღძვრა სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთ, პირველ სტადიად უნდა იყოს მიჩნეული (იხილეთ სსსკ 44-ე მუხლის მე-10 პუნქტი; შ. ფაფიაშვილი, ბ. მეურმიშვილი, სისხლისსამართლებრივი დევნა, როგორც პროკურატურის ფუნქცია, ჟურნალ „სამართალი“, 2001, №1-2).

საოლქო სასამართლოს თავმჯდომარემ A-ს საჩივარი განსახილველად დაუქვემდებარა არა საგამოძიებო კოლეგიას, არამედ სააპელაციო პალატას, რითაც თავიდანვე გამოირიცხა A-ს საჩივრის განხილვის ის მოტივაცია, რაც შეეხებოდა კანონის ანალოგიის პრინციპის გამოყენებას. სასამართლო კოლეგიამ მიიღო A-ს საჩივარი, მაგრამ რაიონული მოსამართლე არც დაელოდა ზემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილებას და A-ს მიმართ, ჩემი აზრით, უკანონოდ აღძრული საქმე რამდენიმე დღით ადრე შეწყვიტა ზემდგომ მოსამართლეთა განჩინების გამოტანამდე არა A-ს საჩივარში დაყენებული მოთხოვნის, არამედ პარლამენტარ B-ს მიერ საჩივარზე უარის თქმის გამო. ასეთი რამ დასაშვებია მხოლოდ სამოქალაქო დავების საქმეზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „გ“ პუნქტის შესაბამისი მოთხოვნით, როცა მოსარჩელე უარს ამბობს სარჩელზე. ვინაიდან A-ს და B-ს შერიგება ვერ მოხდა, რაიონულმა მოსამართლემ საქმის შეწყვეტის მოტივაციად, ჩემი აზრით, არასწორად მიუთითა სსსკ 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „პ“ და „კ“ პუნქტებზე, კერძო ბრალდების საქმეზე საჩივრის არ არსებობის გამო მაშინ, როცა საჩივარი არსებობდა, შერიგება კი არ ხერხდებოდა. ამ შემთხვევაში კანონის დღევანდელი გაგებით A-ს მიმართ უნდა გამოტანილიყო გამამტყუნებელი განაჩენი ანდა გამამართლებელი განაჩენი B-ს ცრუ დასმენისათვის პასუხისმგებლობის საკითხის დასმის პარალელურად. სხვა კანონისმიერი ვარიანტი არ იყო, მაგრამ რაიონულმა მოსამართლემ ამ შემთხვევაში მოახდინა სამოქალაქო საპროცესო კანონის ანალოგიით გამოყენება სისხლის სამართლის პროცესში, საოლქო სასამართლომ კი უარი თქვა სისხლის სამართლის პროცესში სისხლის სამართლის კანონისავე ანალოგიით გამოყენებაზე A-ს მიერ რაიონული მოსამართლის მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის დადგენილების გასაჩივრებასთან დაკავშირებით. საოლქო სასამართლომ აღნიშნული დადგენილების, როგორც რაიონული მოსამართლის შემაჯამებელი გადაწყვეტილების, კერძო სააპელაციო საჩივრის მოტივით გაუქმებაზეც უარი განაცხადა იმ მოსაზრებით, რომ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა არ ჩათვალა შემაჯამებელი ხასიათის გადაწყვეტილებად – „სისხლის სამართლის საქმის აღძვრის გადაწყვეტილება გულისხმობს პროცესის სტადიის არა დამთავრების, არამედ დაწყებას“, აღნიშნულია განჩინებაში. როგორც ზემოთ აღვნიშნე, სსსკ 44-ე მუხლის მე-10 პუნქტის მიხედვით და იურიდიულ დოქტრინაში არსებული შეხედულებით სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე მოსამართლის მიერ კანონით გათვალისწინებული მოქმედებების შეს-

რულება სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთი, პირველი სტადიის დაწყებას ნიშნავს, საქმის აღძვრა კი ამ კონკრეტული სტადიის დამთავრებად უნდა მოვიანროთ.

რაც შეეხება A-ს მიერ კანონის ანალოგიით გამოყენების პრინციპით საქმის აღძვრის დადგენილების გაუქმების მოთხოვნას, ასეთიც არ გაიზიარა საოლქო სასამართლომ, მაგრამ რა მოტოვით – არ განმარტა. ალბათ, იმიტომ, რომ კანონში პირდაპირ მითითებული არაა მოსამართლის აღძვრის დადგენილების გასაჩივრების უფლებაზე.

A-ს და B-ს შორის წარმოქმნილი დავის გამო კერძო ბრალდების საქმის წარმოება ერთ-ერთია იმ ბრავალთაგან, რომლითაც სავსეა სასამართლო პრაქტიკა. ამიტომ მიზანშეწონილია ანალოგიურ საქმეთა წარმოების მომწესრიგებელ ნორმათა სრულყოფა – რატომ არ უნდა შეიძლებოდეს მოსამართლის მიერ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის დადგენილების გასაჩივრება, როცა ის შეიძლება აშკარად უკანონო იყოს. რატომ შეიძლება პროკურორის და გამომძიებლის საქმის აღძვრის გადაწყვეტილების გასაჩივრება და რატომ არ შეიძლება რაიონული მოსამართლის დადგენილების გასაჩივრება საოლქო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა იმას კი არ უნდა ჰქონდეს, ვისი დადგენილების გასაჩივრება შეიძლება და ვისი არა, ე. ი. პროკურორის – კი, მოსამართლის – არა, არამედ გამომწვევტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ადამიანის უფლების განხორციელებას – როცა კანონმდებელმა დაუშვა სისხლის სამართლის საქმის აღძვრის დადგენილების გაუქმების ნორმაში ის შესაძლებლობა, რომ აღძვრის დადგენილების გასაჩივრება შეიძლება იმიტომ, რომ არის შანსი მომკვლევის, გამომძიებლის თუ პროკურორის მხრიდან ადამიანის უფლების შელახვისა, თავისთავად იგულისხმება, რომ სისხლის სამართლებრივი დევნის ამ ეტაპზე შეცდომა შეიძლება დაუშვას მოსამართლემაც. საქმე ისაა, რომ A-ს მიმართ საქმის აღძვრისას რაიონულმა მოსამართლემ, კერძო ბრალდების საქმეთა მარეგულირებელ ნორმათა მოთხოვნის შესაბამისად, არ მიიღო განმარტებები არც მომჩივნისაგან და არც მეორე მხარისაგან, არ გააცნო საჩივარი ამ უკანასკნელს,

არ გააფრთხილა ხელწერილით ცრუ დასმენისათვის მომჩივანი და ისე აღძრა საქმე, ხოლო როცა საქმის განხილვა დაიწყო რამდენიმე დღის შემდეგ და შემოთ ხსენებული უკანონობის შესახებ იშუამდგომლა A-მ, ამის შემდეგ გააფრთხილა B ხელწერილით ცრუ დასმენისათვის. კანონის ასეთ დარღვევაზე კი საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატის მოსამართლეებს თვალის დახუჭვა მოუხდათ იმის გამო, რომ არ არსებობს ის ნორმა, რომელიც მათ საშუალებას მისცემდა ქვემდგომი მოსამართლის საქმის აღძვრის დადგენილების გაუქმებისას, თუმცა თუ საჩივარი საგამოძიებო კოლეგიას გადაეცემოდა განსახილველად, შესაძლოა ანალოგიის პრინციპის გამოყენებას ეზეიმა ადამიანის კანონიერი ინტერესების დასაცავად. ვინმემ შეიძლება თქვას, რომ საქმის აღძვრა მოსამართლის მიერ ხომ საბოლოო გადაწყვეტილებად არ აღიქმება და განაჩენი შეიძლება ყველა შემთხვევაში გასაჩივრდეს. მათ ვერ დავეთანხმებით, რადგან განსხვავებით საჯარო და კერძო-საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნისაგან, როცა საქმის აღძვრა ხდება და დევნა ჯერ კიდევ არ არის დაწყებული, რადგან ასეთი იწყება პირის პასუხისგებაში მიცემის მომენტიდან, კერძო ბრალდების საქმეებზე სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება საქმის აღძვრისთანავე, ვინაიდან თუ მოსამართლე დარწმუნდება საქმის აღძვრის მიზანშეწონილობაში, ე. ი. დანაშაულის არსებობაში, ამავე დადგენილებაში მან კანონის დღევანდელი მოთხოვნით კერძო ბრალმდებლად უნდა სცნოს მომჩივანი, ხოლო მეორე მხარე ბრალდებულად, ე. ი. სისხლის სამართლის პასუხისგებაში აძლევს ამ უკანასკნელს, შემდეგ კი სამართალშიც მისცემს. ე. ი. მოსამართლის მიერ საქმის აღძვრის დადგენილებით თითქმის მსჯავრდებულადაც აქცევენ პირს. ასეთ ვითარებაში რამდენად სწორია, როცა გამომძიებლის ან პროკურორის მხოლოდ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების მიზნით დატვირთული სისხლის სამართლის საქმის აღძვრის დადგენილების გასაჩივრების უფლებას ვუკანონებთ ადამიანს და არ ვასაჩივრებინებთ მოსამართლის საქმის აღძვრის დადგენილებას, რომელიც პირის იმიჯს, ბრალდებულად და განსასჯელად ცნობის გამო, გარკვეულ ვნებას აყენებს.

როცა რაიონულმა მოსამართლემ A-ს მიმართ საქმის აღძვრისას იგი განსასჯელადაც სცნო, თავისთავად იგი სამართალში მისცა, სსსკ 244-ე მუხლში კი წერია – „სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულია სამართალში მიცემის ან სასამართლო განხილვის სტადიაზე სააპელაციო თუ საკასაციო წარმოების დროს, გასაჩივრდება LVI და LVII თავებით დადგენილი წესებით“. ე. ი. სამართალში მიცემის სტადიაზე რაიონული მოსამართლის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს. ამ კერძო სისხლისსამართლებრივი დევნის შემთხვევაში უბრალოდ ემთხვევა დადგენილება საქმის აღძვრის და პირის სამართალში მიცემის შესახებ. ამდენად, სამართალში მიცემის დადგენილების A-სგან გასაჩივრების უფლება მაინც უნდა მიეჩნია კანონიერად საოლქო სასამართლოს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობ, მიზანშეწონილი იყოს სისხლის სამართლის პროცესში შემდეგ ცვლილებათა შეტანა:

ა) 269-ე მუხლს დაემატოს მოსამართლის სისხლის სამართლის საქმის აღძვრის დადგენილების

საოლქო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში ან უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში გასაჩივრების უფლება;

ბ) 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „კ“ პუნქტში სიტყვების – „არ არსებობს დაზარალებულის საჩივარი“ – შემდეგ დაემატოს სიტყვები – „ან თუ მან უარი თქვა ასეთზე“;

გ) სსსკ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილს სიტყვების – „...განსჯადია: სისხლის სამართლის საქმეები“ დაემატოს სიტყვები – „მათ შორის კერძო-საჯარო და კერძო სისხლისსამართლებრივი დევნის ფაქტებზე“;

დ) სსსკ 44-ე მუხლის მე-10 პუნქტში კონკრეტულად ჩამოყალიბდეს სისხლის სამართლის პროცესის შემაჯამებელი გადაწყვეტილებების სახეები. /სისხლის სამართლის საქმის აღძვრა პირველი და დამოუკიდებელი სტადია რომ არის და ბრალდებულის სამართალში მიცემაც ცალკე სტადიად ითვლება, ნათლადაა განმარტებული ა. ფალიაშვილის რედაქტორობით გამოცემულ ნაშრომში „საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესი“, თსუ, 1988, გვ. 140, 192/.

კობა კობახიძე,
თბილისის გლდანი-ნაძალადევის
რაიონული პროკურორის თანაშემწე,
იუსტიციის უმცროსი მრჩეველი.



სისხლის სამართლის პროცესი, კრიმინალისტიკა

ვახტანგ გაბედავა

შემთხვევის აღბილის დათვალიერება გვამის აღმოჩენის შემთხვევაში და გვამის კოზის ფიქსაცია

სიცოცხლის უფლება ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა და მას იცავს კანონი.

მკვლელობა პიროვნების ხელმოყოფიდან დასაწყისითაა შორის, რომელიც მისი ჩადენის ხერხებითა და საშუალებებით მრავალგვარია, განსაკუთრებით მძიმედ ითვლება. მკვლელობის საქმეების გამოძიება და საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა, უპირველეს ყოვლისა, იწყება შემთხვევის ადგილის დათვალიერებით, რომლის წარმატებით ჩატარებაზე დამოკიდებულია გამოძიების შედეგობა მსვლელობა. დათვალიერების შედეგები შესაძლებლობას გვაძლევს განვსაზღვროთ შემთხვევის მექანიზმი, წამოვაყენოთ ვერსიები და დავსახოთ დამნაშავეს დაძებნის გზები.

მკვლელობა შედეგიანი დანაშაულია და მისი შემადგენლობის აუცილებელი ელემენტი არის სხვა ადამიანის სიცოცხლე, ე.ი. მკვლელობა არის სხვა ადამიანის სიცოცხლის მართლსაწინააღმდეგოდ და ბრალეულად მოსპობა, რომელიც შეიძლება სხვადასხვა ხერხითა და საშუალებებით იქნეს ჩადენილი.

შემთხვევის ადგილის დათვალიერება, გვამის აღმოჩენის შემთხვევაში, უმეტესად იწყება ცენტრიდან (გვამიდან).

გვამის აღმოჩენის დროს შეიძლება ადგილი ჰქონდეს, როგორც დანაშაულებრივი ხასიათის, ისე არაკრიმინალური ხასიათის შემთხვევას. ამიტომ აუცილებელია, დადგინდეს, თუ სინამდვილეში რა მოხდა, რაც ასეთ შემთხვევაში დათვალიერების უპირველესი ამოცანაა.

სიკვდილის შემდეგ ორგანიზმი განიცდის სხვადასხვაგვარ ცვლილებას. სიკვდილის ეს ნამდ-

ვილი ნიშნები ორ ჯგუფად იყოფა: ა) ნაადრევ და ბ) მოგვიანებით გვამურ მოვლენებად.

ნაადრევ გვამურ მოვლენებს მიეკუთვნება: გაცივება, გაშეშება, სისხლის განაწილებისა და მისი ფიზიკურ-ქიმიური თვისებების შეცვლა, გაშრობა და ავტოლიზური მოვლენები.

მოგვიანებით გვამურ მოვლენებს მიეკუთვნება: ლპობა, მუმიფიკაცია, ქონცვილი, ტორფით დათრიმლვა და ხელოვნური კონსერვაცია.

შემთხვევის ადგილზე გამოცხადებისთანავე, პირველ რიგში, მომკვლევნი, გამომძიებელი, პროკურორი უნდა დარწმუნდეს, დამდგარია თუ არა სიკვდილი. ეს შეიძლება დადგინდეს შემდეგი ნიშნებით:

ა) სუნთქვის შეწყვეტით (პირთან ცივი სარკის მიტანით იგი არ დაინამება);

ბ) თვალის რეაქციის არ არსებობით რქოვანაზე შეხებისას;

გ) სხეულის ნაწილების პასიური მდგომარეობით (ხელის აწევისას მისი ვარდნა გაშვებისთანავე);

დ) მგრძობიარობის დაკარგვით (რეაქციის არ არსებობა ნემსის ჩხვლეტისას).

სიკვდილის დადგომის შესახებ საბოლოო დასკვნას აკეთებს მხოლოდ და მხოლოდ ექიმი;

შემთხვევის ადგილზე გვამს მომკვლევნი, გამომძიებელი, პროკურორი ათვალიერებს სასამართლოსამედიცინო ექსპერტის მონაწილეობით. ამიტომ შემთხვევის ადგილზე გვამის დათვალიერება შემთხვევის ადგილის დათვალიერების ნაწილია.

გვამის აღმოჩენისას შემთხვევის ადგილის დათვალიერება სხვა შემთხვევის ადგილის დათვალიერებისაგან იმით განსხვავდება, რომ აუცი-

ლებელია ექიმ-სპეციალისტის მონაწილეობა. მის კომპეტენციაში შემაჯავლი საკითხების გადასაწყვეტად სისხლის სამართლის საპროცესო კანონის თანახმად, თუ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის მოწვევა შეუძლებელია, მაშინ გამოძახებული უნდა იყოს ახლოს მყოფი სხვა სპეციალისტის ექიმი.

შემთხვევის ადგილზე გამოცხადებისთანავე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტმა, პირველ რიგში, უნდა დაადგინოს სიკვდილის ფაქტი, რადგან შეიძლება ადამიანი ცოცხალი იყოს და ესაჭიროებოდეს შესაფერისი სამედიცინო დახმარება.

გვამის გარეგნულ დათვალიერებას, როგორც წესი, ახდენს მომკვლევნი, გამომძიებელი, პროკურორი სასამართლო ექსპერტიზის (ექიმის) დახმარებით. მის კომპეტენციაში შედის სიკვდილის მიზეზის, ძალადობის ნიშნების, დაზიანების წარმოქმნის მექანიზმის და ხასიათის, სიკვდილის დადგომის დროის და სხვა მონაცემების დადგენა, რომლებსაც მნიშვნელობა ექნება სისხლის სამართლის საქმის წარმოებისათვის. ამასთან იგი მომკვლევს, გამომძიებელს, პროკურორს ეხმარება გვამზე არსებული ბიოლოგიური წარმოშობის კვლების, ასევე სხვა მატერიალური ობიექტების დაძებნა-აღმოჩენაში.

დათვალიერების შედეგებს სასამართლო ექსპერტი (ექიმი) კარნახობს გამომძიებელს (მომკვლევს, პროკურორს) ოქმში შესატანად და ეხმარება ამოღებული ობიექტების და კვლების სწორ შეფუთვაში.

შემთხვევის ადგილზე გვამის დათვალიერების შემთხვევაში აუცილებლად უნდა გამოვლინდეს და დაფიქსირდეს ფაქტები, რომლებიც არ შეიძლება შეივსოს მორგში სასამართლო სამედიცინო მომკვლევის დროს, კერძოდ:

1) გვამის აღმოჩენის ადგილი და მისი მდებარეობა გარემომცველ ობიექტებთან მიმართებაში;

2) ობიექტის და კვლების ურთიერთმდებარეობა და მათი ურთიერთკავშირი (დანაშაულის იარაღები, სისხლის კვალები და ა.შ.);

3) გვამის პოზა, გვამური მოვლენები, სხვადასხვა კვლების და საგნების რაოდენობა გვამზე და მის ქვეშ, ზედაპირის მდგომარეობა, რომელზედაც დევს გვამი;

4) გვამზე ტანსაცმლის მდგომარეობა, დაზიანების რაოდენობა, დაჭუჭყიანება, ღილების, საკინძების მდგომარეობა;

5) ტანსაცმელზე კვალითა რაოდენობა, მისი ადგილი და თავისებურებანი;

6) თვალის გუგას, გარსის, რქოვანას მდგომარეობა, ბუნებრივი გამონაყოფის მდგომარეობა და მათი რაოდენობა;

7) განსაკუთრებული ნიშნები (სვირინგი, იარა, ფიზიკური ნაკლი);

8) გვამური მოვლენების რაოდენობა, ოქმში დროის ჩვენებით;

9) გვამური გაცივების ხარისხი გვამზე ტანსაცმლით დაფარულ და დაუფარავ ადგილზე (განისაზღვრება თითის დაჭერით);

10) გვამის ტემპერატურა (გაიზომება თერმომეტრით გვამის ნაწილის ჩვენებით); ტემპერატურა სწორ ნაწილაკში და ატმოსფეროს ტემპერატურა;

11) გვამური ლაქების რაოდენობა და განლაგება, ფერი, ფერის შეცვლა თითის დაჭერით და თავდაპირველ მდგომარეობაში აღდგენის სიჩქარე წუთებში;

12) გვამური გაშეშება, გამონატული სხვადასხვა ჯგუფის კუნთებზე;

13) განივზოლიანი კუნთის რეაქცია მექანიკურ ზემოქმედებაზე;

14) განივზოლიანი კუნთების ელექტროაგზნებადობა;

15) გუგას რეაქციის ხარისხი თვალის ბუდეში პოლიკარპინის ან ატროპინის ხსნარის შეყვანისას (გამოკვლევა ხდება იმ შემთხვევაში, როცა სიკვდილის დადგომის დრო ცნობილი არ არის);

16) გვიანი გვამური მოვლენების რაოდენობა, მათი ხარისხი და ანატომური ლოკალიზაცია;

17) გვამზე დაზიანების რაოდენობა და მათი ლოკალიზაცია;

18) პირის ღრუში რაიმე სუნის არსებობა (გულმკერდის არეში დაწოლით);

19) ნიშნები, რომლებიც მიუთითებენ ტრამვის შემდეგ დაზარალებულის დამოუკიდებელ გადაადგილებაზე ან გვამის გადატანაზე (გვამის მდებარეობის შეცვლა);

20) გვამზე და ტანსაცმელზე მატლის ჭუპრების, მწერების არსებობა (ამოღებული მატლი უნდა გაიგზავნოს ექსპერტიზაზე სიკვდილის ხანდაზმულობის დასადგენად);

21) მუცლის მდგომარეობა (ჩავარდნილი, გაბერილი).¹

¹ "Осмотр место происшествия", под ред. А.А.Леви, М., 1982, стр. 201-204.

ვითარების ობიექტურ დადგენას უმეტესად ართულებს ინსცენირება, რომელსაც ხშირად მიმართავენ დამნაშავენი, მაგალითად, მკვლელობის შენიღბვა თვითმკვლელობით ან უბედური შემთხვევით. შეიძლება შეგვხვდეს ისეთი სიტუაციები, როცა შემთხვევის ადგილზე სიკვდილის გვარეობის დადგენა შეუძლებელია, კერძოდ, როცა გვამზე არ არის ძალადობის გარკვეული ნიშნები, მაშინ სიკვდილის დადგენის მიზეზის გარკვევისათვის საჭიროა გვამის სასამართლო-სამედიცინო გამოკვლევა მორგში. ასეთ შემთხვევაში ყურადღება უნდა გამახვილდეს, ხომ არა გვაქვს საქმე ინსცენირებასთან, უნდა დადგინდეს და გამოვლინდეს ნეგატიური გარემოებანი (კვალისა და საგნების არარსებობა, რომელიც მოცემულ კონკრეტულ სიტუაციაში აუცილებლად უნდა იყოს).

გასათვალისწინებელია, რომ შემთხვევის ადგილის გარემოება შეიძლება შეცვალოს იმ პირობებში, რომლებიც ცდილობდნენ დახმარება აღმოეჩინათ დაზარალებულისათვის საგამოძიებო-ოპერატიული ჯგუფის მოსვლამდე. მკვლელობის საქმეებზე მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ გვამის აღმოჩენის ადგილი ხშირად არ არის მკვლელობის ჩადენის ადგილი.

თუ გვამის დათვალიერების დროს ვერ მოხდა პიროვნების ამოცნობა და არ აღმოჩნდა პირადობის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი, მაშინ მომკვლევნი, გამომძიებელი, პროკურორი:

1) აღწერს დაზარალებულის გარეგნულ ნიშნებს სიტყვიერი პორტრეტის მეთოდით;

2) იკვლევს ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს (ფაბრიკულ იარლიყებს, დამლებს, ნომრებს, წარწერებს და ა.შ.);

3) ფრჩხილქვეშ და ყურის ნიჟარებიდან იღებს გამონაყოფს, ასევე ღებულობს ზომებს მიკროკვანძების დაცვა-შენახვაზე ტანსაცმელზე და გვამის სხეულზე;

4) აწარმოებს გვამის ფოტოგადაღებას (გვამი გადაიღება მთლიანად, ანფასში, მარჯვენა და მარცხენა პროფილში; ცალკე გადაიღება იარები, სვირინგები და სხვა განსაკუთრებული ნიშნები);

5) აღწერს და აწარმოებს ტანსაცმლის, საგნების ფოტოგადაღებას, ასევე იმ საგნებს, რომლებიც შეიძლება ამოღებულ იქნეს მხოლოდ გვამის სასამართლო-სამედიცინო გამოკვლევის შემდეგ (პროთეზი);

6) ახდენს გვამის დაქტილოსკოპირებას.²

თუ გვამის დათვალიერების დროს ვერ მოხდა პიროვნების ამოცნობა და ვერ აღმოჩნდა პირადობის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი, გამომძიებლის დავალებით სპეციალისტ-კრიმინალისტი ან სასამართლო ექსპერტი, გვამის გარეგნული დათვალიერების შემდეგ, ახდენენ გვამის დაქტილოსკოპირებას; სისხლის სამართლის საპროცესო კანონის თანახმად ამოუცნობი გვამის დაქტილოსკოპირება სავალდებულოა (საქ. სსსკ მუხლი 336, პუნქტი 2).

გვამის დაქტილოსკოპირება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სტადიაზეა გვამის ლპობა და რა მდგომარეობაშია მისი კანი. თუ გვამი ჯერ სრულად არაა გაცივებული, ლილვაკის მეშვეობით შეიღებება გვამის თითები და ოთხკუთხა ქალაქის ნაჭერზე, ჩვეულებრივი წესით, აისახება თითოეული თითის ანაბეჭდი. მიღებულ ანაბეჭდებს აწებებენ ერთ მთლიან ქალაქზე და ასე შეიქმნება გვამის დაქტილობარათი.

თუ გვამი გაცივების ან ლპობის დაწყების სტადიაზეა, დაქტილოსკოპირებამდე, თითების ბალიშებზე კანის დაჭკნობის გამო წარმოქმნილი ნაოჭების გასწორების მიზნით, ხელის მტევნებს 15-20 წუთით მოათავსებენ თბილ წყალში და შემდეგ თითის ფალანგის ბოლოდან შპრიცით შეუშვებენ გლიცერინს ან ვაზელინის ზეთს. შემდეგ სწრაფად ხდება თითების ბალიშებზე საღებავის წასმა და წინასწარ მომზადებულ ქალაქებზე თითების ანაბეჭდების გადატანა.

თუ გვამი ლპობის ან გახრწნის ისეთ სტადიაზეა, რომ კანს გაშრობის გამო სრულიად დაკარგული აქვს ელასტიურობა, მაშინ დაქტილოსკოპირებისათვის გვამს მოაჭრიან ორივე ხელის მტევნებს და მას 30-48 საათის განმავლობაში ათავსებენ თბილ წყალში (30⁰-45⁰). შემდეგ წყლიდან ამოიღებენ და თითის ბოლო ფალანგიდან კანს დაუზიანებლად გააძრობენ, გარეცხავენ, რეზინის ხელთათმანიან თითზე წამოიცივებენ და მისგან, ჩვეულებრივი წესით, დაქტილობარათზე გადაიტანენ ანაბეჭდს.

თუ გვამის ძლიერად გახრწნის გამო თითის ბოლო ფალანგებიდან მთლიანი გაძრობა დაუზიანებლად შეუძლებელია, მაშინ თითის ბალიშის ქვედა კანის ნაწილს, რომელზედაც გამოსახულია დვრილოვანი ქარგა, თითიდან ააცლიან და მას

² იქვე.

მიიწებებენ რეზინის ხელთათმანის თითზე და ისე აიღებენ მისგან ანაბეჭდს.³

გვამის აღმოჩენისას შემთხვევის ადგილის დათვალიერების თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ თავისი საშუალო სპეციალისტ-კრიმინალისტმა უნდა ააგოს გამომძიებლისა და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტთან ურთიერთმოქმედებაში, რადგან გვამის გარეგანი დათვალიერებისას ექსპერტ-კრიმინალისტი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტისაგან ღებულობს ინფორმაციებს, რაც დამნაშავის მიერ დატოვებული კვლების დაძებნის ეფექტიანი საშუალებაა როგორც შემთხვევის ადგილზე, ისე შემდეგში. ასეთი სახის ინფორმაციები შეიძლება იყოს: სიკვდილის შესაძლებელი მიზეზები და მკვლელობის ჩადენის საშუალება, მიყენებული დაზიანების საშუალების ან იარაღის თავისებურება, ნეგატიური გარემოებანი, რომლებიც მიგვანიშნებენ შესაძლებელ ინსცენირებაზე, დამნაშავის მოქმედებებზე და ა.შ.

ასეთ შემთხვევაში დათვალიერების სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ დასაძებნი და აღმოსაჩენია ბიოლოგიური წარმოშობის კვლები, ინდივიდუალური სუნი, სისხლი, ნერწყვი, ოფლი, სხვადასხვა გამონაყოფი, თმა, ოფლცხიმოვანი და სისხლიანი ხელის თითის კვლები, აგრეთვე მიკრონაწილაკები (ტანსაცმლის ბოჭკო, სხვადასხვა ნივთიერებები), რომლებიც წარმოიშობა დაზარალებულის და მკვლელის კონტაქტის დროს.

შემთხვევის ადგილზე გვამის მდებარეობას (პოზას) დიდი მნიშვნელობა აქვს საქმის შემდგომი გამოძიებისათვის, ვინაიდან რაიმე მიზნით გვამს შეიძლება შეუცვალონ მდებარეობა. მდებარეობის შეცვლაზე მსჯელობა შესაძლებელია გვამური ლაქების ადგილმდებარეობის მიხედვით.

თუ შემთხვევის ადგილას გვამი აღმოჩნდა გულდაღმა მდგომარეობაში, ხოლო გვამური ლაქები განვითარებულია ზურგის მხარეზე, ეს იმას ნიშნავს, რომ გვამის თავდაპირველი მდებარეობა შეცვლილია, ამასთან სიკვდილიდან საკმაოდ დროს გავლის შემდეგ. გვამის მდებარეობის აღნიშვნის დროს ყურადღება უნდა მივაქციოთ სხეულის საერთო მდებარეობას— გვამი წევს ზურგზე, მარჯვენა, მარცხენა გვერდზე, გულაღმა თუ მჯდომიარეა. შემდეგ მიეთითება კიდურების მდგომარეობა ტანის მიმართ.

³ შ. ფაფიაშვილი, დაქტილოსკოპია, თსუ, 1969, გვ. 118.

გვამის გარეგანი დათვალიერების დროს უნდა დადგინდეს და აღიწეროს: გვამის დათვალიერების დრო და ადგილი, ჰაერის ტემპერატურა, გვამის პოზა, გვამის პარამეტრები, გვამის ირგვლივ არსებული საგნები და კვალი. უპირველეს ყოვლისა, ამ მხრივ მნიშვნელობა აქვს სისხლის კვალს— გუბის, წვეთების, შხეფის, ნაცხისა და სხვა სახით. ორგანიზმის სხვა გამონაყოფს, პირნაღებ მასას, შარდს, თესლს.

აღწერას ექვემდებარება გვამის ანატომიური მონაცემები (გვამის აგებულება, სიმაღლე, ასაკი, სქესი, განსაკუთრებული ნიშნები და ა. შ.).

გვამის ტანსაცმლის დათვალიერებას დიდი მნიშვნელობა აქვს, ერთი მხრივ, ვინაობისა და პროფესიის დადგენისათვის და, მეორე მხრივ, ბრძოლისა და თავდაცვის ნიშნების ან ბოროტმოქმედების სხვა რაიმე კვალის აღმოსაჩენად.

საიდენტიფიკაციოდ ტანსაცმლის დათვალიერება მომკვლევის, გამომძიებლის, პროკურორის მოვალეობაა. სასამართლო სამედიცინო ექსპერტი (ექიმი) ყურადღებას აქცევს და აღწერს მხოლოდ მასზე არსებული ლაქებს და ამა თუ იმ იარაღით, საგნით გამოწვეულ დაზიანებას.

მკვლელობის ჩამდენი პირის თმები, მისი ტანსაცმლის ბოჭკოს ნაწილაკები შეიძლება გვამის ტანსაცმელზე ან ფრჩხილების შიგთავსში ვიპოვოთ. ასეთი ნივთმტკიცება ცალკე უნდა იყოს აღებული შემდგომი გამოკვლევისა და შედარების მიზნით.

ტანსაცმლის ზოგადი დათვალიერების შემდეგ, საჭიროა მისი თანმიმდევრობით გახდა და ცალკე დათვალიერება. მიზანშეწონილია გვამს ტანსაცმელი გავხადოთ შემთხვევის ადგილას ძალიან ფრთხილად ისე რომ არ დაიკარგოს მასში მიკრობიექტები. თუ შემთხვევის ადგილას არსებული პირობების გამო (ქუჩა, დაწესებულება, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილი და ა.შ.) არ არის გვამის გახდის საშუალება, ასეთ შემთხვევაში არ შეიძლება დაკმაყოფილება ტანსაცმლის ზერელე დათვალიერებით. გვამი დათვალიერებისათვის უნდა გადავიტანოთ შესაფერის ადგილას ან უნდა მოვაწყოთ სახელდახელო კარავი, სადაც გვამი დათვალიერდება გახდილ მდგომარეობაში.

გვამის გარეგანი დათვალიერების დროს, პიროვნების ვინაობის დასადგენად, ყურადღება უნდა მივაქციოთ განსაკუთრებულ ნიშნებს, ხელოვნურ პიგმენტაციას სვირინგის სახით, ნაწიბურებს, ამპუტაციას ან სხვადასხვა სახის გარეგან სიმახინჯეს,

კბილებს. უნდა აღვნიშნოთ სქესი, ასაკი (შესახედაობის მიხედვით), სხეულის სიგრძე (სანტიმეტრებით), სხეულის აგებულება და კანის საფარის მდგომარეობა. შემდეგ ყურადღება მიექცევა გვამურ მოვლენებს: გაცივებას, გაშეშებას, გვამურ ლაქებს, ლპობას და ა.შ. ამის შემდეგ კი დათვალიერდება სხეულის ბუნებრივი ხვრელები.

გვამის დათვალიერების დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სხეულზე არსებული დაზიანების აღმოჩენას და მის დეტალურ აღწერას.

გვამის პოზის ფიქსაცია. გვამის დათვალიერების დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება გვამის ფოტოგრაფირებას, ე. ი. მისი პოზის ფიქსაციას. გვამის დათვალიერების მსვლელობისას, იგი შეიძლება ფოტოგრაფირებული იყოს სამი წერტილიდან: მარჯვენა და მარცხენა მხრიდან და ზევით. შეიძლება გვამის პოზის ფიქსაცია თავის ან ფეხების მხრიდან, თუ ზედა და გვერდითი მხრიდან გადაღების საშუალება არ არის. გამოიყენება აგრეთვე ე.წ. ჯვარედინი გადაღება (გადაღება ოთხი მხრიდან).

კარადაში, ლიფტში, ავტომანქანაში და ა.შ. გვამის აღმოჩენისას, ფოტოგადაღება ხდება ერთი წერტილიდან. ასეთი სიტუაციის დროს დამატებით ხდება გვამის მთლიანი გადაღება.

გადამალული გვამის აღმოჩენისას, ჯერ ხდება ადგილის საორიენტაციო მიმოხილვითი და საკვანძო ფოტოგადაღება, შემდეგ კი გვამის პოზის ფიქსაცია ხდება ჩვეულებრივი წესით. თოვლში, მიწაში, ორმოში, ნაგავში ჩაფლული გვამი ფიქსირდება ანალოგიურად – ამოღებამდე და ამოღების შემდეგ. მიზანშეწონილია, შეძლებისდაგვარად, გვამის პოზა არ შეიცვალოს. შეიძლება გვამის ამოღების ეტაპობრივად ფოტოგრაფირება.

დამწვარი და ძლიერ გახრწნილი გვამი გადაღებამდე კარგად უნდა განათდეს და შემდეგ მოხდეს მისი გადაღება. ჩამოკიდებული გვამი გადაიღება წინა და უკანა მხრიდან. ზოგ შემთხვევაში, თუ ფეხის წვერი ეხება იატაკს, უნდა მოხდეს მისი გადაღება გვერდითი მხრიდან. ასევე აუცილებელია თოკის ჩამოკიდების ადგილისა და ირგვლივ მყოფი საგნების გადაღება. გვამის პოზის დაშორება იატაკიდან მეტრული ან მასშტაბური ფოტოგადაღების მეთოდით უნდა მოხდეს. უნდა შედგეს მასშტაბური გეგმა, სქემა.

მჯდომარე მდგომარეობაში მყოფი გვამის ფოტოგადაღება ხდება სამი წერტილიდან: წინა და

გვერდითი მხრიდან. აუცილებლობის შემთხვევაში გადაღება ხდება ზედა წერტილიდან.

თუ გვამის ამოცნობა ვერ მოხერხდა, უნდა დამზადდეს გვამის ამოსაცნობი ფოტოსურათები.

დანაწევრებული გვამის აღმოჩენისას გადაიღება შემთხვევის ადგილის ვითარება, შემდეგ კი თითოეული ნაწილი ცალ-ცალკე. თუ გვამის ნაწილზე აღინიშნება რაიმე განსაკუთრებული ნიშნები, უნდა მოხდეს მათი გადაღება საკვანძო და დეტალური ფოტოგადაღების წესით.

თუ განათება სუსტია, უნდა გამოვიყენოთ განათების დამატებითი წყაროები.

შემთხვევის ადგილის სრული დათვალიერების შემდეგ, გამომძიებლის მიმართვით გვამი იგზავნება უახლოეს სასამართლო-სამედიცინო პროზექტურაში (მორგში) სასამართლო-სამედიცინო გამოკვლევის ჩასატარებლად.

გვამის გადატანა პროზექტურაში (მორგში) მომკვლევის, გამომძიებლის, პროკურორის მოვალეობაა. მათ უნდა უზრუნველყონ მისი ტრანსპორტირება ისე, რომ გვამის სხეულზე არ წარმოიქმნას რაიმე ახალი დაზიანება.

შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას, როცა გვამი უკვე გადაგზავნილია პროზექტურაში ან მისი ადგილმდებარეობა შეცვლილია, მის პირველსაწყის მდგომარეობაზე შეიძლება ვიმსჯელოთ გარშემო მყოფი ობიექტებით და კვლებით. გვამის თავდაპირველი მდებარეობა დგინდება თვითმხილველთა ახსნა-განმარტებებით ან შემთხვევის ადგილზე პირველად მისული პოლიციის თანამშრომელთა განმარტებებით. კვლების დაკარგვისა და შემთხვევის ადგილის დანაგვიანების თავიდან აცილების მიზნით, იგი დაცული (გარშემორტყმული) უნდა იყოს. შემთხვევის ადგილის ფიქსაცია და აღწერა დათვალიერების ოქმში კეთდება საერთო წესით. სადგომში, სათავსში გვამის თავდაპირველი მდებარეობა მონიშნება ცარცით, ხოლო ღია ადგილზე – სანომრე ნიშნებით.

გვამის თავდაპირველი მდებარეობის ადგილისა და მიმდებარე ტერიტორიის დათვალიერების შემდეგ, აუცილებლად უნდა ამოვიღოთ შემდეგი: საგნები, რომლებიც უშუალოდ შემთხვევას შეეხებიან; დანაშაულის იარაღები, რომელზეც შეიძლება იყოს ინდივიდუალური სუნის, ხელის კვლები, დაზარალებულის ტანსაცმელის ნაწილები; სხვა ობიექტები, რომელზეც შეიძლება იყოს დამნაშავის სუნის, ნერწყვის, ოფლ-ცხიმის კვლები ან სისხლით დას-

ვრილი სხვა ობიექტები (ნამწვი, ასანთი, ცხვირ-სახოცი, ჩვარი, ქალაღლის ნაღლევი, თოკი); მასრა, ტყვია, თმა, ბოჭკო, ნიადაღის ნაწილაკები, ფეხისა და ტრანსპორტის კვალი და ა.შ.

ღია ადგილზე, სამშენებლო მოედანზე, მიტოვებულ სადგომში, ზემოთ ჩამოთვლილ ობიექტებთან ერთად, უნდა ამოვიღოთ ნიადაღის, მცენარეების, სამშენებლო ნაგავის, ქვიშის, მტვერის, სხვა ნივთიერებების შესადარებელი ნიმუშები, რომლებიც აიღება დაზარალებულის და დამნაშაღის (ტანსაცმლის, ფეხსაცმლის) კონტაქტის ადგილიდან. საკონტროლო ნიმუშების აღება დამოკიდებულია თითოეულ კონკრეტულ სიტუაციაზე და განისაზღვრება ინდივიდუალურად.

შემთხვევის ადგილის ვითარების გარკვევისას, გვამის სტატიკური დათვალიერების დროს, შეიძლება არ აღმოჩნდეს გარეგნული ძალადობის ნიშნები. ხშირად ეს ხდება იმ შემთხვევაში, როცა სიკვდილი უეცრად ხდება სხვადასხვა მწვავე დაავადების შემთხვევაში. გვამი უეცარი სიკვდილით შეიძლება აღმოჩნდეს შენობაში, ქუჩაში ან სხვა ადგილას, ამიტომ გვამის პოზა შეიძლება იყოს სხვადასხვა მდგომარეობაში. ასეთ შემთხვევაში გვამზე და ტანსაცმელზე დაზიანებები არ აღინიშნება. სიკვდილის მიზეზის გარკვევა ხდება მორგში გვამის სასამართლო-სამედიცინო გამოკვლევით.

უეცარი სიკვდილი, როგორც მკვლელობის დაფარვის საშუალება, ხშირად გვხვდება გაგუღვის ან მოწამვლის შემთხვევაში (უმეტესად მოხუცები და ავადმყოფები). მკვლელები, რომლებიც ინსცენირებას მიმართავენ, არიან მოკლულის ახლობლები და ცდილობენ შექმნან ბუნებრივი სიკვდილის ილუზია, რა დროსაც გვამს ასვენებენ ლოგინში და განაცხადებენ სიკვდილზე. ასეთ სიტუაციებში, ინსცენირების გამოვლენის მიზნით, ადგილზე აუცილებლად უნდა აღმოვაჩინოთ ნეგატიური გარემოებები, ბუნებრივ სიკვდილსა და ნაძალადევ სიკვდილს შორის განსხვავების მიზეზები, ნიშნები და ობიექტური მონაცემები: გადაადგილების კვალი, სისხლის ლაქები, გვამის პოზისა და გვამური ლაქების შეუსაბამობა, ასევე გვამზე ტანსაცმელის შეუსაბამობა და უწყსრიობა სადგომში.

შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ყურადღება უნდა გამახვილდეს, დაზარალებულის გარდა, ხომ არ არის სხვა პიროვნებების კვალები. ამ შემთხვევაში უნდა დათვალიერდეს კარის, ფანჯრის ურღულები, დაფიქსირდეს დაზიანებები, ხე-

ლის თითის კვლები, ასევე უნდა ამოვიღოთ წამლები, ჭურჭელი გაურკვეველი სითხით, წამლების შესაფუთი, ნემსები და შპრიცები. ამ მიზნით უნდა ამოვიღოთ პირნალები მასა და შარდი.

ზოგჯერ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტს შემთხვევის ადგილზე გვამის გარეგნული დათვალიერებით შეუძლია დაადგინოს სიკვდილის მიზეზი მექანიკური მოგუღვაა თუ არა (სისხლის მიმოქცევის დაზიანება ქუთუთოებში, ტუჩებში, კანის შეცვლა სახეზე და სხეულის ზედა ნაწილზე, უნებლიე შარღვა და ა.შ.). ასეთ შემთხვევაში შემთხვევის ადგილზე შეიძლება აღმოჩნდეს მოგუღვის საშუალებანი - ჩვარი, კაშნე, ბალიში, პირსახოცი და ა.შ. დასახელებულ ნივთებში შეიძლება არ აღმოჩნდეს ხილული კვლები, მაგრამ მათი საექსპერტო გამოკვლევით შეიძლება აღმოჩნდეს მიკროობიექტები (ტანსაცმლის ბოჭკო, თმა, ოფლცხიმისა და სუნის კვალები როგორც დაზარალებულის, ასევე ეჭვმიტანილის, რომლის დაზარალებითაც შეიძლება მკვლელობაზე ვერსიის წამოყენება ან უარყოფა).

თუ პირველადი დათვალიერების პროცესში ვერ დადგინდა სიკვდილის მიზეზი, მორგში გვამის საექსპერტო გამოკვლევის შემდეგ, აუცილებლად დგება გვამის აღმოჩენის ადგილის განმეორებით დათვალიერების აუცილებლობის საკითხი, ამიტომ ბუნებრივ სიკვდილზე ოღნავი ეჭვის არსებობის შემთხვევაში შემთხვევის ადგილი უნდა დავიცვათ გვამის სასამართლო-სამედიცინო გამოკვლევაში, შემთხვევის ადგილის გულმოდგინე დათვალიერების და ფიქსაციის მიზნით. თვით გვამი და მისი თავდაპირველი მდებარეობა არის შემთხვევის ადგილის ცენტრი და მის გარშემო აღმოჩენილი კვალები და ობიექტები არის ინფორმაციის წყარო როგორც შემთხვევის, ასევე მასში მონაწილე პირებზე.

შემთხვევის ადგილის დათვალიერება თვითმიზანი როღია, იგი უნდა ხდებოდეს სწორი თანმიმდევრობით, პროცესუალური და კრიმინალისტიკური წესების დაცვით და სამეცნიერო-ტექნიკურ ააშუალებათა გამოყენებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, დათვალიერებით მიღებული შედეგი, რაოდენ მნიშვნელოვანიც უნდა იყოს, მტკიცებულებითი მნიშვნელობა არ ექნება.

მანბანბ ბაბუღაძე,

საქართველოს შსს საექსპერტო კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს სამეგრელო-ზემო სვანეთის განყოფილების უფროსი, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი.

სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის ისტორია

სასამართლოში ბრალდების მხარდაჭერის ინსტიტუტი ძველთაგანვე არსებობდა, თუმცა მას სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის (სახელმწიფოს სახელით და მისი უფლებამოსილებით) სტატუსი თავიდანვე არ მინიჭებია. მაგალითად, ძველი ებრაელების სამსჯავროში (უმაღლეს ინსტანციაში) – სინედრიონში ბრალდებულებს იცავდნენ ვეჭილები (სანეგერები), ხოლო ამავე სასამართლო პროცესზე მონაწილეობას ლეზულობდნენ თანამედროვე პროკურორის ფუნქციებთან დაახლოებული ფუნქციების მქონე პირები, რომელთაც „კატოგერებს“ უწოდებდნენ; მათ მოვალეობას ბრალმდებლად გამოსვლა და დამნაშავის მხილება შეადგენდა.

ათენის მონათმფლობელურ საზოგადოებაში პროკურატურის ჩანასახად შეიძლება ჩაითვალოს სახალხო კრების მიერ დანიშნული სპეციალური ბრალმდებლები, რომლებიც კონკრეტული, მნიშვნელოვანი საქმეების განსჯისას დამნაშავეებს ამხელდნენ. მათთვის დაწესებული იყო შრომის საზღაურიც. თუ ბრალმდებელი პროცესს მოიგებდა, მიეცემოდა გამტყუნებული მოქალაქის კონფისკაციაქმნილი ქონების მეოთხედი ნაწილი. ამ პროფესიულ ბრალმდებლებს „მემეოთხედებს“ უწოდებდნენ¹. ამ პერიოდში საქმეები შეჯიბრებით, საჯარო პროცესებზე იხილებოდა².

ძველ ჩინეთში წინასწარი გამოძიებაც და სასამართლო განხილვაც ხორციელდებოდა, როგორც წესი, ერთი და იგივე პირის მიერ. მოსამართლე იმავდროულად ბრალმდებლის ფუნქციებსაც ითავსებდა³.

ძველ რომში, ჩვენს წელთაღრიცხვამდე II საუკუნეში იქმნება მუდმივი სასამართლო კომისიები სისხლის სამართლის საქმეთა განსახილველად. ამ კომისიებში ბრალდების ინიციატივა კერძო პირებს ეკუთვნოდათ. ბრალმდებლებს ეკისრებოდათ მტკიცებულებათა შეკრება და წარდგენა, აგრეთვე „განსასჯელთათვის“ ბრალის დადება და მისი მტკიცების მოვალეობა⁴. ასეთივე წესი მოქმედებდა ძველ ინდოეთშიც⁵.

იმპერიის ეპოქაში, როცა ფარული წერილობითი პროცესი განვითარდა, წარმოიშვნენ მოხელეები, რომელთაც დანაშაულის აღმოჩენა ევალებოდათ, საქმესაც თვითონ იძიებდნენ და სასამართლოში ბრალმდებლობასაც ეწეოდნენ. ეს მოხელეები თანამედროვე ბურჟუაზიული ქვეყნების პოლიციის ერთგვარი ჩანასახია⁶.

სათანადო ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით ვ. აბაშმაძე გადმოგვცემს, რომ ბრალმდებელთა ინსტიტუტი საკმაოდ განვითარებული ყოფილა ძველ საქართველოში, კერძოდ, ძველი კოლხეთის სახელმწიფოში, სადაც მოღვაწეობდნენ შესანიშნავი იურისტები. ისინი ღრმად და საფუძვლი-

¹ იხ. ვ. ნადარეიშვილი. ადვოკატურა: არსებობდა თუ არა იგი ძველ საქართველოში, ჟურნ. „სამართალი“, 1991, №1, გვ. 23.

² ნ. მარიამიშვილი-ქოჩორაშვილი. პროკურატურის ისტორიის სათავეებთან, ჟურნ. „სამართალი“, 1998, №9-10, გვ. 74-75.

³ იხ. „История Государства и права зарубежных стран“; (пол. ред. П.Н. Галанзы), М., 1980, стр.93.

⁴ იქვე, გვ. 211.

⁵ იქვე, გვ. 77.

⁶ ნ. მარიამიშვილი-ქოჩორაშვილის დასახ. ნაშრ., გვ. 75.

ანად იყვნენ დაუფლებულნი არა მარტო ეროვნული (კოლხური) სამართლის მეცნიერებას, არამედ სხვა ქვეყნების და, პირველ რიგში, ბიზანტიაში მოქმედ სამართალს. ისტორიული წყაროები გადმოგვცემენ, რომ იმპერატორ იუსტინიანეს ბრძანებით კოლხეთის მეფის გუბაზის მკვლელთა საქმის განხილვა ჩატარდა კოლხეთში, რომაული კანონების მიხედვით. მხარეებს სასამართლოში წარმოადგენდნენ, ერთი მხრივ, ბრალდებულები (უფრო ზუსტად – განსასჯელები – პ.კ.) – ბერძენი სამხედრო პირები, მეორე მხრივ კი – ბრალმდებლები – ანონიმი კოლხი სწავლული იურისტები, რომლებიც კარგად იყვნენ დაუფლებულნი რიტორიკას და შესანიშნავად ხედავდნენ პროცესის არსებით მხარეებს, აყალიბებდნენ ბრალდებებს, ააშკარავებდნენ ბრალდებულთა მტკიცების უსაფუძვლობას და მათ ჩვენებებში არსებულ წინააღმდეგობებს. ამ სასამართლო პროცესზე, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში გრძელდებოდა და საკმაოდ რეზონანსული ხასიათი ჰქონდა, ანონიმმა ქართველმა სწავლულმა იურისტებმა წარმატებით შეასრულეს ბრალმდებელთა მოვალეობა, ამხილეს დამნაშავენი და სასამართლომ სიკვდილით დასაჯა მკვლელები⁷.

ბრალმდებლის ინსტიტუტის განვითარების შემდგომი ეტაპი უკვე სპეციალური ორგანოს – პროკურატურის შექმნას უკავშირდება, რომელიც პირველად საფრანგეთში ჩამოყალიბდა ოფიციალური სახელმწიფო ორგანოს სახით, მეფის ფილიპე IV 1302 წლის ორდონანსის საფუძველზე, მეფის ხელისუფლების მოთხოვნისათა და ინტერესთა სასამართლოში დასაცავად. ამ საკანონმდებლო აქტით დაწესდა მეფის პროკურორების (ან მეფის კაცების – როგორც მათ მაშინ უწოდებდნენ) თანამდებობები; მე-15 საუკუნიდან სისხლის სამართლის პროცესის ორივე (წერილობით ანუ საგამოძიებო და ზეპირ ანუ სასამართლო პროცესზე ზეპირად გამოსვლის) ნაწილში მონაწილეობას ღებულობდნენ მეფის პროკურორები (იგივე „გენერალ-ადვოკატები“ და მათი თანაშემწეები). ისინი სასამართლოში მხარეს უჭერდნენ ბრალდებას.

შუა საუკუნეების საფრანგეთში მეფის ხელისუფლების და თვით საპროკურორო ფუნქციების ევოლუციის პარალელურად (აქ მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ პროკურატურა საფრანგეთში ისტიტუციურად ჩამოყალიბდა მე1617 საუკუნეებში), ფრანგი პროკურორები სულ უფრო მეტად იძენდნენ არა მხოლოდ მეფის, არამედ მთლიანად სახელმწიფოს, ქვეყნის ინტერესების დამცველ თანამდებობის პირთა თვისებებს და შესაბამის სახელმწიფოებრივ სტატუსს⁸. კერძოდ, მათმა ფუნქციებმა სასამართლოში მოიცვა არა მარტო მეფის ხელისუფლებების, არამედ სასულიერო და საერო კორპორაციების, არასრულწლოვნების, სულით ავადმყოფების და სხვათა კანონიერი ინტერესების დაცვა, სისხლის სამართლის წარმოების წესით.

ვფიქრობ, სწორედ ამ პერიოდიდან შეიძინა ბრალმდებლების, ანუ სასამართლოში ბრალდების მხარდაჭერის ინსტიტუტმა „სახელმწიფოებრივი“ სტატუსი, – უკვე როგორც ინსტიტუციონალურად ჩამოყალიბებული და სახელმწიფოს უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანოს – პროკურატურის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციის სახით.

მეფის რუსეთში პროკურატურის შექმნის დღიდანვე (1722წ.) იგი ეფექტიანად ასრულებდა მონარქის საკონტროლო ფუნქციას (თანამედროვე საერთო ზედამხედველობის მსგავსი), ამასთან პროკურორები (როგორც სახელმწიფო ორგანოს ოფიციალური თანამდებობის პირები – პ.კ.) – მონაწილეობდნენ სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაში, როგორც ბრალმდებლები⁹ (ჩემი აზრით, როგორც სახელმწიფო ბრალმდებლები, სახელმწიფოს სახელით, მისივე ინტერესებში და სახელმწიფოს უფლებამოსილებით).

მეფის რუსეთის პროკურატურის განვითარების ახალი ეტაპი (მისი ფუნქციების და პრესტიჟის რამდენჯერმე დაკნინება-მომძლავრების შემდეგ) დაიწყო სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობისა და სასამართლო წყობილების რეფორმების დროს (ამ პერიოდში მისი იურის-

⁷ იხ. ვ. აბაშმაძე. კოლხეთის აკადემიის სწავლული იურისტების სამართალგაგება. ჟურნ. „სახელმწიფო და სამართალი“, 1990, №6, გვ. 50-51; 1990, №7, გვ. 28-38.

⁸ ი. გაბისონია, პროკურატურის სტატუსი საზღვარგარეთ და საქართველოში, თბ., 1999, გვ. 102-103.

⁹ იქვე, გვ. 155.

დიქცია უკვე ვრცელდებოდა საქართველოს ტერიტორიაზე, როგორც რუსეთის შემადგენელ განაპირა რეგიონზე, გუბერნიაზე), კერძოდ, 1862 წლის 29 სექტემბრის იმპერატორ ალექსანდრე II მიერ „სასამართლო წყობილების დებულების“ დამტკიცების შემდეგ, რომლის მიხედვითაც ყოველ სასამართლოსთან შემოღებული იქნა პროკურორის თანამდებობები. მათი ერთ-ერთი ფუნქცია იყო ამ სასამართლოებში ბრალდების მხარდაჭერის მოვალეობა, ამასთან, პროკურორები აღიჭურვნენ განსაკუთრებული უფლებამოსილებით – პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენებზე და სხვა გადაწყვეტილებებზე პროტესტის შეტანის უფლებით. 1864 წლის „სასამართლო წესდება“ ასევე ითვალისწინებდა სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერას (განაჩენების გაპროტესტების უფლება პროკურორებს ჩამოერთვათ¹⁰), როგორც პროკურატურის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას. 1896 წლიდან ამ უფლებამოსილებით აღიჭურვნენ გუბერნიების პროკურორებიც. ეს სტატუსი პროკურატურას შეუნარჩუნდა 1917 წლამდე.

1917 წლის 24 ნოემბერს რსფსრ სასამართლოების შესახებ №1 დეკრეტით ჩამოყალიბდა და ლეგალიზება გაუკეთდა საზოგადოებრივი ბრალდების ინსტიტუტს. დეკრეტში ნათქვამია, რომ „ბრალმდებლად და საბრალდებო სიტყვის წარმოსათქმელად დაიშვებიან პატიოსანი, სახელგაუთქხელი პიროვნებები ორივე სქესისა, რომლებიც არიან მოქალაქეობის უფლებების მქონე“. ამ უფლებით ხშირად სარგებლობენ და რიგ პროცესებზე ბრალმდებლების როლში გამოდიოდნენ ბოლშევიკური პარტიის გამოჩენილი მოღვაწენი¹¹.

მართალია, რიგ შემთხვევებში საზოგადოებრივ ბრალმდებელთა გამოსვლები წარმატებული იყო, მაგრამ ბრალდების მხარდაჭერის ასეთი ფორმა არ იყო საკმარისად დამაკმაყოფილებელი და ეფექტიანი, იგი, უმეტეს შემთხვევაში, დამოკიდებული იყო სასამართლო დარბაზში შემთხვევით მყოფ პირებზე, მათ სურვილზე, ზოგჯერ კი, საქმის ბედით დაინტერესებულებზე (რომ-

ლებიც ბრალმდებლად გამოდიოდნენ პირადი ან-გარიშსწორების მოტივით ან დახმარების სურვილით), არასაკმაო იურიდიულ განათლებაზე. ხანდახან სასამართლოს ტრიბუნას პოლიტიკურ არენადაც იყენებდნენ.

საზოგადოებრივი ბრალდების სუსტი მხარეები გამოჩნდა, პირველ რიგში, რევოლუციურ ტრიბუნალებში, სადაც პოლიტიკურად მძაფრი, მნიშვნელოვანი საქმეები იხილებოდა. ამიტომ დაიწყო მცდელობები ბრალდების სხვა პროცესუალური ფორმების მოსაძებნად. რსფსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის 1917 წლის 19 დეკემბრის ინსტრუქცია ითვალისწინებდა, რომ სასამართლო გამოძიება წარმოებს ბრალდებისა და დაცვის მონაწილეობით, ხოლო ბრალმდებლების როლში დაიშვებიან მოქალაქეობის მქონე ორივე სქესის პირები მხარეთა არჩევით, რისთვისაც რევოლუციურ ტრიბუნალთან არსდება კოლეგია, რომელიც იქმნება რევოლუციური მართლმსაჯულების დახმარების სურვილის მქონე პირთაგან, თავისუფალი ჩაწერით. იგი მონაწილეობას იღებს უკვე მთელ სასამართლო გამოძიებაში და არა მხოლოდ სიტყვის წარმოთქმაში, როგორც ეს დეკრეტით იყო გათვალისწინებული. ამ კოლეგიის წევრის გარდა პროცესზე დამსწრე ერთ-ერთ პირსაც შეეძლო მონაწილეობის მიღება სასამართლო კამათის დროს.

ახალი საზოგადოებრივი წყობილების მშენებლობის პირობებში, საბჭოთა რუსეთში არსებული რთული ვითარების გამო, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურებამ მოითხოვა ბრალდების მხარდაჭერის ინსტიტუტის შემდგომი დახვეწა. ამ მიმართებით, 1918 წლის 7 მარტის „სასამართლოების შესახებ“ №2 დეკრეტით სერიოზული ნაბიჯი გადაიდგა ბრალდების მხარდაჭერისათვის სპეციალური ორგანიზაციული ფორმის მისანიჭებლად, კერძოდ, მუშათა, გლეხთა, ჯარისკაცთა და კაზაკთა დეპუტატების საბჭოებთან იქმნება საზოგადოებრივ ბრალმდებელთა კოლეგიები. ამ ბრალმდებლებს ირჩევდნენ საბჭოები და ამით გარკვეულ თანამდებობრივ სტატუსს იძენდნენ. 1918 წლის 4 მაისის დეკრეტით „რევოლუციური ტრიბუნალების შესახებ“ ასეთი ბრალმდებელთა კოლეგიები (რომელიც 3 პირისაგან შედგებოდა) შეიქმნა ყოველ რევოლუციურ ტრიბუნალთან და ფუნქციონირებდა საგამო-

¹⁰ „Прокурорский надзор в Российской Федерации“, (под. ред. А.А. Чувилева). М., 1999. стр. 39.

¹¹ М.Л. Шифман, Прокурор в уголовном процессе (стадия судебного разбирательства), М., 1948. стр. 8.

ძიებო კომისიასთან ერთად. ბრალმდებლებს დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები ირჩევდნენ უშუალოდ ან რევოლუციური ტრიბუნალის ანდა იუსტიციის სახალხო კომისარიატის წარდგინებით. ბრალმდებლებს ევალებოდათ: მონაწილეობის მიღება საგამოძიებო კომისიის სხდომაში, პირის რევოლუციური ტრიბუნალისათვის გადაცემის საკითხის გადასაწყვეტად; დასკვნის მიცემა საგამოძიებო კომისიისათვის გამოძიების სისრულისა და საქმის განსჯადობის შესახებ; საბრალდებო თეზისის ჩამოყალიბება; რევოლუციური ტრიბუნალის სხდომაში მონაწილეობის მიღება და ბრალდების მხარდაჭერა¹².

მსგავსი, ოლონდ ცენტრალური კოლეგია შეიქმნა საკავშირო ცაკის რევოლუციურ ტრიბუნალთან, რომელსაც ჩამოთვლილი უფლებამოსილების გარდა, ევალებოდა ადგილობრივი რევოლუციური ტრიბუნალების ბრალმდებელთა კოლეგიების საქმიანობის ხელმძღვანელობა. გარდა ამისა, ქვემდგომი რევოლუციური ტრიბუნალების მიერ გამოტანილ განაჩენთა გასაჩივრების შემთხვევაში, საქმეს იხილავდა საკავშირო ცაკის საკასაციო განყოფილება, რომლის სხდომებში მონაწილეობა და დასკვნის მიცემა ევალებოდა ცენტრალური ბრალმდებელთა კოლეგიის წარმომადგენელს.

იმდროინდელი დეკრეტები და ინსტრუქციები არ არეგლამენტირებენ ბრალმდებელთა საქმიანობის პროცედურას სასამართლოში. ამისი პირველი ცდა იყო რსფსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის 1918 წლის 23 ივლისის ინსტრუქცია „ადგილობრივი სახალხო სასამართლოს ორგანიზაციისა და საქმიანობის შესახებ“¹³, რომლის მიხედვით საქმის მოსმენა იწყება მოსამართლის მოხსენებით, რის შემდეგ სიტყვა ეძლევა ბრალმდებელს (თუკი იგი, რა თქმა უნდა, მონაწილეობს საქმეში), საქმეში არსებული ფაქტების მოკლედ გადმოცემა-გაშუქებისათვის. შემდეგ სასამართლო კითხულობს ფორმულირებულ ბრალდებას და ეკითხება განსასჯელს: ცნობს თუ არა იგი თავს დამნაშავედ. ამის შემდგომ იწყება მტკიცებულებათა გამოკვლევა, ე.ი. ტარდება სასამართლო გამოძიება. ბოლოს სიტყვით გამოდიან მხარეები (მათ შორის – ბრალმდებელიც). აღ-

სანიშნავია, რომ ინსტრუქცია აღარ ითვალისწინებს დარბაზში მყოფი პირების ნებაყოფლობით გამოსვლას ბრალმდებლის როლში.

1918 წლის 30 ნოემბერს რსფსრ ცაკმა დაამტკიცა დებულება „რსფსრ სახალხო სასამართლოს შესახებ“, რომლითაც დაფუძნდა ერთიანი სასამართლო (სახალხო სასამართლო). ამ დებულებამ კიდევ უფრო განამტკიცა ბრალმდებელთა თანამდებობრივი სტატუსი და გააფართოვა უფლებამოსილებები. ბრალმდებელს მოსამართლის ტოლფასი ხელფასი დაენიშნა, ამასთან, დებულებამ გაითვალისწინა ბრალმდებლის მონაწილეობა მეორე ინსტანციის სასამართლოშიც.

1919 წლის 12 აპრილს მიიღეს დებულება „რევოლუციური ტრიბუნალის შესახებ“, რომელმაც სისხლის სამართლის საქმეში ბრალმდებლის მონაწილეობის მიღების საკითხის გადაწყვეტის პრეროგატივა თვით რევოლუციურ ტრიბუნალს მიანიჭა, ხოლო 1920 წლის 21 ოქტომბერს საკავშირო ცაკმა დაამტკიცა ახალი დებულება „რსფსრ სახალხო სასამართლოს შესახებ“, რომლის მიხედვით შეიქმნა ბრალმდებელთა დამოუკიდებელი კოლეგიები სახალხო სასამართლოში ბრალდების მხარდასაჭერად, რომლის წევრები ინიშნებოდნენ საგუბერნიო აღმასკომების მიერ და საქმიანობდნენ იუსტიციის განყოფილებებში. ისინი საქმის განხილვაში მონაწილეობას იღებდნენ იუსტიციის განყოფილების შეხედულებისამებრ, ან სახალხო მოსამართლის მოთხოვნით, ანდა საქმით დაინტერესებულ პირთა განცხადებით¹⁴. თუმცა კოლეგიები მაინც არ იყვნენ ორგანიზაციულად დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანოები¹⁵.

ახალმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ (ნეპი) ძირფესვიანად შეცვალა საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაცია. არსებულმა ვითარებამ საჭირო გახადა კანონიერებისათვის მებრძოლი ერთიანი ცენტრალიზებული ორგანოს დაარსება, რისი ლოგიკური შედეგი იყო 1922 წელს რსფსრ პროკურატურის შექმნა, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია სახელმწიფო ბრალდების

¹⁴ СУ РСФСР, 1920, №83, стр. 407.

¹⁵ В.И. Басков, Прокурорский надзор за исполнением законов при рассмотрении уголовных дел в судах, М., 1986, стр. 14-15.

¹² იქვე, გვ. 112.

¹³ იხ. СУ РСФСР, 1918, №53, стр. 597.

მხარდაჭერა იყო. ამასთან, იმ დროისათვის მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები (როგორც მოკავშირე რესპუბლიკების, ასევე რსფსრ 1923 წლის სსს კოდექსი) განსაზღვრავდნენ პროკურორის პროცესუალურ სტატუსს სასამართლოში, როგორც მხარის, სახელმწიფო ბრალმდებლის მდგომარეობას¹⁶.

რუსეთში მეფის თვითმპყრობელობის დამხობის და ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის სამწლიან პერიოდში პროკურატურა სასამართლოებთან ფუნქციონირებდა. 1919 წელს დამტკიცებული „საქართველოს სენატის დებულების“ მიხედვით, სენატში ცალკე არსებობდა სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტი, რომლის პროკურორები სენატში საქმეთა განხილვისას ახორციელებდნენ ბრალდების მხარდაჭერის ფუნქციას.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, რსფსრ პროკურატურის მაგალითზე, 1922 წლის 11 ნოემბერს შექმნილი საქართველოს სსრ პროკურატურის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა და საკასაციო ინსტანციაში გამოსვლა იყო.

1924 წელს დაწესდა შრომის საქმეთა პროკურორის თნამდებობა, რომლის საქმიანობის სფეროში შედიოდა არა მარტო შრომის კანონმდებლობის დაცვა და შრომის კანონთა დარღვევის საქმეთა გამოძიება, არამედ ამ კატეგორიის საქმეებზე სასამართლო განხილვისას სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერაც. აღნიშნული ფუნქცია, როგორც ერთ-ერთი პრიორიტეტული, შენარჩუნებული იყო „შრომის საქმეთა პროკურატურის შესახებ“ ახალ, 1930 წლის 21 ივლისის დებულებაშიც¹⁷.

1924 წლის 29 ოქტომბერს მიიღეს „სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლო წყობილების საფუძვლები“, რომლის მე-14 მუხლით პროკურატურის (და მათ შორის საქართველოს სსრ, როგორც მოკავშირე სოციალისტური რესპუბლიკის პროკურატურის)

ორგანოებს დაევალა სასამართლოს განაჩენების, განჩინებების, გადაწყვეტილებების კანონიერებაზე ზედამხედველობა. 1930 წელს იუსტიციის სახალხო კომისარიატიდან გამოყოფისა და ცალკე დამოუკიდებელ ორგანოდ ჩამოყალიბების შემდეგ პროკურატურის, საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად კვლავ განისაზღვრა სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა, რაც მოგვიანებით, 1933 წლიდან – სსრ კავშირის პროკურატურის შექმნის დღიდან, ამ უკანასკნელის (და მის შემადგენლობაში საქართველოს სსრ პროკურატურის) ერთ-ერთ ძირითად ფუნქციად ითვლებოდა სსრ კავშირის დაშლამდე. საკავშირო პროკურატურის შექმნით ბრალმდებელთა უფლებამოსილებებში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა, გარდა იმისა, რომ ამიერიდან სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე სასამართლოებში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის საკითხი ერთიანი ცენტრიდან იმართებოდა.

1955 წლის 24 მაისის დებულებამ „სსრ კავშირში საპროკურატურო ზედამხედველობის შესახებ“ წინამორბედ აქტებთან შედარებით სრულყო პროკურატურის ფუნქციები. დებულების მიხედვით ერთ-ერთ ფუნქციას შეადგენდა ზედამხედველობა კანონთა ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებაზე სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა-გადაწყვეტის დროს¹⁸, რაც იმ პერიოდის კანონმდებლობით სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერასაც მოიცავდა. ასევე მსგავსი ფორმულირებით არეგლამენტირებდა ამ ფუნქციას 1979 წლის 30 ნოემბრის კანონი „სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ“, კერძოდ, მე-3 და 32-ე მუხლებში ნათქვამია, რომ „პროკურატურის საქმიანობის ძირითად მიმართულებას სასამართლოებში წარმოადგენს საქმეთა განხილვისას კანონების შესრულებაზე ზედამხედველობა, რის განსახორციელებლად... მხარს უჭერს სასამართლოს წინაშე სახელმწიფო ბრალდებას სისხლის სამართლის საქმეთა გამო“¹⁹.

¹⁶ იქვე, გვ. 17.

¹⁷ ი. აქუბარდია. საქართველოს პროკურატურის ისტორია და თანამედროვე ორგანიზაცია, თბ., 1999, გვ. 35-36.

¹⁸ ა.ფალიაშვილი, საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები, თბ., 1998, გვ.107-108.

¹⁹ იხ. მოქმედი კანონმდებლობა სასამართლოსა და მართლმსაჯულების შესახებ სსრ კავშირში, თსუ გამომცემლობა, 1982, გვ. 137, 154.

ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობისა და გამარჯვების პერიოდში, სსრ კავშირის დაშლის შემდეგ, გარდამავალ ეტაპზე, 1992 წლის 17 ივნისს დამტკიცდა დროებითი დებულება „საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის შესახებ“, რომელშიც მკაფიოდ აისახა სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის ფუნქცია, ამჯერად უფრო დემოკრატიული სახით. დებულება აღარ ითვალისწინებდა სასამართლოში საქმის განხილვისას „კანონების შესრულებაზე ზედამხედველობას“, არამედ მონაწილეობას სასამართლოში საქმის (მათ შორის სისხლის სამართლის საქმის) განხილვის დროს.

დამოუკიდებელი საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციამ პროკურატურის საქმიანობა ახალი უფლებამოსილებით წარმოაჩინა²⁰. კონსტიტუციიდან გამომდინარე და მის შესაბამისად, 1997 წლის 21 ნოემბერს მიიღეს

ორგანული კანონი „პროკურატურის შესახებ“, რომელმაც პროკურატურის საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად სწორედ სასამართლოში სახელმწიფო ბრალდება განსაზღვრა²¹.

ამგვარად, სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის ინსტიტუტის ჩამოყალიბების ისტორიის, ევოლუციის და მის შესახებ კანონმდებლობის განვითარების ეტაპების ანალიზი ნათლად ასახავს სისხლის სამართლის ერთ-ერთი საპროცესო ფუნქციის მნიშვნელობასა და როლს კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების, ასევე მართლმსაჯულების განხორციელების რთულ და მრავალწახნაგოვან სფეროში. ამასთან, იგი საქართველოში მხოლოდ პროკურატურის პრეროგატივაა და „წითელი ზოლივით“ გაჰყვება მთელ მის საქმიანობას ჩამოყალიბების დღიდან თანამედროვე ეპოქამდე და უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს პროკურატურის სხვა ფუნქციათა შორის.

პაატა კობალაძე,
თსუ სისხლის სამართლის პროცესისა
და კრიმინალისტიკის კათედრის მასწავლებელი



²⁰ იხ. საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია, მუხ. 91.

²¹ საქართველოს 1997 წლის 21 ნოემბრის ორგანული კანონი „პროკურატურის შესახებ“, „პარლამენტის უწყებანი“, №46, 1997, მუხლი მე-2; მე-19.

გიორგი შინდელიშვილი

ნარკოტიკული დანაშაულის ჩაღენაში
ექვმიტანილისა და ბრალდებულის დაკითხვის
ტაქტიკური ხერხები

ექვმიტანილისა და ბრალდებულის დაკითხვის საპროცესო წესები განსაზღვრულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 123-ე და 147-ე მუხლებით. საპროცესო კანონი შეიცავს მთელ რიგ საერთო ხერხებს, რომლებიც ექვმიტანილისა და ბრალდებულის დაკითხვას ახასიათებს, მაგრამ საინტერესოა ტაქტიკური მეთოდები. ამჯერად ჩემი ყურადღების ცენტრშია ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებული თავისებურებანი.

საპროცესო წესებისგან განსხვავებით, ტაქტიკურ რეკომენდაციებს არ აქვთ სავალდებულო ძალა, მაგრამ პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მათი გამოყენებით უფრო სწრაფად ხერხდება მიზნების მიღწევა. ანუ მიიღება უტყუარი ჩვენებები.

მოთხოვნები, რომლებიც უნდა განისაზღვროს ნებისმიერი ტაქტიკური ხერხისთვის, შემდეგია:

1. დაკითხვისას გამოყენებული ტაქტიკური ხერხები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონსა და წინააღმდეგობას. დაუშვებელია არა მარტო ნებისმიერი სახის ძალადობა, არამედ დასაკითხი პირის პატივისა და ღირსების დამცირება.

აღნიშნულ დანაშაულში ექვმიტანილი, ბრალდებული პირი შეიძლება იყოს ნარკოტიკული ნივთიერების დამამზადებელი, მწარმოებელი, შემქმნელი, შემნახველი, გადამზიდველი, გადამგზავნი ან გამსაღებელი. თითოეულ შემთხვევაში

უნდა გავითვალისწინოთ რა ფორმით მონაწილეობდა დანაშაულში, რა ხერხებითა და საშუალებებით ჩადოდა დანაშაულს, რა პირობებმა (სოციალური გარემო, მოტივი, მიზანი) განაპირობეს მისი მონაწილეობა ამ დანაშაულში.

ნარკოტიკული დანაშაულების უმრავლესობა არ ხდება თანამონაწილეობის გარეშე. ამიტომაც სჭირია პირზე შემოქმედება მოგანდინოთ იმგვარად, რომ მან არამარტო აღიაროს თავისი დანაშაული, არამედ დაასახელოს თანამზრახველებიც. სწორედ ამ დროს გვმართებს სიფრთხილე, რათა ძალადობის ან ფსიქიკური ზეწოლის ელემენტები გამოვრიცხოთ;

2. ტაქტიკური ხერხები არ უნდა იყოს განყენებული. ისინი უნდა ეყრდნობოდნენ სისხლის სამართლის საქმეში არსებულ მასალებს, რომლებიც ახასიათებენ დასაკითხ პიროვნებას. გათვალისწინებული უნდა იყოს მოსალოდნელი დაკითხვის პირობები, დაკითხვის პროცესში აპრობირებული ხერხების რეალური გამოყენების შესაძლებლობა.

მხედველობაშია მისაღები კონკრეტული მაკვალთიფიცირებელი გარემოებები, დანაშაულის ობიექტური მხარე - ცალკეული ქმედების შემადგენლობა. ძირითადი მაკვალთიფიცირებელი გარემოებებია: დიდი ოდენობით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, არაერთგზის შეიძლება

იყოს ისეთი გარემოებებიც, რომლებიც არას-
პეციფიკურია ანუ სხვა კატეგორიის დანაშაულებშიც
ხშირად გვხვდება, როგორცაა სიცოცხლისა ან
ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი
ძალადობის მუქარით, არასრულწლოვანის მიმ-
ართ, იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს
მსგავსი დანაშაული და სხვა.

რეალურობის საკითხი პირდაპირაა დაკავ-
შირებული ნარკოტიკულ დანაშაულთან ბრძოლის
ეფექტიანობასთან. თუ ტაქტიკური ხერხი არაა
პირდაპირ ან ირიბად მიმართული დანაშაულის
გახსნისკენ და არ მოგვცემს შედეგს, მიზანშე-
უწონელია მისი გამოყენება, რადგან ეს გამოი-
წვევს გამოძიების მიმართულების შეცვლას და
გერ მივალწევთ დასახულ მიზანს;

3. ტაქტიკური ხერხები უნდა შეგარჩიოთ მი-
ზანმიმართულად, გამოძიებელმა უნდა იცოდეს
კონკრეტულად რისთვის გამოიყენება ეს თუ ის
ტაქტიკური ხერხი, წინასწარ განჭვრიტოს,
როგორ ეფექტს მოგვცემს პრაქტიკულად.

ნარკოტიკული დანაშაულის გამოძიებისას
აუცილებელია დაიგეგმოს საგამოძიებო მიქ-
მედებათა ციკლი და მათ შორის ერთ-ერთი
საყურადღებო ეტაპია დასაკითხ პირთა პიროვ-
ნული თვისებების გათვალისწინებით შედეგს მათი
დაკითხვის გრაფიკი, სადაც აღნიშნული იქნება:
დაკითხვის დრო, ადგილი, კითხვების თანა-
მიმდევრობა, მტკიცებულებების წარდგენის
ეფექტი ობიექტური ჩვენების მისაღებად და სხვა

ხშირად ნარკოტიკულ დანაშაულთა გახსნა
დამოკიდებულია სწორად წარმართულ ოპერა-
ტიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორცი-
ლებლაზე.

დაკითხვის წინ აღნიშნულ ღონისძიებათა
სათანადო ანალიზი მოგვცემს საშუალებას უფრო
ხარისხიანად წარვმართოთ ჩვენების ფორმირების
პროცესი. ოპერატიული საქმიანობის დროს
მოპოვებული მასალები ქვმიტანილს, ბრალ-
დებულს აყენებენ ფაქტის წინაშე რაც
მნიშვნელოვნად განაპირობებს ფსიქოლოგიურ
დატვირთვას.

4. ტაქტიკური ხერხების შემუშავებისა და
გამოყენების დროს აუცილებელია გავითვალის-
წინოთ საგამოძიებო პრაქტიკა. ის გამოცდილება,
რაც წლების განმავლობაში დაგროვდა ნარკო-
ტიკულ დანაშაულთა გახსნისას, აგრეთვე კრი-

მინალისტიკური ტექნიკის, ფსიქოლოგიის ლოგი-
კის, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის და
სხვა უახლესი მიღწევები.

საგამოძიებო პრაქტიკა ადასტურებს, რომ ქვმი-
ტანილის დროული დაკითხვა არაპარტო საპრო-
ცესო ნორმის დაცვაა, არამედ მნიშვნელოვანი
შედეგის მისაღწევად აუცილებელიც, რადგან
მას ჯერ სრულად ვერ გაუთვითცნობიერებია
დანაშაულის არსი, არ არის ფსიქოლოგიურად
მომზადებული დაკითხვისთვის და აშკარაა
გარემოებების გაყალბების მცდელობაც და გუ-
ლწრფელი აღიარებაც. ამ დროს ქვმიტანილი-
სთვის არ არის ცნობილი თუ რა ფაქტებსა და
მტკიცებულებებს ფლობს გამოძიებელი, რის
გამოც ცდილობენ უარყონ თავიანთი მონა-
წილეობა ბოროტმოქმედებაში და გაიყვანონ
დრო, შეგნებულად გააჭიანურონ პროცესი. ამი-
ტომ, ხშირ შემთხვევაში რეკომენდირებულია
დასაკითხად ავირჩიოთ პირის დაკავების ადგილი.

გამოძიებელმა უნდა გაითვალისწინოს ქვმი-
ტანილ მდგომარეობაში ყოფნის მოკლე ვადა
და გადაწყვიტოს ტაქტიკურად როდის გამო-
უცხადოს ქვმის შინაარსი ამ დროისთვის არსებულ
მტკიცებულებათა შემოწმების მიზნით. ქვმი-
ტანილი უნდა დაკითხოს თუ როგორ აღმოჩნდა
შემთხვევის ადგილზე, რატომ აქვს თან ნარკო-
ტიკული ნივთიერება და ა.შ

ბრალდებულის ჩვენებას აქვს მტკიცებულებითი
წყაროს მნიშვნელობა. სწორედ მან ყველაზე
უკეთ იცის დანაშაულის დეტალები, გარემოებანი
და პირობები, რომლებიც ხელს უწყობენ
ქმედების ჩადენას. მნიშვნელოვანია ბრალდების
წყენების დროს გადასაწყვეტი საკითხები, თუ
როგორ, სად და რა ფორმით უნდა დაკითხოს
იგი, მტკიცებულებათა საკმარისობა ბრალდების
ფორმირებისათვის, მათი უტყუარობა, დაზუსტების
ხერხები და სხვა

თუ საქმეში რამდენიმე ბრალდებულთა,
მნიშვნელოვანია სწორად გადაწყდეს საკითხი
იმის შესახებ, თუ ვის წაეყენოს ბრალდება
პირველ რიგში. ეს განსაზღვრავს ბრალდებულთა
დაკითხვის რიგს და ამ ტაქტიკურ მოსაზრებას
აქვს პირველხარისხოვანი დატვირთვა უნდა
გავითვალისწინოთ რიგი გარემოებანი, კერძოდ,
ბრალდებულის ხასიათი. მისთვის შერაცხული
ბრალეული ქმედების სიმძიმე და კონკრეტული

დანაშაულებრივი ქმედება. ანუ რა ფორმით მონაწილეობდა ნარკოტიკულ დანაშაულის ჩადენაში, რაც არამართო მნიშვნელოვანია დანაშაულია გახსნისათვის, დიდი პროფილაქტიკური მნიშვნელობაც აქვს. ამ საკითხების გადაწყვეტა ხდება იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად სწორი ჩვენების მიღებაა მოსალოდნელი, რა როლს ასრულებდა თითოეული ბრალდებული. შედარებით ადრე უნდა დაკითხოს ის ბრალდებული. რომლისგანაც მოსალოდნელია სრული და სწორი ჩვენების მიღება ან ვინც მეორეხარისხოვან როლს ასრულებდა და თავისი ჩვენებით ამხელს უფრო მძიმე ფორმით თანამონაწილეს. ამასთან გამოძიებელმა უნდა მიიღოს ზომები, რომ მათ არ ჰქონდეთ შესვენების საშუალება.

ჭვჭვითანებისა და ბრალდებულის დაკითხვის ტექნიკური ხერხების გამოყენება დაზოკიდებულია იმაზე, თუ როგორი პოზიცია უკავია დასაკითხ პირს, აღიარებს თუ არა იგი ჩადენილ დანაშაულს და იძლევა თუ არა სწორ ჩვენებას. სწორი ჩვენების მიცემისას ხომ არ გადაავიწყდა ცალკეული ფაქტები. საერთოდ არ იძლევა ან იძლევა ცრუ ჩვენებას. საპროცესო კანონმდებლობის დაცვით განიმარტება უფლებები და მიეცემა წინადადება, რომ მისცეს სწორი ჩვენება.

მეორე ეტაპზე დანაშაულის ჩადენი პირი იწყებს თავისუფალ თხრობას, მოისმენს გამოძიებელი და აძლევს კითხვას - სცნობს თუ არა თავს დაშნაშავედ. მისი მოსმენის შემდეგ გამოძიებელს შეუძლია შეავსოს ან შეამოწმოს ფაქტობრივი მონაცემები, მიიღოს დამატებითი ინფორმაცია ბრალდებულის პიროვნების შესახებ ან დააზუსტოს ისინი. გაიგოს მისთვის უცნობი ფაქტები და დეტალები (მხილებული იყო თუ არა იგი ადრე ნარკოტიკებისადმი მიდრეკილებაში. რა დაზოკიდებულება აქვს სხვა სახის დანაშაულებთან და სხვა), შეამჩნიოს ურთიერთსაწინააღმდეგო, საჭეწო მტკიცებულებანი და ამასთან დაკავშირებით შეიტანოს ცვლილებები დაკითხვის გეგმაში. დასახოს მისი განხორციელების უფრო სწორი ტექნიკა.

კითხვები, რომლებიც ეძლევა ბრალდებულს (ჭვჭვითანის), უნდა იყოს კონკრეტული, ნათელი და გასაგები, არ შეიცავდეს ძალადობის ნიშნებს რათა არ დაირღვეს კანონი და შემდგომ პირს არ მიეცეს საბაბი გადათქვას თავისი ჩვენება.

ბრალდებულის აღიარება აადვილებს საქმისთვის მნიშვნელოვანი ფაქტების დადგენას, მაგრამ ეს აღიარება საუკლდაულოდ უნდა გადამოწმდეს, რათა გამოირიცხოს პასუხისმგებლობისაგან ახლობელი ადამიანის დაფარვის შესაძლებლობა ან უფრო მძიმე ბრალდებისაგან თავის დაღწევა, როცა უარყოფს ბრალდებული დანაშაულს და იშველიებს იმ გარემოებებს, რომლებიც ადასტურებენ მის უდანაშაულობას. გასარკვევი გარემოებები უნდა შემოწმდეს დეტალურად და შეფასდეს კრიტიკულად.

საჭიროა ობიექტური მონაცემების გარკვევა. ბრალდებულს ეძლევა წინადადება დაწვრილებით მოუთხროს გამოძიებელს საქმის ფაქტობრივი მხარის შესახებ, ჩადენილი დანაშაულის ნამდვილი მოტივებისა და მიზნების შესახებ. მისი ქმედებანი დანაშაულის კვალის დასაფარავად. დამატებითი და დამაზუსტებელი კითხვების დასმით გამოძიებელი ცდილობს მიაღწიოს სრული და დეტალური ჩვენების მიღებას. დაავიწყებული ფაქტების გახსენებაში ბრალდებულის დასახმარებლად გამოძიებელი მის წინაშე სვამს მოსაზრებელ შეკითხვებს. წარადგენს ნივთიერ მტკიცებულებებს. გეგმებს. სქემებს. სურათებს და საქმის სხვა მასალებს. რომლებიც უზრუნველყოფენ ასოციაციურ კავშირებს.

გაცილებით უფრო რთულია ტექნიკური ხერხების შერჩევა და გამოყენება იმ შემთხვევაში, როდესაც პირი საერთოდ არ იძლევა ჩვენებას ან იძლევა შეგნებულად ცრუ ჩვენებას. ჩვენების გამოაშკარავების ტექნიკა მოიცავს რამდენიმე ხერხს:

1 იმ მოტივების გარკვევა და გამორიცხვა, რომლებიც ბრალდებულს აკავებენ სწორი და უჭეველი ჩვენების მიცემისაგან. ნარკოტიკული დანაშაული თავისი კრიმინოლოგიური მახასიათებლით საკმაოდ სპეციფიკურია და გათვალისწინებული უნდა იყოს ის ნიუანსები, რომელიც მოიცავს სოციალურ, ეკონომიკურ, ფსიქოლოგიურ, მორალურ და სხვა ფაქტორებს;

2. დაკითხვის დროს მტკიცებულებათა სწორი გამოყენება, რომლებიც ბრალდებულს გამოაშკარავებენ, სხვა პირთა ჩვენების, ექსპერტიზის დასკვნის და მთელი რიგი მტკიცებულებების გათვალისწინებით, მაინც უდავოა პრაქტიკაში,

რომ მეტი ეფექტი ნარკოტიკულ დანაშაულის ჩაღწევაში მხილებისთვის აქვს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შედეგად მოპოვებულ ნივთიერ მტკიცებულებებს;

3. ჩვენებათა მაქსიმალური დეტალიზაცია. ეს ხელს შეუწყობს არა მარტო პირის ბრალის დაზუსტებას, არამედ მთლიანად დანაშაულის ლოკალიზაციას და მის პროფილაქტიკას. ამას აქვს აგრეთვე მეცნიერული მნიშვნელობაც, რათა პრაქტიკის შესწავლით დაიხვეწოს ნარკოტიკულ დანაშაულთან ბრძოლის ხერხები და მეთოდები;

4. ბრალდებულისათვის განმარტება იმ ჩვენებათა ანალიზის საფუძველზე, რომლებშიც არსებობენ წინააღმდეგობანი. კოლიზიის აღმოფხვრა აუცილებელია, რათა დასკვნები არ ეყრდნობოდნენ საჭჭო მტკიცებულებებს. სშირად პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების მიზნით, პირი, როდესაც ცრუობს, ავიწყდება მის მიერ ადრე მონათხრობი, ან იბნევა და იძლევა შინაარსობრივად წინააღმდეგობაში მყოფ ჩვენებებს. აგრეთვე გასათვალისწინებელია სხვა პირთა ჩვენებებიც, რომელთა უტყუარობის მიუხედავად უნდა, აღმოფხვრათ არსებითი წინააღმდეგობა;

5. განმეორებითი დაკითხვის ჩატარება წინადადების მიცემით, მისცეს წერილობითი

ჩვენება ფაქტზე, რომელზეც საუბარი იყო. დაკითხვა უნდა იყოს პირდაპირ მიმართული საქმის გამოძიებისკენ ანუ ფაქტები შესახებ უნდა იმყოფებოდნენ ჩადენილ დანაშაულთან.

შეიძლება ზოგიერთი მონაცემი ჩართული იყოს კითხვებში ისეთი ფორმულირებით, რომ ბრალდებულს შეექმნას შთაბეჭდილება, თითქოს გამოძიება ფლობს უფრო მეტ და ზუსტ ინფორმაციას. დასაშვებია ისეთი პირობების შექმნაც, რომლის დროსაც ბრალდებულის (ჭვჭმიტანილის) წარმოსახვაში წარმოიქმნება გადიდებული წარმოდგენა. შეკრებილ მტკიცებულებათა მიმართ და გამოძიებელთან არსებული ინფორმაციის მოცულობაზე.¹

ჭვჭმიტანილისა და ბრალდებულის დაკითხვის ტაქტიკური ხერხები სჭირთა კონკრეტულად მოვარგოთ ნარკოტიკულ დანაშაულთა გამოძიების სპეციფიკას. ყველა ქმედების შემაღვენლობა მოიცავს საერთო და ინდივიდუალური ნიშნების ერთობლიობას, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილიც უნდა დადგინდეს დაკითხვის შედეგად სწორად წარმართული ბრალდებულის (ჭვჭმიტანილის) დაკითხვა საშუალებას მოგვცემს საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა მაქსიმალურად მცირე ვადაში მოგახდინოთ.

ბიორგი შინდელიშვილი,

შინაგან საქმეთა სამინისტროს ნარკომანიის და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი ინსპექტორი, პოლიციის პოლკოვნიკი.



¹ А.Р. Ратинов, О допустимости и правомерности тактических приемов в сб. "Следственная практика", 1964, вып 65; С.М. Мыловадов, О психологии допроса обвиняемого, "Вопр. криминалистики", 1962, №10; В.Н. Балтинов, Ю.И. Лавров О психологических "Хитростях" в следственной тактике, "Следственная практика", вип.№71 и.т.д.

სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თეორია

გიორგი ნადარეიშვილი

წესი და რიბი – წინარესამართლის ბამომხატველი ტერმინები

დიდი ხნის განმავლობაში სსრ კავშირში გამოცემული სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების ავტორები გვარწმუნებდნენ, რომ სახელმწიფოსა და სამართალს შორის განუყოფელი კავშირი არსებობს, რომ ისინი ერთდროულად წარმოიშვნენ, ვითარდებიან და ერთად მოხდება მათი კვლევა საზოგადოების განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე. მარქსისტი მკვლევარები აქსიომად მიიჩნევდნენ დებულებას, რომ სახელმწიფოს არსებობა წარმოდგენილია სამართლის გარეშე, ისევე როგორც სამართალი ვერ იარსებებს სახელმწიფოს გარეშე, ვინაიდან სამართლებრივი ნორმების შესრულება შეუძლებელია სახელმწიფო ზემოქმედების, განსაკუთრებით კი სახელმწიფო იძულების გარეშე. ამ საანბანო ჭეშმარიტებებს ისე შევეჩვიეთ, რომ იშვიათად თუ ვინმეს შეეპარებოდა ეჭვი მათ ჭეშმარიტებაში. თუმცა მეტ-ნაკლებად წინდახედული ავტორების ნაწილი იმასაც აღიარებდა, რომ საჭირო იყო სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის და განვითარების კონკრეტული პროცესების შესწავლა ცალკეულ ქვეყანაში და რომ სახელმწიფოსა და სამართლის თეორია სარგებლობს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის მეცნიერების მიერ ცალკეული ისტორიული პერიოდების, იურიდიული ძეგლების და სხვა ფაქტების შესწავლისა და შეფასების შედეგებით.

თუმცა იგულისხმებოდა, რომ სახელმწიფო კერძო საკუთრების წარმოშობის შემდგომ ხანებში

უნდა წარმოშობილიყო, მაგრამ კეთილსინდისიერი ისტორიკოსები ფაქტებით ხელში მიგვითითებდნენ, რომ ზოგან სახელმწიფოს წარმოშობა წინ უძღოდა კერძო საკუთრების წარმოშობას საერთოდ, ან კერძო საკუთრების წარმოშობას უძრავ ქონებაზე, ადგილ-მამულზე.

თვით სახელმწიფოს დახასიათებისას იკვეთება ორი მიდგომა—სახელმწიფო, როგორც ძალაუფლების სისტემა და სახელმწიფო, როგორც საზოგადოების ორგანიზაცია.¹

სამართლის ცნების შესახებაც არ არსებობს ერთგვაროვანი შეხედულება...მკვლევართა ერთი წყების აზრით სამართალი გაბატონებული კლასის ნების გამომხატველი და სახელმწიფო ხელისუფლების მიერ დადგენილი ან საქციონირებული ერთობლიობაა ადამიანთა ქცევის წესებისა (ნორმებისა), რომელთა შესრულება უზრუნველყოფილია სახელმწიფოებრივი იძულებით... ცხადია ამ შეხედულების სათავე მარქსიზმის კლასიკოსთა ნაშრომებშია საძებნი. შეიძლება ვთქვათ, რომ სამართალი არის ხალხის სახელმწიფოებრივი ნება...

მაგრამ არის თუ არა სამართალი ამა თუ იმ გვარის თუ თემის (საძმოს „ალაგის“) წიაღში შემუშავებული ქცევის წესების სისტემური ერთობლიობა, რომელთა შესრულებაც უზრუნვე-

¹ ა. ვ. კობტევი, საკუთრების ანტიკური ფორმა და სახელმწიფო ძველ რომში, ჟურნალი „Вестник древней истории“, №3, 1992, გვ. 3-25.

ლყოფილია არა სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ზემოქმედებით, არამედ მცირე მიკროკოლექტივის-თემის, გვარის, სოფლის სახალხო კრების ავტორიტეტით თუ იძულებითი აპარატის მუქარით?

ქართული სამართლის ნორმებიც წარმოშობილი უნდა იყოს საგვარეულო წყობილების წიაღში. საგულვებელია, რომ მისი განვითარების იმ საფეხურზე, როდესაც მის წიაღში ჩაისახა ცივილიზაციის, სახელმწიფოებრიობისა და კლასობრივ-წოდებრივი წყობილების ელემენტები, ანუ როგორც ძველ საქართველოში იტყოდნენ, წესები.

ჩემი აზრით, საქართველოში სამართლის წარმოშობის გზები მეტ-ნაკლებად მოგვაგონებს ძველ რომში მიმდინარე ანალოგიურ პროცესებს.

რომის სამართლის და საერთაშორისო სამართლის ისტორიის ცნობილმა სპეციალისტმა პროფესორმა ვლადიმერ გრაბარმა, იურისტმა და ისტორიკოსმა, მშვენიერი ნაშრომი უძღვნა სამართლის წარმოშობის საკითხს ძველი რომში² საერთოდ და განსაკუთრებით კი „იუს გენციუმ“-ის თავდაპირველ მნიშვნელობას.

ირკვევა, რომ რომაელებისათვის ასე თუ ისე ნაცნობი იყო საერთაშორისო სამართლის ცნება. და რომ საერთაშორისო სამართალი ჩაისახა გვარებს შორის ურთიერთობის, ე. ი. საგვარეულო ურთიერთობათა წიაღში, ე. ი. წინარეკლასობრივ საზოგადოებაში და სახელი „იუს გენციუმ“ მან მიიღო სწორედ განვითარების ამ საფეხურზე.

რომში „თავდაპირველად“ არსებულა სამართლის ერთი სახეობა—„იუს გენციუმ“ ან უბრალოდ — „იუს“. ტომებსა და გვარებს შორის დავებს იხილავდნენ სათანადო გვარებისა და ტომების მიერ უფლებამოსილი პირები და ამის შედეგად იქმნებოდა სათანადო ნორმები ზოგადი ქცევის წესებისა.

თავდაპირველად „იუს გენციუმ“-ის ნორმები აწესრიგებდა ცალკეული გვარის (ან ტომის) ურთიერთობას, მაგრამ, დასძენს ვლ. გრაბარი, რომის სახელმწიფო თემის („გოსუდარსტვენნა-

ია ობშჩინა“) წარმოშობის შემდეგ „იუს გენციუმ“-ის ცნება ორ ნაწილად გაითიშა; მან ორი მნიშვნელობა შეიძინა. პირველი მნიშვნელობა გახლავთ სწორედ საერთაშორისო სამართალი, ხოლო მეორე—შიდა სახელმწიფოებრივი სამართალი. მოგვიანებით ამ უკანასკნელმა „იუს კვირიციუმ“-ის და „იუს ცივილე“-ს სახელწოდება მიიღო.

მაშასადამე, თავდაპირველად „იუს გენციუმ“ იყო იგივე „იუს ინტერ გენტეს“, ესე იგი გვარებს შორის და ტომებს შორის ურთიერთობის სამართალი.

ახლა გავიხსენოთ სტრაბონის ცნობები იბერიის შესახებ.

სტრაბონის ცნობით, ადამიანთა „ოთხი გვარი“ მოსახლეობდა ძველ იბერიაში „... ერთი (გვარია) და პირველი, რომლისაგანაც მეფეებს სხამენ მახლობლობისა და ასაკის მიხედვით უხუცესს, ხოლო მეორე (ამ გვარიდან) მოსამართლეობს და მხედართმთავრობს. მეორე (გვარი) არის ქურუმთა, რომლებიც ზრუნავენ აგრეთვე მეზობლებთან სამართალზე...“³

ქურუმები, სასულიერო პირები, სტრაბონის თანახმად, აწესრიგებენ მეზობლებთან სამართლებრივ ურთიერთობებს.

სტრაბონი, ცხადია, რომელიღაც ძველი წყაროთი სარგებლობს, მაგრამ რაც მთავარია, სწორად მიგვანიშნებს, რომ ძველ იბერიაში ქურუმებს ევალებოდათ ზრუნვა მეზობლებთან სადავო ურთიერთობების მოწესრიგებისა. არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ სასულიერო პირებს მართლსაჯულებითი ფუნქციებიც ეკისრებოდათ.

აქვე უნდა დავიმოწმოთ აკად. გ. ა. მელიქიშვილის შემდეგი მოსაზრება: „ძნელია წარმოვიდგინოთ, თუ როგორ შეეძლოთ იბერიელ ქურუმებს მიეთვისებინათ მათი წოდებისათვის საკმაოდ შეუფერებელი პრივილეგია—საგარეო ურთიერთობათა წარმოება, ან საერთოდ, რა საფუძველზე აღმოჩნდა ეს პრივილეგია მათ ხელში. უფრო ბუნებრივია ვარაუდი, რომ სტრაბონის ცნობა ქურუმთა შესახებ გულისხმობს არა საგარეო ურთიერთობას, არამედ ურთიერთობას სახელმწიფოს შიგნით არსებულ კოლექტივებს შორის“⁴.

² ვ. ე. გრაბარი., რომაული ტერმინის „იუს გენციუმ“-ის თავდაპირველი მნიშვნელობა, იხ. „უჩენიე ზაპისკი ტარტუსკოგო გოსუდარსტვენნოგო უნივერსიტეტა“, 148-ე გამოშვება, ტარტუ, 1964, გვ. 3-39.

³ თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია. ცნობები საქართველოს შესახებ. თბ. 1957, გვ. 128-130.

ვფიქრობ, მისაღებია მოსაზრება, რომ ქურუმები უნდა ყოფილიყვნენ თემების უფროსები, ამიტომ, ბუნებრივია, რომ ქურუმები გამოსული იყვნენ თავიანთი თემების წარმომადგენლებადაც მეზობლებთან ურთიერთობაში.

სავარაუდოა, რომ სამართალგანვითარების პროცესი მიმდინარეობდა როგორც საგვარეულო თემების შიგნით, ასევე მეზობლურ, ტერიტორიულ თემებში, აგრეთვე მეზობელ გვარებს შორის ურთიერთობაში.

სამართალგანვითარების პროცესის აქტიურ მონაწილეებად თეოკრატიულ საზოგადოებაში (ან საერთოდ ადრეკლასობრივ საზოგადოებაში) უთუოდ იქნებოდნენ სასულიერო პირები.

რა შეიძლებოდა რქმეოდა საქართველოში ამ ადრეული ხანის სამართლებრივ ნორმას? ვფიქრობ არა სამართალი. ეს უკანასკნელი ტერმინი შედარებით გვიან წარმოშობილი ჩანს. მას შეიძლება ერქვა ჯერი, რიგი ან კიდევ წესი. „რიგი“-ს თავდაპირველი მნიშვნელობა იქნებოდა, ისევე როგორც „ჯერ“-ისა, ქცევის წესი, წინარესამართალი, რომელიც ღვთაებიდან მომდინარეობდა. აქედან „მორიგე ღმერთი“ ქართველი მთიელების წარმოდგენით იყო ის უმაღლესი არსება, რომელიც ხალხს სამართლებრივ-რელიგიურ ნორმას განუსწესებდა. „მორიგე ღმერთი“ იყო „რიგი“-ს გამცემი ღმერთი. IX საუკუნეში „ჯერ“-ის ერთ-ერთი მნიშვნელობა მიზეზიც იყო.

„ჯერ“-ი და „რიგი“ არ უნდა ყოფილიყვნენ ჯერარს-ისაგან ძალიან დაშორებული. ძველი ქართული ენის ძეგლების მიხედვით წეს-ი ნიშნავს რიგს, კანონს, განაწესს, ელემენტს „ნივთს“, „სჯულს“.

IX საუკუნის ძეგლში - „სინურ მრავალთავ“-ში წეს-ი, ერთი მხრივ, ნიშნავს წესს ჩვეულებრივი, დღევანდელი გაგებით, ხოლო შემდეგ კანონს. გარდა ამისა, წესი ფილოსოფიურ ლიტერატურაში ნიშნავდა ბუნების ერთ-ერთ ძირითად ელემენტს (ჰაერი, წყალი, მიწა ან ცეცხლი). მას სხვანაირად ასო, კავშირი, სტუქო (სტიქია, სტიქიონი) და ნივთიც ეწოდებოდა (ა. შანიძე).⁵

⁴ „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტ. I, თბ., 1970, გვ. 494.

⁵ ივ. იმნაიშვილი, სინური მრავალთავი. გამოკვლევა და ლექსიკონი, თბ., 1975, გვ. 254.

ამასთან ერთად შჯული, შჩულ-ი ნიშნავდა კანონს, წესს და სამართალსა და სარწმუნოებასაც.

იმდენად, რამდენადაც „წესი“ ელემენტის, ასოს მნიშვნელობითაც იხმარებოდა, საფიქრებელია, რომ წესი მოისაზრებოდა, როგორც რაღაც ზოგადის შემადგენელი ელემენტი, ასო. ეს საერთო, ზოგადი იყო სამართალი, რომელიც ცალკეული წესების განზოგადების შედეგად უნდა ყოფილიყო მიღებული. სამართალი იყო ის ზოგადი, რასაც ყველა ცალკეული წესი შეიცავდა. მაგრამ ცალკეულში, წესში შეიძლებოდა ყოფილიყო ისეთი რამეც, რასაც სამართალი, ზოგადი არ შეიცავდა.

ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის წიგნის 49-ე მუხლში ნათქვამია: „იქნების ალაგისა და გვარის წესი, რომ უმცროსსა მამულოვნობით გაიყვანებენ, თუ ცოლსა შეირთავს,-იგი წესია, სამართალი არა.“

საუხუცესოცა ამაღ წესი არს, რომე თვით მოსეს პირითა დამბადებელი „დაბადებას“ შიგან დასწერა.

წესი რამე დადებული ძნელად მოიშლების, შუა არას ემართლებიან.

თუ არაოდეს ქმნილა მათსა გვარისა შიგან, თუ ურჩვენისო, იბრძოდენ; თუ უმცროსი კარგად არ შეეშმის, ანუ სიკეთითა მიღმა შეეხვეწების. გამეყავ, დამეხსენ,-აღარც ვითარ უწესო დაგვინახავს მისთანაო“.⁶

„ალაგის წესი“ და „გვარის წესი“ ერთმანეთისაგან განსხვავებული რამაა. „გვარის წესის“-ს ცნების ქვეშ იგულისხმება ის სოციალური ნორმა, ქცევის ის წესი, რომელიც ამა თუ იმ გვარის, როგორც ნათესაური კავშირისათვის იყო დამახასიათებელი. ხოლო „ალაგის წესი“ გულისხმობს ტერიტორიულ ერთეულისათვის, ალაგისათვის დამახასიათებელ ყველა ქცევის წესს თუ წინარესამართლებრივი ხანიდან მომდინარე ჩვეულებას, რომელსაც კანონმდებელი „სამართალი“-საგან განასხვავებს. ცხადია, ისტორიულად და ქრონოლოგიურადაც „გვარის წესი“ უფრო ადრინდელია „ალაგის წეს“-ზე.

„წეს“-ი გვხვდება XI საუკუნის ძეგლში-პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპ-

⁶ „ქართველი სამართლის ძეგლები“, ტ. I, 1963, პროფ. ი. დოლიძის რედ. გვ. 443.

იკონში (წესდება), რომელიც დაიწერა 1083 წელს.⁷ აქ ვკითხულობთ: „ოდეს წინამძღუარი მონასტრისას აღესრულოს, ჯერარს ყოველთა მღვდელთა და ძმათა ღირსებით და დიდებით პატივისცემაჲ მისი სანთლითა და საკუმეველითა, ფსალმუნებითა და გალობითა აღსრულებად მის ზედა ყოველივე წესი სამკუდროჲ. თუ მღვდელთაგანი იყოს, მონაზონთა წესითა; და წარაგონ გასაყოფლად საფლავსა მისსა ზედა ათორმეტი დრაჰკანი, და ნუგეშინის-სცენ ძმათა და უმატონ საჭამადსა და სასუამადსა, და მესამესა დღესა ყონ მისთვის პანაშვიდი და ღამის თევად და მღვდელთა ყოველთა ჟამი მისთვის წირონ და ეგრეთვე ცხრასა და ორმოცსა და წელიწადისა აღსრულებასა საეკლესიოჲსა წესისამებრ“ (22,1).

წეს-ი ზემოთ მოტანილ ტექსტში ნიშნავს წესჩვეულებებს, რიგს, დღევანდელი მნიშვნელობით წესს, იმას, რასაც რუსული „ობრიად“. და ეს არ არის შემთხვევითი. პირვანდელი წინარესამართლებრივი ნორმები სწორედ წესჩვეულებათა წიაღში გამოიკვეთნენ.

წესი „დასის“ მნიშვნელობითაც გვხვდება (მაგ., ჰაბოს მარტვილობაში). „ანგელოზთა წესი“ ნიშნავდა ანგელოზთა დასს.⁸

წესი ნიშნავდა მენსტრუაციასაც, თვიურს, ისევე როგორც რიგი, „იყო ვინმე დედაკაცი უძღურ წესსა ზედა თვისსა (ლ. 8,43).

წესს შეეძლო მიკროჯგუფის მნიშვნელობაც მიეღო იმიტომ, რომ ის დამახასიათებელი იყო მათთვის, როგორც შიდა და საგარეო ურთიერთობისათვის მოსაწესრიგებელი ნორმების სისტემა. წესმა რომ თვიურის მნიშვნელობა მიიღო, ესეც გასაგებია. წესი, როგორც წესჩვეულება, უნდა შესრულებულიყო უწყვეტად გარკვეული დროის ინტერვალის გასვლის შემდგომ.

ისიც საინტერესოა, რომ ძველი ქართული ენის წიაღში გვხვდება „წესა“, რომელიც უთუოდ წესს უკავშირდება. მიწესს ნიშნავდა მეძახის, მიხ-

მობს. უწესს პიტიახში ნიშნავდა პიტიახში ეახის. ზოგან სომხურიდან ქართულად ნათარგმნ ძეგლებში სომხურ „კარგ“-ს ქართულად „წესი“ შეესატყვისება. „კარგ“- ბრძანებას, განკარგულებას უკავშირდება. როგორც ჩანს, „წესს“ უკვე სამართლებრივი და სახელმწიფოებრივი გარკვეულობა მიუღია.

არც ისაა გასაკვირი, რომ უკვე ძველი ქართული ენის დონეზე „წეს-ყოფა“ ნიშნავდა წეს-არს,⁹ უნდა, ჯერ-არსს, საჭიროა (მ.22,17 ც).

ძველი ქართული ენის ძეგლებში ჯერ-ყოფა ნიშნავდა „ჯერ-არს“-ს (ლ. 24,7) საჭიროა, უნდა-ს. გიორგი მერჩულეს თხუზულებამი გვხვდება „ჯერისაებრ“, „როგორც საჭიროა“-ს მნიშვნელობით. „მაშინ ნეტარმან გრიგოლ ჯერისაებრ განაგო ცხორებაჲ დედისა თვისისაჲ და მისთანათაჲ მათ“. ჯერისაებრ ნიშნავდა მართებულადს. ჯეროვან-ი შესაფერისს, საჭიროს, ჯეროვნად პატივსცა გულისხმობდა შესაფერისად, სათანადოდ პატივისცემას.

X-XI საუკუნის ქართული ენის წიაღში „ჯერისა სახმარ“-ი ნიშნავდა საკმარის, დამაკმაყოფილებელ ქონებას, ჯეროვან-ი საკმარისს, ხოლო ჯერ-ჩენა, ჯერ-ჩინება საჭიროდ, მიზანშეწონილად მიჩნევას. უჯერო ნიშნავდა უმართებულოს, შეუფერებელს, ხოლო უჯეროება უმართებულობას.¹⁰ ჯერი, წესი და რიგი უძველეს ხანაში-წინარესამართლებრივ ეპოქებში აღნიშნავდა წესჩვეულებას.

ილ. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ „წესი“-ს რამდენიმე მნიშვნელობაა აღნიშნული. „წეს“-ი ნიშნავდა რიგს, კანონს, განაწესს, ელემენტს „ნივთს“, ბუნებას, სჯულს და ა. შ.

„წესის“ ერთ-ერთ უძველეს მნიშვნელობად სავარაუდებელია საერთოდ ჩვეულება, მოგვიანებით კი სამართლებრივი ხასიათის ჩვეულება. ეს გარემოებები აისახა ენაშიც: „წეს-ჩვეულება“ და „წეს-რიგი“ მიგვანიშნებს, რომ „წეს“-ი თავდაპირველად პოლისემიური, მრავალი მნიშვნელობის მქონე

⁷ აკაკი შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, ტიპიკონის ქართული რედაქცია. გამ. „მეცნიერება“, თბ. 1971, გვ. 107-108.

⁸ ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, X, V-X საუკუნეების ძეგლები. გამოსცა და ტაბულები და ლექსიკონი დაურთო ი. იმნაიშვილმა, ა. შანიძის რედაქციით. 1953, გვ. 537.

⁹ იქვე.

¹⁰ ბასილი კესარიელის, „სწავლათა“, ექვთიმე ათონელისეული თარგმანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ, თბ. „მეცნიერება“, 1983, გვ. 265, 273-274.

სიტყვა იყო. მას მრავალი, ერთმანეთთან დაკავშირებული მნიშვნელობა გააჩნდა და ეს მნიშვნელობანი უნდა წარმოშობილიყვნენ მისი პირვანდელი მნიშვნელობის სახეცვლილების შედეგად.

წესისა და ჩვეულების, ისევე როგორც წესის და რიგის ერთ-ერთი თავდაპირველი მნიშვნელობა იქნებოდა ტრადიცია ანუ „განაწესი“, იგივე „რიგი“ ანუ მექანიზმი სოციალური ქცევის შესახებ ინფორმაციის დაგროვების, შენახვის და თაობიდან თაობაში გადაცემისა, რომელიც კოდირებული იყო ყოფაქცევის გარკვეულ სტერეოტიპებში.¹¹

ხოლო სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის პროცესში გაჩნდნენ იურიდიული ჩვეულებები, რომელსაც ქვეყნის მთელი მოსახლეობა ან მისი ერთი გარკვეული ნაწილი იცავდა არა ხელისუფლების ბრძანებითა და ზემოქმედების შედეგად, არამედ ნებაყოფლობით, იმის

შეგნებით, რომ მოცემული ნორმის შესრულება საზოგადოების წევრისათვის შინაგანად აუცილებელი სათნოებაა. როდესაც ქართული ანდაზა ამბობს „ჩვეულება სჯულზე უმტკიცესიაო“, მას შესაძლებელია მხედველობაში ჰქონდა სწორედ ტრადიციონალიზმის დიდი ძალა და მნიშვნელობა ძველ საზოგადოებაში. ტრადიციონალიზმი ეწინააღმდეგება ტრადიციისადმი სულ მცირე თავისუფალ დამოკიდებულებას და გვაიძულებს, ვუმზიროთ კარგა ხნის წინათ გამხმარ ხის რტოებს, როგორც მარადმწვანებს. როგორც მართებულად აღნიშნავს გ. ს. პომერანეცი, ასეთი რაციონალურად განწყობილი ტრადიციონალიზმი გაცილებით ვიწროა ნამდვილ ტრადიციებთან შედარებით და პრაქტიკულად გადაგვარდება სამოხელეო პედანტიზმად, რომლისთვისაც დადგენილი ფორმების ყოველგვარი დარღვევა არის კულტურის განადგურება.



¹¹ იაკობ შემიაკინი, ლათინური ამერიკა: ტრადიცია და თანამედროვეობა, 1987, „ნაუკა“, გვ. 7; გ. ს. პომერანეცი, ტრადიციების როლი ჩინეთის ისტორიასა და კულტურაში, მოსკოვი, 1972, გვ. 80.

ივანე ჯავახიშვილის უხედილება საქართველოს მიწის, მისი პიროვნების და უფლებამოსილების შესახებ

ივანე ჯავახიშვილი დიდი მეცნიერი და ნამდვილი ერისშვილია, იგი საკუთარი ხალხის მარადიული სიამაყეა. მის ნაღვაწსა და ნაწერებს საუკუნეების განმავლობაში გაეცნობა მადლიერი თაობანი.

როგორც პროფ. სერგო ჯორბენაძე წერს, „ივ. ჯავახიშვილის ისტორიიდან ფერფლს კი არ იღებდა, არამედ სწორედ ცეცხლს. იგი უნაპირო სიყვარულით, ძარღვიანი ქართულით გვიხატავს სამშობლოსათვის, სოციალური სამართლიანობისათვის თავგანწირულთ და მძვინვარებით, მბორგავი სტრიქონებით აღწერს სამშობლოს მოღალატეებს, იმათ, ვინც არ დაგიდევთ ხალხის ინტერესებს და მაღალი თანამდებობისათვის შეუძლიათ მისი გაყიდვა“¹.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ივ. ჯავახიშვილი მართო აზრის კი არა, არამედ მოქმედების გოლიათია, კავკასიაში პირველი უნივერსიტეტის აღმშენებელი პირდაპირ იმსახურებს ამ სახელწოდებას. მისი მრავალლონიერი მოღვაწეობა ერთი პიროვნების დაუდგრომელი მეცნიერული, კულტურული და საზოგადოებრივი აქტიურობის სრულქმნილების უმაღლესი ნიმუშია. პირველი ქართული ოპერის წარმატებაშიც, ისე როგორც კონსერვატორიის მიღწევებში მისი წვლილია; თანამედროვე ქართული მოქანდაკეობისა და ფერწერის წარმატებაშიცაა მისი გავლენა, კულტურის ძეგლთა დაცვის შემოქმედი და ფხიზელი დარაჯია იგი, სამუზეუმო საქმის განმახლებელი, ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის სათავეებთან მყოფი, ქართული სამართლის მეცნიერ-

ული ტერმინოლოგიის სწავლული ამ ისტორიის მესაძირკველია.

დიდ მეცნიერს, ივ. ჯავახიშვილს აქვს საინტერესო მოსაზრებანი ქართული სახელმწიფო წყობილების ისეთ პრობლემებზე, როგორცაა: საქართველოს მეფე და მისი უფლებამოსილება, დარბაზი და დარბაზობის წესები, სავაზირო, ვაზირობა და ვაზირები, ისეთი როგორცაა: მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი, ათაბაგი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი, მეჭურჭლეთუხუცესი და მსახურთუხუცესი. ძალზე მნიშვნელოვანია, აგრეთვე, დიდი მეცნიერის თვალსაზრისი საქვეყნოდ გამრიგე მოხელეებისა და ადგილობრივი მმართველობის შესახებ.

ჩემი ინტერესის საგანია ივ. ჯავახიშვილის შეხედულებანი, მოსაზრებანი ქართული სახელმწიფო ანუ კონსტიტუციური სამართლის შესახებ. წინამდებარე ნაშრომში განვიხილავ ღვაწლმოსილი მეცნიერის თვალსაზრისს საქართველოს მეფისა და მისი უფლებამოსილების შესახებ.

საგულისხმოა, რომ ივ. ჯავახიშვილი საქართველოს სამეფო ხელისუფლების თავისებურებათა დახასიათებისას არკვევს მთელ რიგ კონკრეტულ ფაქტებსა და გარემოებებს. კერძოდ, მეფეები თავიანთი ძალაუფლების განმტკიცებისათვის არ ერიდებოდნენ ცბიერებასა და ვერაგობას, მაგრამ თავისი მიმართულებით და შედეგებით ეს ბრძოლა პროგრესული იყო. რასაკვირველია, სამეფო ხელისუფლების გაძლიერებასა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში მართო მკლავ-ხმლის ძალა არ კმაროდა. ივ. ჯავახიშვილი ამახვილებს იმ გარემოებებზე ყურადღებას, რომ „მეფის ხელისუფლების არსებობის აუცილებლობა სარწმუნოე-

¹ სერგო ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, გვ. 3-5.

ბრივად უნდა დადასტურებულიყო². სხვა ქრისტიან მეფეების მსგავსად, ქართველი მეფეებიც ხმარობდნენ გამოთქმას, რომ ისინი მეფობენ „ნებითა ღვთისათა“³. ღვთიური წარმოშობით მარტო როდი დაკმაყოფილდნენ გაძლიერებული ქართველი მეფეები, მათ თავიანთ ხელისუფლებას ღვთაებრივი ძალის მფარველობა და ხელმძღვანელობა მოუპოვეს. დავით აღმაშენებელი აღიარებდა, როგორც ივ. ჯავახიშვილი გვარწმუნებს, რომ მეფის ხელისუფლება ღმერთმა პირადად მას „არწმუნა“, რომ თვით ეს ხელისუფლება ღვთის მიერ განგებულ და დაფუძნებული იყო. მეტიც, დავითის აზრით, საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეში მას თვით ღვთაება ეხმარებოდა, ე.ი. ეს მართვა-გამგეობა ღვთისმიერი გამგეობა იყო. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ სამეფო ხელისუფლების სიძლიერის დროს მეფეს მიმართავდნენ, როგორც „ღვთის სწორს“⁴. აქედან გამომდინარე, ქართული სამართლის ისტორიის მკვლევარი გვეუბნება, რომ იმ დროს „საქართველოს მეფის პიროვნება მთავრობის მომხრე წრეებმა გაღმერთეს, ხოლო მის უფლებას ზეციური ძლიერება და უცოდველობის თვისება მიანიჭეს. რაკი საქართველოს მეფეები და მათი თანამოაზრენი ასეთ შეხედულებას მისდევდნენ, ცხადია, მეფეები თავიანთ თავს სრულ თვითმპყრობელებად ჩასთვლიდნენ და კეისრის ძლიერების მოხვეჭასაც მოინდომებდნენ“⁵.

ჩემთვის საინტერესო თემაა თავად მეფის ხელისუფლების დამკვიდრების წესი საქართველოში. თუ ვის ირჩევდნენ საქართველოში მეფედ, როგორ ირჩევდნენ, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო ქვეყნის მეფე, როგორი პიროვნება, რისი უფლება ჰქონდა მას, როგორც მეფეს, და რითი განისაზღვრებოდა მისი უფლებამოსილება. სწორედ, დიდი მეცნიერის, ივ. ჯავახიშვილის სარწმუნო მასალებზე დაყრდნობით გავეცნობით ამ მნიშვნელოვან საკითხს.

ჯერ კიდევ, სტრაბონის აღწერილობიდან ჩანს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობიდან გამოირჩეოდა და გამოიყოფოდა ის წრე, რომლითგანაც მეფეს ირჩევდნენ ან სვამდნენ ხოლმე. ავტორს ნათქვამი აქვს, რომ მეფედ ისეთ პირს

ირჩევდნენ, რომელიც გარდაცვლილი მეფის შემდგომ მახლობელობითა და წლოვანებით ყველაზე უფროსი იყო. აქედან ცხადია, რომ მახლობელობა ნათესაობის თვალსაზრისით უნდა ყოფილიყო ნაგულისხმევი. მაშასადამე, ივ. ჯავახიშვილს მიაჩნია, რომ ის წრე, საიდანაც იბერიის მეფეს ირჩევდნენ, ამ სოციალურ ერთეულად უნდა ვიგულისხმოთ, რომელიც ნათესაობას წარმოადგენდა და ნათესაურ კავშირზე იყო დამყარებული. უფრო კონკრეტდება ივ. ჯავახიშვილი და ვარაუდობს, რომ ეს წრე და ნათესაური კავშირი ერთი გარკვეული საგვარეულო უნდა ყოფილიყო, რომელიც ეგების რამდენიმე შტოდ იყო დაყოფილი. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იბერიის, ანუ აღმოსავლეთ საქართველოს სათავეში სამეფო საგვარეულო მდგარა. უკვე აღვნიშნეთ, რომ მეფედ იმას სვამდნენ, ვინც საგვარეულოში წინანდელი მეფის ყველაზე მახლობელი იყო ნათესაობითა და წლოვანებით უხუცესი. მაშასადამე, მეფის ხელისუფლება არ შეიძლება, რომ მამის შემდგომ მის უფროს, ან რომელსამე სხვა შვილს მიეღო, რადგან ის საგვარეულოში ყველაზე უფროსი არ იქნებოდა. აქედან გამომდინარე, ივ. ჯავახიშვილი აღგენს, რომ მეფის ხელისუფლების მემკვიდრეობის წესი აღმოსავლეთ საქართველოში პირდაპირ მემკვიდრეობის წესი კი არ ყოფილა და პირმშობის კანონზე კი არა, არამედ უხუცესობის კანონზე ყოფილა დამყარებული.

რა წოდებულება უნდა ჰქონოდა საქართველოს მეფეს? ინტერესდება ივ. ჯავახიშვილი. თუ გავიხსენებთ, რომ იგი მეფის საგვარეულოს უხუცესი იყო, საფიქრებელია, რომ მას იგივე სახელი უნდა რქმეოდა, რომელიც გვარის უფროსს ეწოდებოდა, ე.ი. მამასახლისი.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ლეონტი მროველსაც სცოდნია, რომ საქართველოს უზენაეს საჭეთმპყრობელს, მმართველსა და საქვეყნოდ გამრიგე ხელისუფლებასაც წინათ „მამასახლისი“ ეწოდებოდა. ეს ცნობა მას რომელიღაც ძველი ქართული წყაროდან უნდა ჰქონდეს ამოღებული.

სრულუფლებიანი ხელისუფლების მქონებელს ქართულად „ხელმწიფე“-ც ეწოდებოდა, და შემდგომში, მაგ., XI-XII ს-ში, საქართველოს მეფეს, მართლაც, ხელმწიფეს ეძახდნენ. „ხელმწიფე“, როგორც თვით ამ ტერმინის აგებულებიდან ჩანს, ისეთ პირს ნიშნავს, რომელსაც „ხელი“, ე.ი. უფლება „მწიფე“ ანუ სრული აქვს.

² იქვე, გვ. 439-440.

³ „ქართული სამართლის ისტორია“, წიგნი II, ნაკვეთი II, გვ.118.

⁴ იქვე, გვ. 123.

⁵ იქვე, გვ. 130-132.

სიტყვა-ტერმინი „ხელი“ ახალ ქართულში უკავშირდება „ძალაუფლებას“, მისი სინონიმის „ხელისუფლების“ სახით. ხელისუფლების თავდაპირველი ეტიმოლოგია იქნებოდა საკუთრება – ძალაუფლება, ბატონობა. მაგრამ თანდათანობით „ხელმა“ ძალის, თანამდებობის მნიშვნელობასთან ერთად „უფლებ“-ის მნიშვნელობაც მიიღო და დიდხანს შეინარჩუნა კიდევ⁶. ამგვარად, ხელმწიფე სრულუფლებიანს, უფლების მქონებელს უდრის.

აქვე იხსენებს ივ. ჯავახიშვილი, რომ ქვეყნის უზენაესი გამგისა და ბერძნული „ბაზილეუს“-ის და სომხური „თაგავორ“-ის და „არქა“-ს ერთადერთ აღმნიშვნელ ტერმინად და შესატყვისობად „მეფე“ იყო, რომელიც თავდაპირველად „მეუფე“-დ გამოითქმოდა და იწერებოდა⁷. მაშინ შეიძლება დავასკვნათ, რომ იბერიის მეფეს თავდაპირველად საქვეყნოდ გამრიგე მოხელე და გვარის უფროსი მამასახლისებისაგან გასარჩევად, ალბათ, „მეუფე მამასახლისი“⁸ ერქმოდა, რომლისგანაც შემდეგში მარტივად „მეუფე“ და შემდეგ მეფე წარმოსდგა.

მეფე „ქუეყანათა“ და „ნათესავთა“ ანუ ხალხის „მფლობელად“ ითვლებოდა. ის იყო „მკვიდრი“ მეფობისა⁹, „უფალ ქუეყნისა განგებისა“. მას ჰქონდა „ფლობა ხელმწიფობისა“ – აი, ასე მიიჩნევს ივ. ჯავახიშვილი სარწმუნო და უტყუარ წყაროებზე დაყრდნობით. მაგრამ, იქვე აღნიშნავს, რომ მეფე, ანუ მთავარი ყოველთვის და ყოველგან ერთნაირი უფლებებით არ იყო ხოლმე აღჭურვილი: ზოგი იყო „მქონებელი დაუძონებელისა თავისუფლებისა“¹⁰, ანუ როგორც გვიხსნის დიდი მეცნიერი, უცხოელ ხელმწიფეთაგან დამოუკიდებელი იყო, ზოგი კიდევ უცხოელების ბატონობის ქვეშ იმყოფებოდა, ე.ი. „დამონებული თავისუფლება“ უნდა ჰქონოდა. როდესაც მეფეს სამეფოს გამგეობა განუყოფლად ეპყრა, ამას „ერთუფლება“¹¹ ერქვა, როცა ეს უფლება, ანუ „ერთუფლება“ ერთი გვირგვინის ხელში იყო, მაშინ ამგვარ გარემოებას „ერთმთავრობას“ ეძახდნენ. ხოლო თუ ქვეყნის გამგეობა ორს, ან

რამდენსამე პირს თანასწორად ეკუთვნოდა, მაშინ ამნაირ წესს „მრავალმთავრობას“¹² უწოდებდნენ.

ივ. ჯავახიშვილი გზადაგზა გვიხსნის, თუ ვისგან შესდგებოდა „სამეფო სახლი“, ანუ ვის ჰქონდა ამ სახლში ცხოვრების და ყოფნის უფლება. „სახლი სახელმწიფო“¹³ ანუ „სამეფო სახლი“ შედგებოდა მეფის, დედოფლის, მათი შვილებისაგან, რომელთაც „უფლისწულები“ ეწოდებოდათ, და სხვა ნათესავებისაგან. მათი ზოგადი სახელი იყო „სახლეულნი“. მეფე, ვითარცა სამეფო სახლის უფროსი, ივ. ჯავახიშვილის აღნიშვნით, XI ს-შიც „მამასახლისად“ მოიხსენიებოდა. მეფის შვილებს ანუ უფლისწულებს შეიძლებოდა თავიანთი სამფლობელო ჰქონოდათ, ანუ „საუფლისწულო“, რომელსაც შემდეგში „ნაუფლისწულევი“¹⁴ ეწოდებოდა. ასევე მეფე-მამასახლისს თავისი საკუთარი „სამამასახლისო სამსახურებელი“ ჰქონია, რომელიც უძრავი ქონებისაგან შედგებოდა. როგორც ბაგრატ IV ოპიზის სიგელში ამბობს: „ავიღე სამამასახლისოისა სამსახურებელისა ჩუენისაგან სოფელი ბარევანი და მივეც ოპიზართა“-ო.

ივ. ჯავახიშვილი, ქართველ მეფეებზე საუბრისას, სიამაყით აღნიშნავს, რომ მეფეს ერთი ცოლი ჰყავდა. მხოლოდ მონღოლების ბატონობის დროს დიმიტრი თავდადებულმა და მისმა დიდებულებმა შემოიღეს მრავალცოლიანობა, რაც საშინელ უწესობად ითვლებოდა და ჩვეულებრივ, საქრისტიანო წესზე მტკიცედ იდგნენ. თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის სიტყვებიდან ჩანს, რომ თამარის მამას, გიორგი III ხასებიც ჰყოლია, რომელთაც მაშინ „ხარჭებს“ ეძახდნენ. სწორედ, „ერთი“ ამ „ხარჭთაგანისა ნაშობი“ იყო თამარის ნახევარდა, რომელიც მიათხოვეს სალდუხისძეს მუტაფრადინს¹⁵. ისტორიკოსის მონათხრობის კილოს ეტყობა, რომ ხარჭის ნაშობი უფლისწულად არ ითვლებოდა, და რაღა თქმა უნდა, მეფის „კანონიერ“ შვილზე დაბლა იდგა ღირსებით: „რეცა სახელდებული შვილად მეფისა“¹⁶.

როგორც ივ. ჯავახიშვილი წერს, საქართველოს მეფეებს თავიანთი საგვარეულო დიდ და ძალაღ მეფეთა ჩამომავლად მიაჩნდათ. ამიტომ, რასაკვირველია, თავის „სამეფო სახლი“-ს ღირსე-

⁶ გიორგი ნადარეიშვილი, ფეოდალური საქართველოს სახელმწიფო წყობილების თავისებურებანი, გვ. 74.
⁷ მათე 18₂₃, 21₅, 22₂, 25₃₄; მარკოზი 15₂₄; ლუკა 19₃₈; იოანე 12₁₅, 18₃₇, 19₃.
⁸ „ქართული სამართლის ისტორია“, წიგნი II, გვ. 2.
⁹ მატიაზე ქართლისად, გვ. 236.
¹⁰ ძეგლის წერა, ქები II, 297.
¹¹ „ისტორიანი და აზმანი“, გვ. 363.

¹² იქვე, გვ. 455.
¹³ იქვე, გვ. 428.
¹⁴ შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, § 21.
¹⁵ „ისტორიანი და აზმანი“, გვ. 432.
¹⁶ იქვე, გვ. 436.

ბასაც განსაკუთრებული მნიშვნელობისა და პატივის მქონებლად სთვლიდნენ. აქედან გამომდინარე, არამც თუ ადგილობრივი, ყოველი უცხოელი, მეფური ჩამომავლობის, ბატონიშვილიც კი, თავის სახლის ღირსად არ მიაჩნდათ.

ქორწინდებოდნენ ქართველი მეფეები თავის „სახელმწიფო სახლის“ ღირს და შესაფერის უფლის ასულებზე. რა თქმა უნდა, ქართველ მეფეთა ქალიშვილებსაც მხოლოდ თავისივე სწორს მიათხოვებდნენ ხოლმე. მაგ., ბაგრატ IV-ის დედა, „ნაშობი იყო ბრწყინვალეთა მათ, ძლიერთა და დიდთა მეფეთა არშაკუნთანა“¹⁷. დავით აღმაშენებელმა თავისი ერთი ქალი, თამარ, შირვანშაჰს მიათხოვა, მეორე კატაჲ საბერძნეთში მისცა რძლად.

ივ. ჯავახიშვილი ინტერესით ჩერდება ისეთ საკითხზე, როგორცაა ტახტის მემკვიდრის, უფლისწულის აღზრდის და წვრთნის წესი. უფლისწულებს, მეტადრე ტახტის მემკვიდრეს, რასაკვირველია, შესაფერისად ზრდიდნენ და ასწავლიდნენ. ისინი, როგორც მკვლევარი აღნიშნავს, „ყოვლითა ხელითა მარჯვე და ნასწავლი“ უნდა ყოფილიყვნენ, მსგავსად, „სახლიშვილობისა მათისაო“¹⁸. მეფეს, ივ. ჯავახიშვილის აზრით, აუცილებლად მოეთხოვებოდა: კარგი მშვილდოსნობა, ცხენოსნობა, მოასპარეზობა, რაინდობა, მეფური ზრდილობა და მწიგნობრობა. მეფე უნდა ყოფილიყო განსაკუთრებული ფიგურა სახელმწიფოში, ღირსეული და შემკული პიროვნება, მისაბაძი და საამაყო თავისი ხალხისა და ქვეყნისათვის. ივ. ჯავახიშვილი აქვე აღნიშნავს და გვიმარტავს, რომ მარტო კარგი განათლებით და მეფური ზრდილობით, ცხადია, მეფეს ბევრი რამ არ გამოუვიდოდა და ისეთ რთულ მისიას, როგორც იყო სახელმწიფოს მართვა-გამგეობა, პირნათლად ვერ გაუძღვებოდა. საჭირო იყო, უფლისწულს კარგად შეესწავლა ყველა ის „მართებანი და განსაგებლნი“, რომელნიც „ეთხოვებიან მეფობასა“¹⁹. მაგ., გაეცნო „სახელოთა და საბჭოთა საქმების წარმოება, საჭურჭლეთა შემოსავალ-გასავლის წესრიგი, სალაშქრო და სამხედრო განწესებანი და მოსაზღვრე სახელმწიფოების მოციქულთა მიღება-დარბაზობის წესი“²⁰.

¹⁷ სუმბატ ცა და უწყება: ვქრ-წკა, გვ. 78.

¹⁸ „ისტორიანი და აზმანი“, 513, გვ. 386.

¹⁹ იქვე, გვ. 314.

²⁰ იქვე, გვ. 551.

ივ. ჯავახიშვილი აუცილებლობად მიიჩნევს, რომ უფლისწული ყველაფერ ამ საქმეში შესაფერისად მომზადებული უნდა ყოფილიყო, რათა სახელმწიფოს მართვა-გამგეობისათვის ზოგადი გარკვეული მიმართულება მიეცა, შორსგამჭვრეტელობა შეეძინა, რისთვისაც ფართო განათლება იყო საჭირო. ივ. ჯავახიშვილი ასაბუთებს, რომ დავით აღმაშენებლის ბრძნული მოქმედება, სწორედ მისი ღრმა განათლების შედეგი იყო. დაცემული და განადგურებული საქართველოს აღდგენისათვის საჭირო იყო, რომ მეფე კარგად განსწავლული და გათვითცნობიერებული ყოფილიყო, აგრეთვე, თავის ქვეყნისა და სხვა ხალხების წარსულ ცხოვრებაში ჩახედული და წარსულის გამოცდილებით გამობრძმედილი. ერთი სიტყვით, ქართველი უფლისწულები, როგორც ივ. ჯავახიშვილი აღწერს, იმ დროისათვის მაღალ საერო და სახელმწიფო განათლებას იძენდნენ.

უფლისწულმა, მემკვიდრემ ხშირად, ქართულის გარდა, ბერძნული და სპარსული ენებიც იცოდა, IX-XI სს-ში, უკვე არაბულიც და ეს ცოდნა უფლისწულებს და შემდგომში მეფეებს საშუალებას აძლევდა მეზობელთა მაშინდელი განათლებისა და კულტურის მოზიარენი ყოფილიყვნენ. აი, ასეთი განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი თემა იყო ქართველ უფლისწულთა აღზრდისა და სწავლის საკითხი, რაც, უდავოდ, მაღალ დონეზე სრულდებოდა იმ დროინდელ საქართველოში. კარგად აღზრდილი და ღრმად განათლებული უფლისწული ძლიერ და სწორუპოვარ მეფეს პირდებოდა ქვეყანას. ძლიერი მეფე კი, ქვეყნის სახე და ნათელი მომავალი იყო. თუ გულწრფელად აღვნიშნავ, ზემოთ მოყვანილი, ივ. ჯავახიშვილის მიერ შესანიშნავად ჩამოყალიბებული წრთობისა და აღზრდის წესი, არც დღევანდელი საქართველოს ხელისუფლების მესვეურთათვის იქნებოდა ურიგო, თუმცა, სამწუხაროდ, ბევრი ვერ შეძლებდა იმ პირობების შესრულებას და დაცვას, რაც ამ წესითაა გათვალისწინებული.

ღვაწლმოსილი მეცნიერი ყურადღებას ამახვილებს ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორც იყო მეფის კურთხევის წესი, ვითარცა მეფის ხელისუფლების სივრცის გამომხატველი. უნდა აღინიშნოს, რომ ახალი ხელმწიფის მეფობა ტახტზე ასვლითა და კურთხევით იწყებოდა. ივ. ჯავახიშვილი, „წესი და განგება მეფეთ კურთხევისაჲ“, ამ საინტერესო ძეგლის მიხედ-

ვით, აგვიწერს თუ როგორ მიმდინარეობდა მეფედ კურთხევის წესი. „წესი და განგება მეფედ კურთხევისა“, საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილების შესწავლის თვალსაზრისით, შესანიშნავი ძეგლია. ეს ძეგლი, „ხელმწიფის კარის გარიგებისაგან“ განსხვავებით, საკანონმდებლო შინაარსის ძეგლია.

ამ ძეგლის მიხედვით, როგორც კურთხევის წესს, ისე გვირგვინის დადმას კათალიკოს-პატრიარქი ასრულებდა. მეფის კურთხევა საკმაოდ რთული წესით სრულდებოდა: კათალიკოსის შერჩევით, ერთ-ერთი მღვდელთმთავარი, მღვდლები, დიაკვნები და მგალობლები სათანადოდ შემოსილნი გაზადაგზა გალობით მიდიოდნენ მეფის სასახლეში, მეფის გვირგვინს, სკიპტრას, პორფირსა და ბისონს დადებდნენ ფეხშუმზე და მიიტანდნენ იმ ეკლესიაში, რომელშიც მეფის კურთხევა უნდა მომხდარიყო²¹. ლოცვა მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. მას ესწრებოდნენ თვით საკურთხეველი მეფე, „სამღვდელოება და საერო პირნი“²². ჯვარისმტვირთელი „ძელი ცხოვრებისა“-ს დაიჭერდა ხელში და მთავარდიაკონის წინამძღოლობით მეფის სასახლეში მიემართებოდა, როგორც წერს მეცნიერი ივ. სურგულაძე. სამეფო პალატაში შესვლისას, თავმოდრეკილი ჯვარისმტვირთველი ასე მიმართავდა მეფეს: „გუაკურთხენ, წმიდაო და თვითმპყრობელო მეფეო, მრავალმცა არიან წელნი მეფობისა თქუენისანი“²³.

როგორც ივ. სურგულაძე აღნიშნავს, ამ შემთხვევაში ნახმარი ტერმინი „თვითმპყრობელი“ მხოლოდ „სუვერენს“ ნიშნავს. თუმცა საქართველოში აბსოლუტური მონარქია არ დამყარებულა.

ჯვარისმტვირთველის ასეთი მიმართვის შემდეგ შედიოდნენ ეკლესიაში, სადაც მეფის კურთხევა უნდა მომხდარიყო. ჯვარისმტვირთველის შემდეგ, მიდიოდა მანდატურთუხუცესი, შემდეგ კი მეფე და „ლაშქარი“²⁴. მეფეს მარჯვნივ მიჰყვებოდა ამირსპასალარი, მეფის მარჯვნივ, ამირსპასალარს ახლდა ამილახვარი და მებაჯრეთუხუცესი²⁵. მარცხნივ, მიდიოდნენ ჭყონდიდელი, ათაბაგი და „სხვანი მთავარნი“²⁶. ხოლო „ეზოთუხუ-

ცესს და ჩუხჩერასსა სამეფო ფარი და ლახტი ჰქონდეს და მეფის უკანით მიდიოდნენ“²⁷.

ამრიგად, ასეთი წესით მიდიოდა პროცესია ეკლესიაში, სადაც მეფე უნდა ეკურთხებინათ. სწორედ, ეკლესიაში, კათალიკოსის მიერ ხდებოდა მეფე კურთხეული და ცხებული.

მეფის პირველი მიმლოცველი დედოფალი იყო. შემდეგ მიმლოცველები ასეთი რიგითაა ძეგლის მიერ მოცემული: კათალიკოსი, ჭყონდიდელი, ათაბაგი, მანდატურთუხუცესი, ამირსპასალარი, მეჭურჭლეთუხუცესი და მსახურთუხუცესი, შემდეგ მოდიოდნენ სხვა მოხელეები. როდესაც მილოცვა დამთავრდებოდა, გვიმარტავს ივ. სურგულაძე, ჯვარისმტვირთველი ტახტიდან ჩამოვა და შესამოსელს გაიხდის. სამი დღის განმავლობაში, მეფე ტახტზე ზის გვირგვინითა და პორფირით.

მეფის კურთხევის შემდეგ, ჩემი ინტერესის საგანია, მეფის უფლებამოსილების საკითხი, რისი უფლება ჰქონდა და რა ევალეობდა უკვე ნაკურთხ და ყველასაგან დიდი პატივით მიღებულ მეფეს. ივ. ჯავახიშვილი გულდასმით ეკიდება ამ საკითხს, ყურადღებას აქცევს თუ „რაოდენი საქმენი ეთხოებიან მეფობასა“-ო. როგორც „ღარბაზობის წესისა“ და მეტადრე „ხელმწიფის კარის გარიგებიდან“ ჩანს, მე-12 ს-ში, ქართულმა იურიდიულმა შემოქმედებამ ახლად შექმნილი დიდი სახელმწიფოს წეს-წყობილება და ორგანოების უფლება-მოვალეობა მკაფიოდ ჩამოაყალიბა.

ივ. ჯავახიშვილი გარკვევით გვიხსნის თუ რა შედიოდა ქართველ მეფეთა კომპეტენციაში: საგამგეო, სამხედრო, საერთაშორისო, „საჭურჭლეთა შემოსავალნი“ ანუ საფინანსო საქმეები, „მოჩივართა მართალნი გამომძიებანი“ ანუ მართლმსაჯულება, „სახელოთა და საბჭოთა სჯანი“ ანუ განგებისა და საკანონმდებლო მოღვაწეობა.

უდავოა, მეფეს პირადად ყველა საქმეების განგება არ შეეძლო. მართვა-გამგეობის ტვირთის გასაადვილებლად მას ორგანოები და თანამშრომლები ჰყავდა.

როგორც ივ. ჯავახიშვილი გვეუბნება, საქართველოს მეფე „ქუეყანათა“ და „ნათესავთა“, ანუ ქვეყნისა და მცხოვრებთა „მფლობელად“ ითვლებოდა. იგი იყო „მკვიდრი“ მეფობისა, „უფალ ქუეყანასა განგებისა“ და „განმგებელი მეფობისა“. მეფეს ეკუთვნოდა სახელმწიფოს, როგორც მიწა-

²¹ „ქართული სამართლის ძეგლები“, II, ი. დოლიძის რედ., 1965, გვ. 50.

²² იქვე.

²³ ივ. სურგულაძე, ქართული სამართლის ისტორიის ნარკვევები, I, გვ. 65.

²⁴ „ქართული სამართლის ძეგლები“, II, 1965, გვ. 50.

²⁵ იქვე, გვ. 51.

²⁶ იქვე, გვ. 63.

²⁷ იქვე.

წყლის, ტერიტორიის, ისევე „ერის“, ე.ი. მოსახლეობის მართვა-გამგეობის უზენაესი უფლება.

გავეცნოთ საქართველოს მეფეების „მართება“-სა და „განსაგებელ“-ებს. ივ. ჯავახიშვილის გვიხსნის, რომ „მართება“ იმას ნიშნავდა, თუ რისი გაკეთება მართებდა მეფეს, და მაშასადამე, თანამედროვე მოვალეობას უდრიდა, „განსაგებელი“ კი, ის იყო, რაც უნდა განეგო მეფეს. დავიწყოთ იმით, რომ:

1. საქართველოს მეფის უზენაეს უფლებას სამართლის დიდება და ქმნა, ანუ კანონმდებლობა და უზენაესი მართლმსაჯულება შეადგენდა. მაგრამ მარტო თვითონ მეფეს საქართველოში არასდროს ახალი კანონი არ დაუდვია, არამედ ყოველთვის დარბაზის ერთა თანამშრომლობითა და განჩინებით. ივ. ჯავახიშვილს მაგალითად მოჰყავს ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნი: „პირველად... მეფეთ-მეფისა ბრძანებითა და მერმე ეპისკოპოსთა, დიდებულთა და აზნაურთა და ჭკვიანთა კაცთა მეფეთა წინაშე ერთბაშად გაჩენილი“ იყო²⁸. „ძეგლის დადება“-დ წოდებული მთიულთათვის განკუთვნილი სამართლის წიგნის შედგენის შესახებაც გიორგი V ბრწყინვალე თვითონ მოუთხრობდა მკითხველს: „შემოვედით ქალაქსა და შემოვიტანეთ თემისა და თემისა ერისთავნი და ხევისთავნი და ხევისბერნი და ჰეროვანნი, დავსხედით და დავსვით წმიდა მეუფე და ქართლის კათალიკოსი ეფთემი, დავსხით ვაზირნი და ეპისკოპოსნი და მოურავნი“ და ეს განაჩენი დავდევი²⁹.

მაშასადამე, ასკვნის ივ. ჯავახიშვილი, ეს ძეგლიც იმავე წესით დარბაზის გაფართოებულ საგანგებო სხდომაზე „ერთბამად“ ყოფილა შედგენილი. ივ. ჯავახიშვილი მეცნიერულად გვისაბუთებს, რომ საქართველოს მეფე, სამართლის წიგნს, ანუ კანონებს მარტო თვითონ კი არ ადგენდა და მხოლოდ თავის სახელით კი არ აცხადებდა, არამედ დარბაზის, ან საკანონმდებლო კრების „თანადგომითა და თანაზრახვითა“, „ერთბამად“.

2. საქართველოს მეფის მნიშვნელოვან უფლებას, როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, ანუ „მოჩივართა მართალნი გამოძიებანი“ შეადგენდა.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, ეს იმას ნიშნავს, რომ მეფე უზენაეს მსაჯულად ითვლებოდა.

მაგრამ, რასაკვირველია, მეფის წამდაუწუმ, წვირლმანი საჩივრებით შეწუხება არ იქნებოდა, ამისათვის განსაკუთრებული მოსამართლეები ყოფილან დაყენებულნი. მაგრამ აქაც ყოველთვის, როცა რთული და ძნელი გასარჩევი საქმე ყოფილა, მეფე საქმეს მარტო როდი არჩევდა, არამედ დარბაზის წევრთა თანადგომითა და თანაზრახვით. ივ. ჯავახიშვილს ამ შემთხვევაში სამაგალითოდ, ოპიზასა და მიჯნაძორის მონასტრების მამულის გამო ცოლობის გასარჩევად, მეფე ბაგრატ IV ნააზრევი მოჰყავს: „შეკრიბენ კარსა დარბაზისა ჩუენისა ძღველთმოდღუარნი, ერისთავთ-ერისთავნი, ერისთავნი და ყოველთა ხევთა ზემოთა და ქუემოთა აზნაურნი, მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი, და და ვსხენით წინაშე ჩუენსა... და სამართლად ესე გაგინეთო³⁰“.

როგორც ივ. ჯავახიშვილი გვეუბნება, საქართველოს მეფეს, მოცალეობა არ ჰქონდა, მაგრამ მან ახალი დაწესებულება დააარსა, სადაც „კაცნი მართლად მცნობელნი“ დააყენა, ანუ, ამიერიდან უზენაესი მართლმსაჯულება ამათ ეკითხებოდა, ეს საქმეები უკვე მეფის პირადი განსაგებელი აღარ იყო. შესაძლებელია, როგორც ივ. ჯავახიშვილი, მიიჩნევს უზენაეს მოსამართლეთა მხოლოდ განაჩენი დასამტკიცებლად ყოფილიყო მეფისათვის წარდგენილი.

3. საქართველოს მეფე სახელმწიფო ჯარის უზენაესი პატრონი და მთავარი წინამძღოლიც იყო. ივ. ჯავახიშვილი გვარკვევს, რომ მეფე თავადაც იღებდა მონაწილეობას ომში და მეთაურობდა ჯარს. ამიტომაც იყო, რომ „ლაშქართა მეცადინეობანი“, „მხედართა განწესებანი“ იმგვარადვე, როგორც „სპათა დაწყობანი და ღონენი“, მეფის საზრუნავი უნდა ყოფილიყო და ამის ჯეროვნად მოწყობა მის მოვალეობას შეადგენდა.

ივ. ჯავახიშვილს მიაჩნია, რომ ამირსპასალარი ანუ სამხედრო საქმისათვის განკუთვნილი ვაზირი, მთელი ამ სამხედრო საქმეების გამძღოლი იყო, თუმცა მეფე მის საქმიანობას ყურადღებას აქცევდა და თვალ-ყურს ადევნებდა. „კარის გარიგებაში“ თვალნათლივან ამირსპასალარის უპირატესობა და გავლენიანობა მოყვანილი: „ლაშქრობა და ლაშქრობის ვაზირობა ამირსპასალარის ხელთ არის“-ო და „მას წინათ არავინ ეტყვის რა ვაზირობა იყოს³¹“-ო.

²⁸ ათაბაგ ბექა და აღბუღას სამართლის წიგნი, § 99, ნუბინაშვილის ქრესტ., 1863 წ., გვ. 226.

²⁹ ძეგლისდება, შესავალი.

³⁰ „საქართველოს სიძველენი“, I, 3 და შიომღ. საბ. 8.

³¹ „ხელმწიფის კარის გარიგება“, 9^{181 182}

4. დიდი მეცნიერის, ივ. ჯავახიშვილის აზრით, საქართველოს მეფის საზრუნავ საქმეს საფინანსო საქმეები, ანუ „საჭურჭლეთა შემოსავალნი“-ც შეადგენდა: იმაზე იყო დამოკიდებული სახელმწიფო გადასახადებისა და ბეგარისაგან განთავისუფლება, „შეუვალობის“ მინიჭებაც. ამრიგად, სახელმწიფო გადასახადებისა და ბეგარისაგან განთავისუფლება მეფის უფლება ყოფილა. ივ. ჯავახიშვილი წერს, რომ მას, მეფეს შეეძლო ქვეშევრდომისათვის, ან ამა თუ იმ დაწესებულებისათვის ის უპირატესობის მიმნიჭებელი საბუთი მიეცა, რომელსაც ეწოდებოდა „სიმტკიცე შეუვალობისა“, ანუ „სიგელი შეუვალობისა“³². აგრეთვე, მრავალი ცნობიდან მტკიცდება, რომ მეფისავე უფლებას შეადგენდა დამსახურებული ქვეშევრდომებისათვის სახელმწიფო მიწებისა და ყმების „წყალობა“ და „ბოძება“. რასაც, როგორც ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევს, „საჭურჭლეთა შემოსავლის“ რაოდენობაზე საგრძნობლად დიდი გავლენა ჰქონია.

5. მეფის უმთავრესი უფლება და საფიქრალი მაინც, სახელმწიფოს შინაური საქმეების გაძლოლა-მოწესრიგება იყო. მეფის უმთავრესი საზრუნავი, ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით, ქვეყნის საზღვრების დაცულობისათვის ზრუნვა ყოფილა. ამასთანავე, მეფე სახელმწიფოს წესიერი და მშვიდობიანი ცხოვრების მოდარაჯე უნდა ყოფილიყო.

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს აგრეთვე, რომ საქართველოს მეფის უფლება-მოვალეობას შეადგენდა, როგორც უმაღლეს მოხელეთა, ხელისუფალთა არჩევა და დანიშვნა, ისევე, უვარგისთა გადაყენება, ახლადარჩეულ ხელისუფალთა „დალოცვა“ და „ხელდასმა“-ც მეფის უფლებას შეადგენდა³³. იგივე აძლევდა ამ „დალოცვილ“ ხელისუფლებას მათი თანამდებობის ნიშანს, როგორც მაგ., ამირსპასალარს ოქროს ლომის თვიან არგანსა და ხმალს, მანდატურთუხუცესს ოქროს არგანს, მოლარეთუხუცესს თვალედ ბეჭედს, და სხვა.

6. დასასრულ, ივ. ჯავახიშვილი ინტერესით ეპყრობა ისეთ საკითხს, როგორიცაა მეფის უზენაესი უფლება საერთაშორისო საქმეებისა

და წარმოების შესახებ. მეფის საზრუნავი ამ შემთხვევაში, ივ. ჯავახიშვილის აღწერით, მეზობელი, თუ შორეული დიდი სახელმწიფოების „მოციქულთა შემთხვევანი“, ე.ი. მიღება და „პასუხნი“, მოლაპარაკების წარმოება, – აგრეთვე, „მოსაკითხავთა შესატყვისნი მოკითხვანი“, როდესაც წარმოვლენილ მოციქულს მეზობელი მზრუნველისაგან მხოლოდ მოკითხვის მოხსენება ჰქონდა დავალებული, და „მეძღუნეთა ჯეროვანი მისაგებელნი“, როცა ყმად-ნაფიცთაგან ძღვენის მიმტანთა წესისამებრ, დასაჩუქრება იყო საჭირო. ივ. ჯავახიშვილი აქვე აღნიშნავს, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკის წარმოების უფლებაცა და ტვირთიც მეფეს ჰქოდა.

ამრიგად, ასეთია ივ. ჯავახიშვილის შეხედულება საქართველოს მეფის, მისი პიროვნების, ვინაობისა და უფლებამოსილების შესახებ. ქართველი მეფე, უდავოდ, ქვეყნის სახე და ღირსება უნდა ყოფილიყო, მისი წრე საუკეთესო და საამაყო, მისი საქციელი მისაბაძი და შეუდარებელი. ჩვენ ვერ ვიტყვით იმას, რომ ქართველი მეფეები განებივრებულები იყვნენ თავიანთი უფლებებით, პირიქით, ხშირ შემთხვევაში მათთვის მეფობა შემზღულველი, პირადი ბედნიერი ცხოვრების უარისმყოფელი და დამაბრკოლებელიც ყოფილა. მეფობას საქართველოში, როგორც დიდი მეცნიერი აღნიშნავს, უფრო მოვალეობა იყო, ვიდრე ფუფუნება. უდიდესი ვალი იმისა, რომ ხარ ამ ქვეყნის მეფე და ეს ქვეყანა, რომელსაც საქართველო ჰქვია, შენით უნდა იყოს ძლიერი, გაერთიანებული და დაუმარცხებელი. აი, რა ვეალებოდა საქართველოს მეფეს – ქვეყნის მოვლა, ქვეყნის მოფრთხილება, საკუთარი ხალხის მოვლა-პატრონობა და ქვეყნის, სამშობლოს ბედნიერება.

ასეთია ღვაწლმოსილი მეცნიერის და სამშობლოს პატრიოტის დიდი ივ. ჯავახიშვილის მოძღვრება საქართველოში სახელმწიფოს უმაღლესი მესვეურის უფლებამოსილების შესახებ, რომელსაც მნიშვნელობა დღეისათვის არ დაუკარგავს და სახელმძღვანელო მითითებად რჩება.

მანანა კოკალიანი,

ქუთაისის აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის თეორიის, ისტორიის და
სახელმწიფო სამართლის კათედრის ლაბორანტი.

³² „დავით აღმაშენებლის ანდერძი“, შიომღ. საბ. 17.

³³ ივ. ჯავახიშვილი, ქართლი სამართლის ისტორია, თბზ., ტ. VI, გვ. 237.

ნიკო დადიანის „დასტურლამა“

XIX საუკუნის დამდეგიდან სამეგრელოს სამთავრო კარზე დაწინაურდა უფლისწული ნიკო დადიანი, რომელიც თავისი დიდი ნიჭისა და სამთავროს საქმეებზე უზარმაზარი გავლენის გამო დიდი ნიკოს სახელითაც იყო ცნობილი.

ნიკო დადიანის დაბადების თარიღი უცნობია, ის 1780 წლამდე ჩანს დაბადებული, რადგან 1805 წელს მას ვხედავთ იმ დეპუტაციის თავკაცად, რომელიც სამეგრელოს დედოფალმა ნინო ბაგრატიონმა რუსეთს გაგზავნა.

ნიკო დადიანი 1816 წლიდან სამეგრელოს სამთავროს მსაჯულთუხუცესად (მდივანბეგუხუცესად) ჩანს. ამ თანამდებობაზე მუშაობამ თავისი დროის კვალობაზე ეს უაღრესად განათლებული მოღვაწე დაარწმუნა სამთავროს მმართველობის გარდაქმნის აუცილებლობაში და 1818 წელს მთავარ ლევან V დადიანს წარუდგინა ამ რეფორმების გეგმა, რომელსაც „დასტურლამა“ ერქვა.

ამ თხზულების შესავალში, რომელიც მიმართავა მთავრისადმი, ნიკო დადიანი აღნიშნავდა, რომ „მრავალნი მიზეზნი მაიძულებენ მე გარეგანგებად შიშისა და თქმად უმჯობესისა“ და ურჩევდა თავის ხელმწიფეს, რომ მას, როგორც მთავარს, მიეხატა სხვა განათლებული მთავრისათვის და უარი ეთქვა ისეთ საძრახის ჩვეულებაზე, როგორც იყო, მაგალითად, „მიმოსვლა სოფლითა სოფლად“ მთავრის სახლეულისა ანუ სამეგრელოში გოჭკუმურად (XIX საუკუნეში კი, ოჩამურად) წოდებული ვალდებულების მიღება ქვეშევრდომთაგან.

მართალია, ეს „დასტურლამა“, როგორც განწესება, მთავარ ლევან V-ის გულარხეიანობისა და ზერელობის გამოისობით კანონად არასოდეს ქცეულა, რაც ამ დროისათვის არსებობდა და ცხადია, ის ცვლილებებიც, რომელთა შეტანასაც სამთავროს მართვაში სთავაზობდა თავის ხელმწიფეს ნიკო დადიანი.

როგორც ქართული ფეოდალური სამართლის ამ ერთ-ერთ უკანასკნელ ძეგლზე დაკვირვება გვარწმუნებს, ნიკო დადიანი შესანიშნავად იცნობდა სხვა ქართულ სამეფო-სამთავროთა სამოხელეო წყობილებას და კანონებს, რომლებიც მთელ საქართველოში მოქმედებდა, მაგრამ ისიც ცხადი ხდება, რომ ამ უკანასკნელსა და ნიკო დადიანის „დასტურლამა“-ს შორის, გარდა სახელწოდებისა, არაფერია საერთო, თუ არ ჩავთვლით იმ გარემოებასაც, რომ ნიკო დადიანის „დასტურლამა“-ში, მსგავსად ვახტანგ მეფის „დასტურლამალ“-ის, ყველაზე დიდ მოხელედ სახლთუხუცესი ითვლება.¹

ნიკო დადიანის „დასტურლამ“-ში, გარდა სახლთუხუცესისა, დახასიათებულია ისეთი სახელობები, როგორცაა მოლარეთუხუცესი და მოლარე, ბოქაულთუხუცესი და ბოქაული, მზინდართუხუცესი და მზინდარ-მეჯინიბენი, ბაზიერთუხუცესი და ბაზიერი, ქეშიკთუხუცესნი, ქეშიკნი და გვამის მცველნი, სტუმართგამგე და მესტუმრე, გზათგამგე, მზარეული, ხაბაზი, ტყისმცველი და სხვა. მოცემულია აგრეთვე ახალი თანამდებობის (მაგალითად, აღიუტანტის) ფუნქციები.²

ნიკო დადიანი შეეცადა სამეგრელოს მართვა გაეუმჯობესებინა. ამასთან, აღნიშნავდა, რომ შესაძლებელია „უმჯობესთა და უნათლესთა წესდებულებათა“ შედგენა ევროპული სახელმწიფოების მიმსგავსებით, მაგრამ სამეგრელოსათვის ჯერჯერობით ესეც საკმარისიაო („ჯერესთ ესე კმა არს“).

ნიკო დადიანი ცდილობდა აკრძალვას ფეოდალური თვითნებობისა, რომელიც სამეგრელოს წინსვლის,

¹ ქართული სამართლის ძეგლები, I. ხელმწიფის კარის გარიგება, 2. დასტურლამალი-ტექსტები გამოსაცემად მოამზადა... ი. სურგულაძემ, თბ. 1970.

² ო. სოსელია, ნიკო დადიანის „დასტურლამა“, საზ. მეცნიერებათა განყ., „მოამბე“, 1961, №1, გვ. 28.

მისი განვითარებისა და გამდიდრების უმთავრეს წინააღმდეგობად მიაჩნდა, ლაგამი ამოედო მოხელეებისათვის, რომელთაგან დიდად იყო მოსახლეობა შეწუხებული „რბევითა და ტაცვიებითა“.

იგი გულისტკივილით აღნიშნავდა, მაგალითად, რომ „მესმის და ნამდვილადაც უწყვი, რომელ ბოქაულისაგან დიდი შეწუხება არის სახლისა და დიდი რბევა და დიდი წართმევა და ავოხრება, და საბოქაოლოსიცა დიდი გარდახდევინება. ამისათვის ვალი გაქვთ, მოწყალევე ხელმწიფევე, რათა ბრძანოთ და არღარა იქმნეს ესე საქმენი“.³

მაგრამ ლევან V დადიანმა ყურად არ იღო თავისი ჭკვიანი და საქვეყნო საქმეზე მოფიქრალი მსაჯულთუხუცესის ეს დარიგებანი და „დასტურლამა“, რომელიც სამეგრელოს სამთავროს მმართველობის წესდებად, კანონად უნდა ქცეულიყო, დარჩა მხოლოდ მისი შემდგენლის განუხორციელებელ სურვილად.

როგორც ჩანს, სწორედ სამთავროს მმართველობის გარდაქმნების მისეული გეგმისადმი მთავრის ამგვარი უგულისყურო დამოკიდებულება იყო მიზეზი იმისა, რომ ნიკო დადიანმა რამდენიმეჯერ ითხოვა მისი განთავისუფლება მსაჯულთუხუცესის თანამდებობიდან.

ნიკო დადიანი თავის დღიურში 1824 წლის 21 დეკემბერს წერს, რომ „დადიანს ლევანს მივართვი ჩემი მდივანბეგთუხუცესობის გარდადგომის არზა“.⁴ 1825 წლის 29 იანვარს, როგორც იმავე დღიურიდან ირკვევა, ნიკო დადიანს კვლავ წარუდგენია მთავრისათვის მოხსენება, რომელშიც წერდა: „სამართლოდამ გამანთავისუფლეთ თქვა, თუ არადა ჩემი შვილი ამყოფეთ, გიორგი ჩემს მოადგილეთ თქვა“.⁵

იმავე 1825 წლის 16 თებერვალს ნიკო დადიანს კვლავ მიუწერია მთავარისათვის: „როგორც მოგახსენებდი ისე მიახლებია ჩემი შვილი გიორგი და გთხოვ ჩემს მოადგილეთ იმსახუროთ და მე

რაოდენსამე ხანს თავისუფლება მომცეთ, რადგან ვითხოვე და სრულად არ გარდამადგინეთ“.⁶

როგორც ჩანს, ნიკო დადიანის ასეთმა დაჟინებამ გასჭრა. ის გაათავისუფლეს მსაჯულთუხუცესობიდან (მდივანბეგთუხუცესობიდან) და მის ნაცვლად ეს თანამდებობა, მისი სურვილისამებრ სამეგრელოს მთავარმა ლევან V-მ მისსავე შვილს გიორგის უბოძა.

1825 წლის 2 მარტს ნიკო დადიანი მდივანბეგ როსტომ ჩიქოვანს უკვე წერდა, რომ აწი მე მდივანბეგთუხუცესობისაგან გამოვედი. და ჩემი შვილი გიორგი დავაყენე. გატყობინებ და სხვათაცა [მდივანბენგთა] გამოუცხადეთო“.⁷

მაგრამ, როგორც ჩანს, მთავარს ნიკო დადიანის გადადგომა არც ამჯერად მიუღია. გიორგი, მისი შვილი, მხოლოდ მცირე ხნით დანიშნა მსაჯულთუხუცესად. ეს კარგად ჩანს ნიკო დადიანის დღიურიდან, სადაც 1825 წლის 20 დეკემბერს მთავართან გაგზავნილი წერილის მოკლე შინაარსია გადმოცემული: „რადგან სასამართლოში გარდადგომა სამჯელ გთხოვეთ და არ ინებეთ, მაშ ჩემი სამსახური ასე ინებეთ, როგორც ამაში წერია...“⁸

ეტყობა ნიკო დადიანმა მთავარს კიდევ ახალი გეგმა წარუდგინა სამეგრელოს სამთავროს მმართველობის გარდაქმნისა, ამჯერად უკვე ულტიმატურული წესით.

რას წარმოადგენდა ეს გეგმა, რით განსხვავდებოდა 1818 წელს წარდგენილი „დასტურლამა“-ად წოდებული პროექტისაგან, არ ვიცით, მაგრამ როგორც არ უნდა ყოფილიყო ეს ახალი „დასტურლამა“, ვიცით, რომ არც მას ეწერა განხორციელება.

ნიკო დადიანის „დასტურლამა“, პროფ. ი.სურგულაძის სავსებით მართებული შენიშვნით, თავისი დროის უდავოდ პროგრესული საკანონმდებლო აქტი იყო,⁹ თუმცა მასში ბევრი ისეთი სახელო ვერ აისახა, რომლებიც სამეგრელოს სამთავროში მანამდეც არსებობდა და შემდეგაც.

ბაღრი (კახა) კვარაცხელია,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და
სამართლის ინსტიტუტის ასპირანტი.



³ ნიკო დადიანი, დასტურლამა, გვ. 35.
⁴ ზუგდიდის მუზეუმი, ხელნაწერ წიგნთა ფონდი, წიგნი №2, გვ. 23.
⁵ იქვე, გვ. 23.
⁶ იქვე, გვ. 24.
⁷ იქვე, გვ. 25.
⁸ იქვე, გვ. 37.
⁹ „ქართული სამართლის ძეგლები“, ტ. VIII, თბ., 1970, გვ. 224.

გენადი ქაჩიბაია

სამართლებრივი საშუალებების ცნება

სამართლებრივი რეგულირება, როგორც სოციალური მართვის ერთ-ერთი ინსტრუმენტი აწესრიგებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს და უზრუნველყოფს კონკრეტული სუბიექტების პოზიტიური ინტერესების დაკმაყოფილებას. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მითითებულ პროცესს თან სდევს როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური ხასიათის, სხვადასხვა დაბრკოლება, რომლებიც თავისდროული დაძლევისა და გადალახვის გარეშე ერთიორად ამცირებენ სამართლებრივი რეგულირების ეფექტიანობას.

სწორედ სამართლებრივი რეგულირების მექანიზმი არის სამართლებრივი საშუალებების ისეთი სისტემა, რომელიც საშუალებას გვაძლევს, რაც შეიძლება თანმიმდევრულად და იურიდიულად გარანტირებულად ვებრძოლოთ ამ დაბრკოლებებს, ვინაიდან, ცალსახაა, რომ ცალკეულად აღებული იურიდიული ინსტრუმენტები ამ სოციალურ დანიშნულებას ვერ შეასრულებენ, ვერ უზრუნველყოფენ სამართალშემოქმედების პროცესში დასახული მიზნების სრულყოფილ რეალიზაციას და სოციალურად მნიშვნელოვანი რეზულტატის მიღწევას.

ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ყველანაირ მექანიზმში და მათ შორის, სამართლებრივი რეგულირების მექანიზმშიც ძალა იხარჯება ორი ამოცანის გადაწყვეტისათვის: პირველი – ინერციისა და დაბრკოლებების გადალახვა და მეორე – სასარგებლო სამუშაოები, ანუ იმისთვის, რაც პრაქტიკულად არის მექანიზმის მიზანი. ახასიათებს რა ამ გარემოებას, ჩემი აზრით, ლ.ტიხომიროვი სავსებით სამართლიანად ხაზს

უსვამს, რომ მექანიზმი მით უფრო სრულყოფილია, რაც უფრო მაღალია იმ ძალის პროცენტი, რომელიც მიდის სასარგებლო სამუშაოებზე¹.

აღნიშნული გარემოება განაპირობებს საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგულირების პროცესში ისეთი სამართლებრივი საშუალებების შერჩევასა და ჩართვის ობიექტურ აუცილებლობას, რომლებიც ერთობლივად, სისტემური ზემოქმედებით უზრუნველყოფენ სუბიექტთა პოზიტიური ინტერესების დაკმაყოფილებას. ვინაიდან, სწორედ სამართლებრივი საშუალებები ქმნიან სახელმწიფოსა და საზოგადოების მიერ სოციალური კავშირების მოწესრიგების პროცესში პოზიტიური რეგულაციური ფაქტორების გაძლიერებისა და წინააღმდეგობების დაძლევის შესაძლებლობას. ახასიათებს რა ამ ვითარებას, ვ.სირიხი ხაზს უსვამს, რომ ეფექტიანად მოქმედი ნორმები განამტკიცებენ ისეთ იურიდიულ საშუალებებს, რომლებიც მიმართულნი არიან ნეგატიური ფაქტორების ნეიტრალიზებისაკენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ ფაქტორების მოქმედება იქნება უფრო ინტენსიური, ვიდრე სამართლებრივი საშუალებებისა. შესაბამისად, სამართლის ნორმების მოქმედების რეზულტატი განსხვავებულია იმისგან, რასაც სამართალშემოქმედების ორგანო გეგმავდა².

¹ Тихомиров Л.А., *Монархическая государственность*, СПб, 1992, с. 415.

² Сырых В.М. *Истинность и правильность как критерий теоретической эффективности норм права; "Эффективность закона"*, Под. ред. Ю.А. Тихомирова, М., 1997, с.10.

ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ სამართლებრივი რეგულირების მიზნების მიღწევა დაკავშირებულია თვითონ ამ პროცესის ეფექტიანობის ხარისხთან, ეს უკანასკნელი კი ლოგიკურად უკავშირდება სამართლებრივი საშუალებების, როგორც მეცნიერული კატეგორიის პრობლემას, ვინაიდან, როგორც ა.მალკო აღნიშნავს, „სამართლის მაღალი პროდუქტიულობის წინაპირობა ბრძნულად ამორჩეული და პრაქტიკაში გამოცდილი იურიდიული საშუალებებია“³.

აღნიშნული გარემოება, ერთი მხრივ, აფუძნებს სამართლებრივი საშუალებების, როგორც იურიდიული ფენომენისა და მეცნიერული კატეგორიის ღირებულებას, ხოლო მეორე მხრივ კი, წარმოშობს მითითებული პრობლემის დეტალური შესწავლისა და სრულყოფილი ანალიზის ობიექტურ აუცილებლობას, ვინაიდან, მიმაჩნია, რომ სამართლებრივი რეგულირების მექანიზმისა და მთლიანად სამართლებრივი სისტემის ცნების შინაარსობრივი გააზრება, სამართლებრივი საშუალებების ფენომენის განხილვის გარეშე, პრაქტიკულად შეუძლებელია. ამასთან, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის ვითარებაც, რომ სწორედ სამართლებრივი საშუალებებია საზოგადოების წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტის სოციალურად აუცილებელი, ობიექტურად კანონზომიერ და იმავდროულად ოპტიმალური და ადეკვატური ხერხი. შესაბამისად, ისინი გამოხატავენ სამართლის, როგორც საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგულატორის სოციალურ ღირებულებებს.

ამ თვალსაზრისით, სავსებით სამართლიანად უთითებს ა.მალკო, რომ სამართლებრივი საშუალებების პრობლემის სათანადო გადაჭრის გარეშე შეუძლებელია სამართლებრივი რეგულირების მექანიზმის ოპტიმიზირება, მთლიანად სამართლებრივი სისტემის მიმართვა სოციალურად ნაყოფიერ სამუშაოებზე⁴. სწორედ, ეს ვითარება ზრდის ზემოხსენებული ფენომენის მეცნიერულ და პრაქტიკულ მნიშვნელობას, შესაბამისად, მისი თავისდროული, ხარისხიანი სრულყოფა სამართალშემოქმედებისა და სამართლის რეალიზაცი-

ის პროცესში სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ სამართლებრივი საშუალებების კატეგორია დღემდე არ არის სრულყოფილად შესწავლილი. იურიდიულ მეცნიერებაში იგი გამოიყენება სათანადო გამიფვრის გარეშე, ქაოსურად, ისე როგორც თავისთავად გასაგები. მართალია, ამ ცნების ქვეშ გულისხმობენ განსხვავებულ სამართლებრივ მოვლენებს, მაგრამ ყოველგვარი აზრობრივი საზღვრების დადგენის, „მიზნის“ და „რეზულტატის“ კატეგორიების მკაცრი გამიჯვნის გარეშე. მაშინ, როცა სწორედ მითითებული კატეგორია არის სამართლებრივი რეგულირების მექანიზმის მამოძრავებელი ძალა და აკავშირებს იდეალურს (მიზანი) რეალურთან (რეზულტატი). ამ ჭრილში განიხილებიან სამართლებრივი სინამდვილის შემადგენელი განსხვავებული იურიდიული მოვლენები საშუალებების რანგში და მოქმედებენ ჯაჭვში „მიზანი-საშუალება-რეზულტატი“⁵.

„საშუალების“ ცნება იურისპრუდენციაში გამოიყენება განსხვავებული მნიშვნელობით: კერძოდ, ზოგიერთი ავტორი მას იყენებს მთლიანად სამართალთან მიმართებაში⁶, სხვები კი სამართლებრივი რეგულირებისა და მის მექანიზმთან მიმართებაში⁷. ამაში გასაკვირი არაფერია, ვინაიდან, სამართალი, როგორც საზოგადოებისათვის პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე საკითხების გადაწყვეტისა და ადამიანთა ინტერესების დაკმაყოფილების ინსტრუმენტი, შეიძლება შეფასდეს როგორც საშუალება. სამართლის ამ თვალსაზრისით განხილვას და დახასიათებას იურიდიულ მეცნიერებაში უწოდებენ ინსტრუმენტალურ მიდგომას და სამართლებრივი საშუალებების კატეგორია მის ფარგლებში გამოიკვლევა. აღსანიშნავია ისიც, რომ სწორედ ამ კატეგორიას ენიჭება არსებითი მნიშვნელობა ინსტრუმენტალური მეცნიერული მიდგომის დაფუძნებისათვის, რომელიც სამართლებრივი სინამდვილის მოვლენებს წარმოაჩენს ეკონომიკური, ორგანიზა-

⁵ იქვე.

⁶ Халфина Р.О. Право как средство социального управления, М., 1988, с. 278-279.

⁷ Алексеев С.С. Теория права, 2-е изд. М., 1995, с. 217-223.

³ Малько А.В. Проблемы теории государства и права, М., 1999, с. 322.

⁴ იქვე, გვ. 321.

ციული, პოლიტიკური და სხვა სოციალური ამოცანების გადაწყვეტის საშუალებების (ინსტრუმენტების) რანგში⁸. ამასთან, ასეთი მიდგომა ნაკარნახევია არა მარტო თეორიული, არამედ უდიდესი პრაქტიკული მოთხოვნებითაც და იგი დიდი ხანია ფართოდ გამოიყენება დასავლეთის იურისპრუდენციაში⁹.

სწორედ აღნიშნული გარემოებით იყო განპირობებული, რომ ისევე როგორც სხვა ბევრი იურიდიული ცნება, სამართლებრივი საშუალებების კატეგორია, მიუხედავად იმისა, რომ იგი არის ზოგად თეორიული პრობლემა, თავდაპირველად ანალიზირდებოდა მხოლოდ დარგობრივ დონეზე – სამოქალაქო სამართლის სფეროში, სადაც განხილვებოდა როგორც სუბიექტების მიერ შესაბამისი ამოცანების გადაწყვეტისა და ინტერესების დაკმაყოფილების იურიდიული ხერხი¹⁰.

იურიდიულ მეცნიერებაში მითითებული ცნების შემოხსენებულმა ცალმხრივმა ინტერპრეტაციამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა სამართლის, როგორც სოციალური მოვლენისა და ფენომენის როლისა და მნიშვნელობის დაკნინება. კერძოდ, ასეთმა მიდგომამ ზოგიერთი ავტორი მიიყვანა იმ აზრამდე, რომ თითქოს სამართალი ფილოსოფიურ-სოციოლოგიური კუთხით ხასიათდება მხოლოდ როგორც „საშუალება“¹¹, ან თითქოს, იურიდიული საშუალებების განხილვისას საუბარია სამართლებრივი მოვლენების რაღაც განსხვავებულ კლასზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი მიდგომა აშკარად არასწორია და ამახინჯებს სამართლის ბუნებას. კერძოდ, ჩემი აზრით, თუ სამართალს განვიხილავთ მხოლოდ როგორც საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგულატორს, მაშინ, მისი მისია, პირველ რიგში, მართლაც შემოიფარგლება ინსტრუმენტალური ანუ „ინსტრუმენტის“ „საშუალებების“ ღირებულებით. მაგრამ მიმაჩნია, რომ, გარდა შემოხსენებული დანიშნულებისა, სამარ-

თალს გააჩნია საკუთარი ღირებულებაც, რომელიც დემოკრატიულ საზოგადოებაში იძენს დომინირებულ მნიშვნელობას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სამართალი როგორც იდეალი – არის ღირებულება, რომელიც არ არის დამახასიათებელი არც ერთი სხვა სოციალურ-პოლიტიკური მოვლენისათვის. მისი ეს ღირებულება ყველაზე ზოგადი სახით ვლინდება და გამოიხატება ადამიანის მოწესრიგებულ თავისუფლებაში, სამართლიანობაში, კონსენსუსში და სხვა.

ახასიათებს რა მითითებულ გარემოებას, ა. მალკო სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ ცივილიზაციის, სოციალური ფენომენის, კულტურის ელემენტის, თავისუფლებისა და სამართლიანობის საზომის თვალსაზრისით, სამართალი მნიშვნელოვანწილად ხასიათდება როგორც მიზანი საზოგადოებასთან მიმართებაში¹².

ამასთან, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ სამართლებრივი საშუალებები არ ქმნიან რაღაც განსაკუთრებულ, სამართლის დოგმის ტრადიციული, დაფიქსირებული გაგებისაგან პრინციპულად განსხვავებულ სინამდვილეს. უბრალოდ, ეს არის სხვადასხვა დონის სამართლებრივი ფენომენების მთელი არსენალი და სპექტრი, მხოლოდ ერთი თავისებურებით, კერძოდ, ისინი განიხილებიან არა მხოლოდ იურიდიული პრაქტიკის, საჭიროების, არამედ მათი ფუნქციონალური დანიშნულების პოზიციიდან, ანუ იმ ნიშნებით, რომლებიც მათ ახასიათებენ როგორც სამართლებრივი რეგულირების, ეკონომიკური და სოციალური ამოცანების გადაწყვეტის ინსტრუმენტებს. სამართლებრივი საშუალებების სწორედ ამ თავისებურებას გამოყოფს ს.ალექსევი და უთითებს, რომ სამართლებრივი საშუალებები შეიძლება ემთხვეოდნენ ან არ ემთხვეოდნენ იურიდიულ მეცნიერებაში ტრადიციულად გამოყოფილ ფენომენებს, რომლებიც შეესაბამებიან სამართლის დოგმის ელემენტებს, მაგრამ ყველა შემთხვევაში, ჩვენს წინაშეა სამართლებრივი სინამდვილის ფრაგმენტები, განხილული მათი ფუნქციების, სამართლებრივი რეგულირების ინსტრუმენტების თვალსაზრისით¹³.

⁸ Алексеев С.С. Правовые средства, журн. „Советское государство и право“, 1987, №6, с. 18.

⁹ Jammers R.S. Instrumentalism and American Legal Theory. Cornell University Press, 1982.

¹⁰ Пугинский Б.И. Гражданско-правовые средства в хозяйственных отношениях, М., 1984, с. 87.

¹¹ Белых В.С. Российский юридический журнал, 1993, №26, с. 53.

¹² Малько А.В. Теория государства и права, М., 1997, с. 621.

¹³ Алексеев С.С. Право, М., 1999, с. 350.

სამართლებრივი საშუალებების ცნებას იურიდიულ მეცნიერებაში განმარტავენ განსხვავებულად, რაც, პირველ რიგში, უკავშირდება იმას, თუ მის მახასიათებელ რომელ ნიშანზე ვამახვილებთ აქცენტს. მაგალითად, ა. მალკო სამართლებრივ საშუალებებს განმარტავს, როგორც ყველა იმ იურიდიულ ინსტრუმენტს, რომელთა მეშვეობითაც კმაყოფილდება სამართლის სუბიექტთა ინტერესები და უზრუნველყოფილია დასახული მიზნების მიღწევა¹⁴. შესაბამისად, ავტორი იურიდიული საშუალებების ცნების ქვეშ გულისხმობს სამართლებრივი სინამდვილის ისეთ ელემენტებს, როგორებიცაა: სამართლის ნორმები, ხელშეკრულებები, იურიდიული ფაქტები, სამართლის შეფარდების აქტები, სუბიექტური უფლებები და იურიდიული მოვალეობები, აკრძალვები და სხვა. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში, ა.მალკო ყურადღებას ამახვილებს მითითებული კატეგორიის მხოლოდ რეგულაციურ ფუნქციაზე.

ს.ალექსეევი კი, მართალია, სამართლებრივი საშუალების ცნების ქვეშ მოიაზრებს ანალოგიურ იურიდიულ ფენომენებს, მაგრამ თვითონ კატეგორიას განსაზღვრავს როგორც ფიქსირებული თვისებების მქონე ობიექტირებულ სუბსტანციურ მოვლენებს, რომლებიც იძლევიან სამართლის პოტენციალის, ძალისა და ენერჯის რეალიზაციის შესაძლებლობას და რომლებსაც ენიჭებათ მისი აქტიური ცენტრების როლი¹⁵. ე.ი. ამ შემთხვევაში ავტორი ყურადღებას ამახვილებს მითითებული კატეგორიის არა მარტო რეგულაციურ დანიშნულებაზე, არამედ იგი, ფაქტობრივად, დახასიათებულია ფუნქციონალური თვალსაზრისითაც.

მიმაჩნია, რომ ეს უკანასკნელი განმარტება გაცილებით სრულყოფილად და ადეკვატურად წარმოაჩენს სამართლებრივი საშუალებების, როგორც მეცნიერული კატეგორიის სახეს და ბუნებას, ვინაიდან, ხაზს უსვავს მის დამახასიათებელ ორ ძირითად ნიშანს: პირველი – იმას, რომ სამართლებრივი საშუალებები განეკუთვნებიან სუბსტანციურ იურიდიულ მოვლენებს და მეორე – ისინი ხასიათდებიან აქტიურ-მოქმედებით,

თი, ფუნქციონალური თვალსაზრისით. უფრო დეტალურად განვიხილოთ თითოეული ეს ნიშანი.

როგორც ცნობილია, სამართლებრივ სინამდვილეში გარკვეული როლი ეკისრებათ მოვლენა-რეგულაციურებს, სწორედ ისინი ქმნიან სამართლებრივი მატერიის მნიშვნელოვან ნაწილს, ანუ იმას, რასაც სამართლიანად უწოდებენ სამართლებრივი სისტემის სუბსტანციას¹⁶. სწორედ ამ ნიშნით ენიჭებათ სამართლებრივ საშუალებებს სუბსტანციური მოვლენების სტატუსი და ისინი არიან სამართლებრივი სისტემის შემადგენელი ელემენტები. დიახ, სამართლებრივი სისტემის და არა სამართლის სისტემის ელემენტები, როგორც ამას აღნიშნავს ვ.ა.საპუნი. კერძოდ, იგი პრაქტიკულად აიგივებს მითითებულ ორ კატეგორიას და ხაზს უსვავს, რომ ინსტრუმენტალური თეორია, რომლის ფარგლებშიც გამოიკვლევა სამართლებრივი საშუალებები, წარმოადგენს სამართლის, როგორც სამართლებრივი საშუალებების სისტემის გარკვეული ასპექტის მიზანმიმართულ და კონკრეტულ გამოკვლევას¹⁷.

უფრო მეტიც, პრობლემისადმი აღნიშნულმა დამოკიდებულებამ, ზოგიერთი ავტორი მიიყვანა მეორე, არანაკლებ ნეგატიური მნიშვნელობის მქონე უკიდურესობასთან, რომლის თანახმადაც, სამართლებრივი საშუალებების ცნების ქვეშ მოაზრებულია მთელი სამართლებრივი სინამდვილის მხოლოდ გარკვეული ჯგუფები და ფრაგმენტები, ანუ ვიწრო წრე, მათ შორის ისეთები, რომლებიც ატარებენ „არანორმატიულ“ ხასიათს¹⁸.

ჩემი აზრით, მითითებული მოსაზრებები უსაფუძვლოდ ავიწროებს სამართლებრივი საშუალებების ცნების ფარგლებს და გამომდინარეობს თვით სამართლებრივი სისტემის ცნების ვიწრო გაგებიდან. კერძოდ, სამართლებრივი საშუალებების ცნება, პირველ რიგში, განსაზღვრავს სამართლებრივი სისტემის ფუნქციონალურ მხარეს და საშუალებას გვაძლევს დავინახოთ სამართლებრივი სისტემის შემადგენელი ცალკეუ-

¹⁶ Алексеев С.С. Правовые средства, журн. “Советское государство и право”, 1987, №6, с. 14.

¹⁷ Сапун В.А. Инструментальная теория права в юридической науке, журн. “Советское государство и право”, Владивосток, 1992, с. 18.

¹⁸ ბ. პუგინსკის დასახ. ნაშ., გვ. 83-84.

¹⁴ Малько А.В. Теория государства и права, М., 1997, с. 621.

¹⁵ Алексеев С.С. Право, М., 1999, с. 350-351.

ლი იურიდიული მოვლენის ადგილი და როლი როგორც სამართლებრივი მოწესრიგების ერთიან პროცესში, ასევე მთლიანად სამართლებრივი რეგულირების მექანიზმში. სწორედ სამართლებრივი საშუალებები გამოდიან მოცემული მექანიზმის ელემენტებად და ახასიათებენ მას, როგორც ლოგიკურად დასრულებულ სისტემას¹⁹.

ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ სამართლებრივი საშუალებები, როგორც სუბსტანციური მოვლენები, ერთი მხრივ, არიან მთლიანად სამართლებრივი სისტემის და არა სამართლის სისტემის შემადგენელი ელემენტები, ხოლო, მეორე მხრივ, სამართლებრივი რეგულირების მექანიზმის ცალკეული რგოლები. სწორედ აღნიშნული გარემოება განაპირობებს იმას, რომ სამართლებრივი საშუალებები მონაწილეობენ როგორც სამართლებრივი რეგულირების, ასევე სამართლებრივი ზემოქმედების პროცესში. ეს უკანასკნელი კი, როგორც ვიცით, გაცილებით ფართო კატეგორიაა და „მექანიზმისაგან“ განსხვავებით მოიცავს საზოგადოებრივ ურთიერთობებზე სამართლებრივი სისტემის ელემენტების მთელი სპექტრის ზემოქმედებას²⁰.

არანორმატიული ხასიათის მქონე იურიდიული საშუალებების სამართლებრივი სინამდვილის ცალკეული, ვიწრო დაჯგუფებების რანგში განხილვისას კი, ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ, ჯერ ერთი, სამართლებრივი საშუალებების პრობლემა არა იმდენად სამართლებრივი სინამდვილის ამათუიმ ფრაგმენტის დანაყოფებად და ჯგუფებად წარმოსახვის საკითხია, რამდენადაც მათი განსაკუთრებული ხედვაა მკაცრად განსაზღვრულ – ფუნქციონალური დანიშნულებისა და სოციალური ამოცანების ოპტიმალური გადაწყვეტის რაკურსში, ანუ, ამ შემთხვევაში სამართლებრივი სინამდვილის ელემენტები განხილულია მათი ფუნქციებისა და იურიდიული ზემოქმედების ინსტრუმენტების თვალსაზრისით²¹.

მეორე მხრივ კი, ასეთი იურიდიული მოვლენების „არანორმატიულობა“ საერთოდ გამორ-

იცხავს „სამართლებრივის“ რანგში მათი შეფასების შესაძლებლობას და შესაბამისად ისინი არ შეიძლება განიხილებოდნენ სამართლებრივ საშუალებებად²².

რაც შეეხება სამართლებრივი საშუალებების ფუნქციონალურ დახასიათებას, მიმაჩნია, რომ თვითონ ამ პრობლემის დასმა უკვე გულისხმობს იმას, რომ სამართლის ნორმები, ინდივიდუალური აქტები და სხვა იურიდიული ინსტრუმენტები განიხილებიან, უპირველეს ყოვლისა, მათი აქტიურ-მოქმედებითი რეგულაციური დანიშნულებით. მხოლოდ ამ ნიშნებით ხასიათდებიან ისინი, როგორც ინსტრუმენტები და გარკვეული სოციალური ამოცანების, ცხოვრებისეული იდეალებისა და ღირებულებების განხორციელების საშუალება.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „სამართლებრივი საშუალებების“ ცნებასთან ერთად, იურიდიულ მეცნიერებაში გამოიყენება მისი მსგავსი სხვა ისეთი ტერმინებიც, როგორებიცაა: „სამართლებრივი მოვლენები“, „სამართლებრივი ფენომენები“, „სამართლებრივი ფაქტორები“, „სამართლებრივი ფორმები“ და სხვა. რა თქმა უნდა, თითოეულ მათგანს გააჩნია აბსოლუტურად დამოუკიდებელი მნიშვნელობა, მაგრამ, ჩემი აზრით, როცა საუბარია კონკრეტულად სამართლებრივი რეგულირების მექანიზმის ელემენტებზე, მაშინ, სავსებით შესაძლებელია მათი გამოყენება სინონიმების სახით. ახასიათებს რა ამ გარემოებას, ვგორშენევი სამართლიანად აღნიშნავს: „რაც არ უნდა ვუწოდოთ სამართლებრივი რეგულირების ელემენტებს – სამართლებრივი ფორმები, ფუნქციები თუ ორგანიზაციული მხარე, საქმის არსი არ იცვლება, ვინაიდან, ყველა შემთხვევაში საუბარია სამართლებრივი რეგულირების შემადგენელ კომპონენტებზე და რგოლებზე“²³.

სამართლებრივი საშუალებები, პირველ რიგში, ერთმანეთისაგან განსხვავდებიან შემადგენლობით და დონით. სწორედ მითითებული გარე-

¹⁹ Исаков В.Б. Механизм правового регулирования, М., 1987, с. 266.

²⁰ Черданцев А.В. Теория государства и права, М., 1999, с. 342-343.

²¹ Алексеев С.С. Право, М., 1999, с. 349.

²² Калмыков Ю.Х., Баринов Н.А. Правовые средства обеспечения имущественных потребностей граждан, Свердловск, 1984, с. 49-51.

²³ Горшенев В.М. Участие общественных организаций в правовом регулировании, М., 1963, с. 33.

მოებაა მათი კლასიფიკაციის ძირითადი ნიშანი. კერძოდ, შემაღლებლობის მიხედვით იურიდიულ მეცნიერებაში ანსხვავებენ ცალკეულ სამართლებრივ საშუალებებს და მათ კომპლექსებს, ხოლო დონის მიხედვით კი – სამართლებრივი რეგულირების მექანიზმის ძირითადი ელემენტების (იურიდიული ნორმები, სამართლებრივი ურთიერთობები, სამართალშეფარდების აქტები), სამართლებრივი რეჟიმების იურიდიული საშუალებების ბლოკი, რომლებიც მიმართულია სამართლებრივი რეგულირების პროცესში სპეციალური ამოცანების რეალიზაციას (საჩივარი, სარჩელი, ჯარიმა) დონეებს²⁴. ჩემი აზრით, სამართლებრივი საშუალებების ცნების განსხვავებული ინტერპრეტაცია სწორედ იმით აიხსნება, რომ თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში მათი განხილვა უსაფუძვლოდ წარმოებს მხოლოდ ერთი დონის ფარგლებში.

გარდა ამისა, სამართლებრივი საშუალებების კლასიფიკაციის ერთ-ერთი ძირითადი საფუძველია ის, თუ რომელი სუბიექტები და რა მიზნით იყენებენ მათ. ამ მიმართებით განსხვავებენ სამართლებრივ საშუალებებს, რომლებსაც იყენებენ კომპეტენტური ორგანოები ნორმატიული აქტების მომზადების პროცესში და სამართლებრივ საშუალებებს, რომელიც გამოიყენება ინდივიდუალური აქტების მომზადებისას²⁵.

ამასთან, სავსებით სამართლიანად უთითებენ იურიდიულ ლიტერატურაში, რომ სამართლის სისტემის დარგებად დაყოფის ძირითადი კრიტერიუმი, სამართლებრივი რეგულირების საგანთან

ერთად, არის რეგულირების მეთოდიც და მისთვის დამახასიათებელი სამართლებრივი საშუალებებიც²⁶. შესაბამისად, დარგობრივი პრინციპის მიხედვით, განსხვავებენ კონსტიტუციურ, სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და ა.შ. სამართლებრივ საშუალებებს. მათ შეიძლება გააჩნდეთ მატერიალური და პროცესუალური, ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით კი, რეგულაციური და დაცვითი ხასიათი²⁷.

ამრიგად, სამართლებრივი საშუალებების ცნების დამახასიათებელი შეიძლება დავასკვნათ, რომ მითითებული კატეგორია, თავისი თვისებებით, პრაქტიკულად წარმოაჩენს მთლიანად სამართლის შესაძლებლობებს, მის პოტენციალს. სწორედ ისინი ანიჭებენ ამ ურთულეს სოციალურ მოვლენას ღირებულებას.

ამასთან, სამართლებრივი საშუალებების უპირველესი ფუნქცია არის სამართლებრივი რეგულირების მიზნების მიღწევა და იგი იმაში ვლინდება, რომ მოცემული ფენომენები უზრუნველყოფენ სუბიექტთა შეუფერხებელ მოძრაობას ღირებულებებისაკენ და მათი ინტერესების კანონიერ და სამართლიან დაკმაყოფილებას. ახასიათებს რა ამ გარემოებას, გ.შერშენევიჩი აღნიშნავს, რომ ინტერესთა უზრუნველყოფის სამართლებრივი საშუალებები გულისხმობენ სწორედ ისეთი ნების არსებობას, რომელიც ითავისებს საშიშროებას და თავს იკავებს დარღვევისაგან²⁸.

გარდა ამისა, სამართლებრივ საშუალებებს არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებში შეაქვთ ცივილიზებულიობა და სხვა სოციალურ მოვლენებთან ერთად განაპირობებენ მის ოპტიმიზაციას.

ბენალი ქაჩიბაია,
საქართველოს გენერალური პროკურატურის
საგამომძიებო ნაწილის განსაკუთრებით
მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი.



²⁴ Алексеев С.С. Правовые средства, журн. “Советское государство и право”, 1987, №6, с. 16.

²⁵ იქვე, გვ. 17.

²⁶ Халфина Р.О. журн. “Советское государство и право”, 1978, №9, с. 131.

²⁷ Малько А.В. Теория государства и права, М., 1997, с. 621.

²⁸ Шершеневич Г.Ф. Общая теория права, М., 1912, с. 639.

სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის სამართლებრივი ფორმების მოკლე დახასიათება

ნაშრომში შევეცადე განმეხილა ამ ორი სუბიექტის თანაარსებობის საშუალებები და მაგალითები სხვადასხვა სახელმწიფოში დანერგულ გამოცდილებათა ფონზე, დაწყებული ჩვენი წელთაღრიცხვით, დამთავრებული დღევანდელი რეალობით. უპრიანი იქნებოდა ბიზანტიის მაგალითით დაწყება და განვიხილოთ თუ როგორ რეგულირდებოდა იქ ამ ორი სუბიექტს შორის ურთიერთობა, რომელ სამართლებრივ საფუძველზე და რომელ კანონთა საშუალებით. ვიდრე კონკრეტულ მაგალითებს შევეხებოდე, აუცილებელია თითოეული სუბიექტის მოკლედ დახასიათება, მათი წარმომავლობა, წყაროები, მოქმედების სფერო და საშუალებები. ე. ი. საუბარი დავიწყოთ სახელმწიფო და საეკლესიო ხელისუფლებით. ანუ სამოქალაქო და სასულიერო ხელისუფლების დახასიათებით.

სასულიერო ხელისუფლება განაგებს იმას, რაც შინაგან სულიერ მდგომარეობას ეხება, სამოქალაქო კი, გარეგან საქმეებს. სამოქალაქო მართავს სამოქალაქო კანონებით, სასულიერო – ღვთის სიტყვით. ეკლესიას ორი უმთავრესი ფუნქცია აკისრია: შინაგანი, საკრალური – ეკჟარისტული, მიმართული წმიდა ბარძიმისაკენ და გარეგანი – რომლის ამოცანაც არის ქვეყანასთან ურთიერთობის დამყარება. პირველი ამოცანის განსახორციელებლად ეკლესიაში დაწესებულია სამღვდლო დასი; ხოლო მეორე ამოცანის განხორციელებისათვის იერარქია საეროთა ანუ მეფობა. ანუ საუბარია ერის უმაღლესი ხელისუფალის ღვთითუკურთხევაზე, უფლის ნებაზე მისი არჩევისათვის, რაც არ

გამორიცხავს მათ განსხვავებას ერთმანეთისაგან, პირიქით, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის საჭირო დამოკიდებულება კარგად რომ წარმოვიდგინოთ, მათი ბუნების განსხვავება კარგად უნდა გვესმოდეს.

ეკლესია უშუალოდ უფლის მიერ არის დაფუძნებული; სახელმწიფო ხელისუფლების ღვთისუფლებადგენა კი ისტორიული პროცესით არის გაშუალებული, რომელიც ღვთის ნებით აღესრულება. ეკლესიის მიზანი ადამიანთა მარადიული გადარჩენაა, ხოლო სახელმწიფოს მიზანი მათთვის მიწიერი კეთილდღეობის შექმნაში მდგომარეობს.

თავის მიზნებს ისინი, შესაბამისად, სხვადასხვა საშუალებებით ახორციელებენ, სახელმწიფო მატერიალურ ძალას, მათ შორის ფიზიკურ ძალდატანებასაც ეყრდნობა, ხოლო ეკლესია მხოლოდ რელიგიურ ზნეობრივ საშუალებებს ფლობს.

საეკლესიო და სახელმწიფო საქმეების ერთმანეთში აღრევა რომ არ მოხდეს და საეკლესიო მთავრობამ საერო ხასიათი რომ არ შეიძინოს, საეკლესიო კანონები სამღვდლო დასს სახელმწიფო მმართველობის საქმეში მონაწილეობას უკრძალავს, მათთვის მხოლოდ წარმომადგენლობით ორგანოებში მონაწილეობის მიღებაა დასაშვები. მოციქულთა 81-ე კანონი გვაუწყებს: "არა უხმს ეპისკოპოსს, ანუ ხუცესსა, რაითა არწმუნნეს თავსა თვისსა საერონი განგებანი, არამედ რაითა მოცალე იყოს საეკლესიოთათვის ზრუნვათა". იგივეა ნათქვამი მე-6 და მე-7 მსოფლიო საეკლესიო კრებების მე-10 კანონებში.

სახელმწიფო და ეკლესია ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი არიან, მაგრამ ეს დამოუკიდებლობა აბსოლუტური ხასიათის არ არის. სახელმწიფოს, როგორც მიწიერ ძალას, სულიერი და ზნეობრივი ძალების გარეშე დიდხანს არსებობა არ შეუძლია, რადგან ზნეობრივი საყრდენის გარეშე ისეთ საზოგადოებად გადაიქცევა, რომელიც ცხოველთა მსგავსად უბრალოდ ფიზიკური ძალით იცხოვრებს. ეკლესიას კი, როგორც სულიერ და დამოუკიდებელ ძალას, არსებობა სახელმწიფოს გარეშეც შეუძლია, თავისი მიზნების განსახორციელებლად საკუთარ სულიერ საშუალებებს ისე გამოიყენებს, რომ სახელმწიფოსა და მისი მიწიერი საშუალებებით დახმარება არ დასჭირდება. ეპისკოპოსი ნიკოდიმი წერდა: "ეკლესია ამქვეყნიური სამეფო არ არის, მაგრამ იგი აქ არსებობს, ამიტომ მისი წევრები ამავე დროს სახელმწიფოს წევრებიც უნდა იყვნენ და აქედან გამომდინარე, როგორც საეკლესიო, ისე სამოქალაქო კანონებსაც უნდა დაემორჩილონ". სახელმწიფო, სცნობს რა კონპეტენციის ფარგლებს, სარწმუნოებრივ საკითხებზე ან ღვთისმსახურების ფორმებზე, ავტორიტეტული აზრების გამოთქმის პრეტენზია არა აქვს; ასევე, სახელმწიფო წყობილების ფორმათა ან სამთავრობო ღონისძიებათა განსჯა მათი პოლიტიკური მიზანშეწონილობის თვალსაზრისით, ეკლესიის საქმე არ არის. თუმცა არსებობს სფეროები, რომლებიც ეკლესიისთვის და სახელმწიფოსთვისაც არ შეიძლება უმნიშვნელო იყოს. უპირველეს ყოვლისა, ეს საზოგადოებრივი ზნეობრიობაა, რომელიც, ერთი მხრივ, ადამიანთა ხსნისათვის ეკლესიას, შემოქმედებით საქმიანობას უკავშირდება, ხოლო მეორე მხრივ – სახელმწიფოს მართვის მტკიცე შინაგანი საყრდენია და კიდევ – იგი სახელმწიფოში ეკლესიის უფლებრივი სტატუსია.

ეკლესიის პოზიცია იმ კოლიზიებთან დაკავშირებით, რომლებიც შესაძლოა ამ ორ სფეროში განვითარდეს, ერთგვაროვანი არ შეიძლება იყოს. ეკლესია აბსოლუტურად ჭეშმარიტ სწავლებას შეუცდომლად ქადაგებს და თვით ღმრთისაგან მომდინარე ზნეობრივ მცნებებს ხალხს გადასცემს, მას თავის სწავლებაში რაიმეს შეცვლა არ შეუძლია მაშინაც კი, თუ სახელმწიფო ინსტანციები რომელიმე სხვა სწავლებას დაადგენენ ან

გაავრცელებენ. ამ მხრივ ეკლესია სახელმწიფოსაგან სრულიად თავისუფალია და ამ დროს წარმოშობილ კოლიზიას ცალსახად წყვეტს.

მართლმადიდებელი სამყარო ჭეშმარიტ მმართველობად სიმფონიურ მმართველობას მოიწოდებს. ამის კლასიკური მაგალითია ბიზანტიის კანონთა კრებული „ეპინაგოგა“ (მე-9 საუკუნის მე-2 ნახევარი), სადაც ვკითხულობთ: "საერო ხელისუფლება და მღვდლობა ერთმანეთს ისევე ეკუთვნიან, როგორც ხორცი და სული, და სახელმწიფო მოწყობისათვის ზუსტად ისევე აოცილებელი არიან, როგორც ხორცი და სული ცოცხალი ადამიანისთვის. მათი კავშირი და თანხმობა სახელმწიფოს კეთილდღეობას განაპირობებს". VII მსოფლიო საეკლესიო კრების აქტებში იმავე აზრს ვხვდებით: "მღვდელი საიმპერატორო ხელისუფლების მაკურთხეველი და განმამტკიცებელია; ხოლო საიმპერატორო ხელისუფალი – სამართლიანი კანონების შემოქმედით ქვეყნის მმართველი". ჭეშმარიტი მმართველობის არსს, რომელიც სიმფონიას ეყრდნობა, ერთი მხრის მიერ მეორის განსაკუთრებული კომპეტენციის სფეროში შეჭრის გარეშე, არის ურთიერთთანამშრომლობა, ურთიერთდახმარება და ერთმანეთის მიმართ პასუხისმგებლობა. ეპისკოპოსი სახელმწიფო ხელისუფლებას იმიტომ ემორჩილება, რომ ისიც სახელმწიფოს ქვეშევრდომია და არა იმიტომ, რომ მისი საქმიანობის ხელისუფლება თითქოს სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლიდან მომდინარეობა; სწორედ ასევე სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელი ეპისკოპოსს იმიტომ ემორჩილება, რომ ისიც ეკლესიის წევრი და ცოდვილი ადამიანია, რომელიც ეკლესიისგან ხსნას ელის და არა იმიტომ, რომ მისი ხელისუფლება თითქოს ეპისკოპოსის ხელისუფლებიდან მომდინარეობს (ეპისკოპოსი ნიკოდიმი). ასე რომ, ეკლესიაც ჩვენი სახელმწიფოა, მხოლოდ სულიერი სახელმწიფო.

რაც შეეხება საეკლესიო სამართალს, ის საერო სამოქალაქო სამართლის პარალელურად, არსებული განსაკუთრებული შტოა, და მისი კანონები მუდამ მჭიდრო კავშირში იყო საერო კანონებთან. იმ მოტივით, რომ საერო კანონმდებლობათა განსჯადი დანაშაულებანი, პირველ რიგში, ზნეობრივი ნორმებით იკრძალებოდა ანუ ეკლესიის

მიერ. საერო ხელისუფალნი საეროს, საეკლესიოს კანონებს უქვემდებარებდნენ. მეტიც, იმპერატორები საეკლესიო კრებების დადგენილებებს ამტკიცებდნენ და ამით საიმპერატორო კანონებადაც აქცევდნენ. აღსანიშნავია მე-4 მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილების შესახებ იმპერატორ კონსტანტინე პოკონატის ედიქტი, რომლის მიხედვითაც, კრებაზე მიღებულ დადგენილებებზე საუბარი, არეულობის მიზნით, საჯარო თავშეყრის ადგილებში იკრძალებოდა, სასჯელს დაემორჩილებოდა ისეთი ქმედებაც, თუ კი ვინმე დოგმატიკას თავისი გონით განმარტავდა, რაიმეს დაუმატებდა ან შეცვლას შეეცდებოდა. სანქციები ამგვარ პირებს სოციალური მდგომარეობის და მიხედვით შეეფარდებოდათ, კერძოდ კი, თუ პირი ერისკაცი აღმოჩნდებოდა, მას ქონების კონფისკაცია და გადასახლება, ხოლო სასულიერო პირს – განკვეთა ემუქრებოდა.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო საეკლესიო კრებები საეკლესიო სამართლის წყაროა. საეკლესიო სამართლის წყარო ორ ჯგუფად იყოფა, ზოგად და კერძო ნაწილად.

1. ზოგადი ნაწილი შედგება: ა) წმ. წერილის; ბ) ეკლესიის გამოცდილების, რომელიც ორი სახით არის გამოხატული, მემკვიდრეობითი და ჩულებითი სახით, ანუ გადმოცემითი და რაც შეეხება ჩვეულებას, ის არის ერთი და იგივე ქმედების მსგავს პირობებში გამოვლენა; გ) საეკლესიო კანონების; დ) სახელმწიფო კანონებისაგან.

2. კერძო ნაწილს კი მსოფლიო და ადგილობრივ კრებათა კანონები და დადგენილებანი მიეკუთვნება.

რაც შეეხება ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის სამართლებრივ ფორმებს, გამოირჩევა შემდეგი მაგალითები:

1. სახელმწიფოსა და რელიგიის სრული გამიჯვნა;
2. სახელმწიფოსა და რელიგიის კორპორაციული გამიჯვნა;
3. რელიგიური პრიორიტეტი;
4. სახელმწიფო რელიგია.

1. სახელმწიფოსა და ეკლესიის სრული გამოყოფის მოდელია აშშ. ეს მოდელი ეფუძნებოდა იმიგრანტთა გამოცდილებას, რომელთა დიდი ნაწილიც სარწმუნოების დევნის გამო

გადასახლდა ამერიკაში. აქ საუბარია რელიგიური ორგანიზაციის სამართლებრივ სტატუსზე. აშშ-ში რელიგიურ ორგანიზაციებს საზოგადოებრივი ორგანიზაციების სტატუსი აქვთ. ისინი თავისი საქმიანობის განხორციელებისას ყველასათვის სავალდებულო კანონს ემორჩილებიან.

აშშ-სგან განსხვავებით, საფრანგეთში რელიგიური გაერთიანებები არა საზოგადოებრივ ინტსტიტუტებს, არამედ კერძო საქმეთა სფეროს განეკუთვნება. იქ არ არსებობს ოფიციალური რელიგია, ან ისეთი, რომელიც დომინანტია. იქ რელიგიურ ორგანიზაციად აღიარება სასამართლოს მიერ ხდება.

2. კორპორაციული გამიჯვნის მოდელია გერმანია. ეს მოდელი შვალედურია, როცა საქმე ეხება ადამიანზე ერთობლივ ზრუნვას. ამ შემთხვევაში ორივე ინსტიტუტი კოოპერაციულად მოქმედებს. ეკლესია და სხვა რელიგიური საზოგადოებები არიან საჯარო სამართლის კორპორაციები. საზოგადოებრივი სასამართლო ხასიათით, ასევე არსებობს შეზღუდული სამართლის ზედამხედველობა.

3. იმ ევროპულ სახელმწიფოებში, სადაც ტრადიციული რელიგიები არსებობენ, ისინი გარკვეული პრიორიტეტით სარგებლობენ. ამ სახელმწიფოებში არსებობს ურთიერთ რეგულირების სამსაფეხურიანი სისტემა:

1-კონკორდატის სისტემა, რომელიც კათოლიკურ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის იდება;

2-შეთანხმებები, რომლებსაც კონფესიები დებენ სახელმწიფოსთან;

3-რელიგიური ორგანიზაციები, რომლებიც კანონით დადგენილი წესით რეგისტრაციას ექვემდებარებიან;

4. რელიგიური სახელმწიფოს სტატუსის მინიჭება ნიშნავს, რომ მისი ისტორიისა და ტრადიციების გათვალისწინებით ესა თუ ის რელიგია სახელმწიფოს ნაწილი ხდება და მის უშუალო მმართველობის სფეროში ექცევა. ეს გარანტირებულია კონსტიტუციით. ამ მოდელის მაგალითია დიდი ბრიტანეთი. ინგლისის ეკლესია სახელმწიფო ეკლესიაა და მის სათავეში დედოფალი დგას, იგი ლორდთა პალატაში 24 ეპისკოპოსითაა წარმოდგენილი. ამით ეკლესია სახელმწიფოს ნაწილია.

ამ საკითხზე მსჯელობა რამდენიმე ტიპის დასახელებით უნდა დავიწყოთ, ესენია "კონკორდატი" და "საეკლესიო ხელშეკრულება". ეს პრობლემატიკა კი შვეიცარიის, გერმანიისა და იტალიის სამართლებრივი სისტემების ფონზე განვიხილოთ. კონკორდიუმის დეფინიცია, და აქედან გამომდინარე მისი სამართლებრივი მნიშვნელობა და მიზანი, ერთმანეთისაგან განსხვავებულია ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყნებში. მაგალითად, შვეიცარიაში ნებისმიერი ინტერკანტონალური სამართლებრივი ბუნების მატარებელი ხელშეკრულება კონკორდიუმად არის სახელდებული.

მრავლის მომცველად აღიარებულია ტერმინი *conventio*. ის წმ. ტახტის მიერ დადებული ხელშეკრულების აღმნიშვნელად მოიაზრება. ბოლო *conventio*-ის მოქმედების სფეროში ის ხელშეკრულებები, რომლებიც სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის არსებული ურთიერთობის საფუძვლიანად რეგულირებას ვეთავაზობენ და რომლებიც წმ. ტახტსა და სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენელს შორის იდება, შედარებით სპეციფიკური სახელწოდება აქვს, კერძოდ კი, *sollemnis* ან *conventio concordatum*. გერმანიაში მეცნიერები სწორედ ამ ტერმინოლოგიას ანიჭებენ უპირატესობას.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ აღნიშნული მოსაზრება აირეკლავს იტალიის რეალობას, რომელიც გერმანიაში შესაბამისად დაძველდა, ანუ კათოლიკურ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის. მოგვიანებით მსგავსი ურთიერთობების რეგულირების პრაქტიკა ევანგელურ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორისაც დაინერგა. მაგრამ ევანგელურ ეკლესიაში ტერმინ კონკორდიუმის ნაცვლად „საეკლესიო ხელშეკრულება“ დამკვიდრდა. პირველი ხელშეკრულება დაიდო პრუსიაში 1931წ. საეკლესიო ხელშეკრულება კონკორდიუმის იდენტურია, ის მხარეებს შორის ურთიერთობის საერთო ზოგად წესებს ადგენს, ცალკეულ საკითხთა ირგვლივ მიღწეულ შეთანხმებებს კი, საეკლესიო ხელშეკრულება უკვე აღარ ეწოდება. სპეციფიკურ ხელშეკრულებებში, ძირითადად, დასარეგულირებელი სფეროს სახელია მოხსენებული, მაგ., შეთანხმება კერძო სკოლათა შესახებ და ა.შ.

რაც შეეხება უახლოეს პრაქტიკას, გაჩნდა მოთხოვნილება ტერმინთა უფრო მეტი სიზუსტით გამოყენების შესახებ. აქედან გამომდინარე, ჩამოყალიბდა ცალკე სახელწოდება – „სახელმწიფო ეკლესიის ხელშეკრულება“. ეს აღნიშნავს ისეთ ხელშეკრულებას, რომელსაც საპარლამენტო და სინოდალური დამტკიცება, რატიფიცირება ესაჭიროება. წარმოიშვა მოსაზრება, რომ ყველა სხვა მოლაპარაკებას, შეთანხმება ან კონვენცია ეწოდოს.

სახელმწიფო ეკლესიის ხელშეკრულება კოდიფიკატორული ხელშეკრულებაა და საერთო რეგულირების ნორმების ასახვისკენ არის მიმართული. მისი უმაღლესი მიზანი საეკლესიო სამართლის პოზიციის დაფიქსირებაა სახელმწიფოსთან და კონსტიტუციასთან მიმართებით. ასე რომ, ისინი მუდმივ სამართლებრივ პოზიციას აფიქსირებენ და ამ ნორმათა ადგილმდებარეობას კონსტიტუციის სტრუქტურაში ლეგიტიმურად აღნიშნავენ.

კონკორდიუმსა და საეკლესიო ხელშეკრულებას შორის არსებულ განსხვავებაზე საუბარი შესაძლებელია ცალკეულ ეკლესიებში ჩამოყალიბებული სპეციფიკის მიხედვითაც. „საეკლესიო ხელშეკრულებისათვის“ საოჯახო სამართლის ნორმები ან მასთან დაკავშირებული რაიმე შეთანხმება არა დამახასიათებელია. „კონკორდატი“ არა არის სავალდებულო, რომ დოკუმენტის ანარეკლი იყოს, ხოლო „საეკლესიო ხელშეკრულება“ სპეციფიკის აბსოლუტური მატარებელია.

„სახელმწიფო საეკლესიო ხელშეკრულება“ იყოფა ორ ჯგუფად: „ურთიერთობის მარეგულირებელ“ და „დავლების აღმსრულებელ“ ხელშეკრულებად. პირველს ანუ კოოპერირებელ ხელშეკრულებათა რიცხვს განეკუთვნება შეთანხმებები სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების შესახებ და ა.შ. დავლების აღსრულების ხელშეკრულება ხასიათდება, როგორც ნორმათა ხელშეკრულებები ანუ საზოგადო წესების შემცველი ხელშეკრულებები. სტატუს-ხელშეკრულებები კი, პირიქით, კონკრეტულ შეთანხმებას ეხება.

„სახელმწიფო საეკლესიო ხელშეკრულება“ ადგენს აბსტრაქტულ წესებს, ადგენს ობიექტურ უფლებებს და იმას, თუ როგორ უნდა იმოქმედონ

სუბიექტებმა ანუ წარმოდგენს ნორმათა ხელშეკრულებას.

თავისთავად „ხელშეკრულების“ არსებობა დაშვებული უნდა იყოს კონსტიტუციის და საეკლესიო კანონების საფუძველზე. გერმანიის კონსტიტუცია კონკრეტულ ნორმას არ იძლევა, მაგრამ ეს მისთვის უცხო არ არის, ბევრ მუხლში ვხვდებით კონკრეტულ მოსაზრებებს ამის თაობაზე. საფუძველს იღებს ეს ნორმა ჯერ კიდევ ვაიმარის კონსტიტუციაში იქ ხელშეკრულების იდეა გამტკიცებულია 138-ე მუხლის 1-ელ აბზაცში.

გერმანიის სამართლებრივ სისტემაში ასევე არსებობს სახელმწიფო საეკლესიო სამართალიც, რომელიც ზემოთ ხსენებულ საკითხს და ეკლესიის ადგილს საზოგადოებაში კონსტიტუციის მიხედვით და ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთ უფლება-მოვალეობებს განმარტავს.

არსებობს მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც „კანონის წინაშე ყველა თანასწორია“. ეკლესიაზე ეს ნორმა არ ვრცელდება იქამდე, ვიდრე ის თავის კონპეტენციის ფარგლებს და მოვალეობას არ გასცდება. კოლიზიის შემთხვევაში, კანონმდებელი რეგულირების საშუალებად კონკორდიუმს გვთავაზობს.

რაც შეეხება საქართველოში ამ საკითხისადმი მიდგომას, ურთიერთობის შუალედურ ფორმად სახელმწიფოებო სისტემაა აღიარებული, ანუ საქართველო გარკვეულწილად რელიგიური პრიორიტეტისაკენ იხრება. შეთანხმება, პირველ ყოვლისა, აღიარების აქტია. აღიარება იმისა, რომ

მართლმადიდებელი ეკლესია სახელმწიფოსაგან გამიჯნულია და საჯარო სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტია, მას, სახელმწიფოსა და თვითმმართველობასთან ერთად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ კანონის რეგულირების სფეროში არ აქცევს. ხელშეკრულება, თავისი შინაარსით, ისეთი ძალის მქონე აქტია, რომელიც ნორმატიული აქტების იერარქიაში, კონსტიტუციის შემდეგ, იკავებს ადგილს, გარკვეულწილად, კონსტიტუციის მე-9 მუხლის გაგრძელებაა, მისი დაზუსტება და გაშლაა და, ამიტომ, იგი არის კონსტიტუციური ხელშეკრულება. კონსტიტუციური შეთანხმება სამართლის თეორიაში უცხო არ არის. ბევრად უფრო დამკვიდრებულია კონსტიტუციური კანონის ცნება, რომელიც ასევე არის კონსტიტუციის გაგრძელება, მაგრამ თუ კონსტიტუციური კანონი კონსტიტუციური ურთიერთობის სუბიექტთა სამართლებრივ მდგომარეობასა და მათ უფლება-მოვალეობებს განსაზღვრავს, კონსტიტუციური შეთანხმება კონსტიტუციურად ურთიერთგამიჯნულ სუბიექტებს შორის საერთო ინტერესების მქონე საკითხების რეგულირებას ემსახურება. ხელშეკრულებით დეკლარაციულ და ნორმატიულ დონეზე განისაზღვრება სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის ურთიერთობის პრინციპები, რომლებიც ორმხრივი ინტერესების მქონე საკითხებზე სხვა შეთანხმებების დადების საფუძველი შეიძლება გახდეს.

ნატო სომაია,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული
ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. “Записки по церковному законоведению”, Киев, 1848;
2. Красножен М., Краткий очерк церковного права, Юрьевъ, 1900.
3. Архиепископ Серафим (Соболев), Русская идеология, Петербург, 1994;
4. დეკანოზი არჩილ მინდიაშვილი, სახელმწიფოებრივი კატეხიზმო, თბ., 1999;
5. მარიამ ცაცანაშვილი, სახელმწიფო და რელიგია, თბ., 2001;
6. Staatskirchenrecht _ Dr. Axel Freiherr von Campenhausen; Muenchen, 1996.
7. Vertraege zwischen Staat und Kirche in der Bundesrepublik Deutschland, Frankfurt am Main, 1965.

კელაბობიური კონტროლი, როგორც სწავლების პროცესის გაუმჯობესების ერთ-ერთი მეთოდი

ცნობილია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია ერთადერთი უმაღლესი სპეციალიზებული იურიდიული სასწავლებელია, რომლის ამოცანაა შინაგან საქმეთა ორგანოებისათვის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება. ამ ამოცანის წარმატებით გადასაჭრელად შსს აკადემიის საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტია სასწავლო პროცესის ოპტიმალური რეჟიმით ორგანიზაცია.

ოპტიმალური რეჟიმის ცნებაში ვგულისხმობთ:
– სასწავლო პროცესის სწორად დაგეგმვას;
– სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სისტემას;
– კონკრეტული სასწავლო მეცადინეობების ჩატარების ხარისხზე კონტროლს, ამ მეცადინეობების შესაბამისობას საქართველოს შინაგან საქმეთა და განათლების სამინისტროების ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან.

ზემოაღნიშნულ მოთხოვნათა წარმატებით გადასაჭრელად დიდი მნიშვნელობა აქვს სასწავლო პროცესის განხორციელების მეთოდებს, რომელთაგან გამოვეყოთ ისეთ მეთოდს, როგორცაა პედაგოგიური კონტროლი.

- პედაგოგიური კონტროლის მიზანია:
- ერთმანეთს შეესაბამებოდეს შს სამინისტროსათვის საჭირო სპეციალისტების წინაშე მდგარი მოთხოვნებისა და აკადემიაში კურსანტების მომზადების დონე;
 - სასწავლო პროგრამების შესაბამისად ჩატარებული მეცადინეობების შეფასება;
 - ძირითადი პედაგოგიური მოთხოვნების დაცვა;
 - მეთოდურად სწორად აგებული მეცადინეობების ჩატარება;
 - კურსანტების უზრუნველყოფა სპეციალური და დამხმარე სასწავლო ლიტერატურით;
 - კურსანტების დამოუკიდებელი მეცადინეობების ორგანიზაცია და მათი მეთოდურად უზრუნველყოფის შემოწმება;

– მეცადინეობების ჩატარებისას ახალი ფორმებისა და მეთოდების ეფექტიანობის შეფასება და მათი სასწავლო პროცესში დანერგვისათვის რეკომენდაციების შემუშავება;

– პედაგოგის მომზადების დონის შესაფასებლად საცდელი მეცადინეობების ჩატარება;

– პედაგოგებს შორის გამოცდილების გაზიარების ორგანიზაცია ღია მეცადინეობებისა და ურთიერთდასწრების გზით და სხვა.

პედაგოგიური კონტროლის განხორციელებაში იგულისხმება შემდეგი ღონისძიებების გატარება:

– შსს აკადემიის რექტორისა და პრორექტორების, სასწავლო ნაწილის უფროსისა და მისი მოადგილეების, კატედრების უფროსებისა და მათი მოადგილეების, მეთოდ კომისიის თავმჯდომარის დავალებით სხვა პირების მიერ მეცადინეობებზე კონტროლის განხორციელება;

– ასეთი კონტროლი შეიძლება იყოს როგორც გეგმიური, ისე გეგმის გარეშეც, როგორც ინდივიდუალური, ისე კომისიურიც;

– ხელმძღვანელობის მეცადინეობებზე საკონტროლო დასწრების გრაფიკის შედგენა ხდება სასწავლო ნაწილის მიერ მეცადინეობების ცხრილის შესაბამისად. გრაფიკში მითითებული უნდა იყოს, თუ რომელი პედაგოგი უნდა შემოწმდეს, რა საგანში მეცადინეობის რომელი ფორმაა შერჩეული შესამოწმებლად, რომელი კურსის რომელ ჯგუფთან ტარდება შესამოწმებელი მეცადინეობა და ა. შ.;

– აკადემიის რექტორი პედაგოგიურ კონტროლს ახორციელებს ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად;

– კათედრებზე ასეთი კონტროლის განხორციელება ხდება კათედრის უფროსისა და მისი მოადგილის, წამყვანი პროფესორებისა და დოცენტების მიერ წინასწარ შედგენილი სემესტრული გრაფიკების შესაბამისად;

– დასაშვებია კურსანტების შემოწმება შერჩევითი გზით;

– ღია და საჩვენებელი მეცადინეობები, აგრეთვე ურთიერთდასწრების ორგანიზაცია ხდება კათედრის უფროსის მიერ წინასწარ შემუშავებული და დამტკიცებული გრაფიკით, რომელსაც კათედრა წარუდგენს სასწავლო ნაწილს. ასეთი მეცადინეობების ჩატარების შედეგებს კათედრა განიხილავს თავის სხდომებზე.

პედაგოგიურ კონტროლს გააჩნია თავისი თავისებურებანი, რომლებიც სხვადასხვაგვარია. ძირითადი მეცადინეობების შემოწმებისას იგულისხმება: ლექცია, სემინარი, პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობანი, საქმიანი თამაშები, სამხედრო და სპეციალური სწავლებანი, ჩათვლები და გამოცდები, სასწავლო პრაქტიკა და ბოლოს, კურსანტების დამოუკიდებლად მეცადინეობის ფორმა.

მეცადინეობების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახეა ლექცია და იგი კურსანტების თეორიულად მომზადების საფუძველია. ლექციის მიზანია კურსანტს ჩამოუყალიბოს მეცნიერული ცოდნის საფუძველი კონკრეტულ სასწავლო დისციპლინაში, შეძლოს ყურადღების გამახვილება თემის საკვანძო საკითხებზე. ლექციაზე დასწრებისას პედაგოგიური კონტროლი ითვალისწინებს შემდეგი კრიტერიუმების შემოწმებას:

– აქვს თუ არა პედაგოგს საშუაო მასალა ლექციის თემის ირგვლივ (თეზისების, კონსპექტის ან ლექციის ტექსტი), აქვს თუ არა საჭირო დიდაქტიკური მასალა, თვალსაჩინოებანი და ა. შ.;

– აწარმოებენ თუ არა კურსანტები ლექციის კონსპექტებს;

– თუ როგორია ლექციის თეორიული და მეთოდური ხარისხი;

– თუ რამდენად აქტუალურია და მეცნიერულად დასაბუთებული თემის შინაარსი; არის თუ არა პრობლემატური;

– როგორაა დაცული გადმოცემული მასალის სისტემურობა, საკითხების ლოგიკური აგებულება (შესავალი, ხიდი წინა მასალასთან, ყოველი ცალკეული საკითხის რეზიუმე და ბოლოს, დასკვნითი ნაწილი);

– ეყრდნობა თუ არა ლექტორი სხვა საგნებში შესწავლილ მომიჯნავე თემების ცოდნას, როგორ უკავშირებს იგი ამ საგნებს მოცემულ სასწავლო დისციპლინას;

– ლექციაში გათვალისწინებულია თუ არა სპეციალიზაციის მაპროფილებელი საკითხები;

– როგორია პედაგოგის მეტყველება, აქვს თუ არა მასალის გასაგებად გადმოცემის უნარი;

– იყენებს თუ არა ლექტორი თვალსაჩინოებებსა და ტექნიკურ საშუალებებს.

სემინარული მეცადინეობების პედაგოგიური კონტროლი ითვალისწინებს შემდეგი საკითხების შემოწმებას:

– აქვს თუ არა პედაგოგს კათედრის უფროსის მიერ დამტკიცებული სემინარული მეცადინეობის ჩატარების გეგმა;

– როგორია მეცადინეობის ჩატარების მეთოდური მხარე, შეესაბამება თუ არა იგი დასახულ მიზნებს;

– აქვს თუ არა პედაგოგს უნარი მიზნობრივად წარმართოს თემის განხილვა ძირეული საკითხების გადასაწყვეტად

– როგორ შეძლეს კურსანტებმა დამოუკიდებლად გადმოეცათ სასწავლო მასალა, პრაქტიკულად დასაბუთებული დასკვნები;

– თუ როგორ ამზადებენ კურსანტები რეფერატებს, მოხსენებებს, ინფორმაციებს;

– გამოიყენება თუ არა სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემები, სიტუაციური ამოცანები, შინაგან საქმეთა ორგანოების პრაქტიკული გამოცდილება;

– თუ როგორია გამომსვლელი კურსანტების ცოდნის შეფასებისა და მაცადინეობების შედეგების შეჯამების მეთოდოლოგია.

პრაქტიკულ მეცადინეობებზე დასწრებისას ანალიზი უკეთდება შემდეგ კრიტერიუმებს:

– აქვს თუ არა პედაგოგს კათედრის უფროსის მიერ დამტკიცებული მეცადინეობების ჩატარების გეგმა-კონსპექტი, როგორია პრაქტიკული მეცადინეობის მატერიალურად მომზადების უზრუნველყოფა;

– მზად არიან თუ არა თეორიულად კურსანტები პრაქტიკული მეცადინეობების ჩასატარებლად, შეუძლიათ თუ არა პრაქტიკული ამოცანის გადაწყვეტა და შესწევთ თუ არა უნარი დამოუკიდებლად გამოიტანონ მართლზომიერი გადაწყვეტილება;

– როგორ ხდება კურსანტების მიერ სამსახურებრივი დოკუმენტაციის გაფორმებისათვის, აგრეთვე სპეციალური და კრიმინალისტიკური ტექნიკის გამოყენებისათვის ჩვევების გამომუშავება;

– ითვალისწინებს თუ არა პედაგოგი კურსანტების ინდივიდუალურ თავისებურებებს;

– როგორ ხდება პედაგოგის მიერ პრაქტიკული მეცადინეობების შედეგების შეფასება;

ლაბორატორიული მეცადინეობების პედაგოგიური კონტროლი ითვალისწინებს შემდეგი კრიტერიუმების შემოწმებას:

– აქვს თუ არა პედაგოგს კათედრის უფროსის მიერ დამტკიცებული მეცადინეობის ჩატარების გეგმა, რომელშიც აღნიშნული იქნება ლაბორატორიული მეცადინეობის ჩატარების ამოცანა;

- მეცადინეობის მეთოდური მხარისა და მისი ორგანიზაციის ხარისხი;
- კურსანტების მიერ ტექნიკის უსაფრთხოების დაცვა სამუშაოს შესრულებისას;
- დავალებული სამუშაოს მოცულობისა და შესასრულებლად გამოყოფილი დროის შესაბამისობა;
- საქმიანი თამაშების პედაგოგიური კონტროლი ითვალისწინებს შემდეგი საკითხების შემოწმებას:
 - აქვს თუ არა პედაგოგს კათედრის უფროსის მიერ დამტკიცებული საქმიანი თამაშების გეგმა-ამოცანა;
 - თუ როგორაა მომზადებული ამ თამაშებისათვის მეთოდური მასალების (მაგალითად, თემის მითითებით მეთოდური დამუშავება, მეცადინეობის მიზანი, სასწავლო საკითხები, ზოგადი ფორმულირებანი) ხარისხი;
 - კურსანტების მეთოდური მასალებითა და სხვა ლიტერატურით აღჭურვა;
 - ამოცანის დასმისა და მისი გადაჭრის მეთოდიკა;
 - სხვადასხვა სწავლებების (სამხედრო ან სპეციალური) მიმდინარეობის დროს მოწმდება:
 - არის თუ არა ამ სწავლების ჩასატარებლად კათედრის უფროსის მიერ დამტკიცებული მეთოდური დამუშავების მასალები, როგორია ამ მეთოდური მასალების ხარისხი;
 - როგორია პედაგოგის საქმიანობა, ერევა თუ არა ის კურსანტების სწავლებაში;
 - როგორ იყენებენ კურსანტები თეორიულ ცოდნას;
 - როგორია ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების ეფექტიანობა;
 - როგორია სწავლების შედეგების მეთოდური ანალიზი;
 - მიაღწია თუ არა სწავლებამ დასახულ მიზანს.
- ჩათვლებისა და გამოცდების ჩატარებისას დიდი მნიშვნელობა აქვს პედაგოგიური კონტროლის მეთოდს, რადგანაც ჩათვლები და გამოცდები სასწავლო დისციპლინების შესწავლის დასკვნითი ეტაპია, ამიტომ ცოდნის შეფასების საკითხებზე დიდადაა დამოკიდებული მთელი სასწავლო პროცესის შესრულების ხარისხი.
- აუდიტორიაში, სადაც ტარდება გამოცდა, სახეზე უნდა იყოს:

- სასწავლო დისციპლინის პროგრამა, საგან-მოცდო ბილეთები, ბილეთებში შეტანილი საკითხების ნუსხა, შესაბამისი ცნობარები, მაკეტები, ტექნიკა და სხვა თვალსაჩინოებანი, რომლებიც ბილეთებში შეტანილ საკითხებზე პირდაპირ პასუხს არ იძლევიან.
- თუ გამოცდა წერით ტარდება, მაშინ აუდიტორიაში უნდა იყოს სუფთა ფურცლები სასწავლო ნაწილის შტამპით, აგრეთვე სხვა სასწავლო დამხმარე მასალები.
- სასწავლო პრაქტიკის შემოწმებისას ყურადღება გამახვილებული უნდა იყოს შემდეგ კრიტერიუმებზე:
 - მეთოდური მასალების, პრაქტიკის ჩატარების გეგმებისა და ინდივიდუალური ამოცანების განხილვის ხარისხი;
 - შინაგან საქმეთა საბაზო ორგანოებში არსებული პირობების შესაბამისობა პროგრამით გათვალისწინებულ პრაქტიკის მოთხოვნებთან, კურსანტების რაციონალური გადანაწილება საბაზო ორგანოებში;
 - თუ როგორ იცავენ კურსანტები შს ორგანოების შინაგანაწესს, საწესდებო მოთხოვნებს და სხვა ნორმატიულ აქტებს;
 - კურსანტების მიერ პრაქტიკის დღიურისა და სხვა დოკუმენტაციის წარმოება, ინდივიდუალური დავალებების შესრულების ხარისხი, შესრულებული სამუშაოს ანგარიშების სისტემატური მოსმენა;
 - ჩატრებული პრაქტიკის შემოწმების ანალიზი და მისი შემდგომი გაუმჯობესებისათვის წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება;
 - პედაგოგიური კონტროლის შედეგები პერიოდულად უნდა განიხილებოდეს კათედრის, მეთოდური კომისიის სხდომებზე და შედეგების მიხედვით უნდა დაისვას საკითხი არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად და სწავლების ხარისხის ასამაღლებლად.
- ზემოაღნიშნულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სწავლების სხვადასხვა მეთოდთან ერთად, აქტიურად უნდა იყოს გამოყენებული პედაგოგიური კონტროლის მეთოდი, რომელიც აღნიშნულ მოთხოვნათა შესრულებისას დადებით ზეგავლენას მოახდენს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაზე, პედაგოგის კვალიფიკაციის ამაღლებაზე და შს სამინისტროსათვის პროფესიონალი კადრის მომზადებაზე.

გურაბ ბელაშვილი,
საქართველოს შსს აკადემიის სასწავლო
ნაწილის უფროსის მოადგილე, პოლიციის
პოლკოვნიკი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

ინფორმაცია

საერთაშორისო სემინარი – პოლიციის ორგანიზება და ეთიკა

მიმდინარე წლის 4–5 ივლისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში საქართველოსა და ევროპის საბჭოს 2001 წლისათვის თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში ჩატარდა საერთაშორისო სემინარი თემაზე – „პოლიციის ორგანიზება და ეთიკა“.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ: ქალბატონი **კამილა ტესენი** – ევროსაბჭოს დანა-

სპექციის უფროსი, პოლიციის გენერალ-მაიორი, **გურამ ქარქაშაძე** – შსს აკადემიის რექტორი, პოლიციის გენერალ-მაიორი, **პაატა ცნობილაძე** – საქართველოს იურისტთა კავშირის თავმჯდომარე, ჟურნალ „სამართლის“ მთავარი რედაქტორი, **გია ხუბუა** – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორი, იურიდი-

ულ მეცნიერებათა დოქტორი, **პაატა კობალაძე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოცენტი, **უშანგი მგელაძე** – თბილისის პოლიციის მთავარი სამ-



ვნოს კონსულტანტი **ტექნიკურ საკითხებში**, **ალან ბეკლი** – გაერთიანებული სამეფოს წარმომადგენელი, ევროსაბჭოს ექსპერტი, **ფრანსუა გუილენი** – კატალონიის (ესპანეთი) პოლიციის სკოლის წარმომადგენელი, ევროსაბჭოს ექსპერტი, **ზურაბ უროტაძე** – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, **ნუგზარ გაბრიჩიძე** – შსს გენერალური ინ-

მართველოს კრიმინალური პოლიციის უფროსი, **გივი ლობჯანიძე** – შსს აკადემიის პრორექტორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, პოლიციის გენერალ-მაიორი, **დავით ღლონტი** – შსს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციისა და პოლიციის აკადემიის თანამშრომლები, სამხა-

რეო პოლიციების მთავარი სამმართველოებისა და პირად შემადგენლობასთან მუშაობის სამსახურების ხელმძღვანელები, მასმედიის წარმომადგენლები.

საქმიანობის მდიდარ გამოცდილებას, მსჯელობდნენ პოლიციის და მასმედიის ურთიერთობის, პოლიციის პასუხისმგებლობისა და კონტროლის პრობლემური კონკრეტული საკითხების წარ-



მატებული გადაჭრის გზებსა და საშუალებებზე, სამომავლო გეგმებზე და ამოცანებზე.

თავიანთ შემაჯამებელ გამოსვლებში უცხოელმა ექსპერტებმა სემინარის მუშაობის შესანიშნავი ორგანიზებისათვის გულწრფელი მადლობა გადაუხადეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მასპინძლის – აკადემიის ხელმძღვანელობას. განსაკუთრებული მადლიერების გრძნობით აღნიშნეს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის, ბატონ ნუგზარ გაბრიჩიძის დიდი ღვაწ-

სემინარი გახსნა შსს აკადემიის რექტორმა ბატონმა გურამ ქარქაშაძემ. იგი გულთბილად მიესალმა სემინარის მონაწილეებს და უსურვა მათ ნაყოფიერი საქმიანობა.

ვრცელი და საქმიანი მოხსენება გააკეთა შსს გენერალური ინსპექციის უფროსმა ბატონმა ნუგზარ გაბრიჩიძემ. მან დაწვრილებით ილაპარაკა გენერალური ინსპექციის მიერ მიმდინარე წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის თაობაზე, გაანალიზა მიღებული შედეგები და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მათი სამსახურის თვითმიზანი უღირს პოლიციელთა მხოლოდ დასჯა როდია, არამედ უმთავრესი ამოცანაა თანამშრომელთა შორის მიზანმიმართული პროფილაქტიკური მუშაობა და პოლიციელთა კანონიერი ინტერესების საიმედოდ დაცვა.

უცხოელი და ქართველი ექსპერტები ორი დღის მანძილზე ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთი

ლი სემინარის ორგანიზებასა და მის წარმატებულ მუშაობაში.

თავის მხრივ, ნუგზარ გაბრიჩიძემ ხაზგასმით აღნიშნა უცხოელი კოლეგების აქტიური და ეფექტიანი თანამშრომლობა, მადლობა გადაუხადა სტუმრებს მხარდაჭერისა და დახმარებისათვის, ევროპის საპოლიციო საქმიანობაში დაგროვილი მდიდარი ცოდნისა და გამოცდილების უანგაროდ გაზიარებისათვის, გამოთქვა რწმენა, რომ ეს თანამშრომლობა კვლავაც წარმატებით გაგრძელდება.

დაბოლოს, აღნიშვნის ღირსია მეტად შრომატევადი საქმიანობა, რომელიც გასწია შსს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის თანამშრომელმა, ქალბატონმა **ლელა გოგოლიძემ**. მისმა პროფესიონალიზმმა, შეიძლება ითქვას, მთლიანად გადაჭრა სემინარის მონაწილეთა შორის ენის ბარიერის პრობლემა.

გელა ბერძენიშვილი.



R E S U M E

1. **Zaur Pachkoria**, The Secretary of the Justice Counsel of the Republic of Abkhazia – “About the normative acts basic norms of discipline legislation of common court judges”

The author makes us acquainted with his own views, how basic is the current legislation, that regulates the disciplinary responsibility and disciplinary legislation towards the officials of whole common courts of Georgia. This legislation is carried out in the area of their competency not only by the Committees of justice, but also by the chairmen (or those executing their responsibility) of Supreme court of Georgia, also supreme courts of Autonomous Republics of Abkhazia and Achara, Heads of Tbilisi and Kutaisi Regional Courts.

2. **Mariam Tsatsnashvili, George Chiladze**, – “Legal aspects of providing patent rights through lodging an appeal”

The Authors acquaint us with the International legal aspects of providing patent rights through lodging an appeal, at the same time they draw our attention to clause 69 and 70 of the patent law of Georgia, they also share their imaginations about them.

3. **Archil Tabagari**, IV the year student of the juridical faculty – “Peculiarities of discussing appeals made with regards to the bill of exchange and checks”

The author discusses the questions about the Peculiarities of discussing appeals made with regards to the bill of exchange and checks, as the processional code discusses the mentioned appeals with the simplified rule, this is new way today and the court practice with regards to this institute is on the stage of formulation.

4. **Revaz Putkaradze** – Post graduate student of the Georgian Science Academy of State and Law - “The problem of presumption in the modern civil law”

The author touches the problems of presumption in the modern civil law and differs from each other processional-legislative and material-legislative prezumptions and notes, that

though the new civil code puts presumption in an important place, it still needs to be investigated totally.

5. Eka Shengelia – Teacher of the civil law branch of Tbilisi State University of I. Javakhishvili – “Law basis of the increase and decrease authorized capital stock of joint-stock company”

The author discusses the Law basis of the increase and decrease authorized capital stock of joint-stock company and notes, that it is only available, when the increase and decrease of the authorized capital is considered by the society statute, where the corresponding changes will be written.

6. Elza Gurgenidze – Probationer-procurer of the international department of the General Procurators office of Georgia - “Responsibility for illegal acceptance of credit”

The author discusses the crime orientated against such monetary-credit system, as illegal acceptance of credit, because in to-days conditions there is trying to protect the interests of credit organizations in the case of not returning the sum given by credit to the borrowers, when the intentions of defalcation can not be proved and is complicated.

7. Jemal Janashia, Candidate of juridical Science, general-mayor – “Legalization of narcotics the way out or corner?! (discussion of the legal questions with regards to problem)”

Basing on the statistical data, the author takes into his consideration the question of the continuing growing tendency of the problem of drug addicting and illegal distribution of narcotics: narcotics in the time and sphere, European legislative practice, law using practice, possible results of legalization and etc. Basing on different analysis, the author thinks it possible to abolish the criminal legislative and administrative responsibility to use narcotics for not medical purposes and to save them for the private use.

8. Ekaterine Kardava, The fourth year student of the juridical faculty of the Tbilisi State University – “The problem of Evtanazy in the criminal law”

The author discusses the problem of evtanazy in the juridical, medical and psychological point of view and think is reasonable, if the Georgian legislation permit the evtanazy only in rare cases and only after court decision.

9. Zaza Berozashvili, “The mechanism of conventional relations in the sphere of the struggle against illegal converting of narcotics”

The author discusses one month convention of the United Nations concluded in 1961 about narcotic drugs and acquaint us with the mechanism of conventional relations.

10. Alexander Giorgadze, Post graduate-student of the criminal law and criminology branch of the Tbilisi State University – “Social and biological determinates of guiltiness behavior”

The author discusses the question of social and biological determinates of guiltiness behavior and notes that in the case of each crime, there is no use of separating of the biological and social factors.

11. Koba Kobakhidze, The assistant of the Tbilisi Gldani-Nadzaladevi regional procurer, senior advisor of Justice – “For defining the norms of criminal law persecution” (Private criminal legislative persecution)

Basing on the example the author discusses one of the important institutes of criminal legislation persecution and notes, that the analysis of practice has the decisive importance for the reliability of theory.

12. Vakhtang Gbedava, the chief head of the Zemo-Svaneti department of internal affairs expert criminological office, Police vice-colonel – “the Inspection of the place of accident in the case of finding the dead body and fixation of the body pose”

The inspection of the place of accident in the case of finding the dead body and fixation of the dead body is described in the article. It is noted, that the inspection must be done by the right order following the processional and criminological regulations and using the medical-technical devices for making the result achieved through investigation the importance of proof.

113. Paata Koplataдзе, teacher of the criminal law process and criminology department – ““The history of state accusation defense”.

The author acquaints us the history of state accusation defense, that describes clearly its meaning, importance and role in the complex sphere of legality and law order strengthening, as well as of warrant execution.

114. George Shindelishvili, Senior inspector of especially important affairs of the national bureau of struggling against narcotic-business and narcotism of the internal affairs of Georgia – “Tactical ways of examination of the party in fault and suspected person committed a narcotic crime”.

The author discusses the peculiarities of the narcotism crime, namely, tactical ways of examination of the guilty and the person suspected in committing the crime, which play the main role in providing the objective truth revelation of the matter in maximally short period of time.

15. George Nadareishvili, Professor – “Rule and order – terminology expressing pre-law”

The author discusses the terminology expressing pre-justice, such are “rule”, “order” and thinks that legislative norm of the ancient Georgia was called not law, but order or rule. It must also be mentioned, that the initial meaning of both rule and habit as well as of both rule and order was tradition or “regulations”, the same is “succession”

16. Manana Kopalini, laboratory assistant of law theory, history and public law department of Kutaisi Satet University after Ak. Tsereteli – “The view of Ivane Javakhishvili about the queen of Georgia, her personality and legislative power”

The author acquaints us the opinions of Ivane javakhishvili about State or constitutional law, namely, what the great scientist thinks about order of the legislation and execution power of the queen in Goeriga.

17. Badri Kvaratsxelia, post graduate student of sate and justice institute of the academy of science of Georgia – “Dasturlama” (confirmation) of Niko Dadiani”

The author acquaints us Niko Dadiani, who was the senior judge of Samegrelo Region, he submitted “dasturlama” to the king Levan V Dadiani in 1818. “Dasturlama” was the plan of the reconstruction of region governing, in the importance of which Niko Dadiani was sure.

18. Genadi Kachibaia, The inspector of especially important affairs of the General Procurators Office of Georgia – “The essence of the legislation measures”

The author characterizes the essence of the legislation measures, and notes, that the indicated category of these measures actually and clearly reveals the power of the whole justice, its potentials and at the same time, this category put the civilization in the social relations and together with other social events these measures result in its optimisation.

19. Nato Tsomaia, Third year student of the juridical faculty of Tbilisi State University – “Short description of the legislative forms of the relations between the Sate and the Church”

hor discusses the inter-existence possibilities of two subjects – State and Church, on the background of the experiences introduced in different countries.

ab Gelaashvili, – The deputy chief of the Academy of the Internal Affairs of Georgia, doctor of juridical science, police colonel – “Pedagogical control, as one of the methods for improvement of the teaching educational process”

hor discusses the one of the main methods of introducing the teaching process of the Internal Affairs of Georgia, such is pedagogical control, which will have the positive influence on improving the educational process, raising of the pedagogical qualification and training professional personnel for the Internal affairs of Georgia.

a Berdzenishvili, Deputy editor of the magazine - “International Seminar - How to improve the police and ethics”

Form of the information, the author acquaints us with the international seminar on the “Organizing police and ethics” held at the Internal Affairs of Georgia on July 4-5 of the present year in the network of the program of cooperation of Georgia and European countries in 2001.



მკითხველთა საყურადღებო:

სტატიების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლებელია არ ემთხვეოდეს რედაქციისას. მასალები, რომელთა მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ორი ინტერვალით ნაბეჭდ 15 გვერდს, სასურველია წარმოადგინოთ კომპიუტერის დისკზე ჩაწერილი სახით.

ჟურნალი რეგისტრირებულია თბილისის-მთაწმინდის რაიონულ სასამართლო რეგისტრაციის სამსახურში – (

პასუხისმგებელი მდივანი – ირმა ბეჟაური
კორექტორ-სტილისტი – ნინო ბერძენიშვილი
მთარგმნელი – ნათია კინწურაშვილი

გადაეცა წარმოებას 8.08.2001წ.,
ხელმოწერილია დასაბეჭდად 1.08.2001წ.,
ფორმატი 60X84, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 62,
ტირაჟი 300.
ფასი ხელშეკრულებით.